ოლგა ფოკვარჩევი

მოგზაურობა თვე

ინტელექტი
25 წლისაა

ოლგა
ტოკარჩუკი

ბოტანიკური თვე

პოლონურიდან თარგმნა კატია ვოლტერსმა

ინტელექტი
25 წლისაა

პროექტის ავტორი
კახმეგ კუდავა

რედაქტორი
ინა არჩუაშვილი

დამკაბადონებელი
ვიოლა ტულუში

გარეკანის დიზაინერი
თეონა ჭანიშვილი

OLGA TOKARCZUK. **GRA NA WIELU BĘBENKACH: 19 OPOWIADAŃ**
Translated from Polish into Georgian by Katja Wolters
Georgian Edition: Intelekti Publishing

This publication has been supported
by Polish Institute in Tbilisi.

ISBN 978-9941-31-344-8

Copyright © Olga Tokarczuk 2001
© გამომცემლობა „ინტელექტი", 2021

ᲭᲣᲠᲔᲙᲘ 7
ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲞᲐᲢᲘᲪᲘᲐ 23
ᲒᲚᲘᲪᲘᲜᲘᲐ 53
ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲠᲝ ᲡᲐᲚᲐᲛᲝ 65
ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲣᲠᲘ ᲗᲕᲔ 89
ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲮᲘᲜᲯᲘ ᲥᲐᲚᲘ 109
ᲐᲠᲘᲐᲓᲜᲔ ᲜᲐᲥᲡᲝᲚᲖᲔ 127
ᲚᲝᲒᲘᲝᲡ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲗᲘᲗᲮᲐᲝᲑᲐ 149
ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲘᲡ ᲐᲚᲔᲑᲐ. ᲠᲐᲢᲔᲜᲘ 163
1675 163
ᲒᲐᲚᲔᲠᲘᲜᲐ 183
ᲩᲔ ᲒᲔᲕᲐᲠᲐ 201
ᲡᲐᲑᲘᲜᲐᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ 233

ᲗᲣᲠᲔᲪᲘ

– ეტლი უნდა წამოგვეღო, – უთხრა ერთმა მეორეს, როდესაც ავტობუსის გაჩერებისკენ მიმავალ კარგა ხნის გაუწმენდავ, დათოვლილ გზას დაადგნენ.

ქალს საბანში შეფუთნილი ჩვილი აეტატებინა. თვალსა და ხელს შუა ჩამოწოლილ ბინდში საბანი ისეთი რუხი ჩანდა, ჭუჭყიანი გეგონებოდა. გოგო ქალს მიჰყვებოდა და ფეხებს მის ნაკვალევში ადგამდა. ასე ბევრად უადვილდებოდა სიარული.

– დღის შუქზე უნდა წამოვსულიყავით, არ უნდა დაგვეღამებინა, – თქვა ისევ ქალმა.

– უნდა წამოვსულიყავით, ადვილი სათქმელია, – მიუგო გოგომ – ვერ მოვასწარი.

– ამდენი მორთვა-მოკაზმვა არ იყო საჭირო.

– თითქოს შენ არ გამოიპრანჭე.

– მე არ გამოვპრანჭულვარ, ქუდს ვერ ვპოულობდი.

ძლივს მიუსწრეს ავტობუსს. ერთიანად დაორთქლილი და თითქმის ცარიელი მოვიდა, თუნუქის ნაჭუჭს ჰგავდა. უკანა სავარძლებზე ახალგაზრდები ჩაჭეჭყილიყვნენ. ალბათ, დაბაში მიდიოდნენ დისკოთეკაზე. შვილი შეფარვით, მაგრამ შურით გაჰყურებდა მათ, გოგოები ხომ ლამის შეჭამა თვალებით. განსაკუთრებით ერთი ამოიჩემა, ტყავის ქურთუკი და ვიწრო ჯინსები რომ ეცვა. დედამ რაღაც ჰკითხა ჩურჩულით. არც შეუხედავს, ისე შეუღრინა პასუხად. მერე დაორთქლილ

მინას სახელო გაუსვა და მოციმციმე შუქებით სავსე სიბნელეს მიაშტერდა. ახალგაზრდებმა გზა განაგრძეს. ესენი მეორე გაჩერებაზე ჩამოვიდნენ, იქ, სადაც უზარმაზარი სატვირთოების ქროლითა და ღმუილით გაყრუებულ გზატკეცილს პატარა ქუჩა უერთდებოდა.

სადღესასწაულოდ გაჩირაღდნებულ მოტელს გვერდი აუარეს და ერთხანს თევზის სასადილოს წინ იდგნენ. იმ აბრის ქვეშ, რომლის წარწერაც – „მუდამ კოკა-კოლა“, უშვეელებელი წითელი მთვარესავით ანათებდა ახლად გარემონტებული შენობის ფასადს.

– გარეთ გამოვიყვანოთ, თუ რა ვქნათ? – იკითხა დედამ.

– შენ შედი. მე ბავშვთან დავრჩები და აქ დაგელოდები.

ქალი შევიდა და მალევე გამობრუნდა უკან.

– აქ არ არის. სახლში ყოფილა.

ერთმანეთს შეხედეს და უსიტყვოდ შევიდნენ ეზოში. ბუდრუგანასთან დაბმულმა ძაღლმა ყეფა ატეხა. ავტომატურად ჩაირთო შუქი. თოვლს საგულდაგულოდ დაეფარა უწესრიგოდ გაბზნეული სამშენებლო მასალა – ერთმანეთზე დაწყობილი ფიცრები, ცელოფანშემოკრული პენოპლასტის შეკვრები, ბლოკის პირამიდები. პან ვლადეკი ავტოფარეხს აშენებდა.

გამოხედა. ახოვანი, წითური კაცი იყო, ხელით ნაქსოვი, სახელოებშემორღვეული სვიტერი ეცვა. გაკვირვებულმა შეათვალიერა.

– თქვენ აქ რა გინდათ ასეთ დროს? – არც კი მისალმებია, ისე ჰკითხა.

– საქმე გვაქვს, – მიუგო ქალმა.

– საქმე? – გაწელა კიდევ უფრო გაკვირვებულმა.

– შეიძლება შემოვიდეთ?

წამიერად, თითქმის შეუმჩნევლად შეყოვნდა. მერე შინ შეუშვა, ახლად გაბათქაშებულ შემოსასვლელში. ძირს დაყ-

რილი ცემენტის ნაფხვენები ფეხსაცმლის ქვეშ ახრაშუნდნენ. მიყრილ-მოყრილ სამზარეულოში შევიდნენ. ეტყობა, ნიჟარის შეკეთებას ცდილობდა. მის ქვეშ მდგარი კარადა გამოწეული იყო და მილებისა და სიფონების მუდამ თვალსმოფარებული სამყარო მოჩანდა.

– შეიძლება დავსხდეთ? – იკითხა ქალმა.

ორი სკამი პირდაპირ შუა სამზარეულოში დაუდგა, თვითონ კი იმ გამოწეულ კარადას მიეყრდნო და სიგარეტს მოუკიდა. ბავშვი ახლაღა შეამჩნია და გაიღიმა.

– ბიჭია თუ გოგო?

– ბიჭია, ბიჭი, – უპასუხა გოგომ და მძინარე ჩვილი საბნიდან გამოაძვრინა.

თვალებიდან ცისფერი შალის ქუდი გადაუწია. პატარა, მოპრუჭნულმა სახემ პან ვლადეკს ახლად შემოსული ნედლი თხილი გაახსენა. გულს მაინცდამაინც არ მოეფონა.

– რა ლამაზია! – თქვა. – რა ჰქვია?

– ჯერ არაფერი, – მხიარულად უპასუხა გოგომ.

– ვლადისლავი, – სასწრაფოდ მიაგება ქალმა.

– ვლადისლავი? – გაიოცა. – კი მაგრამ დღეს ბავშვს ვლადისლავს ვინღა არქმევს?

დაიღმიჭა და სიგარეტი მოქაჩა.

– აბა, რა საქმე გქონდათ?

– შენ გქვია და ამასაც დავარქვით, – გააგრძელა ქალმა.

– ერქვას რა! ვინა თქვა მერე, არ ერქვასო.

გაჩუმდნენ. კაცმა იატაკზე დააფერფლა.

– აღარ იტყვით რისთვის გარჯილხართ?

ქალმა კედელზე მიყუდებულ კარნიზის წვერს თვალი გაუსწორა და იმავე მიმართულებით წარმოთქვა:

– ეს ბავშვი შენია, ვლადეკ. შობა ახლოვდება და მონათვლა გვინდა.

კაცი ადგილზე გაქვავდა.

– როგორ თუ ჩემია, შენ ხო არ გამოყლევდი, ჰალინა? ჰა, ივონკა, – ახლა გოგოს მიუბრუნდა, – თქვი ერთი, საიდან მოიტანე, რომ ბავშვი შეიძლება ჩემი იყოს, რაებს მიედ-მოედებით?

ივონკამ ტუჩი ჩაიკვნიტა და ბავშვის რწევას მოჰყვა. ბავშვმა გაიღვიძა და წამოიტირა.

– ვინ არის მამა? – იკითხა.

– შენა ხარ-მეთქი. ბავშვი შენია.

კაცი წამოიწია და ფეხსაცმლით სიგარეტი ჩააქრო.

– გადით აქედან. აბა, მალე. ორივე.

ზლაზვნით წამოდგნენ. ივონკამ ჩვილს ცისფერი ქუდი ისევ ჩამოუწია თვალებზე.

– ჩქარა, ჩქარა-მეთქი, – აჩქარებდათ.

– ძალიან კარგი, ვლადეკ. მაშინ ამ ბავშვის მამა შენი ბიჭია, იაცეკი, – თქვა უცებ უკვე კართან მისულმა ქალმა ისე, რომ უკან არ მოუხედავს.

– დიახაც. სააღდგომოდ ხომ აქ იყო, – გული მიეცა ივონკას.

– გაეთრიეთ-მეთქი!

მათ ზურგს უკან კარი დაიხურა. ჩუმად იდგნენ ჭუჭყიან, გათეთქვილ თოვლში. ცოტა ხანში შუქიც ჩაქრა.

– ახლა რაღა ვქნათ? – შეეკითხა ივონკა დედას.

– რა უნდა ვქნათ? არც არაფერი.

შემდეგი ავტობუსი ერთ საათში გადიოდა. ამიტომ ფეხით განაგრძეს გზა.

– გითხარი, ეტლი წამოიღე-მეთქი. მთელი საათი მოგვიწევს სიარული.

– გაჩერებაზე დგომას და ბაბანს ისევ ფეხით სიარული ჯობია.

ბავშვი მთელი ღამე ჭინჭყლობდა. ივონკას მკვდარივით ეძინა. ახლაც დედამისი ასველებდა ხილაბანდის წვერს თბილ წყალში და იმას აწოვებდა. ჩვილი უნიათოდ ამოძრავებდა ციცქნა ტუჩებს. თუნუქის ღუმლის ნახვრეტებში დროდადრო ცეცხლის ალი კრთებოდა.

მაღაზიაში დილაუთენია მივიდნენ. ივონკამ ნაყინი „მაგნუმი“ იყიდა. ქვეყნის ფული მიათხლიშა. დედამ დატუქსა. საქმე მარტო ფულში არ არის, გაცივდები და რძე გაგიშრებაო. ივონკამ მშვიდად ჩაამთავრა ნაყინის ჭამა და მხრები აიჩეჩა. ბავშვს ღია ცისფერ ეტლში ეძინა.

– რა ლამაზი ბიჭუნაა, – აღფრთოვანება ვერ დამალა გამყიდველმა. მაღაზიის წინ, კიბის საფეხურზე დადგა. სვიტერზე ნეილონის თეთრი ხალათი შემოეცვა. – უჰ, რა ცივა!

მალე მაღაზია ხალხით გაივსო, როგორც ყოველთვის, შუადღის მოახლოებისას. ამჯერად მარტო იაფფასიანი ღვინისთვის შემოსული აქაური კაცები არ იდგნენ რიგში, და არც მარტო გამვლელები, საზღვრამდე სამყოფი „კოკა-კოლისა“ და მიწის თხილისთვის რომ შემოირბენდნენ ხოლმე. დღეს ნამცხვრის ესენციების, ვანილიანი შაქრის, მარგარინის, ქიშმიშის საყიდლად მოსული დიასახლისები უფრო სჭარბობდნენ. გამყიდველი აფთიაქარის სიზუსტით წონიდა ჩიტის რძეს, შოკოლადში ამოვლებულ მარმელადს და სადღესასწაულოდ საგანგებოდ შეფუთულ კანფეტებს. განსაკუთრებული მოთხოვნა პრიალა ოქროსფერსა და იასამნისფერ ქაღალდიანებზე იყო. პატარა მოსართავები ნაძვისხეებზე უნდა დაეკიდებინათ. ხალხი სულაც არ ჩქარობდა, რომ რიგი სწრაფად წასულიყო. პირიქით, დახლთან მისულები გამყიდველს სათითაოდ ჩამოუდგებოდნენ და ელაპარაკებოდნენ. ისიც მაშინვე თავს ანებებდა ციფრების ქვეშმიწერას და საფუვრის ფხვნილს, დახლზე იდაყვებით დაეყრდნობოდა და მთელი

გულისყურით ისმენდა მთისას და ბარისას. მათ შემხედვარეს შეიძლება გეფიქრა, თითქოს აქ ადამიანები ნაყიდ საქონელში ფულსაც არ იხდიდნენ; თითქოს ფულს დაეკარგა თავისი დანიშნულება და ქიშმიშის, იაფფასიანი ღვინის, საფუვრის შესაძენად მხოლოდ პატარ-პატარა ამბები, სალამ-ქალამი და ოხუნჯობებიც სრულიად საკმარისი იყო. ამიტომ ამ ყველაფერს დიდი დრო მიჰქონდა.

მაღაზიის წინ მუქი მწვანე, ელეგანტური მანქანა გაჩერდა. აი, იმ ახალი მოდის მანქანებიდან ერთ-ერთი, აპრეხილი ტევადი საბარგულები რომ აქვთ. სახურავზე თხილამურები დაემაგრებინათ. მანქანიდან „პოლარებსა" და „გორეტექსებში" გამოწყობილი კაცი გადმოვიდა, თავზე ჩამოფხატული სასაცილო ქუდით. მანქანაში ორ თინეიჯერთან ერთად დარჩენილ ქალს რაღაც უთხრა, მერე მსუბუქად აირბინა მაღაზიის კიბე და რიგის ბოლოში, მატუშეკის უკან დადგა.

– ჟურეკი თუ გაქვთ? – იკითხა პოლარებიანმა. თან ხელები მოიფშვნიტა და დააყოლა, – უხ, რა მაგრად ცივა!

დასმულმა კითხვამ უცებ გაანელა მაღაზიაში ატეხილი რუზრუზი. გამყიდველმა, რომელსაც მონოლოგი შუა ლაპარაკში გააწყვეტინეს, უკმაყოფილო სახით გახედა უცხო მამაკაცს.

– ჟურეკი. აი, ბოთლის ან ქილის. არ ვიცი, აქ როგორი იცით, ბოთლის თუ ქილის.

– ჟურეკი უნდა, – უკარნახა გამყიდველს პანი მატვეიუკოვამ და მწირი ნავაჭრის ცელოფნის პარკში ჩალაგებას შეუდგა.

ყველამ სათითაოდ, ჩუმ-ჩუმად შეათვალიერა მომხდური. მის ფერად, მოდურ ჩექმებზე აკრული თოვლი ნელ-ნელა დნებოდა. ლურჯი ქურთუკის ყვითელი წარწერა კი რა-

ღაც ყბადაღებულ ჭეშმარიტებას ღაღადებდა უცხო ენაზე. გამყიდველმა ქვედა თაროს შეხედა.

– გვაქვს, – თქვა, – ბოლო ბოთლია დარჩენილი.

– ანუ ბოთლებში გაქვთ, ხო? ჩვენთან, ჩრდილოეთში, ქილებში იყიდება, – განმარტა კაცმა და ხალისიანად მოავლო თვალი რიგში მდგარ ხალხს. – ავსტრიაში მივდივართ სათხილამუროდ და ცოლმა დაიჟინა, გინდა თუ არა, ჟურეკი გავიყოლოთო. საზღვრამდე კიდევ მეტი მაღაზია აღარ არის. – ბოლო სიტყვები, არავინ იცის, რატომ, ხმადაბლა და მატუშეკის მისამართით თქვა.

მატუშეკმა თავი მოაბრუნა და ვიტრინის უკან დაწყობილი სიგარეტების კოლოფების „შესწავლას“ შეუდგა. რიგი ერთი ადამიანით დამოკლდა. პანი მატვეიუკოვა კართან იდგა და ხურდას ითვლიდა.

– აბა, დღესასწაული ჟურეკის გარეშე რა დღესასწაული იქნება! – ისევ დაიწყო კაცმა. მისი ომახიანი, დამაჯერებელი ხმა უცნაურად ჭრიდა ყურს. – ჩვენი, პოლონური საფირმო კერძია. ევროპისა და მსოფლიოს რამდენ ქვეყანაში ვარ ნამყოფი და ჟურეკი არსად არა აქვთ. მესმის, რომ ყველას თავისი ეროვნული კერძი ურჩევნია, მაგრამ ცუდია, რომ ჟურეკს ვერსად წააწყდები. ჰოდა, გზაში ვფიქრობდი, აქ თუ არ ვიყიდი, მერე სადღა ვნახავ-მეთქი. ჩეხეთში ჟურეკი არ იციან.

ხმა არავის ამოუღია. კაცი ფეხების ბრაგუნს მოჰყვა, თან ხელებზე იორთქლებდა. გამყიდველიც, ის ყბედი გამყიდველიც, თითქოს უცნობის იქ ყოფნას დაებნია თუ რა იყო, ახლა უფრო მარჯვედ და დაუზარლად ირჯებოდა. რიგი სწრაფად და სრულიად უსამართლოდ, მიიწევდა წინ, რადგან მაღაზიაში შემოსულთაგან შინ არავის ეჩქარებოდა.

– ცივა, – მიმართა უცხომ ისევ მატუშეკს და თეატრალური ჟესტით მოიფშვნიტა ხელები.

მატუშეკმა შეხედა და თავაზიანობის გამო ოდნავ გაულიმა. მერე თავი ისევ სიგარეტების ვიტრინისკენ მიაბრუნა.

– აპარტამენტი გვაქვს დაჯავშნილი. ვაჰ, რა ლიფტები აქვთ რომ იცოდეთ, რა ბაზა! ჩამოსრიალებას საათზე მეტი დრო სჭირდება. დაბლა კიდევ, სასტუმროში, ბარი და აუზია. საჭმელზე თვითონ უნდა ვიზრუნოთ. აპარტამენტს სამზარეულოც აქვს და ჩემი ცოლი ჟურეკის მომზადებასაც შეძლებს. ხო... და, კიდევ რამე კარგ ძეხვსაც გავიყოლებ. ვიყიდი აქ კარგ ძეხვს? – აწრიალდა უცებ.

დახლს კიდევ ერთი უკმაყოფილო ქალი მოშორდა. გამყიდველმა ელვაშესაკრავიანი სვიტერი ყელზე ჩაიხსნა.

– ვხედავ რომ ძეხვი გაქვთ, მაგრამ ექვსზლოტიანი ძეხვი კარგი ძეხვი ვერ იქნება, – თქვა კაცმა.

მანქანის სიგნალის ხმა გაისმა. კაცი კართან მივიდა, მანქანაში მსხდომებს რაღაც გასძახა და ისევ უკან შემობრუნდა. მაღაზიაში ყინულივით ცივი ჰაერის ნაკადი შემოვარდა.

– ნერვიულობს ქალი, საღამომდე ალპებში უნდა ვიყოთ. მე კიდევ ეს ჟურეკი ავიტეხე.

მატუშეკმა სიგარეტი, ფორთოხლის ესენცია, ნახევარი ლიტრა გადასაკრავი და პური იყიდა. გამყიდველმა ქვეშმინერით მარჯვედ მიამატა ერთმანეთს რიცხვები და იმავე ქაღალდში გადაახვია ბოთლიც.

– და ჟურეკი, – თქვა, – ერთი ბოთლი ჟურეკი.

მაღაზიაში სიჩუმე ჩამოვარდა. გამყიდველმა მორიდებით მიაწოდა ბოთლი. მატუშეკმა სწრაფად გადაიხადა.

– კი მაგრამ... – წამოიძახა გამტკნარებული სახით პოლარებში გამოწყობილმა კაცმა. მატუშეკმა ნავაჭრს ხელი დააავლო და წამში გაუჩინარდა.

მაღაზიის წინ ჰალინა და მისი ცოტა შექანებული ქალიშვილი დაინახა და ჟურეკის ბოთლი იმას მიაჩეჩა ხელში.

– აჰა, გამომართვი. ჩვენთან ჟურეკს არ ჭამენ. ბორშჩს ვჭამთ, – თქვა და ისიც დააყოლა, საღამოს მათთან შეევლო დიდი ხნის წინ შეპირებული საბნის წასაღებად.

ივონკას რცხვენოდა. ვერ შედიოდა. ღობესთან იდგა და კბილს კბილზე აცემინებდა. კაცმა არ იცის, სიცივისგან თუ შიშისგან.

– რისი გეშინია, შტერო, ხო არ შეგჭამენ. მაშინ შეგშინებოდა, როცა დრო იყო, – უთხრა დედამ.

– ვიღაც ბიჭები არიან. შენ შედი, მე აქ დავრჩები, ბავშვთან.

– ჰოდა, ძალიანაც კარგი, თუ არიან. იქნებ რამე გამოგვივიდეს. მოწმეებიც იქნებიან. შემოდი-მეთქი!

გოგო უხალისოდ მიჰყვა.

სამზარეულოს მაგიდას ოთხი კაცი უჯდა. მატუშეკს ის იყო ბოლო ჭიქა ჩამოესხა. დიდრონი, ფაშფაშა მატუშკოვა რძეს წურავდა. ბუფეტზე ახლად გამომცხვარი ქადა ცივდებოდა. სახლში სასიამოვნო სითბო ტრიალებდა.

– მატკო, გოგოები მოვიდნენ ბუმბულის საბნის წასაღებად, – უთხრა მატუშეკმა.

ერთი თავისუფალი სკამი მიაჩოჩა მაგიდასთან. ჰალინა სკამის კიდეზე ჩამოჯდა. ივონკა ბავშვით ხელში ისევ კართან ატუზულიყო.

– აბა, გაგვიმარჯოს! – თქვა გურალმა და გადაჰკრა.

– დანარჩენებმა უსიტყვოდ მიბაძეს. ჩაახველეს, ყელი ჩაიწმინდეს და ლიმონათი მიაყოლეს.

მატუშკოვა ოთახში გავიდა და მალევე დაბრუნდა უკან ცელოფანში გახვეული, გაბაწრული ფუთით. ჩვილს მიეფერა.

– რა ჰქვია?

– ჯერ არაფერი, – მყისვე მიაგება ჰალინამ.

ივონა ნერვიულად ტკეპნიდა იატაკს.

– ნათლობა როდისა გაქვთ?

ჰალინამ მხრები აიჩეჩა.

– კარგი საბანია, – თქვა მატუშკოვამ, – მთელი ზაფხული სხვენში ვანიავებდი. თეთრეული გაქვს?

– ეს არის ბავშვის მამა! – დაახეთქა უცებ ჯერ კიდევ კართან მდგომმა ივონკამ და თავით გურალზე ანიშნა.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

– მიდი, ივონკა, – შეაგულიანა დედამ.

– შენა ხარ ბავშვის მამა, – ახლა თვალი თვალში გაუყარა ივონკამ გურალს.

მატუშკოვამ ბავშვს შუბლიდან ქუდი გადაუწია და ყურადღებით ჩააცქერდა სახეში.

– ჩემი ოთხიც მეყოფა, – როგორც იქნა, ხმა ამოიღო გურალმა, – შემეშვი რა, გოგო, თვითონაც აღარ იცი უკვე, ვისთან იწექი.

– ჰა, ახლა! – დაიქუხა ჰალინამ.

– მე მეძინა მაგასთან, – წამოიძახა კავკამ.

პირში ენას ძლივს ატრიალებდა, თვალები ლოთურად ულაპლაპებდა. ვერ იტანდა სასმელს და მოკალი.

– ჰო, მეძინა, მაგრამ მე-ძი-ნა, – გაწელა; ისეთი მთვრალი ვიყავი, მაშინვე ჩამეძინა. ანუ მე არა ვარ.

– ვლადეკთანაც ყოფილა. იმის შეხვევასაც ცდილობდა. ნეტა ბოლოს და ბოლოს გამაგებინა, ვისია ეს ბავშვი.

– ბავშვი ბავშვია, – თქვა მატუშკოვამ.

– ვიღაც მესაზღვრესთან დაეთრეოდა. ყველა კარგად ხედავდა. ჰოდა, ეძებე ახლა ნემსი თივაში.

წამოდგა, საკიდიდან ქუდი ჩამოიღო და კარისკენ წავიდა.

– ღმერთო ჩემო, – ამოიოხრა მატუშკოვამ, – თავს რატო არ მიხედე, გოგო? შენი ბრალია, ჰალინა, ყველაფერი შენი ბრალია.

– ყველამ მე დამაწმინდეთ ხელები, არა? რა უნდა მექნა, ფეხზე გამომება? ძალიან მაინტერესებს, თქვენ რას იზამდით ჩემ ადგილას. რით ვერ გაიგეთ, რომ ამას, კი მომწიფდა, მაგრამ თავში ბავშვის ტვინი უდევს.

– ეუიკ? – უცებ მატუშკოვა სუფრაზე მსხდომებიდან ყველაზე უმცროსს, თავის დისშვილს, მიუბრუნდა.

გურალი კართან შეჩერდა.

ეუიკი ყურებამდე გაწითლდა, მთიელი კაცის ცისფერი თვალები წამოენთო.

– მე არ ვყოფილვარ, დეიდა. მე თავს ვიცავდი.

კავკა ნაწყვეტ-ნაწყვეტ, როხროხით იცინოდა.

– ამ საქმიდან ნახევარი ლიტრის გარეშე ვერ გამოძვრები. აბა, პანი მატუშკოვა, დასალევი შენზეა, უნდა იკისრო რამე.

მხრებჩამოყრილი მატუშკოვა უმწეოდ იდგა სამზარეულოში და მზერა ხან ეუიკიდან გურალზე, ხანაც გურალიდან საკუთარ ქმარზე გადაჰქონდა. ახლა კიდევ უფრო ზონზროხა, ავეჯივით მძიმე ჩანდა. ყველა მოთმინებით ელოდა, რას იტყვისო, ის კი იდგა და პირს აცმაცუნებდა, თითქოს ყველაფრის ერთდროულად გამოსათქმელ საჭირო სიტყვას ტუჩებით ძერწავსო. როგორც ჩანს, არ გამოუვიდა, რადგან მუშამბაგადაფარებულ მაგიდას ხელისგული დასცხო და მხოლოდ ამის თქმა მოახერხა:

– მორჩით ყლურწვას და დაიშალეთ. ხვალ ვიგილიაა. საქმე გაქვთ სახლებში.

ფუთას ხელი წამოავლო და ჰალინას მიაჩეჩა. ჰალინამ გოლიათი ჩვილივით მიიხუტა ფუთა გულზე, სახე შიგ ჩარ-

გო და ატირდა. მატუშკოვა გაშმაგებული შეუდგა სუფრის ალაგებას. სტუმრები უსიტყვოდ წამოიშალნენ და კარისკენ გაილალნენ.

უცებ მისი ქმარი ალაპარაკდა.

– დაიცათ, დაიცათ, – თქვა, – ერთი წუთით.

ერთხანს ისევ დუმდა. თითქოს ვერ გადაეწყვიტა, ეთქვა თუ არა სათქმელი. თითები მაგიდაზე ააკაკუნა.

– მე ვარ ამ ბავშვის მამა.

კიდევ უფრო ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. თვითონ იჯდა. ცოლი შუა სამზარეულოში იდგა, დანარჩენები კი კართან მიყუჟულიყვნენ, ფეხსაცმლით შემოტანილი თოვლისგან დამდგარ გუბეში. მერე პანი მატუშკოვა მთელი ხმით აღრიალდა.

– შენ რა, მთლად შეიშალე? დაგავიწყდა რომ უშვილო ხარ? ოცი წელი შვილი არ მოგვეცა და ისიც ყველამ კარგად იცის, ვისი მიზეზით, შენა ხარ უშვილო. ავარიაში რომ მოყევი, იმიტომ.

– ხმა ჩაიწყვიტე, ქალო. ჩემია-მეთქი ბავშვი და მორჩა.

კავკამ სკამთან მიიჩოჩა და ჩამოჯდა.

– ძალიან კარგი. რადგან ასეა, რამე უნდა იკისროთ.

ივონკა წამდაუწუმ ფეხს ინაცვლებდა და დაუდევრად არწევდა ბავშვს.

– კი მაგრამ, – კიდევ სცადა რაღაცის თქმა პანი მატუშკოვამ. – მისმა ფუმფულა ხელებმა წინსაფრის ბოლო მოძებნეს და თვალებთან მიიტანეს. მერე კი გარეთ გავარდა და კარი გაიჯახუნა.

მატუშეკმა ბუფეტიდან ბოთლი გამოიღო. ნიჟარიდან ექვსი სირჩა ამოაწყო და ჩამოასხა.

– ეს ვერ დალევს, – თქვა ჰალინამ, – ჯერ თვრამეტისა არ არის. თან ძუძუს აჭმევს ბავშვს, – ივონკაზე მიუთითა.

უხმოდ დალიეს.

– მაშ, როდის ვნათლავთ? – იკითხა მატუშეკმა.

– ქსიონძმა თქვა, ახალ წლებზე შეიძლებაო.

– ჰოდა, ახალ წელს და ნათლობას გაუმარჯოს. – ამოიბლუყუნა კავკამ და გადაკვრა ყველას დაასწრო.

მერე მატუშეკმა – ყველანი სახლებშიო, ხვალ ვიგილიაა და საქმეს მიხედეთო. გასვლისას ჰალინამ სახელოთი მოიწმინდა ცრემლები და მატუშეკს გაღიმებულმა შეხედა.

– ჟურეკისთვის მადლობას გიხდით. – ჩაილაპარაკა.

შინ მოკლე გზით წავიდნენ. სპეტაკ, შეულახავ თოვლში მიაბიჯებდნენ. ივონკა ფეხებს დედის ნაკვალევში ადგამდა.

ᲖᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲪᲔᲞᲪᲘᲐ

ფანჯრები კარგად დაგმანეთო, – ეს იყო ბოლო მითითება, რომელიც რადიოთი მოისმინეს. ამის შემდეგ რადიოც დადუმდა. კაცმა ის მაინც გაიტანა სამზარეულოში, ანტენა ბოლომდე ამოსწია და რომელიმე სხვა არხის დაჭერის იმედით, გადამრთველის წინ და უკან ტრიალი დაიწყო. ზოლიანი ხმის გამაძლიერებლიდან დროდადრო მართლაც ისმოდა ტკაცანითა და შიშინით დახშული ხმები, თუმცა მათთვის გაუგებარ, უცხო ენაზე. მერე ხმები უცებ წყდებოდა, რომ მოულოდნელად ისევ თავიდან გახმიანებულიყო, მაგრამ სულ უფრო და უფრო სუსტად და არადამაჯერებლად.

– როგორც მაშინ, სამხედრო მდგომარეობის დროს, – ჩაილაპარაკა კაცმა თავისთვის.

– იდიოტო, კმარა, შეეშვი მაგ რადიოს, – უთხრა ქალმა. – კარ-ფანჯარაა მისახედი, ვერ გაიგე, რომ თქვეს, დაგმანეთო? ასეთ დროსაც კი არაფერში გამოადგები ადამიანს. მოწამლული ბუზივით დაბორიალებ ოთახში და ნერვებს მიშლი.

ქალი სკამზე ავიდა და აივნის კარის ჩარჩოში ძველი გადასაფარებლის შეჩურთვა დაიწყო. ქსოვილი არ ჩერდებოდა, ვარდებოდა, და გარედან ნარეცხი წყალივით უსიამოვნო ფერის მოყავისფრო შუქი შემოდიოდა.

– რას დამდგარხარ და მომშტერებიხარ, ჩაქუჩი მაინც მომაწოდე, დამიბუჟდა ხელები!

– ნეტა, ენას ჩაიგდებდე, რა! – ჩაიბურტყუნა კაცმა და ჩაქუჩის მოსატანად შემოსასვლელში მდგარი ტელეფონის ტუმბოსკენ წავიდა, რომლის ბოლო უჯრაშიც სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღებს ინახავდნენ.

– დაუჩქარე ცოტა, ჩამოვწყდი ფეხზე დგომით!

კაცმა ისე შეახო ჩაქუჩის წვერი ქალს, როგორც ძნელად დასამორჩილებელ დიდ ცხოველს და მე ამიშვიო, უთხრა. ახლა ქალი იდგა და შეჰყურებდა, როგორ აჭედებდა გადასაფარებელს კარის ჩარჩოზე. კაცი ზურგიდან გრძნობდა მის ცივ და კრიტიკულ მზერას.

– თავშესაფრებზე თქვეს რაღაც. სულ ეს იყო, რაც გავიგონე, – თქვა კბილებში ლურსმანგარჭობილმა კაცმა, რომ ქალს მისი ხელებიდან სხვა რამეზე გადაეტანა ყურადღება.

– ეგ მეც გავიგონე. რა თავშესაფარი, რის თავშესაფარი, სულ გააფრინეს?

– თავშესაფრები შვეიცარიაში ყველა შენობის ქვეშ აქვთ მოწყობილი. რამე რომ იყოს, ალბათ, მარტო შვეიცარიელები გადარჩებიან. ნოეც შვეიცარიელი იქნება. აზრზე ხარ? ახალი სამყარო მთლიანად შვეიცარიელებით იქნება დასახლებული. წარმოიდგინე, გარშემო მარტო ბანკები, ყველი და საათები. და შოკოლადი „მილკა“.

კაცმა ჩაიხითხითა და სკამიდან ჩამოვიდა. ქალმა თვალებით სიძულვილი შეაფრქვია.

– ნამდვილი ბრიყვი ხარ, ზუსტად ისეთივე ერთუჯრედიანი, როგორც ყველა კაცი. შენი საშველი არ იქნება!

კაცს ყურადღება არ მიუქცევია. ტუმბოსკენ წავიდა და ტელეფონის ყურმილი აიღო.

– გათიშულია.

ასე კი თქვა, მაგრამ სინამდვილეში მოეჩვენა, რომ მაინც ჩაესმა ყურში ერთმანეთში არეული ხმები, ისეთი, როგორიც

ხალხმრავალ ხმაურიან მოსაცდელშია ხოლმე. ზოგი მოუთმენლობით სავსე, ზოგიც მოთენთილი და ამბის მონოტონურად მთხრობელი. არადა, მართლა ასე იყო. ის კი არა, ბავშვის ტირილიც კი ისმოდა და სადღაც ძალიან შორიდან, ძაღლის გაბმული ყეფაც. გაკვირვებულმა დახედა ყურმილს, თითქოს ამ ყველაფერზე პასუხი იქ უნდა ამოეკითხა. „ტელევიზია ტელეფონში" – თქვა და ისევ ჩაიცინა. მისი გაკვირვებული სახის დანახვისას ქალმა ყურმილი გამოართვა და ახლა თვითონ მიიდო ყურზე.

– შიშინებს.

მერე ორივენი ხელოვნური ტყავის სავარძლებში ჩასხდნენ. კაცს შეეშინდა, ქალს ისევ მათ ქალიშვილზე არ დაეწყო წუწუნი და წირპვლა, რომელიც გუშინ, სანამ ეს გაუგებრობა დაიწყებოდა, ჩვეულებრივად მშვიდად ჩაჯდა ავტობუსში და ვარშავაში წავიდა. მანამდე წავიდა, სანამ ცა გაყავისფრდებოდა და რადიოთი გადმოცემული ინფორმაციის გამო ხალხი სახლებში შეიკეტებოდა. ქუჩაში დარჩენილები წამოწეული საყელოებით გარბოდნენ თავსხმა წვიმაში და ერთმანეთს აფრთხილებდნენ.

– როგორც მაშინ, სამხედრო მდგომარეობის დროს, – ჩუმად ჩაილაპარაკა კაცმა. გული სწყდებოდა, რომ ვერცერთ ომს ვერ მოესწრო (მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ბავშვი იყო და არაფერი ახსოვს), ვერცერთ კატაკლიზმს (თუმცა ერთხელ წყალი ადიდდა, მაგრამ არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა). მარტო ის ომისმაგვარი მდგომარეობა ახსოვს.

– რა თქვი?

– არაფერი.

– როგორ თუ არაფერი, გავიგონე, რომ რაღაც თქვი.

– როგორც სამხედრო მდგომარეობის დროს-მეთქი... და ვნანობ, რომ არცერთი ომის დროს არ მომიწია ცხოვრება. ახლა, ალბათ, უფრო ძლიერი ვიქნებოდი.

ქალმა უკან გადაიქნია თავი. კაცმა თეთრ, მსუქან ყელზე შეავლო თვალი, რომელზეც ყელსაბამივით შემოვლებოდა ოფლიანი ნაკეცები. კარგად იცნობდა ამ ჟესტს. ცოტაც და, ქალი იტყოდა, ხალხო, რას ბოდავს ეს კაციო.

– ხალხო, რას ბოდავს ეს კაცი! – წამოიძახა ქალმა. – ომს როგორ ნატრობ, შე ინფანტილურო? სულ ვიცოდი, რომ შენი საშველი არ იქნებოდა. რით ვეღარ გაიზარდე და დაღვინდი? თუმცა, ზრდასრული კაცი უნახავს ვინმეს საერთოდ? მერე სიბერეში თქვენს სიბრიყვეს ალცჰაიმერიც ემატება და, თქვენი კარიკატურაც მზადაა!

კმაყოფილი ქალი, თითქმის ისეთივე კმაყოფილი, როგორც სასიყვარულო აქტის შემდეგ, ერთხანს ჩუმად იჯდა. კაცს ზიზღი მოაწვა.

მერე ქალმა ისევ თქვა რაღაც და ისევ დაიწყო წირპვლა. ხმა თითქოს ღრმა ჭიდან ამოსდიოდა.

– ბავშვზე რატომ არ ფიქრობ? ღმერთო, რაღა მაინცდამაინც ახლა წავიდა? რატომ გავუშვით? ვინ იცის, იქნებ სადმე თხრილში გდია ახლა და რამე უჭირს, ან იქნებ უკვე...

– ის ბავშვი აღარ არის, – კაცი შეეცადა დროულად შეეჩერებინა მოახლოებული ისტერიკის ტალღა.

ქალი ბრიყვ, მაგრამ საშიშ ცხოველს ჰგავდა. კაცმა იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა ასეთ დროს და სიგარეტს მოუკიდა.

– შენ რა, ბოლომდე გამოშტერდი? მაინცდამაინც ახლა უნდა მოწიო, როცა ისედაც ჭირს სუნთქვა? – წამოიყვირა ქალმა.

კაცმა სიგარეტი ჩააქრო, თავის ოთახში გავიდა და იქ თავიდან მოუკიდა. ფანჯარაზე ჩამოფარებული გადასაფარებელი გაასწორა, ტახტზე ჩამოჯდა და თავის ორ აკვარიუმს გახედა. ერთი სკალარიებით იყო სავსე, მეორე – გუპიებით.

ყველა თევზი მკვდარი იყო. უფერული სკალარიები წყლის ზედაპირზე ტივტივებდნენ, გუპიებს მუცლები მიებჯინათ წყლისთვის.

– ჰოლოკოსტი, – ჩაილაპარაკა კაცმა.

სიგარეტი მოქაჩა. უცებ გაიფიქრა, თევზების ამბავს ქალს არ გავუმხელო და ამ გადაწყვეტილებამ კმაყოფილება მოჰგვარა.

მეორე ოთახიდან ისევ ისმოდა ქალის ლაპარაკი:

– რადგან ეს ყველაფერი, ეს დაბნელება, თუ რაც არის, გუშინ ნაშუადღევს დაიწყო, ის კი უთენია გაემგზავრა, ალბათ, მოასწრებდა ჩასვლას. ან შეიძლება პირდაპირ ავტობუსებიდან მოახდინეს მათი ევაკუაცია, სადგურებზეც ხომ არსებობს თავშესაფრები? დანამდვილებით ვიცი, რომ, მაგალითად, ვროცლავის სადგურს დიდი მიწისქვეშა თავშესაფარი აქვს. გესმის? ღმერთო, შენ დაგვიფარე, მართლა არ ვიცი, ამას როგორ გადავიტანთ. დავიხოცებით და ეგ იქნება. ეს თუ დასხივებაა, ამას როგორ გადავურჩებით, რანაირად? ვერავინაც ვერ გადაურჩება, ვერავინ.

კაცს ესმოდა, როგორ გადაიზარდა ქალის წუწუნი მოთქმაში.

წინ გადაიწია, რომ ქალისთვის შეეხედა, მაგრამ იმანაც დაინახა და მაშინვე მოთოკა თავი. სახეზე ხელები აიფარა. ერთი ჩამოგორებული ცრემლი კანმა შეისრუტა. ქალმა მალულად ამოიწმინდა თვალები. კაცს გული აუჩუყდა. უყვარდა, უეცრად სისუსტეს რომ გამომაჟღავნებდა ხოლმე. წინა დღის გაზეთი „ვიბორჩა“ აიღო, ისევ სასტუმრო ოთახში გავიდა და სავარძელში ჩაჯდა. სათაურებს ისე ათვალიერებდა, თითქოს იმდღევანდელი კატასტროფის ანონსს ეძებსო. არჩევნების შედეგების წინასწარი შეფასების გარდა, ვერაფერი იპოვა.

– ასეთ დროს გაზეთს რა გაკითხებს? – ჰკითხა ქალმა. – სულ მთლად დაკარგე ყველა შეგრძნება?

მის ხმაში ისევ იგრძნობოდა ისტერიკა.

– თავი დამანებე, რა, ქალო!

– ეტყობა, ალცჰაიმერი დაგეწყო.

– შენ კიდევ ძროხის ცოფი შეგეყარა.

ქალმა ხელები გულზე დაიწყო და კაცს ზურგი შეაქცია, რომელსაც ამასობაში გაზეთის პირველი გვერდი თითქმის დაეზეპირებინა და ახლა მეორის შესწავლას შესდგომოდა. პირველი სვეტი ცნობილი პიანისტის გარდაცვალებას ეთმობოდა. მეორე – ოსკარით დაჯილდოებულთა შესახებ იუწყებოდა. ქვემოთ კი ვიღაც ორგვარიანი ქალის ნეკროლოგი განეთავსებინათ. კაცმა დაინახა, როგორ ადგა ქალი და ფანჯარას მიუახლოვდა. არც მისი წელთან აჩაჩული, დაკუჭული, ქვედაბოლო დარჩენია შეუმჩნეველი და არც კეფაზე საგრძნობლად შეთხელებული თმა.

– როგორ მაინტერესებს, რა ამბავია ჩვენს თავს. ან რა მოხდა საერთოდ! იმაზე რას იტყვი, რაც გუშინ რადიოთი გადმოსცეს? – იკითხა ქალმა.

კაცი ისევ ნეკროლოგს ჩააშტერდა.

– კატასტროფა, ომი, კომეტა. რა ვიცი, ჭირი და ქოლერა!

– იცი, რა ვიფიქრე? რომ მართლა არაფერი საშინელება არ გადაგვიტანია... არც ომი...

– სამხედრო მდგომარეობა... სამოცდარვა წელი... ათას ცხრაას სამოცდაათი...

– მაგას ომს როგორ ადარებ!

კაცს არაფერი უპასუხია. თევზები გაახსენდა და ისიც, რომ ქალისთვის მათი ამბავი არ უნდა გაემხილა. თუმცა ეს მისი თევზები იყო. უნდა გადაყაროს.

– სადარბაზოში რა თქვეს? – ისევ იკითხა ქალმა.

– არავინ არაფერი იცის. ქვევითა მეზობელმა თქვა, რა-ღაც იარაღი გამოიყენესო.

ქალი მოიღუშა. პირის გარშემო ისე ასხმოდა ნაოჭები, დამხრჩვალ, გასივებულ ადამიანს მიუგავდა სახე. კაცმა ისევ გაიფიქრა, რომ არამც და არამც არ უნდა გაემხილა მისთვის თევზების ამბავი.

– რა იარაღი? ვინ?

– რუსებმა, ალბათ. ან იქნებ ჩერნობილი განმეორდა.

თევზები.

– მოდი, ჩავიდეთ ჩვენც მათთან.

თევზები.

– ვისთან?

– ვისთან და ქვედა მეზობლებთან.

კაცი შეეცადა, მეზობლის გვარი გაეხსენებინა. დაახლოებით მათი ასაკის ცოლ-ქმარი იყვნენ. ქმარი უჟმური ვინმე, ცოლი – საკმაოდ ლამაზი ქალი. კაცმა ახლა ბირჟის მონაცემებს ჩააყოლა თვალი. არსადაც არ უნდოდა წასვლა.

– გვარიც კი არ ვიცით.

– ნუ სულელობ ერთი! გვარი რაში გვჭირდება?

თევზები. არაფერსაც არ ეტყვის.

– მერე რაზე უნდა ელაპარაკო? ისედაც ხომ ცხადია, რომ ყველაფერი დასრულდა. ვიღაცას მოთმინების ფიალა აევსო და მოსახდენი მოხდა. ქალბატონებო და ბატონებო, ქვეყნის აღსასრულის ჟამი დადგა!

– იქნებ იმათ იცოდნენ რამე... – იმედიანად თქვა ქალმა. – შორიდან ვიცნობ. ქმარი შეხედული კაცია, ქალი დიდი არაფერი.

– თუ ასე ძალიან გინდა, ადექი და ჩადი.

ადგილიდან არცერთი არ განძრეულა. დაგმანული ფანჯრები რომ არა, იტყოდა, ყველაფერი ძველებურად არი-

სო. თუმცა რაღაც მაინც მოისაკლისა. აწრიალდა. ოთახს თვალი მოავლო. თითქოს ჩვეულებრივზე მეტად ბნელოდა. კუთხეში მდგარი ტორშერი ვერ უმკლავდებოდა ოთახში ჩამოწოლილ წყვდიადს. რა ხდება? სკალარიები დაიხოცნენ... ტელეფონში უცხო ხმები ისმის... კაცი წამიერად საშინელმა შიშმა აიტანა. გულში მწვავე ტკივილმა გაჰკრა. აქციების კურსის დიაგრამას დახედა. კურსი ეცემოდა. იგრძნო, აქციებთან და სხვა ყველაფერთან ერთად თვითონაც როგორ ეშვებოდა დაბლა. ქალმა ჩაახველა და კაცი უცბად მიხვდა, რომ რაც წელან მოისაკლისა, ტელევიზორი იყო, რომელიც ახლა გამორთული ჰქონდათ. ჩვეულებრივზე მეტადაც სწორედ ამიტომ ბნელოდა. ტელევიზორი. ამაში ყოფილა საქმე! კაცი სავარძლიდან წამოხტა და ტელევიზორი ჩართო. ეკრანი ცისფრად აციმციმდა. კაცმა სხვა არხზე გადართო, მაგრამ უშედეგოდ. მერე დანარჩენ არხებზეც სცადა. არაფერი შეცვლილა. უბრალოდ, ხმას ჩაუწია, რომ შიშინს არ შეეწუხებინა. თანდათან სიმშვიდე უბრუნდებოდა.

– ტელევიზორი რატომ ჩართე? ხომ იცი, რომ გუშინდელს აქეთ არაფერს უჩვენებენ. ხომ შევამოწმეთ? რად გინდა, ტყუილად რომ რთავ?

კაცმა არაფერი უპასუხა. სავარძელში ჩაჯდა. ეკრანის ციმციმში ნელ-ნელა უქრებოდა წელანდელი ძრწოლა.

– თევზები. ჩემი თევზები დაიხოცნენ, – თქვა რამდენიმე წუთის შემდეგ.

– ჰოდა, ძალიანაც კარგი. მალე ჩვენც ზედ მივყვებით.

იცოდა, რომ ქალს გულში მართლა გაუხარდა თევზების ამბავი.

– მშია.

ქალმა დაუფარავი ზიზღით შეხედა.

– აი, არ მესმის, როგორ შეიძლება ასეთ დროს გშიოდეს, როგორ შეიძლება, რომ ასეთ დროს, საერთოდ, საჭმელზე იფიქროს ადამიანმა? რა დაგემართა, სულმთლად გამოგილაყდა ეგ ტვინი, შე ალცჰაიმერით დაავადებულო?

– შე ძროხა, შენა!

კაცი სამზარეულოში გავიდა და მაცივრიდან კიტრი გამოიღო. ის იყო, პური უნდა მოეჭრა, რომ მომარჯვებულ დანას უცებ ხელი გაუშვა და უჯრაში რაღაცას დაუწყო ძებნა. მალევე იპოვა. ძველი ჯაყვა იყო, დაბრეცილყუიანი. მის დანახვაზე თვალები გაუბრწყინდა. ჯაყვას პირი მობლაგვებოდა, მაგრამ მაინც შეძლო, პურისთვის ორი ნაჭერი ჩამოეჭრა. პური და კიტრი ერთად დააწყო თეფშზე და ოთახში დაბრუნდა.

– მეტი პური აღარ გვაქვს და სულ ნუ შემიჭამ... ადრე თუ გვიან მაინც მოგვიწევს გარეთ გასვლა, სასურსათო მაღაზიაში მაინც, – თქვა მოშიშინე ტელევიზორს მიშტერებულმა ქალმა.

კაცი ერთხანს ასე იდგა, თეფშით ხელში. მერე ისევ სამზარეულოში შებრუნდა, ერთი ნაჭერი პური და დაჭრილი კიტრის ნაწილი მეორე თეფშზე გადაიტანა და ოთახში შესულმა ქალს ხელში მიაჩეჩა. ქალმა უსიტყვოდ ჩამოართვა თეფში. როგორც კი ჭამა დაიწყეს, სადღაც შორს სირენა აკივლდა. ქალი ადგა, ფანჯარასთან მივიდა, ჩამოფარებული გადასაფარებელი ფრთხილად გადასწია და გარეთ გაიხედა. მაღალსართულიანი სახლების თავზე ყავისფერი ცის ზოლს მოჰკრა თვალი.

– არაფერიც არ ჩანს, – თქვა ისე, რომ უკან არ მოუხედავს. კაცმა ამით ისარგებლა და ქალს თეფშიდან კიტრის რამდენიმე ნაჭერი ააცალა.

ჩუმად ჭამდნენ. ქალი ისე უწადინოდ, თითქოს მისთვის სულერთი იყო, რას ჭამდა. კაცს ეს აღიზიანებდა. პურისა და კიტრის ნაჭრებს მონაცვლეობით იღებდა ჯაყვის წვერით, პირში იდებდა და ლუკმებს ნელა ღეჭავდა. ჰარცერების ბანაკში გატარებული წლები გაახსენდა. ეს კიტრი და პური ძვირადღირებული რესტორნის ვახშამს ერჩივნა.

– შიმშილი საუკეთესო მზარეულია, – თქვა გამოტენილი პირით.

– ვფიქრობ, რომ ჩავიდა. ცოტა ბედმა თუ გაუღიმა, მშვიდობით ჩავიდოდა. ახლა, ალბათ, უკვე მასთანაა და, ალბათ, რომელიმე თავშესაფარში სხედან. დარწმუნებული ვარ, ვარშავაში ჯერ ისევ არის ომისდროინდელი თავშესაფრები. სხედან და არაფერი ემუქრებათ. გეუბნები, ასე იქნება!

კაცმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

– ჯობდა, ამას არ მოვსწრებოდით და მანამდე დავხოცილიყავით. იცი, რა ამბავი იქნება, ადამიანები ბუზებივით რომ გაიულიტებიან! დამმარხავი აღარ დარჩება.

– ჰო.

– რა ჰო?

– არაფერი.

– კი მაგრამ, ყოველდღე გაზეთს კითხულობ, ტელევიზორს უყურებ და როგორ არაფერი არ იცოდი? ნუთუ ამ უბედურებას არაფერი მოასწავებდა? იქნებ სხვებმა იცოდნენ და მარტო ჩვენ ვერ გავიგეთ ვერაფერი? იქნებ სხვებმა მომზადებაც მოასწრეს? შენ კიდევ ვერაფერი ამოიკითხე მაგ შენი ბრიყვული გაზეთებიდან. თუმცა რა უნდა გელაპარაკო, როცა შენ თვითონაც ბრიყვი ხარ!

ქალმა ამოიოხრა და სანამ ცარიელ თეფშს გვერდზე გადადებდა, ნერწყვში დასველებული თითით ზედ დარჩენილი ნამცეცები მოაგროვა.

– საჭმელს უნდა გავუფრთხილდეთ, – იმართლა თავი.

კაცი თვალს ადევნებდა, როგორ გაჭირვებით შეიჭყლიტა ქალი მაგიდის უკან და გობელენებითა და სოფლის პეიზაჟებით სავსე კედლებზე რაღაცის ძებნა დაიწყო. მიაგნო თუ არა, ხელისგულები შეატყუპა და იმ ადგილის წინ დაიჩოქა.

– რას აკეთებ? – ირონიული ღიმილით შეეკითხა კაცი, თუმცა მშვენივრად ხვდებოდა, რის გაკეთებასაც აპირებდა.

– რას და, რასაც ხედავ! – ქალმა თვალები დახუჭა და ლოცვას შეუდგა. – ანგელოზო ღვთისაო, მფარველო ჩემო, რომელიც ჩემთან ხარ დილით, საღამოს, დღისით და ღამით, დამიფარე და მიხსენ მე განსაცდელისგან...

– ვერა ხარ შენ კარგად! – ჩაილაპარაკა კაცმა, თეფშებს ხელი წამოავლო და სამზარეულოში გაიტანა. იქ შეყოყმანდა, ვერ გადაეწყვიტა, გაერეცხა თუ ასე დაეტოვებინა.

გაახსენდა, ბანაკში წყალი როცა არ ჰქონდათ, ქვაბებს ქვიშით რომ ასუფთავებდნენ.

– დაიფარე სული და სხეული ჩემი და წინ გამიძეხ საუკუნო სასუფევლამდე. ამინ!

ქალი წამოდგა და მუხლები ხელით ჩამოიფერთხა. მერე დისტანციური მართვის პულტი აიღო და რამდენჯერმე გადართო ტელევიზორი. ყველა არხი ერთნაირად ციმციმებდა. კაცი ზღურბლზე გაჩერდა და ჰკითხა:

– იცი, ამ ბინდში პამიდვრები როგორ გამოიყურებიან?

– როგორ?

– როგორ და უცნაურად. გუშინ ნაკვეთში რომ ვიყავი, სანამ გავიგებდით, რომ გარეთ გასვლა გვეკრძალებოდა, ვიდექი და ვაკვირდებოდი.

კაცი წუთით ჩაფიქრდა და ტუჩზე ღიმილი გაუკრთა.

– მერე, რა აღმოაჩინე? – ჰკითხა ქალმა და თავის სავარძელში ჩაჯდა.

– ლამაზი შესახედები იყვნენ. და ეს რუხი შუქიც ისე რაღაცნაირად ეცემოდა ნაყოფით დახუნძლულ ბუჩქებს, თითქოს ანათებენო. ძალიან გულდასაწყვეტია, ასე ლამაზად რომ მწიფს, ჭამა კი არ შეიძლება.

– უნდა დაგეკრიფა. იქნებ გუშინ ჯერ კიდევ იჭმეოდა? – წყნარი ხმით თქვა ქალმა.

– კი, როგორ არა, დამეკრიფა და ახლა ოთახში დაესხივებინათ. ისე, საინტერესოა, რომ გვეჭამა, მუცლიდანაც გამოასხივებდნენ? წარმოიდგინე, დავდივართ და ტანსაცმლის შიგნიდან შუქს ვასხივებთ, სხეული მთლიანად განათებული გვაქვს, მთელი მუცელი... და მერე კიდევ, ტუალეტში რომ შევალთ...

ორივეს სიცილი აუტყდა. კაცს ცრემლებიც კი წამოსცვივდა და რამდენჯერმე შეიწმინდა სახელოთი, მაგრამ ვეღარ ჩერდებოდა, ისევ თავიდან იწყებდა სიცილს. დაოსებული მიესვენნენ სავარძლებში.

– როგორ გგონია, ეს გადასაფარებლები გვიშველის ვითომ რამეს? ძველი გადასაფარებლებია და მეტი არაფერი... – იკითხა კაცმა, სული რომ მოითქვა.

– ჩვენ წინა სახლშიც ასეთები აქვთ ფანჯრებზე აფარებული. ზოგიერთ ქალაქს თავშესაფრები ჰქონია. შენ გსმენია რამე ასეთ თავშესაფრებზე?

კაცმა ჭერს მიაბჯინა მზერა.

– ამაზე ხო ვილაპარაკეთ უკვე.

– და რაზე არ გვილაპარაკია?

– მე რა ვიცი!

– იცი, რა მაწუხებს? – თქვა მოულოდნელად კაცმა. – გოგოს რომ არ გამოვემშვიდობეთ. ალბათ, მეტად ვეღარც ვნახავთ.

ქალს ტირილი აუვარდა. დროდადრო ჰაერს ღრმად ისუნთქავდა და უფრო და უფრო მწარედ ქვითინებდა. მერე სავარძელში ორად მოიკეცა. გადმოვარდნას ცოტაღა აკლდა.

– კარგი, გეყოფა, – თქვა კაცმა და ინანა, რომ წინასწარ ვერ გათვალა, რა მოჰყვებოდა მის ნათქვამს.

– შენ თვითონ გაჩერდი, თუ კარგია, – ამოიქვითინა ქალმა.

– დაგავიწყდა, როგორ ექცეოდი? გაუთავებლად ჩხუბობდით, თითქოს სხვა საქმე არაფერი გქონდათ.

– ჰო, სამაგიეროდ, შენ ხომ ექცეოდი კარგად. შენ ხომ ყველგან და ყველაფერში საუკეთესო უნდა იყო... კეთილი და გულისხმიერი მამიკო!

კაცი ადგა და სიგარეტის მოსაწევად გავიდა. სასტუმრო ოთახიდან ისევ ისმოდა ქალის მოთქმა. ბავშვივით გულამომჯდარი ტიროდა, თან დროდადრო სლუკუნით რაღაცას ლაპარაკობდა. კართან ახლოს მიიწია, ისე დადგა, რომ ქალს არ დაენახა და ყური დაუგდო.

– ...დაიბადა თუ არა, მაშინვე ჩხავილი მორთო. გაუთავებლად ტიროდა, არ ჩერდებოდა. თითქოს ყველაფერი სტკიოდა. ბებიაქალს ვკითხე, ეს ნორმალურია-მეთქი? სხვა ბავშვებს ეძინათ, ის კი ტიროდა... ღმერთო, როგორი უბედურები ვართ ყველანი, როგორი საწყლები.

კაცი კედელს მიეყრდნო და ისევ ჭერს დაუწყო ყურება. თვალები ცრემლით ავსებოდა. ცრემლები ნელ-ნელა მოგორავდნენ ლოყებზე, შალის უსახელო ჯემპრზე სხლტებოდნენ და იატაკზე ეცემოდნენ, იქ კი ხალიჩა იწოვდა. სიგარეტის ფერფლიც ხალიჩაზე, ცრემლებთან ახლოს ცვიოდა, მაგრამ ხალიჩის ზედაპირი მას არ იწოვდა. კაცმა თითი დაინერწყვა, ფერფლი აიღო და აკვარიუმში ჩააგდო. მერე უკან დაბრუნდა და რადიოს გადამრთველის ტრიალი დაიწყო. შიშინის მეტი

არაფერი ისმოდა. ამ შიშინმა, რომელიც ჩურჩულს ჰგავდა, ქალი დააწყნარა. ცოტა ხნის შემდეგ კაცმა ერთი არხი დაიჭირა. ორივემ სული განაბა, მაგრამ იქ რომელიღაც უცხო ენაზე ლაპარაკობდნენ. მალე ეს ხმებიც დაიკარგა და ირგვლივ ისევ სიჩუმემ დაისადგურა. კაცი სავარძელს დაუბრუნდა.

– ბობიკი გახსოვს? რამდენი წლის წინ მოკვდა? – იკითხა კაცმა.

ქალი გონებაში თვლას შეუდგა.

– ოთხი-ხუთი წელი იქნება, ალბათ. ნერვებს მიშლიდა ის ძაღლი.

– გახსოვს, სადაც წვებოდა, იმ ადგილას რაღაც ნივთებს რომ მალავდა ხოლმე? ახალი ნაყიდი ფეხსაცმელი რომ მოგპარა, ის თუ გახსოვს? – ჩაიხითხითა კაცმა.

– როგორ არ მახსოვს. გრამი ტვინი არ ჰქონდა თავში. ჰო, რას აღარ იპარავდა... – ქალმა ხელები გულზე დაიწყო და ჩაფიქრდა.

– იცი, ყველაზე მეტად რა მომწონდა, დილით ადრე რომ ვდგებოდით ძაღლის გამო. შენ სასეირნოდ მიგყავდა და ახალი გაზეთი და პური ამოგქონდა. საცხობის პური არაფრად ვარგოდა და დელიკატესების მაღაზიაში ყიდულობდი. მერე ერთი გასეირნება სადილის შემდეგ იყო, ერთიც – ფილმის შემდეგ... მთელი დღე ძაღლზე გვქონდა აწყობილი. თვითონაც რომ ყველაფერს თანმიმდევრობით აკეთებდა! ყოველთვის ახსოვდა, რის შემდეგ რა უნდა გაეკეთებინა. დილის გასეირნების შემდეგ აუცილებლად ორცხობილა უნდა მიგეცა. გახსოვს, ერთხელ მაღაზიაში ორცხობილა ვერ ვიშოვეთ, ფუნთუშა გამოვუცხვე და ის გამოვუშრე ღუმელში. რა სულელი ვიყავი! სად გაგონილა, ძაღლს ფუნთუშებს უცხობდეს ადამიანი!

უცბად გამოცოცხლებულმა, აღგზნებულმა კაცმა, ძლივს მოითმინა, სანამ ქალი სათქმელს დაასრულებდა. მერე კი ლამის წამოიყვირა:

– გახსოვს, ვეტერინარმა რა თქვა, ბობიკს მანქანამ რომ დაარტყა?

– დააძინეთო, – მიუგო ქალმა.

კაცი სავარძელში გადაწვა.

– ნეტავ რატომ ამბობენ ცხოველებზე „დაძინებას"? ამ დროს მათ ხომ კლავენ? – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ქალმა.

– ადამიანი კვდება. ცხოველი იძინებს. რა ვიცი, აბა...

მძინარე თევზები.

კაცმა გაიფიქრა, რომ დრო იყო მკვდარი თევზები აკვარიუმიდან ამოეღო და გადაეყარა, მაგრამ იმის წარმოდგენაზე, რაც წინ ელოდა, გააჟრჟოლა და დროებით გადაიფიქრა.

– ძაღლებს თავისი ჩვევები აქვთ, – გააგრძელა სათქმელი.

– როგორც ადამიანებს.

– ძაღლებს უფრო მეტად. ადამიანს შეუძლია ნებისმიერი ჩვევა დაივიწყოს. ცხოველს კი ჩვევების მიხედვით ცხოვრება აქვს მისჯილი.

კაცი კმაყოფილი დარჩა, ასე სხარტად რომ ჩამოაყალიბა აზრი.

– მისჯილი, – გაიმეორა კიდევ ერთხელ, რომ ამ სიტყვის ულერადობით დამტკბარიყო.

მერე ერთმანეთის გვერდიგვერდ მდგარ ყავისფერ სავარძლებში მსხდარნი და ფანჯარაზე გაკრულ უჯრულა გადასაფარებელს მიშტერებული კარგა ხანს დუმდნენ. პირველმა, ქალმა დაარღვია სიჩუმე:

– ეჰ, მართლა კარგი დრო იყო... დივანზე რომ დაწვებოდა ხოლმე, გახსოვს? მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, ვუკრძა-

ლავდით. მაგრამ ასე მარტო მაშინ იქცეოდა, როცა ვჩხუბობდით. თითქოს ჩვენი ყურადღების მიქცევას ცდილობდაო...

– სახლიდან რომ გადიოდი, მაშინაც წვებოდა ხოლმე, – დასძინა კაცმა კმაყოფილი ტონით.

– ხო? მართლა? – თითქოს ვერ იჯერებდა ქალი.

– მე კიდევ სიგარეტს ვეწეოდი. ღერს ღერზე ვაბოლებდი, რაზეც შენ არასოდეს აგილია ეჭვი. ვეწეოდი და ლუდსაც ვსვამდი, ბობიკი კი ამ დროს დივანზე იწვა.

– ეგ შენ გეგონა ეგრე, რომ ვერ ვგრძნობდი, ნასვამი რომ იყავი. ძალიან კარგადაც ვგრძნობდი. უბრალოდ, ამის უფლებას გაძლევდი. თუმცა თავი ისე მეჭირა, ვითომ ვერ ვგრძნობდი. ოთახში რომ ეწეოდი, არც ის გამომპარვია არასდროს, მაგრამ ძაღლი დივანზე თუ იწვა ხოლმე, ეს მართლა არ ვიცოდი.

კაცი უცბად წამოხტა სავარძლიდან.

– ლუდი გვაქვს ბარში.

– არავითარ შემთხვევაში. – ქალმა ჟესტით ანიშნა კაცს, რომ დამჯდარიყო და ისიც დაემორჩილა. – ახლა არა, სხვა დროს.

კაცს ბრაზი მოერია.

– რატომ, რას ველოდოთ, ვის შევუნახოთ? სულ გამოჩერჩეტდი? ეს სხვა დრო შეიძლება აღარც კი დადგეს.

ქალს მისი გაცხარება თითქოს არც შეუმჩნევია, ისე მშვიდად განაგრძო:

– გოგომ მოიყვანა სახლში და გვითხრა: ან დავიტოვებთ, ან სახლიდან წავალო. გახსოვს?

კაცი ერთხანს გამწყრალი სახით იყურებოდა. მერე ნიშნის მოგებით ჩაილაპარაკა:

– შენ კიდევ არ იცოდი, როგორ მოქცეულიყავი. არც ის იცოდი, რა გეთქვა. ხანდახან ძალიან თავისნათქვამა იყო.

– წარსულ დროში რატომ მოიხსენიებ? ფიქრობ, რომ რა? ფიქრობ, რომ რამე...

– შემეშვი რა! – კაცი თავის ოთახში გავიდა. ფანჯარაზე გაჭიმული გადასაფარებელი ოდნავ გვერდზე გაწია და გარეთ გაიხედა. ყველგან იგივე ხდებოდა. ქუჩაში სულიერი არ ჭაჭანებდა.

– ახლავე ჩამოაფარე! ჩამოყალიბებული იდიოტი ხარ! ამის თავში ხომ არაფერი არ შედის... გინდა, რომ თვალები ამოგეწვას? – თქვა მის ოთახში თავშეყოფილმა ქალმა.

– შემეშვი-მეთქი. ჩემი თვალებია, შენი ხომ არა?

ქალი გავიდა. კაცი ნეილონის წინდის ბადით იღებდა აკვარიუმიდან მკვდარ თევზებს. დიდი დრო არ დასჭირვებია მათ მოსაგროვებლად. სკალარიები დაჭყეტილი დიდრონი თვალებით ჭერს მიშტერებოდნენ. ხელის კანკალით ათავისუფლებდა წინდის თვლებში გაბმულ თევზის კუდებს. თვალები დახუჭა და ისე ჩაყარა მკვდარი თევზები უნიტაზში.

– იქნებ ვულკანი ამოიფრქვა, ფერფლი ატმოსფეროში გაიფანტა და ამიტომ ბნელა? – მოისმა სასტუმრო ოთახიდან ქალის ხმა. – თუ ასეა, მაშინ ეს რადიაცია არ ყოფილა და გარეთ გასვლას შევძლებთ. მგონი, დინოზავრებიც ასე გადაშენდნენ.

კაცმა რაღაც ჩაიბურტყუნა.

– ჰო, არაფერი იზრდებოდა. საკვები აღარ ჰქონდათ და იხოცებოდნენ.

უცბად მინების მსხვრევის ხმა გაისმა. უნიტაზზე დახრილი კაციც და სავარძლის წინ მდგარი ქალიც ადგილზე გაქვავდნენ.

– ეს რაღა იყო? – შეშინებული ხმით იკითხა ქალმა.

– ალბათ, მართლა არ ზის ყველა სახლში. იქნებ ჩვენს მაღაზიას ძარცვავენ?

– მთელ პროდუქტს გაზიდავენ. ხულიგნები. მიდი, პოლიციაში დარეკე.

კაცმა ქალს გახედა და შუბლზე თითი მიიკაკუნა.

– ტელეფონი გამორთულია. მიუხედავად ამისა, მაინც გავიდა დერეფანში და კართან მივიდა. საჭვრეტიდან სადარბაზოში გაიხედა და კარი ისე გამოაღო. სადარბაზოში მოლაპარაკე ადამიანების ხმა ექოდ ისმოდა.

– გავალ, იქნებ რამე გავარკვიო, – წასჩურჩულა კაცმა ქალს, რომელიც გვერდით ამოსდგომოდა. ქალმა დაღმეჭილი სახით სახელოში სტაცა ხელი. შეჩერებას ცდილობდა.

კაცმა ხელი გაითავისუფლა და კარის ბნელ ჩარჩოში გაუჩინარდა. ქალმა თავი გაყო და სმენა დაძაბა, მაგრამ მალევე შემობრუნდა უკან. სამზარეულოში მწნილის ქილიდან ერთი კიტრი ამოაძვრინა, ნაჩქარევად შეჭამა და მაგიდას მიუჯდა. კარგა ხანს იჯდა ქანდაკებასავით უძრავად.

კაცი აღგზნებული დაბრუნდა უკან.

– ქვედა მეზობლებს ვუთხარი, ჩვენთან ამოდით-მეთქი, – უთხრა ქალს.

ქალმა თავში შემოიკრა ხელი.

– რატომ უთხარი? რაზე უნდა ველაპარაკოთ?

– საცაა მოვლენ.

ქალმა მაგიდაზე დაყრილი ნამცეცები მუჭში მოიგროვა და სუფრა გაასწორა.

– მადლობა ღმერთს, გაზი ჯერ კიდევ გვაქვს. მიდი, ჩაიდანი შემოდგი.

ცოტა ხანში დერეფნიდან სტუმრების ფეხის ხმა მოისმა. ღია კარზე ფრთხილად დააკაკუნეს. მეზობელმა ცოლს გზა დაუთმო. სტუმრები და მასპინძლები ერთმანეთს მიესალმნენ.

– ...სკი, – გაეცნო კაცი.

– ...ჩიკი, – შეაგება დიასახლისმა.

– ამდენი წელია თქვენ ქვემოთ ვცხოვრობთ და თქვენთან ჯერ არ ვყოფილვართ. გამარჯობა! – თქვა ცოლმა.

– მობრძანდით, მობრძანდით. კარს დავკეტავ, – შეიპატიჟა ქალმა.

დერეფანში მორიდებულად მდგარი მეზობლები მასპინძლებს სასტუმრო ოთახში შეჰყვნენ და სავარძლებში ჩასხდნენ. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

– ყავას მიირთმევთ? – ჰკითხა მათ წინ ასვეტილმა ქალმა და ტილო ერთი ხელიდან მეორეში გადაიტანა.

– არა, ნუ შეწუხდებით... – მიუგო მეზობელმა.

სიფრიფანა მეზობლის ქალი სავარძლის კიდეზე ჩამომჯდარიყო. დიასახლისმა სკამი აიღო და სტუმრებთან ახლოს დაჯდა.

– ყავის დალევა, ალბათ, არ გვაწყენდა. კაცმა არ იცის, როდემდე გვექნება გაზი... იქნებ ბოლო ყავაა ჩვენს ცხოვრებაში, – გახუმრება სცადა კაცმა.

– კარგი რა, – მოჩვენებითი მხიარულებით გაეპასუხა ცოლი.

– ხსნადი თუ ნალექიანი?

– ნალექიანი, თუ შეიძლება.

ქალმა სამზარეულოს მიაშურა. კაცმა ვეღარ მოითმინა და იკითხა:

– თქვენ რამე იცით? რა მოხდა? რა ამბავია ჩვენს თავს საერთოდ?

– ამბობენ, საშინელი მიწისძვრა იყოო. ნახევარი ევროპა დანგრეულია, ჰოლანდია წყალში ჩაიძირა, ამერიკის შეერთებული შტატები და იაპონია კი საერთოდ აღარ არსებობსო.

– ჩვენ კიდევ ვერაფერი ვიგრძენით, – თქვა ყავის პარკით ხელში ოთახში შემობრუნებულმა ქალმა.

– იმიტომ, რომ ჩვენ არასეისმურ ტერიტორიაზე ვართ, – მოკლედ მოუჭრა ქმარმა.

მეზობელი კი განაგრძობდა:

– ყველაფერი ერთბაშად აუფეთქდათ, მათ შორის, ატომური ელექტროსადგურებიც... ამიტომ ლაპარაკობენ შესაძლო რადიაციაზე.

– ჰოდა, ალბათ, ყველაფერთან ერთად ვულკანებიც ამოიფრქვა და ამიტომ ბნელა ასე. ხომ გეუბნებოდი? – მიმართა კაცმა ცოლს, რომელსაც უკვე ლანგრით ყავა შემოეტანა.

– დიახ, ჩემს ქმარს ჰქონდა ასეთი ჰიპოთეზა, რომ იგივე მოხდა, რაც მაშინ დინოზავრებს შეემთხვათ... – თქვა ქალმა და ლანგარი მაგიდაზე დადგა.

ამ დროს ტანმორჩილ, სიფრიფანა მეზობლის ქალს ტირილი აუვარდა და სახე ცხვირსახოცში ჩამალა. ქმარმა ხელზე ხელი მოუთათუნა.

– იცით, ქალები ყველაფერს მძაფრად განიცდიან, – გამოექომაგა ცოლს. – შვილები გვყავს შეერთებულ შტატებში. ორი შვილი. საშობაოდ აპირებდნენ ჩამოსვლას.

– აღარ იქნება შობა. არაფერი აღარ იქნება, – ამოისლუკუნა მეზობლის ქალმა. ისეთი საცოდავი შესახედავი იყო, დანარჩენებს სიბრალულისგან გულები შეეკუმშათ. მცირე ხნით ისევ სიჩუმემ დაისადგურა, რომელიც ოთხივე ფინჯანში კოვზების მორევის ხმამ დაარღვია.

– რატომ ვჯავრობთ გამუდმებით ჩვენს შვილებზე, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ისინი უკვე ზრდასრული ადამიანები არიან, საკუთარი თავები კი სულ არ გვენაღვლება? – იკითხა ფილოსოფიური ტონით მეზობლის კაცმა.

– რას ამბობ, რას? ხანდახან ისეთ რამეს დაახეთქებ ხოლმე, რომ...

რაღაცნაირი გაცხარებით ურევდნენ კოვზებს ფინჯნებში. მეზობლის კაცმა, თითქოს ეს ცოლის კითხვაზე პასუხი იყო, თქვა:

– ამიტომ არ მუშაობს არც რადიო, არც ტელევიზია. ამბობენ, რადიაცია უშლის ხელს რადიოტალღებსო და საერთოდ მთელ ელექტრონიკასო. გამოსხივება თუ რაღაც არ იძლევა მათი გატარების საშუალებას... – ბოლომდე ველარ მოაბა სათქმელს თავი.

– ასე რომ, გაზიღა დაგვრჩა... – ხმადაბლა დასძინა მისმა ცოლმა და ფინჯანი პირთან მიიტანა.

– ალბათ, მალე მაგასაც გამოგვირთავენ.

დიასახლისი ერთბაშად გამოცოცხლდა.

– აი, მაშინ მართლა რაღა გვეშველება? გრძნობთ, როგორი მყრალი სუნი ამოდის კანალიზაციიდანაც? ეგეც რომ გაიჭედოს, მერე რას ვშვრებით?

– თქვენ რას საქმიანობთ? – მოულოდნელად შეცვალა მასპინძელმა კაცმა საუბრის თემა.

– არაფერს, ჩვენ უკვე პენსიონრები ვართ, – უხალისოდ მიუგო მეზობლის კაცმა, – მანამდე მოხელედ ვმუშაობდი. აი, თქვენ კი ხშირად გხედავდით ხოლმე ავტობუსში. ცამეტი ნომრით დადიოდით, არა?

– კი, ცამეტი ნომრით. ქალაქის სამმართველოსთან ჩამოვდიოდი ხოლმე. სკოლაში ვმუშაობდი...

საუბარში დიასახლისიც ჩაერთო:

– ამბობენ, ქალაქის სამმართველოსთან ბუნკერებია და მისმა თანამშრომლებმა იქ შეაფარეს თავიო. ერთი წლის სამყოფი სასმელი წყლის მარაგი ჰქონიათ, კონსერვებიც. ის კი არა, კინოდარბაზიც ყოფილა თურმე...

კაცმა გაკვირვებით გახედა ცოლს:

– ეს სისულელე ვიღამ გითხრა?

– გავიგე.

კაცმა ყური აღარ ათხოვა და ისევ მეზობელს მიუბრუნდა:

– როგორ ფიქრობთ, ეს გადასაფარებლები რამეს გვიშველის? ეს ხომ სრულიად ჩვეულებრივი გადასაფარებლებია? ვინმემ არ უნდა გვითხრას, როგორ მოვიქცეთ?

– ყური მოვკარი, კომბინეზონებში ჩაცმულმა ადამიანებმა ჩამოიარეს და საინფორმაციო ფურცლები დაარიგესო. აგერ, იმ სახლში ყოფილან, – გაურკვეველი მიმართულებით გაიშვირა თითი მეზობელმა. – ეტყობა, ჩვენამდე ჯერ ვერ მოაღწიეს. მოვლენ, ალბათ.

– და როგორ ფიქრობთ, ჩვენ არ უნდა გავერთიანდეთ? თუნდაც მხოლოდ ამ სადარბაზოს მცხოვრებნი. რომელიმე ჰარცერული დაჯგუფების წევრი ყოფილხართ ოდესმე?

– ჩემს სიყმაწვილეში ჰარცერები არ არსებობდნენ. ჩემს დროს პოლონელი ახალგაზრდობის კავშირი იყო.

– ჰოდა, ყოფილხართ და ეგ არის, – ირონიული ღიმილით მიუგო მასპინძელმა.

– მახსოვს, რომ ატომური აფეთქების დროს ფანჯარასთან უნდა დავწოლილიყავით და ხელები თავზე წაგვეფარებინა.

– ძალიან კი გიშველიდათ, ამ თხელი გადასაფარებლებისა არ იყოს.

კაცი ფანჯარასთან მივიდა და გადასაფარებლის კუთხე ოდნავ ასწია.

– საინტერესოა, ამ ყავისფერ ჰაერს როგორი სუნი აქვს. რაღაც სუნი ხომ უნდა ჰქონდეს? ოზონის? დამწვრის?

– ან ვულკანური ფერფლის, – გაეპასუხა მეზობელი.

მასპინძელმა ფანჯრიდან ავეჯის კედლისკენ გადმოინაცვლა, წიგნების თაროზე რაღაცის ძებნა დაიწყო და სულ მალე იქიდან ალბომი გამოაძვრინა. ერთხანს თვითონვე ათვალიერებდა, თითქოს უნდოდა, დარწმუნებულიყო, რომ რა-

საც ეძებდა, ნამდვილად იქ იყო. მერე ერთ ადგილას გადაშალა სტუმრებისთვის საჩვენებლად:

– აი, მემლინგის უკანასკნელი სამსჯავრო. მიცვალებულები საფლავებიდან დგებიან, გაბრიელ მთავარანგელოზს ხელში ცეცხლოვანი მახვილი უჭირავს. ჯოჯოხეთია. ადამიანთა სილუეტები ცეცხლში ცვივიან. ჯოჯოხეთის თავზე ცა წითლად შეღებილა. ირგვლივ კი ყველაფერი ნაცარტუტადაა ქცეული.

– ამას რატომ გვიჩვენებ? სულ გააფრინე? – შეეკითხა ცოლი და სტუმრებს მიუბრუნდა. – არ ვიცი, წარმოდგენა არა მაქვს, ამას რატომ გიჩვენებთ.

– მე ეშმაკებისა და სულებისა არ მეშინია. მე ადამიანი უფრო მაშინებს, – მხნედ შეაგება მეზობელმა. – ვიღაცამ ხომ ჩაიდინა ეს საქციელი, ხომ მიიღო ეს საშინელი გადაწყვეტილება?

– კი, მაგრამ, როგორ? წელან არ თქვით, მიწისძვრა მოხდაო?

– რა მნიშვნელობა აქვს? უმიზეზოდ არც მიწისძვრა ხდება... სათბურის ეფექტი და ა.შ.

დიასახლისმა ყავის ფინჯანი მაგიდაზე დადგა.

– ხანდახან ისეთი რამეებიც ხდება, რაშიც ადამიანის ხელი არ ურევია. თანაც საკმაოდ ხშირად. ადამიანმა ხშირად არაფერი იცის, ვერ იგებს, რა ხდება მის გარშემო და ვერც ვერაფერს გეგმავს იმიტომ, რომ ყველაფერი მაინც ისე მოხდება, როგორც უნდა მოხდეს. ადამიანს თვითონაც ვერაფერი გაუგია თავისი თავისა, რადგან მასაც რაღაც ემოციები და ინსტინქტები მართავს. ნაკვეთში პამიდორი დავრგეთ. დამწიფდა. ისე დამწიფდა, რომ დღე-დღეზე უნდა დაგვეკრიფა, მაგრამ ველარ მოვასწარით. ყველაფერი სხვანაირადაა, არაფერი აღარ არის ისე, როგორც უნდა ყოფილიყო.

ამ დროს კი მეზობელი ქალი ჰიპნოტიზებულივით დაშტერებოდა თვალნინ გადაშლილ რეპროდუქციას. შუბლი მსხვილი ოფლის წვეთებით დასცვაროდა, ყავაც თითქმის ხელუხლებლად დაეტოვებინა ფინჯანში. ეტყობოდა, რომ კარგად არ იყო.

– ცუდად ვარ, – უთხრა ქმარს. – ხომ არ წავიდეთ?

ქმარი უცბად გამოერკვა.

– რომელი საათია? – იკითხა.

– შვიდი... – მიუგო დიასახლისმა, – საღამოს შვიდი საათი.

სტუმრები ფეხზე წამოდგნენ.

– შინ წასვლის დროა. პირველი სტუმრობა დიდხანს არ უნდა... უჰ, რას მივედ-მოვედები. ხვალ თქვენ ხომ არ ჩამოხვიდოდით ჩვენთან?

დამშვიდობებისას კარის ზღურბლზე კიდევ გაცვალეს რამდენიმე წინადადება:

– თუ რამე გაიგოთ...

– აუცილებლად... გაგაგებინებთ.

უკან შემობრუნებულებმა მეზობლების ფინჯნები გაიტანეს და მოხერხებულად მოეწყვნენ სავარძლებში.

– ნეტა ესენი რისთვის დამიპატიჟე?

კაცს პასუხი არ გაუცია. ინტერესით ჩაჰყურებდა ძველ გაზეთს.

– დღეს ახალი ამბების შემდეგ ფილმი უნდა ყოფილიყო...

– არაფრით საინტერესოები არ ყოფილან. ზუსტად ჩვენსავით დამფრთხალნი და მოსაწყენნი იყვნენ. ნახე, ის ქალი რა დღეში იყო?

კაცმა ისევ არ უპასუხა. ქალმა ალბომი აიღო და თავის ადგილას დააბრუნა.

– საერთოდ არ მეშინია, სანამ არ ვფიქრობ, მაგრამ როგორც კი ფიქრს დავიწყებ, მაშინვე შიში ამიტანს ხოლმე. – ტელევიზია მაინც მუშაობდეს. რა ფილმი უნდა ყოფილიყო? – ჰკითხა ქმარს.

კაცმა გაზეთი გვერდზე გადადო, თავი უკან გადასწია და სავარძლის საზურგეს მიაყრდნო.

– არ ვიცი.

– თქვი რა, რამე.

კაცი არ განძრეულა.

ქალი ფეხზე წამოდგა და ისევ სალოცავ ადგილს დაუწყო ძებნა. იპოვა. დაგმანული ფანჯრისკენ ზურგით დადგა და ისევ დაიჩოქა.

კაცი მინაბულ თვალებს დროდადრო მისკენ აპარებდა.

– ანგელოზო უფლისაო... – ქალმა კაცისკენ გაიხედა, მაგრამ მას უკვე მოესწრო თვალების დახუჭვა. – ანგელოზებო უფლისაო, მფარველნო ჩვენნო, ჩვენ გვერდით მდგარნო, დილით, საღამოს, დღითა და ღამით შეგვეწიეთ და დაგვეხმარეთ ჩვენ...

– რაზე ლოცულობ ოღონდაც, გობელენებზე? – ჩაილაპარაკა კაცმა.

– დაიფარეთ ჩვენი სულები და ჩვენი სხეულები და წინ გვიძღოდეთ...

– არ არსებობს ღმერთი და არც ანგელოზები არსებობენ. ადამიანები მიწისგან იშვებიან და მიწადვე იქცევიან.

– ... და დაგვიმკვიდრეთ საუკუნო სასუფეველი, ამინ!

ქალი ფეხზე წამოდგა, ხელით მუხლები ჩაიფერთხა და ისევ სავარძელში ჩაჯდა.

– ასე მგონია, ანგელოზები ზუსტად ისე არიან ჩვენთვის, როგორც ჩვენ ვართ ჩვენი ძაღლებისთვის. ისინი ჩვენ გვპატრონობენ. მათ უკეთ იციან, ჩვენთვის რა ჯობია. ბობიკმა

არ იცოდა, რა იყო მისთვის უკეთესი. არ უნდოდა, რომ ჭიების საწინააღმდეგო ტაბლეტები ეჭამა. გვიძალიანდებოდა... იქნებ ახლაც რაღაც ამგვარი ხდება? იქნებ ისიც ჩვენს გასუფთავებას ცდილობს ჭიებისგან?

– ვინ ის? – თვალები გაახილა კაცმა.

– ვინ და ღმერთი.

– შენ, მგონი, ტვინი გადაგიხურდა!

ქალმა ზიზღით შეავლო ქმარს თვალი.

– ო, რა ბოროტი და უგვანი ვინმე ხარ!

– უბრალოდ, თავს არ ვიტყუებ. სულ ეს არის.

ქალი ფეხზე წამოდგა, ფინჯნებს ხელი დაავლო და სამზარეულოში გაიტანა.

– ამაზრზენი პატარა ადამიანი ხარ. ნამდვილი ასპიტი. – ჩაისისინა თვითონაც გველივით.

სანამ სულ არ ჩამობნელდა, სავარძლებში ისხდნენ. მხოლოდ დერეფანში ენთო პატარა სანათური. ქალს ძველისძველი, გახუნებული და დაწლაწული ღამის პერანგი ეცვა, კაცს – ზოლიანი პიჟამა. კაცმა სანთელი მოიტანა, მაგიდაზე დადგა და აანთო. ქალმა გაოცებული თვალებით შეხედა და ხელსაცხის წასმა გააგრძელა.

– დენი უნდა დავზოგოთ, – კონსპირაციულად გადაულაპარაკა კაცმა.

– ადრე, რომ დაბინდდებოდა ხოლმე, სულ ფორრიაქი მიპყრობდა. სიბნელეში ყველაფერი უფრო საშიში და უიმედო გეჩვენება. დილით კი მიკვირდა, რატომ მეშინოდა-მეთქი ღამით... ახლა უკვე მუდმივად ბნელა. რას ფიქრობ, გოგოს შეემთხვეოდა რამე?

– არა მგონია.

კაცი სანთლის შუქზე მეორე დღისთვის დასალევ წამლის ტაბლეტებს კოლოფში აწყობდა.

– მის გარდა კიდევ გვიყვარს ვინმე? – იკითხა ქალმა.

– ვერ გავიგე?

– მის გარდა სხვაზე ვისზე შეგვტკივა-მეთქი გული.

– არ გყოფნის სანერვიულო? – შეწყვეტილ საქმიანობას დაუბრუნდა კაცი.

ქალმა ხელსაცხს თავი დაახურა, ფანჯარას მიუახლოვდა და ფრთხილად გადასწია მილურსმული გადასაფარებელი.

– მანქანამ გაიარა, – შესძახა უცებ.

კაცი სავარძლიდან წამოხტა და ფანჯარას მივარდა.

– სადაა, აბა? მაჩვენე!

– გითხარი, ადამიანები სულ სახლში ვერ ისხდებიან, ადრე თუ გვიან გარეთ გავლენ-მეთქი. ეს ხომ არაადამიანურია, სხვას შენი სახლში გამოკეტვის უფლება მისცე? ამას ჯობია, მაშინვე მოკვდე.

– ვფიქრობ, მალე მაღაზიების ძარცვასაც დაიწყებენ. პროდუქტების გაზიდვას.

ქალმა კაცს შეხედა.

– ჩვენც უნდა გავიდეთ და მოვიტანოთ რამე. რა უნდა ვჭამოთ, ეს მდგომარეობა რომ დიდხანს გაგრძელდეს?

– იმაზე თუ იფიქრე, რომ დღეიდან შეიძლება სულ ასე ვიყოთ? – ჰკითხა კაცმა.

სანამ ის მაგიდასთან დაბრუნდა ტაბლეტების ასაღებად, ქალმა სააბაზანო ოთახში ხელსაცხი გაიტანა. ახლა დერეფანში ერთმანეთის პირისპირ იდგნენ.

– იქნებ ამაღამ ჩემთან დაიძინო. ძალიან აღარ შემეშინდება... – უთხრა ქალმა.

– ხვრინავ... და არ დამეძინება.

ორივემ თავის ოთახს მიაშურა. ის იყო, ქალმა კარის სახელურს ხელი ჩასჭიდა, რომ შეყოვნდა და ქმარს ჰკითხა:

– როგორ გგონია, ბობიკმა დაიმკვიდრა საუკუნო სასუფეველი?

– სულელი! – ჩაილაპარაკა კაცმა და ორივემ ფრთხილად შეიხურა ოთახის კარი.

ᲒᲚᲘᲪᲘᲜᲘᲐ

ზევიდან თითოეული მათი ნაბიჯის ხმა მესმოდა. საერთოდაც, მას შემდეგ, რაც გათხოვდა, ამით ვიყავი დაკავებული – მათთვის ყურის გდებით, მათი მიმოსვლის თვალთვალით, მათი ნაბიჯების თვლით, რასაც გონებაში წარმოსახული სურათებისგან აგებული რთული კონსტრუქციები ემატებოდა. ოთახიდან სამზარეულოში, სამზარეულოდან სააბაზანოში, მერე ისევ სამზარეულოში, მერე ისევ ოთახში, მერე საძინებელში – ჯერ კიდევ დედაჩემის, მისი ბებიის ნაქონი ორ მეტრამდე სიგანის ზამბარიანი საწოლის ჭრიჭინი. ცხადია, მათ ნაბიჯებს ერთმანეთისგან ვასხვავებდი: მისი – უფრო მსუბუქი და სწრაფი, ქმრისა... ის ხშირად ისე მიაფრატუნებდა ფეხებს, თითქოს დიდი ზომის ფლოსტები ეცვა. ნაბიჯები, რომლებიც ერთმანეთს უახლოვდებოდნენ და შორდებოდნენ, ერთმანეთს ხვდებოდნენ და სცილდებოდნენ. ფანჯრებსაც კი ვხურავდი, ჩქამი რომ არ გამომრჩენოდა. ტრამვაის ზარის წკრიალი, რომელიც ახლომდებარე დეპოდან ისმოდა, ხელს მიშლიდა.

ქალაქის განაპირას ვცხოვრობთ, რესპექტაბელურ უბანში, სადაც სიმწვანეში ჩაფლული ომამდელი ვილები დგას. ჩვენი სახლიც ერთ-ერთი მათგანია. გრილი სადარბაზო და ორი სართული. მე ქვემოთ დავრჩი, ზედა სართული კი მათ

გადავულოცე. შესასვლელში, კიბესთან, უზარმაზარი გლიცინია დგას. ლამაზი, მაგრამ თავგასული მცენარე. ყოველ ზაფხულს ყვავილობს და ყვავილედებით დახუნძლული მოგრძო მტევნები ძუძუებივით ჰკიდია. შლეგივით იზრდება, თითოეული ყლორტი წელიწადში ერთი მეტრით მაინც მატულობს, ამიტომ ზაფხულობით ფანჯრებს და აივნის კარს ღიას ვერ ვტოვებთ – ყლორტები ოთახებისკენ ილტვიან, სიფრიფანა მაქმანის ფარდების სათუთ ხვეულებში მოზრდილ ნახვრეტებს ეძებენ, ასე მგონია, საცაა შემოიჭრებიან, ავეჯს შემოეხვევიან, მაგიდას მოუსხდებიან ჩემი ნება რომ იყოს, საუკეთესო ფაიფურის ფინჯნით ჩაისაც მივართმევდი და მსუყე თურქული ნამცხვრითაც გავუმასპინძლდებოდი.

ჩაის ყოველთვის მარტო ვსვამდი. ჭერს მიშტერებული, მათ ნაბიჯებს ვაყურადებდი და ჩემს წარმოსახვაში ვხედავდი, როგორ მოსაწყენად, ერთფეროვნად ცხოვრობდნენ. ჩანდა, ჩემი ქალიშვილი ვერ ახერხებდა მის სათანადოდ გართობას. მაღლა სიჩუმე რომ ჩამოვარდებოდა და ფეხის ხმა მიწყდებოდა, ვიცოდი, დივანზე ისხდნენ და ტელევიზორს უყურებდნენ. მისი ხელი ჩემი ქალიშვილის მხარზე ესვენა, თეძოები კი მჭიდროდ ეკვროდა ერთმანეთს. მაგიდაზე მისი ლუდით სავსე ჭიქა იდგა, გვერდით – ჩემი ქალიშვილის ფორთოხლის წვენი, იქვე იდო გადაშლილი სატელევიზიო პროგრამა. ჩემი ქალიშვილი, ალბათ, ფრჩხილებს იქლიბავდა (მოწესრიგებულ ფრჩხილებზე ყოველთვის ჭკუას კარგავდა), ის კი კითხულობდა. სამზარეულოში ჩამოვარდნილი სიჩუმე იმის მანიშნებელი იყო, რომ ჭამდნენ. ხანდახან რომელიმე მათგანი მარილის მოსატანად თუ წამოდგებოდა, სკამის გაჩოჩების ხმა ისმოდა. წყლის ხმაური სააბაზანოდან. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ამ დროს ერთ-ერთი მათგანი იბანს. იმის გარჩევაც ვისწავლე, რომელი – როდის. ჩემი ქალიშვილი

სწრაფად ბანაობდა, ის კი საჭიროზე მეტხანს იდგა შხაპის ქვეშ. ნეტა რას აკეთებდა ცხელი წყლის ქვეშ საპონივით სველი და გლუვი? ზურგს იხეხავდა? თავს იბანდა? იქნებ უძრავად იდგა და შიშველ სხეულზე ჩამოცურებულ წყლის წვეთს ადევნებდა თვალს? ისევ სიჩუმე, წყლის შეწყვეტილი ჩხრიალი. ალბათ, სარკის წინ დგას და პირს იპარსავს. ამ სცენის დაწვრილებით წარმოდგენაც ვისწავლე – ჯერ აიქაფებს ლამაზ სახეს, მერე ნელა, ძალიან ფრთხილად ჩამოისვამს სამართებელს, რომელიც ქაფწასმულ ლოყაზე სუფთა, ვარდისფერ კვალს ტოვებს. თეძოებზე პირსახოცშემოხვეული, ფეხშიშველი, წყლის წვეთებით დანამული, თითქოს თავიდან დაიბადაო. ამ დროს წარმოვიდგენდი, რომ წამიერად უკნიდან ვეკვრი, რომ უხორცო ვარ, უსხეულო, მე შევიგრძნობ მას, ის კი ვერა. ის უდანაშაულოა, მე კი თეძოებზე ხელებსვხვევ და მის წინ მუხლებზე ვეშვები. პირის პარსვას რომ დაასრულებდა, ცოლი მოდიოდა და ნაზად უსვამდა ტანზე კრემს, თან, ალბათ, გამომწვევად უყოფდა ხელს პირსახოცის ქვეშ და ამის შემდეგ საძინებლისკენ მიმავალი ნაბიჯების ხმა შეუმჩნევლად გადადიოდა მოძველებული ზამბარების ჭრიალში. ბოლოს და ბოლოს, ცოლ-ქმარი იყვნენ. ეს ყველაფერი ხომ სავსებით ნორმალურია-მეთქი, – ვუმეორებდი თავს. ბაღში გავდიოდი. რეზინის ხელთათმანებს ვიცვამდი და კვლებს ვმარგლავდი. მიწას თითით ვლრუტნიდი და შიგ ვაფურთხებდი. გეორგინების მსხვილ, დაძარღვულ ბოლქვებს ვეხებოდი ხელით და ნაჩქარევად ფეხზე წამომდგარს თავბრუ მეხვეოდა.

ჩემს ქალიშვილს, მუქთმიან, აღმოსავლური სილამაზის მქონე ქალს, თითქოს მხოლოდ თავისი გარეგნობის გამო ასდიოდა მუშკის სურნელი. გრძელი, სწორი და შავი თმა და აზიური თვალის ჭრილი (მამისგან ერგო). ჩემი ქალიშვილი

ოცდაექვსი წლისაა, თუმცა ვიცი, ეს მხოლოდ სათქმელადაა ასე. სინამდვილეში ის ბევრად ახალგაზრდაა. დავიფიცებ, რომ მან ჩვიდმეტი წლის ასაკში, ერთ ჩვეულებრივ დღესა თუ ღამეს, მიაღწია მოწიფულობის მწვერვალს და მას შემდეგ ისე მისრიალებს მომავლისკენ, როგორც მოციგურავე ყინულის გლუვ ზედაპირზე. როგორც ვთქვი, ის ისევ ჩვიდმეტისაა, და სიკვდილითაც, ალბათ, ჩვიდმეტი წლის გოგოდ მოკვდება.

როგორც კი შეიტყო, რომ ორსულად იყო, ჩემთან სიარულს მოუხშირა. ახლებურად, მოდურად გაშიშვლებული მუცლით, ტუჩებდაბერილი და ორსულისთვის დამახასიათებელ პოზაში მდგომი, ხელებს თეძოებზე შემოიწყობდა და იტყოდა: „გული მერევა". მე ჩაის ან გვირილის ნაყენს ვასმევდი. „ოლეგი ძალიან წუხს ჩემ გამო, უზომოდ ვუყვარვარ", – იმეორებდა წამდაუწუმ. მუცელი მოეშალა. ქმარმა საავადმყოფოში წაიყვანა. შინ მობრუნებული ერთხანს ტელეფონზე ეკიდა, მერე კიბეზე ბოთლების წკარანკურის ხმა ჩამესმა. საღამოს ლუდი მოიდგა და ტელევიზორს მიუჯდა. ვახშამი ავუტანე. ჩაის თითით მოვურიე და მერე ის თითი გავილოკე. დასაძინებლად დივანზე მივაწვინე. ქვემოდან, სადღაც სიღრმიდან მიყურებდა. დაწოლილს ტყავის ქამარი შევუხალვათე. „გმადლობ", ამოილუღლუღა და ჩაეძინა. მთელი ღამე მათ ბინაში დავბოდიალობდი. ხარბად ვათვალიერებდი კარადაში ფაქიზად დაკეცილ თეთრეულს, სააბაზანოში ჩამწკრივებულ კოსმეტიკურ საშუალებებს, სარკეზე დაჩნეულ ნათითურებს, აბაზანაში ჩარჩენილ რამდენიმე თმის ღერს, მოწნულ კალათაში ჩაყრილ ჭუჭყიან თეთრეულს, შავი ტყავის პორტფელს, რომელსაც დროთა განმავლობაში მისი დუნდულის ფორმა მიეღო.

სხეული მიშლიდა ხელს. საკუთარმა სხეულმა სიცოცხლე გამიმწარა. ამ დროს მერჩივნა, უხორცო, უსხეულო ვყოფი-

ლიყავი და გვერდით უჩინრად მიწოლა შემძლებოდა. სწორედ ეს სხეული მკვრივდებოდა, როდესაც ერთმანეთს კიბეებზე გვერდს ვუქცევდით, როდესაც საშიშად ახლო მდგომი მესაუბრებოდა. ამ სიახლოვეს თავისებური სურნელიც ახლდა და მისით გაჯერებული უხილავი კომბინეზონიც თითქოს აღარ აყოვნებდა, ელვა-შესაკრავივით ერთბაშად იხსნებოდა და ათასგვარი შესაძლებლობა ენაცვლებოდა ერთმანეთს – ხან მხარზე ხელის მოთათუნებასავით უმწიკვლო, ხან კი იგივე ხელი ჩემს ბარძაყებს შორის დასრიალებდა. ვეუბნებოდი, გლიცინიის გამო ფანჯრის დაკეტვა არ დავიწყებოდა, მუდმივად შეემოწმებინა ფოსტის ყუთი და კიდევ სხვა უამრავ ასეთ წვრილმანს ვახსენებდი.

მის პირველივე დანახვაზე მომეძალა ვნება. რა არის ამაში დასაძრახი? ქალიშვილები ხომ დედების ნაწილი არიან, და პირიქით, და რატომ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ორივე ისე ჩაიძიროს თავით-ფეხამდე ვნებაში, როგორც დაბლობი იძირება მდინარის კალაპოტიდან გადმოსული წყლით? მე ჩემი წილი ვიცხოვრე და ვიცი, რომ ასეთ მწველ სურვილთან ბრძოლას აზრი არა აქვს – დინებას ნაფოტივით უნდა მისცე თავი, მგრძნობიარე მელიორანტი უნდა იყო, რადგან მისი არც დარწყულება ძალგიძს და არც დაოკება. ყველა, ვინც სხვაგვარად ფიქრობს, თავს იტყუებს. ისიც სხვანაირად ფიქრობდა.

ჯერ ჩემი ქალიშვილი დაბრუნდა შინ და სამზარეულოში ჩვენი ცნობილი სევდიანი ცეკვა ვიცეკვეთ. ჩახუტებულები ტაატით ვინაცვლებდით ფეხს. ისევ ერთ არსებად ქცეულებმა (როგორც მანამდე, სანამ უგულოდ დაგვაშორებდნენ), მონოტონური მოძრაობით ფანჯრიდან კარამდე, მთელი სამზარეულო გადავჭერით. თმაზე ვეფერებოდით ერთმანეთს – ის ჩემს საყელოში, მე მის კაპიუშონში ცხვირჩარგული, ერთმანეთის

სურნელით გაბრუებულები. მისი მკერდისა და დაჩუტული მუცლის შეხებას ვგრძნობდი, მაგრამ როგორც კი ზღურბლზე მდგომი დავლანდეთ, დარცხვენილები სასწრაფოდ მოვშორდით ერთმანეთს. მან ცოლი მაღლა წაიყვანა და მერე ისევ ზევიდან მესმოდა მათი ნაბიჯების ხმა.

მე ჩემს ქალიშვილს ვასწავლიდი, როგორ ამოეძირკვა სარეველა და ხელის მარჯვე მოძრაობით, როგორ გადაეკრა ლოგინისთვის სუფთა თეთრეული. ღამით ის ჩემთან მოდიოდა და ვგრძნობდი, ეშინოდა ჩემი. მუდმივად სასმლის სუნი ასდიოდა და იმიტომ. ფეხებს პატარა გოგოსავით შემოვაჭდობდი ხოლმე თეძოებზე. დილით კი მესმოდა, როგორ იღებდა შხაპს წყლის ქვეშ ჩვეულებრივზე უფრო დიდხანს და გაუნძრევლად მდგომი.

ის კიდევ, ალბათ, თავის მხრივ ფიქრობდა, რომ ყველა ვნების დაცხრობა შეიძლება, ყველა წყურვილის დაოკება, ყველა სურვილის ასრულება, ფიქრობდა ისე, როგორც ეს მამაკაცებს სჩვევიათ.

საზამთროდ ფანჯრები დავგმანეთ; და ამჯერადაც მოგვიწია გლიცინიისთვის რტოების შეჭრა. მაინც არ დაცხრა. შემოდგომის პირველივე ქარიან დღეებში რიტმულად უკაკუნებდა ფანჯრის მინებს, მაგრამ ამაოდ. შიშველი და უძლური ფანჯრის რაფასთან გაყურსულიყო და იქიდან გვითვალთვალებდა. ჰაერი გათბობის მილებმა აათრთოლეს.

ნეტა მან, ჩემმა ქალიშვილმა თუ იცოდა რამე? წესით, თუ ისიც ისეთივე ჩემი ნაწილი იყო, როგორც მე მისი – უნდა სცოდნოდა სიმართლე. ზოგჯერ ჩამესმოდა, როგორ იღვიძებდა ღამღამობით და მეძახდა – „დედა!", მაგრამ ვიცოდი, რომ ამჯერად მე არ მიხმობდა. აღარ იყო საჭირო, ლოგინიდან წამოვმხტარიყავი და მიმეხედა. ისე ყვიროდა, „დედას", როგორც შეეძლო ეყვირა „აააااااااჰ!" ან „ოოოოოოოოოოჰ!"

ის კი იხუტებდა. ის უყვავებდა – „ყველაფერი კარგადაა. დამშვიდდი. დაიძინე“.

ზამთარი თანდათან ძალაში შედიოდა და ჯიუტად აბნელებდა სამყაროს. მკვნესარე გრძელი ღამეები, ზევიდან ჩამოსული ნაბიჯების ხმით დაქუცმაცებული მოკლე დღეები. ჩემი ქალიშვილი ხმას არ იღებდა და არც მე ვამბობდი რამეს. სახლიდან რომ გადიოდა, ფანჯრიდან მის კეფას ვუყურებდი. ვხედავდი, როგორ აფურთხებდა ქოლგის წვერით მიწაში თითქოს უნებურად გაკეთებულ ხვრელებში. მესმოდა ახალგადაკრული თეთრეულის წამიერი შრიალი.

როდესაც ჩემი ქალიშვილი სახლში არ იყო, მის ქმარს ბევრჯერ გავმასპინძლებივარ ყავით. ჭიქაში ორ კოვზ შაქარს ვუყრიდი და მანამდე ვურევდი, სანამ სიტკბო სიმწარეს არ შეარბილებდა. ჭიქას ჩაშტერებული ხარბად და ბოლომდე სვამდა. მე ვიყავი ის, ვინც პირველ, გაუბედავ, თითქმის შეუმჩნეველ ნაბიჯს დგამდა მისკენ არა იმიტომ, რომ მე უფრო მეტად მსურდა და მინდოდა, არამედ იმიტომ, რომ მისი სინდისის ქენჯნისგან გათავისუფლება მწადდა, მისთვის მსხვერპლად ყოფნის კომფორტის მინიჭება. მინდოდა, ცოდვა ჩადენამდე მისტეევებოდა. ფეხებს თეძოებზე ვაჭდობდი და ვცდილობდი, მისი დაუოკებელი ლტოლვა ოდნავ მაინც შემენელებინა. არ მინდოდა, მისი სისუსტის მოწმე გავმხდარიყავი. მინდოდა, ძლიერი ყოფილიყო.

მერე ჩემი ქალიშვილი ბრუნდებოდა და ის თავისებურად უმზადებდა ყავას. ორი კოვზი შაქრით ატკბობდა და მანამდე ურევდა, სანამ სასმელს ხავერდოვან კონსისტენციამდე არ მიიყვანდა.

გაზაფხულამდე გაგრძელდა ასე, მანამდე, სანამ ამ კარგად გაწონასწორებული კონსტრუქციის მდგრადობა აუტანელი არ გახდა. ერთსა და იმავე დღეს თითოეულმა ჩვენ-

განმა მის ფინჯანს მეორე კოვზი შაქარი დააკლო. რადგან ეს ერთსა და იმავე დღეს მოხდა, ორივესთვის კიდევ უფრო ცხადი გახდა, რომ ქალიშვილები დედების, ხოლო დედები ქალიშვილების განუყოფელი ნაწილი არიან. შეუძლებელი იყო, ამ მოვლენას სხვა ახსნა ჰქონოდა. ასე რომ, ის სიკვდილითაც ორჯერ მოკვდა. მიცვალებულიც ორივეს გვეკუთვნოდა – ჩემს ქალიშვილს და მე.

კიბე ფეხშიშველმა ჩამოირბინა, ტირილით და მოთქმით ჩავიკარით გულში ერთმანეთი. ვირწეოდით ასე ჩახვეულები – ერთი პიჟამით და მეორე ღამის პერანგით. „მოკვდა, მოკვდა" – ჩურჩულებდა ის. „წავიდა, დაგვტოვა", – ვეხმიანებოდი მე.

ჩვენ ის ვიცოდით, რაც მან არც სიცოცხლეში და არც სიკვდილის შემდეგ არ იცოდა. არ იცოდა, რომ სიცოცხლე სიკვდილის შემდეგაც ისეთივე სიზმარია, როგორიც სიკვდილამდე. რომ სიკვდილი სინამდვილეში მოჩვენებაა და სხვა არაფერი და ამიტომაც შეგვიძლია უპრობლემოდ განვაგრძოთ ეს თამაში. ჰოდა, დავიწყე, ჩემდა უნებურად, ისე, თითქოს რამე გამეგებოდა ამ რთული რიტუალისა, ის კი, უბრალოდ, ამყვა. მალევე მიხვდა, რაც უნდა ექნა და ვიდექით ასე ორივენი ჭერს მიშტერებულნი, გახელებულნი ვჩურჩულებდით და ვთხოვდით, დაგვბრუნებოდა. უცებ დავფიქრდი, რატომ ვიყურებით-მეთქი ზევით? სიკვდილმა ხომ დაბლა-მაღლა არ იცის, არც ზევით-ქვევით, არც მარჯვნივ და მარცხნივ, ან შიგნით და გარეთ. ამიტომ გადავწყვიტე, სხვაგვარად მეცადა და ვუთხარი, მოდი, ჩვეულებას ნუ ვუღალატებთ და სიკვდილიც იქ ვეძებოთ, სადაც არის-მეთქი, ანუ ყველგან. კედლებს და იატაკს მუშტებს ვცემდით, ჩურჩულის ნაცვლად ახლა ხმამაღლა ვყვიროდით. სათქმელს მონდომებით გამოვთქვამდი. ვცდილობდი, ჩვენს სიტყვებს

როგორმე მის ყურამდე მიეღწია, რომ მათი მნიშვნელობის აღქმა შესძლებოდა. დარწმუნებული ვიყავი, როგორც ყველა სხვა დანარჩენისთვის, სიკვდილი მისთვისაც არსებობის შეწყვეტას ნიშნავდა. „ოლეგ", – ვიმეორებდი მონოტონურად და დაბეჯითებით, – „ოლეგ, იმაზე გაცილებით რთულადაა საქმე, ვიდრე შენ გგონია". როგორ გინდა, ვინმე, ვინც უკვე აღარ არის, დაარწმუნო, რომ გაბედოს და თავიდან შეუდგეს ყოფნას? და ის, ჩემი აღმოსავლური სილამაზის მქონე ქალიშვილი, მშვენივრად აცნობიერებდა ამ უცნაურ მეტაფიზიკურ პრობლემას – რომ შეუძლებელი არაფერია, რომ ჩვენს თავებში გველებივით იკლაკნებიან ზრდისთვის შემართული რეალობის მორჩები. არსებობს მხოლოდ ის, რისი არსებობისაც გწამს. სხვა დანარჩენი მოგონილია. ამიტომ უფრო და უფრო გახელებით ვურტყამდით მუშტებს სახლის კედლებს, ვყვიროდით, ვუხმობდით. ჩემი ქალიშვილი ბავშვივით უმეორებდა: „გეყოფა, გთხოვ, გაიღვიძე. აქ არავის სჯერა, რომ მოკვდი. გეხვეწები, დაფიქრდი. მარტივი ლოგიკა მოიშველიე". მეც სასწრაფოდ ვუბამდი მხარს: „შეეცადე, ამ ყველაფერს სხვა კუთხითაც შეხედო, ოლეგ, გემუდარები, სულ ცოტათი მაინც დაატანე თავს ძალა".

ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა. ჯერ კიდევ ფერმკრთალი, წაშლილი კონტურებით. ტელევიზორის ეკრანიდან გადმოსულივით ციმციმებდა. ცოტა გაბოროტებული და დაბნეულიც მეჩვენა. პირველმა მე დავინახე – ბოლოს და ბოლოს, ასაკიც მეტი მაქვს და გამოცდილებაც. რამდენიმე წამის შემდეგ ჩემმა ქალიშვილმაც შენიშნა. მაშინვე შევეხე, მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ სხეული, სურვილი არ დავიწყებოდა. ჩანდა, ყველაფერი წესრიგში იყო. კონტურები თანდათანობით გამოიკვეთა. იმ უცნაურმა ციმციმმაც იკლო. მერე, როგორც დამსახურებული ჯილდო, იატაკზე დავაწვინე

და ტუჩებში ვაკოცე. მანაც ვნებიანი კოცნით მიპასუხა. მისმა ტუჩებმა ნელ-ნელა ფერი დაიბრუნეს, ხორცი შეისხეს. მომდევნო ნაბიჯი ჩემმა ქალიშვილმა გადადგა და მაშინ უკვე ნამდვილად დავიჯერეთ, რომ ცოცხალი იყო.

ფანჯრების გამოღებისა და ბნელი წიაღით გლიცინიის ნორჩი ყლორტებით ცდუნების დრო დაბრუნებულიყო.

საავტორო საღამო

საუკეთესო იდეები ყოველთვის ღამით მოსდიოდა თავში, თითქოს ამ დროს სხვა ადამიანი იყო და დღისით სხვა. ის კაცი ამ ფრაზაზე აუცილებლად იტყოდა, ბანალურიაო, საუბრის თემას მაშინვე შეცვლიდა და ახალ წინადადებას აუცილებლად „მე"-თი დაიწყებდა. „აი, მე თუ მკითხავ", – იტყოდა, – „მე, როგორც წესი, გონება ყველაზე მეტად დილაობით, პირველი ფინჯანი ყავის შემდეგ მინათდება ხოლმე".

როდესაც შემთხვევით (ღმერთო მაღალო, ან ეს უცნაური დამთხვევა რაღა იყო!) გაზეთში ამოიკითხა, რომ ის კაცი მათთან პრუსიაში, კერძოდ კი, ალენშტაინში აპირებდა ჩამოსვლას, მოსვენება დაკარგა. ყველა გრძნობა, ყველა მოგონება, რაც კი მას უკავშირდებოდა, მაშინვე უკან დაბრუნდა. ან იქნებ კი არ დაბრუნდა, უბრალოდ, არსადაც არ წასულა და ამ ხნის განმავლობაში სულ მასთან იყო? გულაღმა იწვა და ფიქრობდა, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო მათი შეხვედრა. აი, ის უკვე მატარებლის სადგურზეა, მისთვის სრულიად უცნობ ქალაქში და ბაქანზე მიაბიჯებს. კაცი მეორე მხრიდან მოდის მისკენ, უახლოვდება და მოულოდნელობისგან ადგილზე შეშდება; კაცის დაჟინებული მზერა, ქალის მაღლა აწეული პირბადე, გამოხედვა, რომელიც ქალს ოდესღაც სასიამოვნო ჟრუანტელს ჰგვრიდა. სხეული კი არა, მისი გამოხედვა ჰგვრიდა ჟრუანტელს. ან იქნებ, სულ სხვანაირად ყოფილიყო

ყველაფერი: ქალი ქუჩაში მიაბიჯებს, ქალაქის რომელიღაც მოედნისკენ მიმავალ მზით განათებულ ქუჩას მიუყვება (ნეტავ როგორ გამოიყურება ასეთი მოედანი ალენშტაინში?), და უცებ მას ხედავს (ისევ მისკენ მომავალს), ამჯერად მამაკაცი და ქალიც ახლავს თან. ქალი მაშინვე ხვდება, რომ კაცმა იცნო, რადგან უცბად გაფითრდა და თანამგზავრებს ნაჩქარევად ეუბნება: „მომიტევეთ!“ მერე აკანკალებული ხელით შლაპას იხდის (ნეტავ თმა თუ შეუთხელდა? იქნება უკვე იმ ასაკში, როცა თმა შეთხელებას იწყებს?). ქალს საერთოდ არ ეტყობა, რომ ღელავს. ბოლოს და ბოლოს, უკვე მთელი საათია მასთან შეხვედრის მოლოდინში ამ მოედანზე წინ და უკან დააბიჯებს. ის თამამად ესალმება კაცს და ხელს უწვდის. ნეტავ ალენშტაინი დიდი ქალაქია? ვინ იცის, იქნებ იმხელაა, რომ მაისის მზეში ურიცხვ მოსეირნეთა შორის ერთმანეთსაც ასცდნენ? ან იქნებ სადგურიდან პირდაპირ დროშკით წაიყვანონ სასტუმროში, ან იქნებ იმ ქალაქში საერთოდ არ არის მოედანი. და რომ იწვიმოს? ან, სულაც რომ არ ჩამოვიდეს? იქნებ მეუღლის შეუძლოდ ყოფნა მოიმიზეზოს და ბოლო წამს თქვას უარი ჩამოსვლაზე? არც ისაა გამორიცხული, რომ გერმანიაში საგამომცემლო საქმეების გამო შეყოვნდეს. იქნებ იმდენად ცნობილი მწერალია, რომ მისი სახელი ყველა განათლებულ ადამიანს პირზე აკერია, ან იქნებ სულაც არ არის ასე და ქალი ერთადერთია, ვინც პრესას მუდმივად ადევნებს თვალყურს და მის შესახებ დაბეჭდილ უმნიშვნელო ინფორმაციასაც დიდი ინტერესით კითხულობს. იქნებ ისიც მარტო მას ადარდებს, აქვთ თუ არა წიგნების მაღაზიაში კაცის ორტომეული, რომელსაც გვერდით ჩავლისას ოდნავ შესამჩნევად გადაუსვამს ხოლმე თათმანიან ხელს, გამყიდველს კი სულ სხვა რამეს ეკითხება?..

დილით ქალს ალენშტაინში გამგზავრების იდეა სრულიად აბსურდული მოეჩვენა. სასაუზმოდ ქვემოთ ჩასულს, იოჰანმა წელზე შემოხვია ხელი და ტუჩებში აკოცა. ერთ საათში ბავშვებთან მუსიკის მასწავლებელი მოვა. თოხლოდ მოხარშული კვერცხის წვერს ნაჭუჭს რომ აცლიდა, ისე ეუცხოვა თავისი თხელი, მშრალი თითები, თითქოს ისინი მას არასოდეს ეკუთვნოდნენ და წამიერად სევდა დაეუფლა. მერე ისე მოულოდნელად, რომ თვითონაც გაუკვირდა, თქვა, რომ რამდენიმე დღით დანციგში, მამასთან აპირებდა წასვლას. ქმარმა პირი ხელსახოცით შეიწმინდა. სახეზე გაკვირვება არ დასტყობია. მაგიდიდან ოდნავ უკან დაიხია და სიგარას მოუკიდა. ქალმა მოსამსახურეს ფანჯრის გამოღება სთხოვა. ქუჩიდან სასადილო ოთახში ჯერ დროშკებისა და კონკის ხმა შემოიჭრა, შემდეგ კი მაქმანიანი ფარდის ნაზ რხევას ფანჯრის წინ მდგარი აყვავებული იასამნის სურნელიც შემოჰყვა.

ჩალის პანამა შლაპებისთვის განკუთვნილ ყუთში. მუქი ჟორჟეტის ქვედაბოლო. თეთრი, მკერდზე ფურფუშელებშემოვლებული კოფთა. მაქმანებიანი ქოლგა. მომცრო ხელჩანთა და ტყავის დიდი საკვოიაჟი. მაშიები ღილების შესაკრავებით. აბრეშუმის თეთრეულში ჩაფლული სუნამოს ფლაკონი. წყვილი სუფთა ხელთათმანი საცვლელად. ბარგი. ქალი დანციგის სადგურზე ალენშტაინში წასასვლელ ბილეთს ყიდულობს და სადგურის კაფეში სამი საათი იცდის. საპირფარეშოს სარკეში გაოცებული შეჰყურებს თავის ანარეკლს – რატომღაც ბევრად ახალგაზრდა ეგონა თავი. ვაგონში ხელჩანთიდან „ნოიე დოიჩე რუნდშაუს“ ძველ ნომერს იღებს, რომელშიც იმ კაცის მოთხრობაა დაბეჭდილი და წაკითხვას ცდილობს. აქამდე ფიქრობდა, რომ მოთხრობა ზეპირად ახსოვდა, მაგრამ ახლა აღმოაჩინა, რომ მთელი ფრაგმენტები ჰქონია თავიდან ამოვარდნილი.

პატარა საოცრება ხდება მის თვალწინ. ალენშტაინი და ვენეცია უცბად ერთმანეთს უერთდება. ეს ორი ქალაქი კონტინუუმის, მოვლენებისა და პროცესების უწყვეტობის თავი და ბოლო ხდება. ქალის ცხოვრების გარკვეული მონაკვეთის უხილავი ღერძი. ჩრდილოეთი და სამხრეთი. ჰავის სიმშრალე და ტენიანობა. ისტორია და დროის არარსებობა. მომავლისა და წარსულის ერთნაირად ხედვა. ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ორი, სრულიად მოულოდნელად ერთმანეთს გადაეყარა.

კაცი მან პირველად ზღვის ნაპირზე დაინახა. ღია ფერის სამოსი ეცვა და თავზე შლაპა ეხურა. ეს სურათი სამუდამოდ ჩარჩა მეხსიერებაში. მხედველობითი მეხსიერება არასოდეს ღალატობდა. მაშინ იქ, ზღვის პირას, ჭაბუკურად წინდაუხედავი ჩანდა. მერე კი, როცა ერთმანეთს წარუდგინეს, მოეჩვენა, რომ ნიღაბს ატარებდა. მწერალი ვარო, უთხრა ქალს, მაგრამ ამ სიტყვებისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია. ახსოვს, რომ კაცი თავს უხერხულად გრძნობდა, თვალს არიდებდა. ისიც ახსოვს, საერთო ნაცნობთაგან რომელიღაცამ, უკვე გვარიანად შეზარხოშებულმა, მას „ვირი“ რომ უწოდა. როცა ქალმა სასტუმროში მისი სააბაზანო პირველად ნახა, მათ შორის უკვე ყველაფერი მომხდარი იყო. ქალი მიხვდა, რომ მაშინღა გაიცნო კაცი ახლოს. არც მასთან გატარებულმა ღამემ და არც მისი ვნებიანი სხეულის სიახლოვემ, მხოლოდ მისმა სააბაზანომ მისცა კაცის შეცნობის საშუალება: აბაზანაზე გადაკიდებულმა პირსახოცმა, პირის გასაპარსმა ნივთებმა, ფუნჯმა, სისველისგან ატკეჩილი ხის ტარი რომ ჰქონდა, სასაპნემ, უსულო საგნებმა. ადამიანის ყოფის უტყვმა მოწმეებმა. სანამ მას ეძინა, ან იქნებ უკვე ეღვიძა კიდეც და ქალის საწოლში დაბრუნებას ელოდა (სასიყვარულო ღამის შემდეგ დილის დარცხვენილი დუმილი), ის სააბა-

ზანო ოთახში იდგა და ფრთხილად ეხებოდა მის ნივთებს. უცბად გული აუჩუყდა. ცივ სარკეზე შუბლის მიყრდნობა და ტირილი მოუნდა. მერე ხშირად იხსენებდა ხოლმე ამ წუთებს. სიყვარულის დასაწყისიც ეს იყო, ალბათ. განა სიყვარული მეორე ადამიანის შეცნობა არ არის? განა ადამიანები ამიტომ არ ილტვიან ერთმანეთის სხეულებისკენ? მხოლოდ მოსალოდნელი სიამოვნების გამო კი არა, იმისთვისაც, რომ რაც შეიძლება მეტად დაუახლოვდნენ ერთმანეთს. აბა, სხვას რას უნდა ნიშნავდეს საყვარელი სხეულის ყოველ კუნჭულში შეღწევა, ყველა დადგენილი ზღვრის გადალახვა, ერთმანეთის ყველაზე დაფარულისკენ ლტოლვა.

ალენშტაინის რკინიგზის სადგური იმაზე ბევრად უფრო პატარა აღმოჩნდა, ვიდრე მოელოდა. ქალი წამიერად შიშმა შეიპყრო. მატარებლიდან ჩამოსვლისას მისი ხელი უნებურად საჭიროზე დიდხანს ჩაებღაუჭა კიბის ცივ მოაჯირს, მაგრამ როდესაც დროშკას ქალაქის საუკეთესო სასტუმროსკენ მიჰყავდა, თავს უკვე მსოფლიოს მბრძანებლად გრძნობდა. ხალხი – რაღაცნაირი პატარა, ორგანზომილებიანი, არაფრის აზრზე მყოფი, რბილი, სისხლისა და ხორცის ნაზავი მანქანები. მათი საბრალო პაწაწინა მაღაზიები, მათი არაფრისმცოდნე პირები, რომლებიც იმ წუთებში ყავის ფინჯნებში მდგარი სითხის გლუვ ზედაპირს ეხებოდნენ. საკუთარ სხეულებს მიჯაჭვულები. შლაპის კიდესთან მიტანილი და მერე ისევ უკან დაბრუნებული ხელების სასაცილო რიტუალები. მაგრად ჩაბღუჯული ქოლგის ბუნიკები და ხელჯოხები. მათი უღიმღამო და ფუჭი საღამოები გაცვეთილი ხალიჩებით მოფენილ სახლებში. მათი შეზღუდული აზროვნება, რომელიც მომდევნო წინადადებასაც კი ძლივს სწვდება. პაწაწკინტელები. ნამცეცები. ტიკინის მსგავსები. მიუხედავად ამ ყვე-

ლაფრისა, დროშკაში მამაკაცივით უდარდელად მჯდომ ქალს ეჩვენებოდა, რომ უყვარდა ადამიანები. უყვარდა და თანაუგრძნობდა კიდეც მათ და ეს გულწრფელი თანაგრძნობა იყო და არა სიბრალული. დიახ, თანაგრძნობა და სიყვარული, როგორც შვილების მიმართ, რომლებიც შენს აღმზრდელობით მეთოდებს მშვიდად ემორჩილებიან, მათ მიზანს კი არასოდეს კითხულობენ. დროშკით მიმავალი ქალი იმ ადამიანებზე ბევრად მაღლა იდგა და მათზე ბევრად მეტი იცოდა. ის თვითონ ადგენდა ცხოვრების წესებს. გეგმავდა მას წუთიდან წუთამდე, უესტიდან უესტამდე, მოსახდენიდან მოსახდენამდე.

როდესაც სასტუმროს წიგნში გამოგონილ გვარ-სახელს წერდა, სასხვათაშორისოდ ჰკითხა სასტუმროს ადმინისტრატორს:

– მართალია, რომ თქვენს სასტუმროში დღეს ცნობილი მწერალი ტ. გაჩერდება?

სასტუმროს ადმინისტრატორმა სათვალის სქელი შუშებიდან დაბრეცილი თვალებით შეხედა. ეტყობოდა, რომ სიხარულისა და სიამაყისგან თავს ძლივს იკავებდა.

– დიახ, მართალი გახლავთ! ხვალ ლექცია უნდა წაიკითხოს მუსიკასა და ლიტერატურაზე. ხვალ, ნაშუადღევს, – თქვა და უცბად დასერიოზულდა. – ოღონდ, გემუდარებით, ქალბატონო, ნურავის ეტყვით ამის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს პატარა ქალაქში სხვა არჩევანი არ არსებობს. ეს საუკეთესო სასტუმროა. აპარტამენტიც კი გვაქვს მისთვის. უკვე რამდენიმე დღის დალაგებული და გაკრიალებულია და მას ელოდება. – სასტუმროს ადმინისტრატორმა რომაულად დაწერილი პირველის ქვეშ ჩამოკიდებულ გასაღებზე მიუთითა. – უბრალოდ, ხომ გესმით, ვშიშობთ, რომ მკითხველები არ მოასვენებენ.

– მართლა ასეთი პოპულარულია?

– ჩემს ცოლს მისი ყველა წიგნი აქვს წაკითხული, – ისე ამაყად თქვა ადმინისტრატორმა, თითქოს ეს ფაქტი ყველაფერზე მეტყველებდა.

– ბერლინის მატარებელი როდის ჩამოდის, ნაცნობს ველოდები.

სასტუმროს ადმინისტრატორმა ქალს დაეჭვებულმა შეხედა, მაგრამ კითხვაზე მაინც უმალვე გასცა პასუხი.

უბადრუკი ოთახი იყო. ორი დიდი ფანჯარა მთავარ ქუჩას გადასცქეროდა. ფანჯრის რაფაზე მტრედები ჩამომსხდარიყვნენ.

ქალმა ხელ-პირი დაიბანა და სახე უხეში პირსახოცით შეიწმინდა. ზედატანი გამოიცვალა, თმა ჩამოივარცხნა და სარკის წინ საგულდაგულოდ მოჰყვა მის სწორებას. სარკე საჭირო სიმაღლეზე გაცილებით ზევით ეკიდა. მხოლოდ თმასა და შუბლს ხედავდა. სუნამო თითებით შეიზილა კანში. გაიფიქრა, რომ ჯერ კიდევ ბევრი დრო ჰქონდა. შეეძლო გარეთ გასულიყო. ქუჩებში უაზროდ ებორიალა. მაღაზიები დაეთვალიერებინა. ვიტრინებში თავისი ანარეკლიც დაეტოვებინა. პატარა მოედანი ნაბიჯებით გაეზომა. რომელიმე ქოლგის ქვეშ ლიმონათი დაელია.

თავზე ქუდი დაიხურა თუ არა, მაშინვე გადაიფიქრა გარეთ გასვლა. ტანგაუხდელად, ხელში ქოლგით, გულაღმა დაწვა ალაგებულ ლოგინზე. დაბზარული ჭერი თავისი საიდუმლო დამწერლობით თითქოს რაღაცაზე მიანიშნებდა.

მთელი დღეები ქალაქის ქუჩებში დააბიჯებდნენ. ვენეციაში ცხელოდა. მზე ყველაფერს ადნობდა. არხები აუტანლად ყარდა. უნებლიეთ სულ უფრო და უფრო უჩქარებდნენ ფეხს. მათი შემხედვარე იფიქრებდი, რომ სადღაც მიიჩქაროდნენ. „ნეტავ სად გავრბივართ“, – ეკითხებოდნენ ერთმანეთს და

ხმამაღლა იცინოდნენ. თუმცა მთავარი ამ დროს ის იყო, რომ მათი ხელები, მათი მხრები, თითქოსდა შემთხვევით შეხებოდნენ ერთმანეთს. საიდანლაც მონაბერ ქარს ისინი ერთმანეთის სურნელში გაეხვია, ერთმანეთის ჩრდილი ფეხებზე ელამუნებოდათ. გვერდიგვერდ მიმავლები ერთმანეთს არც კი უყურებდნენ, ისე სწავლობდნენ ერთურთს. თქვენ ამბობთ, რომ ეს შეუძლებელია? ვაჟი ქალს გაუთავებლად უყვებოდა თავის ოჯახზე. ქალს, ცოტა არ იყოს, უკვირდა, რადგან თვითონ ამ თემაზე არაფერი ჰქონდა სათქმელი. ის კი ჰყვებოდა და აღარ ჩერდებოდა; თითქოს საკუთარ თავს აჯერებდა იმაში, რომ ნამდვილად არსებობდა და ჰამბურგელი დიდვაჭრების, მათი ბავშვების გაჩენით დაღლილი ცოლების, მათი საერთო შვილების, მრისხანე დიდულვაშა მეწარმეების სისხლი დაუდიოდა ძარღვებში. ქალმა შენიშნა, რომ ვაჟი ადამიანებით საზღვრავდა დროს. იქნებ სწორედ ასე ხდები მწერალი? ვაჟს ყველაფერი ზედმიწევნით კარგად ახსოვდა, წინაპრების სახელები, მათი ოხუნჯობები, მათი თითოეული წაფორხილება და უცნაური ჩვევები. თითოეულ მათგანს გულუხვად ასაჩუქრებდა სრულყოფილი დახასიათებით. ქალს ბოლომდე არ სჯეროდა მისი. შეუძლებლად მიაჩნდა, რომ განურჩევლად ყველა ასეთი საინტერესო ადამიანი ყოფილიყო. ეს ხომ ყოველგვარ ლოგიკას ეწინააღმდეგება? სამყარო ხომ, როგორც წესი, უსახო ბრბოსა და სულ რამდენიმე, თითებზე ჩამოსათვლელი გამორჩეული ადამიანისგან შედგება. ყოველთვის ასე ფიქრობდა და ამ ფიქრს ვერც ახლა გაექცეოდა. მისთვის ადამიანები ტალღებს ჰგავდნენ – ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდებოდნენ. რა თქმა უნდა, იმათ გარდა, ვინც უყვარდა. ყველას სიყვარული კი შეუძლებელია.

როდესაც ცოტა ხნით სადმე ჩამოსხდებოდნენ, კაფეში, ცარიელ პლაჟზე მდგარ მოწნულ კალათაში ან ზღვაში შეჭრილ ფიცარნაგზე, აი, მაშინ, ბოლოს და ბოლოს, მათი მზერა ერთმანეთს კვეთდა. სათქმელი არაფერი ჰქონდა. ერთადერთი ის უნდოდა, რომ მიხუტებოდა. მის ყოველ შემოხედვას კანით გრძნობდა. ვაჟის ნათელი, ცისფერი თვალები ხარბად აშტერდებოდნენ.

ზოგჯერ, საღამოობით, სხვებთან ერთად ყურეში გამავალ ტერასაზეც ისხდნენ, სადაც ნათურებით ყვითლად განათებული ხეების ფოთლები რომელიღაც მჭიდროდ დასახლებული ქალაქის ილუზიას ქმნიდნენ. მეგობრები, მხიარულად მოლაყბე მათი საერთო ნაცნობების ჯგუფი, იმ კუნძულს ჰგავდნენ, რომლებთანაც სულ ცოტა ხნით ჩაეშვათ ღუზა, რათა ცოტა ხნით მაინც ეგრძნოთ ფეხქვეშ მყარი ნიადაგი. ისე კი, ცხადია, ქარისგან დაბერილი აფრები ყველაფერს ერჩივნათ.

მაღალი ღობით გარშემორტყმულ, ლენცოფებში ჩაფლულ სახლს ქალი ფეხაკრეფით ეპარება. ის იქ ეგულება და ასე იმიტომ იქცევა. უბრალოდ, თვალის შევლება უნდა მისთვის, მეტი არაფერი. გვიანღა ახსენდება, რომ სრულიად შიშველია, ბილიკიდან მკვირცხლად გადაირბენს და თავს ლენცოფების ბუჩქნარს აფარებს. ასე მიიკვლევს გზას სახლის უკან მდებარე ბაღამდე. იქიდან სალონის განათებულ ფანჯრებს ხედავს. ეტყობა, სახლში წვეულებაა. ფანჯრის მიღმა ადამიანები მიმოდიან მაღალფეხიანი ბროლის ჭიქებით ხელში. ის ქალი, აი, ის ლამაზი ქალი, ცისფრებში, იმ კაცის ცოლია. ღიმილს არიგებს. და კარგადაც გამოსდის! ბირკები ქალს შიშველ სხეულზე ჩხვლეტენ. კაცი არ ჩანს იმ აკვარიუმის მსგავს სალონში. ის იქ არ არის.

ქალი ისევ რეალობას დაუბრუნდა. ქუდი მტკივნეულად აჭერდა კეფაზე. წამოდგა, სარკეში ჩაიხედა. თვალები ოდნავ შეშუპებოდა და ეცრემლებოდა. წასვლის დროაო, გაიფიქრა.

ალენშტაინი: სულ რაღაც ორიოდე ქუჩა, ერთი სასახლე, ქალაქის რატუშა და გუშინდელი მოდა. აქ ყველა ამბავი, ალბათ, რკინიგზის სადგურიდან იწყება. არა, აქ ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია. აქ მხოლოდ ცოტა ხნით შეიძლება ჩამოსვლა. ქალაქში პრუსიული წესრიგი და აზიური მელანქოლია ერთმანეთს შერევია. წყლის ოდნავ საგრძნობი სუნი. საათმა სამჯერ რომ ჩამოჰკრა, ქალმა ფინჯანი ყავა შეუკვეთა. შინ, ბავშვების ოთახში, ახლა სიესტაა. უცბად მათი სურნელი მოენატრა. რატომ ასდის ბავშვის თმას ქარის სუნი? მიმტანმა ფული გამოართვა და ინტერესით, თითქმის კეკლუცად შეათვალიერა. ქალი წამოდგა და ნელი ნაბიჯით გაემართა სადგურის მიმართულებით. მისი სიმშვიდე ერთბაშად გაქრა. გულმა რიტმულად და აჩქარებით დაუწყო ცემა. ახლა თვითონაც ორგანზომილებიან არსებად გრძნობდა თავს. მხოლოდ ახლა და ამ წუთას არსებობდა. არ ჰქონდა არც წარსული და არც მომავალი. ერთი არაფრით გამორჩეული, სადგურზე მიმავალი ქალი იყო.

ბაქანი თითქმის ცარიელი დახვდა. ვიღაც ახალგაზრდა კაცი თაიგულით ხელში, დედა ორი ბავშვით და ერთიც მერხზე განმარტოებით მჯდარი მგზავრი იმ კატეგორიიდან, რომელთაც მატარებლები შორიდანვე აუვლიან ხოლმე გვერდს და ყველგან აგვიანდებათ. ქალს ბაქანზე ფეხდაფეხ შემოჰყვა ადამიანთა კიდევ ერთი ჯგუფი. ჭარბწონიანი მამაკაცები, სერიოზულები. ერთი ლითონის ჩარჩოიანი სათვალით, მეორე ელეგანტურ შავ კოსტიუმში გამოწყობილი, თვალზე მონოკლით (ცოტა არ იყოს, დასაფლავების ბიუროდან გამოსულს ჰგავს, – გაიფიქრა ქალმა დანახვისთანავე)

მესამეს და მეოთხეს განსაკუთრებული ვერაფერი მოუძებნია. სავარაუდოდ, ბაქანზე მწერლის დასახვედრად მოსული ალენშტაინელი კულტურის მესვეურები უნდა ყოფილიყვნენ. მერე ახალგაზრდების მოზრდილი ჯგუფიც გამოჩნდა და ბაქანმაც მაშინვე იცვალა იერი, გამოცოცხლდა და ახმაურდა. ახალგაზრდები, ალბათ, სამაისო უქმეებზე მიდიოდნენ სადმე. იქნებ პრუსიის სკოლებში იმ დღეს სწავლა არც იყო და თავისუფლები იყვნენ. მათი ხანში შესული მასწავლებელი უშედეგოდ ცდილობდა წესრიგის დამყარებას.

მაინც რა უცნაურია ეს ცხოვრება. ვენეციაში, როდესაც ერთმანეთს ემშვიდობებოდნენ, ვაჟი ტიროდა. ხელში ქალის ხელი ეჭირა და ის ცივი, ცისფერი თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. თქმით კი მხოლოდ ეს უთხრა: „ვიცი, ტირილი საჭირო არ არის. ჩვენ ხომ ისევ შევხვდებით". ქალმა მაშინ იფიქრა, რომ ვაჟი ხელს სთხოვდა. განა მტკიცე ტრადიციონალისტად არ მოჰქონდა თავი? „რა სისულელეა. ხელის თხოვნა რა საჭიროა, ჩვენ ხომ ისედაც ერთად ვიქნებით", – განუწყვეტლივ იმეორებდა გონებაში. მაშინ ამ ამბის სხვაგვარი დასასრული ყოვლად წარმოუდგენლად ეჩვენებოდა.

მოგვიანებით მიხვდა, რომ ვაჟი მაშინ საკუთარ თავს დასტიროდა. „ოთხი წერილი მოგწერე", – წერდა ის მეხუთეში, – „მაგრამ არცერთი არ გამომიგზავნია. ჭრილობებს მიახლებდნენ, რომელთაც, წესით, ამდენი ხნის შემდეგ პირი უნდა შეეკრათ. შენ ისეთი ლამაზი ხარ, ისეთი ნორჩი, თითქოს ცხოვრება ჯერ არც კი შეგხებია. ანგელოზს ჰგავხარ. ასე შორეული და მიუწვდომელი უფრო სასურველი ხარ ჩემთვის". ამ წერილმა ქალს მოსვენება დაუკარგა. ზუსტად ვერც ხვდებოდა, რატომ. ფიქრობდა, რომ ის მისთვის არ იყო განკუთვნილი.

უეცრად ბაქანზე შეგროვებული ხალხი შეჩოჩქოლდა. თაიგულიანი ახალგაზრდა კაცი სკამიდან წამოიჭრა. შავებში ჩაცმულმა მამაკაცმა მოუსვენრად დაიწყო ცხვირსახოცით მონოკლის წმენდა. ასაკოვანი მასწავლებელი უშედეგოდ ცდილობდა ყმაწვილების ორ მწკრივად დაყენებას. ქალი ახლაღა მიხვდა, რომ მთელი ეს ხალხი სწორედ ტ.-ს ჩამოსვლას ელოდა, რომ ის აღარ იყო მარტო მისი საკუთრება და სხვებსაც ეკუთვნოდა: ამ მოუსვენარ ყმაწვილებს, გარნიტურებში გამოწყობილ მამაკაცებს, თაიგულიან ჭაბუკს, სადგურისა და სასტუმროს თანამშრომლებს და წიგნის მოყვარულ მათ ცოლებს.

არადა, რა იცოდნენ მათ ტ.-ს შესახებ? ისინი ხომ მას მხოლოდ მისივე რომანებიდან და ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მოთხრობებიდან იცნობდნენ? ანუ იცნობდნენ ვის? იმ ყველაფერში, რაც კი მას დაუწერია, ნამდვილი და მისეული ხომ თითქმის არაფერია, შაქარლამის უბადრუკი ნაფხვენების გარდა. ვინ სახლობდა სინამდვილეში მის დახვეწილ, მკაფიო და თავდაჯერებულ წინადადებებში? არადა, მაშინ, იქ, ვენეციაში, იმ ხანგრძლივი სეირნობების დროს, ყოველთვის ნერვიულად, მოკლედ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჰყვებოდა ამბებს. შენ თვითონ უნდა მიმხვდარიყავი, წერტილი სად იყო საჭირო და მძიმე სად. და ვინ ცხოვრობდა მის დაწერილ ამბებსა და მოგონებებში? მას ხომ რიგიანად ანეკდოტის მოყოლაც არ შეეძლო? არა, მაინც როგორ იოლად მოახერხა ხალხის გაცურება და მათაც როგორ გულუბრყვილოდ დაუჯერეს, რომ მისი ნაწარმოებების გმირი თავადვე იყო. ან იქნებ თვითონ ცდებოდა სიყვარულით და სურვილით თავბრუდახვეული ქალი. არა. ვერცერთ მის დაწერილ წინადადებაში ქალი მას ვერ პოულობდა. ქალისთვის საგას მთხრობელი ზედმეტად ნეიტრალური იყო, ვიღაც სხვა, ძალიან უცხო,

რომელშიც ტ. საერთოდ ვერ აღმოაჩინა. და იქნებ ამაში იყო მთელი ხიბლიც – რეალურ ადამიანში სწორედ ის ვიღაც მოეძებნა, ვისაც უამრავი განსხვავებული სამყაროს შექმნა შეუძლია. მოეძებნა სიტყვების მბრძანებელი, მოეძებნა მის სუნთქვაში მაშინ, როდესაც თავად ქალის მკლავზე მიხუტებულს უდარდელად ეძინა. მოეძებნა მის მზერაში – თურმე რამხელა სივრცეები შეიძლება გადაიშალოს თვალების მიღმა! არ არსებობს უფრო დიდი ბედნიერება, ტკბებოდე იმის ყურებით, როგორ ლოკავს ის ნაყინს. ფიქრობდე, მასაც ისევე ეგემრიელება თუ არა, როგორც სხვებს. ნუთუ მისი რეცეპტორებიც ისევე მიაქანებენ აღქმულს ტვინისკენ, როგორც სხვა დანარჩენი ადამიანებისა? არა, მათ შორის აუცილებლად უნდა არსებობდეს განსხვავება. ქალს გაახსენდა, რომ მაშინ, ვენეციაში, ვაჟს ულვაშის მოშვება უნდოდა. გაახსენდა, თითების უნებური შეხებით როგორ ეთამაშებოდა მის ზედა ტუჩზე ამოწვერილ ჩხვლეტია მუქ ღერებს.

მატარებელი სადგურში შემოვიდა. ორთქლმავლის კვამლი მომლოდინეთა თავებზე თითქმის მატერიად იქცა. ქალს გული აუჩქარდა, პირში სიმშრალე იგრძნო. უკან დაიხია, სადგურის რესტორნის აბრის ქვეშ დადგა და პირბადე ჩამოიფარა. მატარებლის ჩამოდგომიდან რამდენიმე წამის განმავლობაში არაფერი შეცვლილა. სადგური თითქოს გაიყინა. მხოლოდ ოთხი მამაკაცის დაბნეულ სახეს უყურებს, ერთი ვაგონიდან მეორეზე გადატანილ მზერას. მერე კი დაინახა, როგორ მოსწყდა ადგილს ეს პატარა ჯგუფი და მარჯვნივ, მატარებლის წინა ნაწილისკენ აიღო გეზი. შეუხედავი ქალიც, ორი ბავშვით, ლოყებშეფაკლული აედევნათ უკან. ახალგაზრდა კაცმა, ყვავილების თაიგულით ხელში, ყველას გადაასწრო. ის თითქმის მირბოდა.

თვითონ მას კი მაშინღა მოჰკრა თვალი, როცა დამხვდურთა ჯგუფით გარშემორტყმული სადგურის შენობაში შემოვიდა. გაოცებულმა მაშინვე აღმოაჩინა, რომ მიუხედავად სხეულის სისავსისა, მის მიხრა-მოხრაში სიტლანქე სჭარბობდა სილბოს. სახე, რომელსაც ასე კარგად იცნობდა, თითქოს არ შეცვლოდა, მაგრამ მაინც სხვანაირი ეჩვენა, რეალობას უფრო დამაჯერებლად მორგებული. მერე ვიღაცები ჩამოეფარნენ. ყმაწვილები შტამბუხებს აწვდიდნენ და ავტოგრაფს სთხოვდნენ. მონოკლიანი მამაკაცი ტანით მთლიანად ფარავდა. ის კი მთელი ამ ორომტრიალის მთავარი ღერძი იყო – ჭაღარა, მშვიდი, აუღელვებელი, თითქოს მისი გაკვირვება უკვე აღარაფერს შეეძლო.

ახლა არა. მოგვიანებით, – გადაწყვიტა ქალმა და გული შედარებით დაუმშვიდდა. უსაფრთხო მანძილზე მიჰყვებოდა უკან მამაკაცებს. დაინახა, როგორ ჩასხდნენ დროშკაში.

საავტორო საღამო ქალაქის თეატრში უნდა გამართულიყო. ამას რამდენიმე ადგილას გამოკრული აფიშა იუწყებოდა. „ცნობილი მწერალი წაიკითხავს ლექციას“. ქალმა თითქმის ყველას დაასწრო მისვლა. ხალხი ნელ-ნელა იყრიდა თავს. საუკეთესო სადღესასწაულო კაბებში გამოწყობილი მშვენიერი ქალაქელი ქალები, მათი ღიპიანი ქმრები, ჟილეტის ჯიბეებიდან ძეწკვიან საათებს რომ იღებდნენ წამდაუწუმ და ნერვიულად დაჰყურებდნენ. ალენშტაინის ბურჟუაზია. მათ შორის უფრო სადად ჩაცმულებიც იყვნენ, ალბათ, მასწავლებლები, ადგილობრივი, მორიდებული ინტელიგენცია. ის ახალგაზრდა კაციც იქ იყო, სადგურიდან, ოღონდ უკვე თაიგულის გარეშე და კიდევ სამი მოკისკისე ქალი, ნაპერწკლები რომ უელავდათ თვალებში. ვინ უნდა ყოფილიყვნენ, მსახიობები?

გიმნაზიის მოწაფეები? აი, თურმე ვინ არიან ტ.-ს მკითხველები, მისი თაყვანისმცემლები აღმოსავლეთ პრუსიაში.

„ცხოვრებაში ყველაფერი უმნიშვნელოა ჩემთვის, გარდა წერისა. ვიცი, რომ გამიგებ", – ასე მთავრდებოდა მისგან მიღებული ბოლო წერილი. არა. არ ესმოდა მისი. ვაჟის აზრით, ერთი მეორეს ხელს უშლიდა, ეწინააღმდეგებოდა. აი, თვითონ კი წინააღმდეგობრივს ვერაფერს ხედავდა ამაში. მდიდარი ქალი იყო. ვაჟს შეეძლო მასთან ვენეციაში დარჩენილიყო, ან თუნდაც სხვაგან სადმე ერთად ყოფილიყვნენ და ეწერა. იქნებ ვაჟი ფიქრობდა, რომ მას სათანადო განათლება არ ჰქონდა? იქნებ ჩამომავლობას უწუნებდა? კარგად ახსოვს, სიტყვა „პროფესორის" ხსენებაზე როგორ დაიძაბებოდა ხოლმე, თითქოს რაიმეს აყურადებსო. ქალს კი უკვირდა, რომ ასეთ ადამიანს შეეძლო მყვირალა ტიტულებს დახარბებოდა. ბოლოს მაინც მოახერხა და პროფესორის ქალიშვილი მოიყვანა ცოლად. განა წარმოუდგენელი არ იყო მათი ვენეციური თავგადასავლიდან სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ სხვისთვის ხელის თხოვნა? სხვა ვინმეს შეყვარება? არა. ვერ დაიჯერებს, რომ ის ქალი უყვარდა. სხვა რამეში უნდა ყოფილიყო ამ სულელური მოთხრობის დაწყების მიზეზი. ბოლოს და ბოლოს, მარტო კარგს და ღირებულს ხომ ვერ დაწერ. ზოგჯერ წაიფორხილებ კიდეც. მიზეზებისა და თავის მართლებების პოვნა-ძიებაშიც, ალბათ, მაშინ დაოსტატდა. არადა, ყველა მათგანი ერთნაირად არადამაჯერებლად გაისმოდა.

ქალიც ადგა და ვრცელი წერილი მისწერა. პასუხი არ მოსვლია. ალბათ, წაკითხვის შემდეგ დაჭმუჭნა და ნაგვის ყუთში მოისროლა. შესაძლოა, დაწვა კიდეც, თავის ბიოგრაფიაზეც ხომ უნდა ეზრუნა და საჭირო კონტურები მოეხაზა? სად გაგონილა, ცხოვრება ყოველთვის გვთანხმდებოდეს იმაზე, რისი გაკეთების სურვილიც გვაქვს? ცხოვრება ჩვენ

გვმართავს. ის ჩვენთვის ძნელად წარმოსადგენ მიზნებს ახორციელებს და თან მიგვიყოლებს. ამ აზრმა უცებ ისე შეაკრთო ქალი, რომ გარეთ, ქალაქის მზით გაჩახჩახებულ ქუჩებში, მოუნდა გასვლა.

სწორედ ასე იყო. პასუხად ერთი სიტყვაც აღარ მოუწერია. მოგვიანებით შეიტყო, რომ ცოლი შეერთო და ბავშვები შესძენოდა. ორი? სამი? პრესაში მის გვარს წააწყდებოდა თუ არა, სტატიაში მაშინვე რაიმე მისთვის ჩადებული ნიშნის ძებნას იწყებდა. ყველაფერი წაიკითხა, რაც დაწერა. ამოიჩემა, რომ კაცის თხზულებებში მხოლოდ მისთვის განკუთვნილი საიდუმლო ინფორმაცია იმალება, რომ ის მხოლოდ მისთვის წერს და ცდილობს, ის საშინელი წინადადება განუმარტოს: „ცხოვრებაში ყველაფერი უმნიშვნელოა ჩემთვის, გარდა წერისა".

ხალხი დარბაზში ადგილებს იკავებდა. ქალმაც მიბაძა დანარჩენებს და წითელხავერდიანი მაგიდის შორიახლოს დაჯდა. დარბაზში ბუნებრივი განათების არქონის გამო მაგიდა პროჟექტორების შუქით ნათდებოდა. ასე ჯობდა. ის იქიდან ვერ დაინახავდა. პროჟექტორების შუქი თვალს მოჭრიდა.

თეატრში ჩვეული ატმოსფერო სუფევდა. მოსულები ჩუმი ხმით საუბრობდნენ და თან ნელ-ნელა დარბაზში მყოფთ ათვალიერებდნენ. ადგილობრივი ფოტოგრაფი ზედმეტი სიფრთხილით დგამდა შტატივს. ბოლოს შემოსასვლელ კართან ჩურჩული ატყდა და ტ.-ც გამოჩნდა. უნაკლოდ გამოიყურებოდა. თავადაც უნაკლო იყო. ყოველთვის გამოირჩეოდა სხვებისგან, მაგრამ ქალმა არ იცოდა, რით. ტ.-მ სისუფთავის შეგრძნება მოიყოლა თან – ახალგაპარსული ფერმკრთალი სახე, თეთრი პერანგი, გახამებული საყელოს მკვეთრი ხაზი, ვერცხლის სათვალე. ფოლადისფერი კოსტიუმი. აქედან ფეხსაცმელს

ვერ ხედავდა, მაგრამ გაახსენდა, როგორი ფეხსაცმელი ეცვა მაშინ: ყავისფერი, გრძელცხვირიანი, ოდნავ შიგნით შებრეცილი. მისი შიშველი ტერფებიც გაახსენდა. ყველაზე გულწრფელ აღიარებაზე მეტად შიშველი. წარმოიდგინა, რომ დარბაზშიც ფეხშიშველი შემოვიდა.

დაბერებულა და შეცვლილა. დარბაზისკენ არც გამოუხედავს. სკამზე მოთავსდა. გრაფინით წყალი და ჭიქა მიუტანეს. გვერდზე გასწია. პიჯაკის გულის ჯიბიდან დაკეცილი ქაღალდები ამოიღო, მაგიდაზე გაშალა, ჩაახველა და მაშინღა მოავლო თვალი დარბაზს. თვალები მოწკურა. ქალი შეკრთა, მოჭუტული ქუთუთოებიდან წამოსული ეს სუსტი მზერა მისმა სხეულმაც იგრძნო. ტ.-მ კი ვერ იცნო. ვერც იცნობდა. შორს იჯდა. აი, თვითონ კი ყოველთვის იცნობდა. ყოველთვის. ნებისმიერი მანძილიდან.

– ბატონებო და ქალბატონებო, – დაიწყო კაცმა, – მე აქ იმისათვის მომიწვიეს, რომ...

ქალაქზე არაფერი უთქვამს. არც აღელვებული მსმენლისთვის გაუღიმია, არც მზერა შეუჩერებია მათზე, არც სადგურზე დახვედრისა და მირთმეული ყვავილებისთვის გადაუხდია მადლობა, არც ამ სუნთქვაშეკრული მოლოდინისთვის. თავიც არავისთვის წარუდგენია, არც ის უთქვამს, რა მიზნით ჩამოვიდა აქ, მოსწონს თუ არა აქ ყოფნა, მაისის მზე, ქალების სადღესასწაულო შლაპები და მათი ქმრების ძეწკვიანი საათები. არც ენა დაბმია, არც დაუხველებია, არც სახეზე დასტყობია რამე. გასაგებად, თუმცა მონოტონურად ლაპარაკობდა. ერთადერთი ჟესტი, რომლის უფლებაც თავს მისცა, ყელზე გაკეთებული ბაფთის შესწორება იყო. ალბათ, უნდოდა, სტოიკურად ბრძენ, სტოიკურად ნეიტრალურ ევროპელ მწერლად წარმოეჩინა თავი. განუსაზღვრელობას ამო-

ფარება ეგებ დადებით თვისებად მიაჩნდა. არისტოკრატული ელეგანტურობა – არც მეტი, არც ნაკლები. ნაცნობი მდგომარეობა იყო! ჰო, ნაცნობი და ამაღელვებელი, ოღონდ, უნდა გცოდნოდა, რომ რამდენიმე წუთში ეს ნიღაბი სახიდან ჩამოუცურდებოდა და ძირს დაენარცხებოდა. აი, ეს კონტრასტი იყო ამაღელვებელი. ეს უყვარდა სწორედ მასში. და ახლა შეუდარებელი ოსტატობით აკეთებდა ამას.

ტ. მშვიდად და საქმიანად ლაპარაკობდა. დროდადრო ყოვნდებოდა და ცისფერ მზერას ჭერს მიაპყრობდა. ეს შეყოვნებები იყო მძიმეები, ინტერვალები, ტირეები. როგორ დახვეწილა. თანაც მუსიკაზე საუბრობდა და არა ლიტერატურაზე. დარბაზში მყოფთა დიდ ნაწილს, ალბათ, იმედიც გაუცრუა. განა მწერალმა ლიტერატურაზე არ უნდა ილაპარაკოს?

– „ეს იგივეა, რაც მუსიკაში მონოდიიდან მრავალხმოვნებაში, ჰარმონიაში გადასვლა. ამას ახლა წინსვლას და განვითარებას ეძახიან, სინამდვილეში კი ბარბაროსთა მონაპოვარია“ – ჩაესმოდა ქალს.

ქალზე გადმომხობილი, მიზიდულობის ძალით ფორმაშეცვლილი მისი სახე. ყმაწვილი ბიჭის ნახევრად უმანკო, საკმაოდ დაუნდობელი ღიმილი. ბედნიერი გამომეტყველების ნაცვლად, სახეზე აღბეჭდილი ტკივილი. ოფლის წვეთები. აწყვეტილი ღილი.

დაასრულა თუ არა საუბარი, მსმენელები ფეხზე წამოდგნენ და ისეთი ტაშით დააჯილდოვეს, თითქოს ოპერის დივა იყო. მერე რამდენიმე მათგანი მაგიდას მიუახლოვდა. ტ.-მ ჯიბიდან კალამი ამოიღო, რომელმაც პროჟექტორიდან არეკლილ შუქზე გაიბრწყინა და თავი წიგნებზე დახარა.

ქალი გარეთ გამოვიდა და ჩქარი ნაბიჯით სასტუმროსკენ გაემართა. თითქმის სასოწარკვეთილების პირას მისული,

ახლა უკვე ორმაგად, სამმაგად, ათასმაგად მარტოსულად გრძნობდა თავს. არაფრის შეცვლა არ შეუძლია. არაფრის. რატომ არ შეგვიძლია ღვთის მადლიერები ვიყოთ იმისთვის, რაც მოგვეცა? რატომ გვიჭირის ამის დაფასება? რატომ გვინდა ყოველთვის ის, რაც არ გვაქვს? სად და როდის გაჩნდა ეს ბზარი ადამიანის გონებაში?

სასტუმროს მისაღებში არავინ იყო. ახალგამომცხვარი ნამცხვრის სუნი იდგა ყველგან. ქალი ერთხანს დახლთან ელოდა ადმინისტრატორს, მაგრამ ეს უკანასკნელი არა და არ ჩანდა. ვინ იცის, იქნებ ისიც თეატრშიც იყო. მერე ხელი გაიწოდა და თავისი ოთახის გასაღები ჩამოხსნა. წამის შემდეგ იმ მეორესაც მისწვდა, რომაული ციფრის, პირველის, ქვეშ რომ ეკიდა. დაუჯერებელია! ასე უყურადღებოდ აქ როგორ დატოვეს? ქალმა ქურდივით ფეხაკრეფით და ნაჩქარევად მიაშურა კიბეს.

ფრთხილად გამოაღო აპარტამენტის კარი. შუქი არ აუნთია. ოთახში ჩამავალი მზის თბილი შუქი იღვრებოდა. ფართო აივანზე გასასვლელ კართან უხვნაოჭიანი ფარდები გადაწეული დაეტოვებინათ. ორადგილიანი განიერი საწოლი თითქმის მთლიანად ავსებდა სივრცეს. ტ.-ს ბარგის ამოლაგებაც ვერ მოესწრო, ჩემოდანი გახსნილი დაეტოვებინა საწოლთან. იქვე იდო მისი ახალი წიგნის სამი ეგზემპლარი. სულ ცინცხალი. ჯერ კიდევ გადაუშლელს ჰგავდა. სკამზეც ახალთახალი, ტენიანი ფუმფულა პირსახოცი ეკიდა. ალბათ, სასტუმრომ სპეციალურად მისთვის შეიძინა. ქალმა ფრთხილად შეახო პირსახოცს ხელი. გვერდით სააბაზანო ოთახი, ფანჯარასთან მდგარი ვეებერთელა აბაზანა, მასიური პრუსიული სპილენძის ონკანები და ფეხიანი პირსაბანი. პირსაბანზე იგივე ხის კოლოფი და პირის საპარსი საპნით. „შეუძლებელია", გაიფიქრა. ხელში აიღო, დაყნოსა. ეცნო სუნი, თუმცა ეგონა,

რომ შთაბეჭდილება ბევრად უფრო ძლიერი იქნებოდა. ღმერთო, რამდენი ხანი ეძებდა ამ საპონს მაღაზიებში, რომ თანდათან კიდევ უფრო მეტად დარწმუნებულიყო მის არარსებობაში. სველი ფუნჯი – ალბათ, პირი გასვლის წინ გაიპარსა. კბილის ჯაგრისი – მშრალი. მოჭიქულ იატაკზე დაუდევრად დაყრილი წყვილი მუქი წინდა. ქალი აბაზანის კიდეზე ჩამოჯდა და უცნაური რამ გაიფიქრა: კარგი იქნებოდა, თვითონ ყოფილიყო ტ., რომელიც ისე ეყვარებოდა, როგორც საჭირო იყო. მასში ყოფილიყო ჩასახლებული. მის სხეულს მისივე ხელით მოჰფერებოდა. მოევლო მისთვის ბევრად უკეთ, ვიდრე ამას თვითონ ტ. შეძლებდა. რა მოხდებოდა, შესაძლებელი რომ ყოფილიყო მათი ასეთი გამთლიანება? ტ. დაჯდებოდა და დაწერდა, რადგან წერას ვერ უღალატებდა, ის კი მოუვლიდა. ცოდვასაც გადაურჩებოდნენ ასე და გაორებას და გარდაუვლობასაც. აქ საკუთარი თავისადმი უმწიკვლო სიყვარული იქნებოდა, სხვა არაფერი, ალერსი სააბაზანოების სამლოცველოებში. საკუთარ კანზე შეხება ხომ ალერსად არ ითვლება. აქ სიყვარული თუნდაც მისი კანისთვის საუკეთესო საპნის შერჩევას ერქმეოდა. „მისი სხეულის ყველა უჩინარი კუთხე-კუნჭულიც კი ზეპირად მეცოდინებოდა“, – ფიქრობდა ქალი, „მისი პირის ღრუ, ენა, თითოეული კბილის ფორმა. მისი სუნი უცხო არასოდეს გახდებოდა, ჩემი იქნებოდა და იმიტომ. მე მას მკლავებში მოვიქცევდი და ნაზად დავარწევდი“.

ქვემოდან ხმაური შემოესმა, სწრაფად დატოვა ოთახი და კიბით თავის სართულზე აირბინა.

სასადილო დარბაზისკენ ზურგშექცევით მდგარი ოთახის საფასურს რომ იხდიდა, მამაკაცები მაშინღა დაბრუნდნენ ლექციიდან. მისი ხმა ჩაესმა, რაღაცას ამბობდა.

– აი, სწორედ ეს არის ის ტ.! – გადაუჩურჩულა სიამაყით სავსე ადმინისტრატორმა ქალს, – ჩემს ცოლს მისი ყველა წიგნი აქვს წაკითხული.

ქალს ძალიან მოუნდა, უკან მიეხედა, მაგრამ ვერ შეძლო. ადგილზე გაშეშდა ხელში ჩაბლუჯული ბანკნოტებით. დროშკაში რომ ჩაჯდა, საშინელი დაქანცულობა იგრძნო. მოეჩვენა, რომ მთელ ტონას იწონიდა. ალბათ, ცხენიც გრძნობდა ამას, რადგან ადგილიდან დაძვრას არ აპირებდა.

– საით მიბრძანებთ, მოწყალეო ქალბატონო, – ჰკითხა კარგა ხნის შემდეგ მისი ხანგრძლივი დუმილით გაბეზრებულმა მეეტლემ.

– რკინიგზის სადგურზე.

ალენშტაინის მსგავს ქალაქებში ყველა ამბავი რკინიგზის სადგურზე იწყება და იქვე მთავრდება.

შოტლანდიური თვე

პირველი კადრი, წესით, ასეთი უნდა ყოფილიყო: ჩემოდნებით ხელში მოხრეშილ ბილიკზე მივაბიჯებ, კართან ვყოვნდები, ზარს ვრეკავ და კარს შავად ჩაცმული მოსამსახურე მიღებს. მოთხრობები და ფილმები უმეტესად სწორედ ასე იწყება ხოლმე და თვითმფრინავში მჯდარმა, მეც ასე წარმოვიდგინე. გარე სამყაროს ძირითადად წიგნებიდან და ფილმებიდან ვიცნობ. ისიც კი არ ვიცი, მაქვს თუ არა უფლება, ვამტკიცო, რომ ცხოვრებას ვიცნობ-მეთქი.

ვფიქრობ, ეს იმის ბრალია, რომ სამყაროში ბევრი ცვლილება ხდება, იმაზე ბევრად მეტი, ვიდრე ჩემს წარმოსახვას შეუძლია დაიტიოს. მარტო ჩემი კი არა, ამას ვერავის წარმოსახვა ვერ გაუძლებს, თუ შთაგონება არ ეწვია, თუ ხილვები არ დაეწყო. ამ ყველაფერს სხვა ახსნაც შეიძლება მოეძებნოს – ღმერთთან თამაში. ღმერთი ჩვენ წარმოსახვის უნარით გვაჯილდოებს, იმავდროულად კი ნებას არ გვაძლევს, ყველაზე ბანალური მოვლენები ვიწინასწარმეტყველოთ. ანუ ისე გამოდის, რომ ხელში ბლაგვ დანას, ქაღალდის ჩაქუჩს, შუშის ლურსმანს გვაჩეჩებს და მათ ანაბარა გვტოვებს. არ არის გამორიცხული, რომ წარმოსახვამ რაღაცნაირად ამოწუროს რეალობა. ის, რაც წარმოდგენილია, აღარ მოხდეს, ანდა პირიქით, მოხდეს მხოლოდ წარმოუდგენელი რაღაცები, რა-

საც იმით ავხსნიდი, რომ ორივე მათგანის სათავე – წარმოსახვისაც და სინამდვილისაც – ჭეშმარიტებაა. ამაზე რომ ვფიქრობდი, უცებ ზიარჭურჭელი გამახსენდა.

იქნებ მარტო მე დამიჩლუნგდა წარმოსახვა? იქნებ ისეთი ადამიანებიც არსებობენ, რომელთაც შესწევთ უნარი, მოსახდენი სულ უმნიშვნელო დეტალებში წარმოიდგინონ და თავს გადასახდენი სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც შეიგრძნონ? ნათელმხილველები. პასიანსების მშრალი, ავტორიტარული სიბრძნე.

ქალბატონმა, მოდით, პირობითად მას ქალბატონი სკოტსმენი დავარქვათ, თავისი ლონდონელი მეგობრების საშუალებით ხმა გაავრცელა, ვინმე მწერალს შევიკედლებ და სიტყვაძუნწი მწერლური კომპანიის სანაცვლოდ (მწერლები ხომ უმეტესად გულჩათხრობილი ხალხია) შემოქმედებითი მუშაობისთვის პირობებს შევუქმნიო. ოღონდ, მწერალი ქალი უნდა ყოფილიყო და უსათუოდ პოლონელი.

სწორედ ამ გზით მოვხვდი მასთან და ყველაფერი, რაც აქ დამხვდა, სულაც არ აღმოჩნდა ისეთი, როგორიც წარმომედგინა. მსგავსი ცვალებადი ამინდი ცხოვრებაში არ მინახავს. ბუხრის თავზე შემოდგმული პატარა რადიოდან BBC-ის მესამე არხი ისეთი ჩუმი და გაუგებარი ბუტბუტით გადმოსცემდა ამინდის პროგნოზს, თითქოს საკუთარ სიმართლეში ეჭვი თავადვე ეპარებოდა. ყველა გასეირნების წინ ხელი შეჩვეული მოძრაობით მოსინჯავდა ხოლმე ქოლგის ტარს. მოწმენდილი, ლურჯი ცისთვის ერთი თვის განმავლობაში თვალი არ მომიკრავს. ხის კენწეროებთან აქა-იქ ჩასაფრებული ღრუბლები წამში მოედებოდნენ სივრცეს და მოულოდნელად, თუნდაც სულ ცოტა ხნით, თუნდაც მარტო თვალისთვის დასანახად, იწყებოდა წვიმა.

– მებაღემ ფეხი მოიტეხა და სახლს ელექტროღუმელებით ვათბობთ. – ეს ერთ-ერთი პირველი წინადადება იყო, რომელიც ჩემმა დიასახლისმა მითხრა. მაშინ ვერაფრით ვერ მივხვდი, რა საერთო უნდა ჰქონოდათ ერთმანეთთან მებაღესა და ღუმელს, მაგრამ ღუმელი ჩემს ოთახს სულ რამდენიმე წუთში ათბობდა. ისეთ ქვეყანაში ვიყავი, სადაც სახლს ივნისშიც ღუმელით ათბობდნენ.

აქ ყველაფერი დიდი ხნის წინ გადაეწყვიტათ. იმპროვიზაციისთვის ადგილი აღარ დაეტოვებინათ. მთელი იმ წლების განმავლობაში, სანამ ჩემს ქვეყანაში არაერთხელ დააყენეს ყირაზე ყველაფერი, რაზეც ხელი მიუწვდებოდათ, აქ ნივთებიც კი არავის გადაუადგილებია. ნივთები აქ მოთმინებით ელოდნენ საკუთარ ბუდეს და იპოვიდნენ თუ არა, სამუდამოდ იქვე რჩებოდნენ. მაინც რამდენი დრო სჭირდება ნეფრიტის ჩინური დრაკონის ფიგურას თავისი კუთვნილი ადგილის საპოვნელად? ასი წელი? იქნებ ორასი? პიანინოზე შემოდგმული ფაიფურის ნატიფი ფიგურები თითქოს შეზრდიანო შავად გალაქულ ზედაპირს. კედლებზე სურათები ისე მოშინაურებულან, შემჩნევა გაგიჭირდება. ხის იატაკს უნაკლოდ ერწყმის სილბოსა და სიფაფუკის განსახიერებადქცეული ხალიჩა. ვიქტორიანული სტილის ბრინჯაოს სანათურები საკუთარი შუქის უკან შეყუჟულან.

მაშინვე მივხვდი, რომ ჩვენ, ორივენი, თავისებურად, ჩვენ-ჩვენს წარსულში ვიყავით ჩარჩენილები. მე იმის გამო, რაზეც დაწერა მინდოდა: ექვსი წლის ვარ და რადიოში პირველად მოსმენილი ბიტლების სიმღერით მოხიბლული ოდერის ნაპირზე გაშლილ ვრცელ, მზიან ზეგანზე მივაბიჯებ. ჩემი დიასახლისი თავისი ასაკის გამო: როცა უკვე იმდენი წლის ხარ, რომ ყოველდღიურობის გამოწვევებს ვეღარ უმკლავდები.

ასე იყო თუ ისე, ჩვენ შორის მთელი ნახევარი საუკუნე იდგა. მისი სახლის მოზრდილი სალონი ცდილობდა, როგორმე ერთმანეთს დავახლოვებოდით. მიჭირდა ჩემი მასპინძლის წარსულის წარმოდგენა. მირაჟივით შორეული და ბუნდოვანი მეჩვენებოდა.

იქნებ თავხედურადაც გამომივიდა, მაგრამ თავიდანვე ვთხოვე, ნუ ეცდებოდა სიღრმისეულ მსჯელობებში ჩემს ჩათრევას. ჩემი ინგლისურის მარაგი, როგორც ხედავთ, საკმაოდ მწირია და არც ენების ნიჭი მაქვს-მეთქი. ჩემდა გასაკვირად, იმედგაცრუების მსგავსი არაფერი არ შემიტყვია სახეზე, პირიქით, გამილიმა კიდეც.

დილაობით სასაუზმოდ დაბლა ჩავდიოდი ხოლმე. ზუსტად იმას მახვედრებდა, რასაც წინა საღამოს პატარა ბარათზე ჩამოვუწერდი: უმეტესად თოხლოდ მოხარშულ კვერცხს, გახუხულ პურს, წვენს და ყავას. თვითონ უკვე ნასაუზმევი მხვდებოდა, ან იქნებ არც საუზმობდა. მოუჯდებოდა მაგიდას ჩემთან ერთად და მიყურებდა, როგორ ვჭამდი. იქნებ მეჩვენებოდა, მაგრამ ამ დროს მის გამოხედვაში ერთგვარ სინაზესაც კი ვგრძნობდი. ლაპარაკი დილით უფრო მეხალისებოდა. შეიძლება ამის მიზეზი ახალი გაზეთებიც იყო, საიდანაც კოსოვოს ომის დასრულების, ლონდონში მომხდარი არეულობებისა და პრინც ედუარდის ქორწინების ამბებს ვიგებდი. ვცდილობდი, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ჩემი აზრი საჭმლით გამოტენილი პირით არ გამომეთქვა.

საშუალო სიმაღლის თხელი ქალი იყო, თმას, ალბათ, ილებავდა – ყოველ შემთხვევაში, ბუნებრივი სელის ფერი ამ ასაკში, წესით, აღარ უნდა ჰქონოდა. გრძელ ქვედაბოლოებსა და ქიშმირის შავ ან რუხ სვიტერებს იცვამდა, საღამოობით კი მხრებზე შოტლანდიური ტარტანის შალს იხვევდა.

მთელი დღე ვწერდი და ვერ ვიჯერებდი, რომ ამისთვის აურაცხელი თავისუფალი დრო მქონდა. მხოლოდ შიმშილის გრძნობა თუ შემაწყვეტინებდა ხოლმე წერას. კლავიატურაზე კაკუნით მაჯები რომ მეტკინებოდა, იატაკზე ვწვებოდი და გონებაში წარსულში განცდილი, მივიწყებული დეტალების აღდგენას ვცდილობდი, ვოცნებობდი, ვფიქრობდი. საკუთარ თავზე პირველად ვწერდი და გაოცებულმა აღმოვაჩინე, რომ ეს პროცესი სულ სხვა ვინმედ გაყალიბებს. თურმე შეუძლებელია, ერთდროულად დამკვირვებელიც იყო და დაკვირვების ობიექტიც – ის, ვისაც შეიცნობენ და ის, ვინც შეიცნობს. ალბათ ამიტომაა, რომ ყველა მოგონებაში თავისი წილი ტყუილი იმალება, ყველა ავტობიოგრაფია კი ფიქციაა.

მე ლიტერატურას სანქცირებულ, ეთიკური ნორმებისგან შორს მდგარ და საყოველთაოდ აღიარებულ სიცრუედ მივიჩნევ. ვფიქრობ, წერამ სწორედ ამის გამო მიმიზიდა. სხვა რა იძლევა ტყუილის, შეთითხნილი ამბების, შელამაზებული რეალობისა და მომხდარიდან ალტერნატიული გამოსავლის ძიების სანქციას? მწერლები? – ანარქისტები, პირწავარდნილი რელატივისტები, ჭეშმარიტების ექსპერიმენტატორები, ალტერნატივების მაძიებელნი. ასეთი იყო ჩემი პასუხი დიასახლისის მორიდებულ კითხვაზე, რაზე მუშაობ.

ამ ქალის წარსულს ძველი კინოსურათივით შავ-თეთრ ფერებში ვხედავდი. იქ ადამიანები რეალურზე გაცილებით სწრაფად და ნერვიულად მოძრაობდნენ. ყველაფერი რაღაცნაირად კუშტი და ზედაპირული ჩანდა.

თვითონაც ასეთი იყო – არარეალური. მოჩვენებასავით გამოკრთებოდა ხოლმე და მალევე ქრებოდა სართულების ლაბირინთებში.

საუზმის შემდეგ ჩემს ოთახში დაბრუნებული სიგარეტს ვეწეოდი. ფანჯარას ვაღებდი, დიასახლისი სუნს რომ არ

შეეწუხებინა. მეშინოდა, სიგარეტის ბოლს მის საძინებელში არ შეეღწია, რომელიც სადღაც გადაკარგულში იყო. ხანდახან ვცდილობდი, საღამურში წარმომედგინა თმიდან გამოჩრილი პაპილოტებით. იმედი მქონდა, რომ ეს წარმოსახვა ოდნავ მაინც დამაახლოებდა მასთან. საუზმის შემდეგ სახლში სრული სიწყნარე ისადგურებდა. მხოლოდ პარკიდან წამოსული ბალახის სათიბი მანქანის ხმა თუ მოსწვდებოდა ზოგჯერ ჩემს სმენას. შუადღისას ლანჩს, ჩაითა და სუპით სავსე თერმოსებსა და სენდვიჩს, ხელსახოცში გახვეულ დანა-ჩანგალთან ერთად კალათით მიტოვებდნენ კართან. უგულისყუროდ ვჭამდი და თან ვკითხულობდი.

ჩემი ჩამოსვლის პირველივე დღეები უცნაურად დაიწყო. აეროპორტში ბარგი დამიკარგეს და ჩემოდნის გარეშე, მხოლოდ ხელჩანთისა და, საბედნიეროდ, ლეპტოპის, ამარა დავრჩი. მარგარეტმა, მოსამსახურემ თუ... კომუნისტურ ქვეყანაში გაზრდილმა არც კი ვიცი, აქ როგორ ეძახიან, სააბაზანოს ხალათი, კბილის პასტა და ჯაგრისი მომიტანა. ერთიც მასპინძლის შავი ქიშმირის სვიტერი მერგო და საწვიმარი. საკუთარი ამ დღეებში მხოლოდ კომპიუტერი მქონდა, რომელიც მაგიდაზე იდო და დასაკეცი საკურთხეველივით მონდომებით ციმციმებდა.

ვწერდი. ვწერდი დილიდან, ნაუცბადევი ლანჩისთვის გამოყოფილ დროს, მოკლე შესვენებას თუ არ ჩავთვლით. ვწერდი მაშინაც, როცა ოთახში ბოლთას ვცემდი ან ფანჯრიდან ვიყურებოდი, მოუსვენარ შოტლანდიურ ცას ვათვალიერებდი და ვეწეოდი. შინიდან წამოყოლილ ჩანაფიქრს ვავითარებდი. ვცდილობდი, ჩემს საწყის დროს დავბრუნებოდი. მიჭირდა მეხსიერებაში ჩარჩენილი ფრაგმენტების გადმოტანა. მონასტერი-მეთქი, გავიფიქრე. ალბათ, მონასტერშიც ასეა, რეალობა იკუმშება და ხვდები, რომ მისი ერთადერთი წყარო თავად

თვითონ ხარ, რომ შენს იქით სხვა სამყარო არ არსებობს, რომ სამყაროს აღწერა სხვა არაფერია, თუ არა შენივე თავის აღწერა და რომ ბანალური შეიცან თავი შენის მეტი გზა არც არსებობს. აღწერე თავი შენი, აღწერე ის, ვინც გგონია, რომ ხარ.

ნაშუადღევს, ორი-სამი საათისკენ, ქოლგას ხელს წამოვავლებდი და სასეირნოდ მივდიოდი. მალე წვიმასაც შევეჩვიე. დაბურულ პარკში დავბორიალებდი, მის სველსა და სრიალა ბილიკებზე, რომელთა ქვემოთაც, უფსკრულში, მდინარე გაწოლილიყო. ხშირი როდოდენდრონები, მოღუშული ღვიები, ბებერ ხეებზე შემოხვეული სურო. ზოგჯერ გარეული კურდღლები პირდაპირ ფეხებთან გამომიხტებოდნენ ხოლმე, ჩემგან ორიოდე ნაბიჯში შეშდებოდნენ და, დარწმუნებულები იმაში, რომ მე მათ ვერ ვხედავდი, ცალი თვალით მაშტერდებოდნენ. ხანდახან ედინბურგისკენ მიმავალი თვითმფრინავები ისე დაბლა ეშვებოდნენ, მათი ფერადი კუდების გარჩევაც კი შემეძლო.

უკან ჩაის სმის დროს ვბრუნდებოდი, რომელსაც მარგარეტი კართან მდგარ პატარა მაგიდაზე მიტოვებდა ლანგრით და ყოველთვის ნამცხვრის ნაჭერთან ერთად.

საღამოობით სადილზე ვხვდებოდით ერთმანეთს სასადილო ოთახში, ორისთვის გაწყობილ მაგიდასთან. მე მაგიდის ერთ მხარეს, ის მეორე მხარეს.

– რატომ აკეთებთ ამას? სახლში უცხო ადამიანებს რატომ ეპატიჟებით? – ვკითხე ერთხელ.

მან კი სულ სხვა, არდასმულ კითხვაზე მიპასუხა.

– თავს მარტოსულად სულაც არა ვგრძნობ, – მითხრა. – წყნარ, მშვიდ გარემოში ვცხოვრობ, თქვენ ეს სიმშვიდე გჭირდებათ, მე კი მინდა, რომ ის გაჩუქოთ. სულ ეს არის.

გრძელ-გრძელ საღამოებს ვიღებდი საჩუქრად, რომელთაც ბოლო არ უჩანდა. იქ, ჩრდილოეთში, ივნისში ხომ გაცილებით გრძელი დღეებია, ვიდრე პოლონეთში. დღის შუქზე ვწვებოდი. მერე ვდგებოდი, რომ აფორიაქებულს საათისთვის დამეხედა, გამკვირვებოდა და ძილი ისევ შემებრუნებინა.

სააბაზანოს სასოწარკვეთამდე მივყავდი. ჩემთვის გაუგებარი მიზეზით ცალ-ცალკე დამონტაჟებულმა ცხელი და ცივი წყლის ონკანებმა ბოლო მომიღო. თავის ყოველი დაბანა აბაზანის მიღებას ნიშნავდა. აბაზანაში წოლისას შპალერის ერთ-ფეროვან მოტივს ვაკვირდებოდი, რომელსაც მედიტაციურ მდგომარეობაში გადავყავდი.

საკუთარ თავთან ჭამიდან ჭამამდე შუალედებში ვრჩებოდი, როცა საკეთებელი ბევრი არაფერი იყო, არც მოულოდნელი ხდებოდა რამე, არც ტელეფონები რეკავდნენ და არც წერილები მირლვევდნენ ამ უცნაურ კონტემპლაციურ წონასწორობას. ყველაფერი თანმიმდევრობით და უმოწყალო სიზუსტით ხდებოდა. საშაქრეში შაქარი არ გამოლეულა, მარილი არ დაბნეულა და არც ღვინო დაქცეულა. მთელი სახლი მუსიკალური ზარდახშასავით მომართულ, ძველებურ დახვეწილ მექანიზმად ქცეულიყო. გაბმული სიჯიუტით უკრავდა დილიდან საღამომდე და მუდამ ერთსა და იმავე ადგილას, ცხელი და ცივი წყლის ონკანებთან იჭედებოდა მანამდე, სანამ ეს უმნიშვნელო ნაკლიც ერთიანი წესრიგის ნაწილად არ აღვიქვი. საათებს ერთი და იგივე სიგრძე ჰქონდათ, წუთებს ერთი და იგივე ზომა. განა გასაკვირი იყო, ნებისმიერი სიახლე მანძილისგან დაბლაგვებული, გახუნებული და იერდაკარგული სახით რომ აღწევდა აქამდე და მხოლოდ ექოღა ეთქმოდა იმ შორეული სამყაროსი, რომლის არსებობაშიც ეჭვი გეპარებოდა? სახლები აქ ბუნებრივად ძველდებოდა, ნივთებიც თითქოს თავისით გროვდებოდა სხვენში და

მტვრის მზარდი ფენის ქვეშ თვლემას ეძლეოდნენ. ვიქტორიანული ავეჯი ღირსეულად უძლებდა დრო-ჟამს, არც შუა საუკუნეებიდან შემორჩენილ სკივრებს უკვირდათ თავიანთი არსებობა. შოტლანდია ღვთის სახელოსნოში შექმნილ უნაკლო ნივთს ჰგავდა.

სადილს უხმაუროდ, დაფიქრებული შევექცეოდით. მარტო ძველებური დანა-ჩანგლის წკრიალი ისმოდა. ფრთხილ კითხვებს მირჩევდა, თითქოს კბილს მისინჯავდა, ფაქიზად ხსნიდა განდობისთვის საჭირო სივრცეს. არასოდეს პირდაპირ. არასოდეს ძალით. მომწონდა მისი ეს თვისება. ალბათ, ასე აღზარდეს ან ყბადაღებული ბრიტანული თავდაჭერილობა სწორედ ამაში გამოიხატებოდა – მეორე ადამიანისთვის საარსებო სივრცის, პიროვნებად შედგომის, საკუთარი თავისა და იმის ნაბიჯ-ნაბიჯ შეცნობის საშუალების მიცემაში, თუ რამდენად მყიფე არსებასთან გაქვს საქმე. ამიტომ, გაკვირვებულმა იმით, რომ ეს თავადაც შევძელი, მეც ფრთხილად ვუვლიდი გარს. როდესაც რაიმე მქონდა შესაკითხი, კითხვას ჯერ ინგლისურად ვთარგმნიდი გონებაში, რის გამოც ის საგრძნობლად შორდებოდა პოლონურ ორიგინალს. კითხვის ინგლისურად თარგმნა ჭოგრიტში უკულმა გახედვას ჰგავდა, როდესაც ის, რაც გინდა, რომ ახლოდან დაინახო, უფრო გშორდება. ალბათ, ამიტომ იყო, რომ მსიამოვნებდა ეს საუბარი. წინადადების well-ით დაწყება, რომელიც ყველაფერს, რასაც წარმოთქვამ, წარმოსახვითი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს და ნებისმიერ ჩანაფიქრს შეფარდებითს ხდის. well-ში ნებისმიერი რევოლუციური წამოწყება ჩანასახშივე იღუპება და ნებისმიერი მანიფესტის მონახაზი ჰაერშივე კარგავს ფორმას.

ხანდახან ვგრძნობდი, რომ სხეულს ვეღარ ვიმორჩილებდი. ვიმანჭებოდი, ხელებს ვიქნევდი.

– შენს სახეზე ბევრი რამის ამოკითხვა შეიძლება, მითხრა ერთხელ და ფინჯანი დინჯად მიიტანა პირთან.

ნათქვამი კომპლიმენტად არ ჩამითვლია, მაგრამ პირველად ვიგრძენი მისგან ოდნავი სიმპათია. თუმცა ამას რომ მეუბნებოდა, არაფრისმთქმელი გამომეტყველება ჰქონდა.

პოლონეთზე მეკითხებოდა. ერთხელ, სალონში ყავის ცერემონიული სმის დროს, რუკაზე ვაჩვენე სადაც ვცხოვრობდი. რეგიონის ისტორიას რომ ვუყვებოდი, მოჩვენებითი ინტერესით მისმენდა. მაღლა აწეული წარბები. მშვიდად გამეორებული yes, yes. უცბად მივხვდი, რომ ამას მისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. იმ საღამოს შედარებით ადრე წავიდა დასაძინებლად. დღეს ძალიან დავიღალეო.

სანამ ჩემი ნაცნობი ნივთებით სავსე ბარგი ჩამომივიდოდა, თავისი ბიბლიოთეკა მაჩვენა. სახლიდან მოშორებით იდგა. 1965 წელს გამოცემული ენციკლოპედია ბრიტანიკა და მსოფლიო პროზის ულამაზესი, მწვანე ტყავისყდიანი კოლექცია, სახელოვნებო ალბომები, აუქციონების კატალოგები, ლექსიკონები, ალალბედზე შერჩეული რამდენიმე ფილოსოფიური წიგნი, მსოფლიო ისტორია, მითოლოგია. ჩემი წიგნების დაბრუნებამდე აქ ვიჯექი ხოლმე კიბეზე და მარცხნიდან მარჯვნივ ვფურცლავდი, რაც ხელში მომხვდებოდა. ჩემდა გასაკვირად, პოლონურ თემატიკაზე წიგნების მთელ თაროს წავაწყდი და საინტერესო რამეებიც აღმოვაჩინე. მაგალითად: „Poland is a country which has popped up on the map of Europe from time to time though never quite in the same place twice". 1958 წელს გამოცემული სქელტანიანი მითოლოგია გრეივსის შესავლით, ინგლისური თავდაჯერებულობით ამტკიცებდა „Silesia, Germany". ვერც მაშინ დავუჯერე თვალებს, როცა ერთ-ერთ ამერიკულ ჟურნალში ამოვიკითხე – „Polish concentration camps". იმ საღამოს დასახლების ტელეფონის ჯიხუ-

რიდან სახლში დავრეკე, რომ გადამემოწმებინა, კიდევ თუ არსებობდა ასეთი რამ.

ჩამოსვლიდან ერთი კვირის შემდეგ პირველად წავედი მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ადგილობრივი ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად. საქალაქთაშორისო სართულებიან ავტობუსს სულ რაღაც ოციოდე წუთი დასჭირდა როსლინში ჩასასვლელად. ჩემს ტურისტულ გზამკვლევში ეს ქალაქი თავისი მომხიბვლელი სამლოცველოს გამო შეეტანათ. სამლოცველოს კედლებზე კოლუმბამდე დაახლოებით ასი წლით ადრე ის მცენარეებია ამოკვეთილი, რომლებიც ამერიკაში იზრდება, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ შოტლანდიელებს ახალი კონტინენტის შესახებ მასზე ადრე სცოდნიათ. ეს ამბავი მე ნაკლებად მაღელვებდა. საერთოდაც, ისტორიას დიდ მნიშვნელობას არასოდეს ვანიჭებდი. იქ მხოლოდ იმიტომ წავედი, რომ ცოტა ხნის წინ სადღაც ამოვიკითხე, ამ სამლოცველოში წმინდა გრაალია დამალულიო. რატომაც არა. შეიძლება ასეც ყოფილიყო, თუკი ის ოდესმე მართლა არსებობდა. ჩემს პატარა ოთახში მარტო რომ დავრჩი, უცნაურმა გრძნობამ შემიპყრო. უეცრად გამახსენდა, წინა საღამოს ჩემმა დიასახლისმა რომ მითხრა, ის კვლევითი ინსტიტუტი, სადაც ცხვარი დოლის კლონირება მოხდა, როსლინშიაო, რაც მოულოდნელ აფეთქებას ჰგავდა, ცხვარი, ვერძი, ქრისტე, ქრისტეს სისხლი, ქრისტეს სხეული, გენები, ქრომოსომები, უკვდავება. ნუთუ უნებლიეთ სამყაროს ცენტრში აღმოვჩნდი, საიდუმლოებების ცენტრში? პატარა, წვიმიანი შოტლანდიური იერუსალიმი. სამყაროს პერიფერიული ცენტრი. ყველაზე ნაკლებად მოსალოდნელ ადგილას გადამალული განძი. სამყაროს მაქმანებიანი, ძვირფასი ქვებით მოოჭვილი განაპირი. ავტობუსის ზედა პლატფორმაზე ვიჯექი და გლუვ და სიმე-

ტრიულ, მწვანე და ნოტიო მოსაწყენ დაბლობს გავყურებდი. სამლოცველომდე ბილეთი ორ ფუნტ-ნახევარი ღირდა.

მერე რომელიღაცა სასტუმროს პაბში დავჯექი და მოზრდილი გინესი შევუკვეთე. სამლოცველო მართლაც ულამაზესი აღმოჩნდა. ტურისტების ერთ ჯგუფს შევერიე, რომელიც შოტლანდიურ ქვედაბოლოში გამოწყობილ გიდს დაჰყვებოდა და აღფრთოვანებულ მზერას დინჯად დაატარებდა თაღებზე. მაგრამ გრაალი იქ არ ყოფილა. ასეც ვიცოდი. იქ რომ ყოფილიყო, აუცილებლად ვიგრძნობდი. ცხვარი დოლიც ერთ-ერთი მორიგი სამეცნიერო ექსპერიმენტია და მეტი არაფერი. არც მისი ზვარაკად შეწირული სხეული ნიშნავს რამეს. უკვდავების ციცქნა, უმნიშვნელო იმედი. ძლიერი და მწარე ლუდი თავში ამივარდა. შინ რომ ვბრუნდებოდი, წვიმდა.

გაღიზიანებულმა და გაბოროტებულმა სადილზე ის წიგნი ნავიღე, სადაც პოლონეთი იყო ნახსენები.

– „Poland is a country..." – დავიწყე კითხვა.

ჩემმა დიასახლისმა დანა-ჩანგალი გვერდზე გადადო და მოსასმენად მოემზადა.

– დიახ, ასეა, – ვუთხარი, – ღამის მცენარეებივით ვიზრდებით, წელიწადში მხოლოდ ერთი ღამით, იოანე ნათლისმცემლის ღამეს ვყვავილობთ. ჩვენი თესლი მდინარეების დინებას მიჰყვება და ამ გზით ვრცელდება მსოფლიოში. მოკლე ხნით აღმოვცენდებით ხოლმე და, ისიც ომების, აჯანყებებისა და სხვა ისტორიული კატაკლიზმების დროს. ყოველ დილით ენას ტანსაცმელივით ვიცვლით. იშვიათი ნაბიჭვრები ვართ, ბორბლებიან სახლებში ვცხოვრობთ, ჩვენს პასპორტებში ვერც გაარჩევ, რა წერია. აჰ, არა, კირილიცას წაკითხვა არ გვიჭირს. ის კი არა, პაპიც კი მოძრავი გვყავს, აღმა-დაღმა დადის და დამოგზაურობს მოუსვენარი, თეთრად შემოსილი კაცი. ჩვენ არ ვიზრდებით, ჩაროზს სადი-

ლის წინ გეახლებით. ნამდვილად იდუმალი ხალხი ვართ. ხან გამოვჩნდებით, ხან ვქრებით. იქნებ ეს კლიმატის, ან სულაც უკიდეგანო ტაფობების ბრალია. ჩვენი პატარა მცენარეული ცივილიზაცია მომავალი არქეოლოგებისდა სავალალოდ, მხოლოდ უმნიშვნელო, ინფანტილურ კვალს ტოვებს: დოლებს, თუთიის დამტვრეულ ჯარისკაცებს, სულ რაღაც ორიოდე სიტყვას და, იმასაც რთულად გამოსათქმელს.

მერე მდუმარედ შევექცეოდით haggi-ს. მარგარეტმა კიდევ ერთი ბოთლი ღვინის გახსნა მთხოვა. ჭიქები მივუჭახუნეთ. ყავის დალევის დროს სადღაც გაუჩინარდა. უკან დაბრუნებულს ხელში ჩარჩოში ჩასმული ახალგაზრდა კაცის ფოტო ეჭირა. თითქმის ბიჭი იყო, RAF-ის მუნდირით. პირღიმილიანი, ქერა თმით, ცელქად აპრეხილი ულვაშით. ღია ფერის თვალები პირდაპირ ობიექტივში იყურებოდნენ. ეშმაკურად, ოდნავ დამცინავად. უკან ძნელად გასარჩევი ბრტყელი ლანდშაფტი მოჩანდა.

– ტადეუშ პონიატოვსკი ერქვა.

სახელი ნელა, გამართულად, უშეცდომოდ წარმოთქვა. პოლონეთში ცნობილი გვარია-მეთქი, ვუთხარი. სურათი მაგიდაზე დადო, ჩვენ კი ყავის ფინჯნებით ხელში ელექტროლუმელთან გადავინაცვლეთ (მებაღემ ფეხი მოიტეხა). ვცდილობდი, გონებაში რაიმე დელიკატური კითხვა ჩამომეყალიბებინა, კიდევ ერთი კითხვა, რომელიც სიტუაციას ისე მოერგებოდა, როგორც პაზლს ბოლო დეტალი – რბილად, ბუნებრივად; რომელიც სიცარიელეს შეავსებდა, მაგრამ სინამდვილეში არაფერს შეგეკითხებოდა და არც არაფერს დააჩქარებდა. პირველად მან დაარღვია დუმილი. ომის მიწურულს დაიღუპაო, მაგრამ არ იცოდა, სად დაიღუპა. მე ჩუმად ვიჯექი.

– მიყვარდა, – თქვა და ყავის ფინჯანი ოდნავ ხმაურიანად, მოხდენილად დადგა ლამბაქზე.

გაოცებულმა შევხედე. ალბათ, ახლაც მრავლისმეტყველი სახე მქონდა. თბილად მიღიმოდა.

ბანალური სასიყვარულო თავგადასავალი იყო, თუ შეიძლება რომ სასიყვარულო თავგადასავალს ბანალური ერქვას. ორივე ხაკისფერ მუნდირში. სურსათი მკაცრად განსაზღვრული იჯრებით. ღამღამობით მიწის პირიდან გამქრალი, ჩაბნელებული დიდი ქალაქები.

– ასე მეგონა, მის გარეშე ერთ დღესაც ვერ ვიცოცხლებდი, – ისეთივე აქცენტი ჰქონდა, როგორიც შენ გაქვს. – და დაასრულა.

თურმე რატომ ვიყავი აქ. თურმე იმიტომ, რომ ტადეუშ პონიატოვსკისთან, სადღაც ჰამბურგის ზეცაში დაღუპულ მფრინავთან, რაღაც მქონია საერთო.

დილით ისევ ვწერდი. ამჯერად დუნედ, უხალისოდ. კომპიუტერის ეკრანი დიდხანს და მოთმინებით ელოდა ყოველ მომდევნო წინადადებას. თვალის დახამხამებაში ითვისებდა ყველა შეცდომას და კორექტურას. მოციმციმე კურსორის მეშვეობით თავაზიანად მომიწოდებდა სიჩქარისკენ. შეუმჩნევლად გადავინაცვლე წარსულში. ვწერდი ჩემ შესახებ, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი თვისებებისა და პირადობის მოწმობის, პასუხისმგებლობის, გეგმების, ჩვევებისა და დაფიქრებების გარეშე; ვწერდი ჩემს თავზე, რომელიც ბუნდოვან გამოსახულებებში ჩაკარგულიყო. პატარა გოგონას ცნობიერება, რომელსაც ჯერ მხოლოდ გრძნობის ორგანოები აქვს, აბურდულ-დაბურდულია, ის მხოლოდ იმას ხედავს, რისი დანახვაც უნდა. სამყარო წყლის წვეთია, მოვლენებს არც ფაბულა გააჩნია და არც მიზეზი, ისინი ან სულ შემთხვევით ხდება, ან რაღაც იდუმალი კავშირების წყალობით. კომპიუტერი ყველაფერს უსიტყვოდ ითვისებდა. მისი მორჩილება სითამამეს მმატებდა. სამაგიეროდ მე ვორჭოფობდი – ვის ვაინტერესებ,

რატომ გადავწყვიტე ჩემს უღიმღამო, უმნიშვნელო წარსულზე წერა. განა ქვეყანაზე დაილია უფრო მნიშვნელოვანი, აღწერისა და ყურადღების ღირსი მოვლენები? განა სულ ასე არ არის, რომ სხვები ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანნი არიან? განა საუზმეზე წაკითხული გაზეთიც იმავეს არ გვეუბნება დაუფარავად და საყოველთაოდ აღიარებულ ღირებულებათა იერარქიაზე მიგვითითებს? რა ღირებულება აქვს ისტორიისთვის შეუმჩნევლად ჩავლილ ოცდაათიოდე წლის წინანდელ ერთ საღამოს, რომელიც ჩემი მეხსიერების გარდა არსად არ აღწერილა, არ ჩანიშნულა და არ დამახსოვრებულა?

ლანჩის კალათში კრემისფერი კონვერტი დამხვდა, კონვერტში – დიასახლისის ბარათი. ნაშუადღევს ჩემთვის რაღაცის ჩვენება უნდოდა. სამ საათზე სასადილო ოთახში მელოდებოდა. რა ბრიტანულია-მეთქი ეს ყველაფერი, გავიფიქრე.

მეორე სართულზე ერთ დაკეტილ ოთახში შემიძღვა. კუთხის საძინებელი იყო, ბავშვის. საწოლზე მაქმანებიანი გადასაფარებელი ეფარა. ოთახი ბამბუკის მსუბუქი, კოლონიალური სტილის ეგზოტიკური ავეჯით იყო გაწყობილი.

ბამბუკის სკამებზე ჩამომსხდარი ფაიფურის თოჯინები გაოცებული სახეებით იცქირებოდნენ. საწოლზე – ორი დათვი. ალერსისგან ბეწვგაქუცული მელანქოლიური არსება. მაგრამ მას ჩემთვის სულ სხვა რამის, თოჯინების დიდი სახლის ჩვენება უნდოდა. სახურავიც ჰქონდა და საკვამურებიც, ათზე მეტი ფანჯარა და ორი კარი. ფრონტალური კედელი თეატრის ფარდასავით ფრთხილად გადახსნა და სახლის შიგთავსი გამოაჩინა.

ჩვენ თვალწინ ოთხი სართული გადაიშალა. სულ დაბლა ძველებურ სტილში მოწყობილი სამზარეულო და საკუჭნაო იყო განთავსებული – ხორცისა და ბოსტნეულის გასარეცხი

ორგანყოფილებიანი ნიჟარით, ფაიფურის ჭურჭლით სავსე კარადით, სადაც ჩაროზის მისართმევი ფრჩხილისოდენა პაწია თეფშები ეწყო. კედლებზე ტარიანი ქვაბები და ტაფები ეკიდა. ხის მაგიდა ხმარებისგან გადაღლილს ჰგავდა. არარსებული ნაგვის ხვეტაში გაქვავებული ცოცხი აქანდაზს დაყრდნობოდა. ცოცხთან ორი მოცუცქნული თაგვი იჯდა. მღრღნელებს აუმღვრეველი სიმშვიდით მისჩერებოდა შავი კატა.

– ცვილის ფიგურებია, – ჩაილაპარაკა.

საკუჭნაოში კავებზეც ცვილის ხორცი, ლორი და გამოშიგნული კურდღლები ეკიდა. თაროებზე ამაყად ჩამწკრივებულიყვნენ თავდაცობილი ღვინის ბოთლები. ოდნავ მოშორებით ფხვიერი ნამცხვრის თუნუქის კოლოფები ეწყო. თვალს ახარებდა ნივრის გალები, ბოსტნეულით სავსე კალათები, კომბოსტოს თავები, მურაბითა თუ თაფლით სავსე ქილები.

საკუჭნაოს თავზე სასტუმრო ოთახი იყო. კედლებზე ნაზი ორნამენტებით დამშვენებული აბრეშუმის მოვარდისფრო შპალერი გაეკრათ. ოთახში მდგარ კომოდებზე ჩარჩოებში ჩასმული საოჯახო ფოტოები გამოეფინათ. ერთმანეთისგან მოშორებით იდგა ორი მაგიდა. შედარებით დიდი და მოჩუქურთმებული მაგიდის გარშემო უწესრიგოდ შემოემწკრივებინათ სკამები. პიანინოს, ან იქნებ კლავესინის, თავსახური ახდილი დაეტოვებინათ, თითქოს საღამოს კონცერტი წუთის წინ დასრულებულიყო და იქ მყოფნი ვახშმის წინ ბაღში სასეირნოდ გაკრეფილიყვნენ. კედელზე ჩამოკიდებული ნახატები რამდენიმე შტრიხით ვრცელ ლანდშაფტებს ბაძავდნენ. მომცრო მაგიდაზე, რომელიც ბუხართან ახლოს მიედგათ, გაზეთები დაეწყოთ. თუ მზერას ოდნავ დაძაბავდით, მათი სახელიც იკითხებოდა – Daily Mail. არც გადაშლილი ფოტოალბომის შემჩნევა იყო ძნელი, რომელიც ნამდვილს ისე ჰგავდა, რომ სურვილი გაგიჩნდებოდათ, ორი თითით აგე-

ღოთ და გამადიდებელი შუშით ფოტოებზე აღბეჭდილ ადამიანთა სახეებისთვის შეგევლოთ თვალი. ალბომის გვერდით ღია ბარათებსა და მაკრატელსაც დაინახავდით. სასტუმრო ოთახიდან ადიოდა კიბე, რომელსაც მომდევნო სართულზე განლაგებული ორი საძინებლისკენ მიჰყავდით. პირველში, პატარა და ბნელი რომელიც იყო, ვიწრო საწოლი, ტანსაცმლის კარადა და სატუალეტო მაგიდა დაედგათ. მეორე ოთახში, მდიდრულ, ბალდახინიან საწოლთან ამ მუყაოს სამფლობელოს დიასახლისი იდგა – გახუნებულ მაქმანებიან კაბაში გამოწყობილი ცვილის თოჯინა, რომელსაც ღია ფერის გაშლილ თმაში ვარდისფერი ბაფთა ჰქონდა ჩაბნეული. მის მრგვალ, ხშირი წარბებით გამოკვეთილ მიტკლისფერ სახეს თითქოს ფიქრი შეყინვოდა. შევეცადე ჩავწვდომოდი, რა შეიძლება ყოფილიყო ამ ჩემთვის კარგად ნაცნობი სახის მქონე თოჯინის ფიქრის საგანი, მაგრამ გამიჭირდა გამოცნობა. თოჯინის ფეხებთან ცისფერი ქოლგა ეგდო, პლუშის დივანზე უნესრიგოდ ეყარა რამდენიმე შლაპა. ვერცხლის ქაღალდის სარკის წინ, სატუალეტო მაგიდაზე, პაწაწინა ბოთლები და ქილები ეწყო.

საძინებლების ზევით, მუყაოს სახლის დამრეცი სახურავის ქვეშ, ბავშვის ოთახი და შლაპების ყუთებით, დაზიანებული ავეჯითა და სკივრებით გამოტენილი სხვენი იყო. ბავშვის ოთახში სარწეველა ცხენის გვერდით მინიატურული თოჯინების სახლი იდგა – იმიტაციის იმიტაცია ნამცეცა შიგთავსით, რომლის აღქმა თითქმის შეუძლებელი იყო. ჩემმა დიასახლისმა თოჯინა ფრთხილად დასვა საწოლზე. ჩვენი აქ ყოფნის განმავლობაში ეს მისი ერთადერთი მოძრაობა იყო.

– სამი ქმარი ჰყავდა, – თქვა თოჯინაზე. – პირველის გაუჩინარების შემდეგ მეორედ გათხოვდა. ამ მეორემ ფეხი დაკარგა და მებაღედ აიყვანა. მესამე ქმარმა ცუდი გზა აირჩია – გალოთდა და სასმელს გადაჰყვა.

ეს ამბავი დამავჯერებლად მხოლოდ იმიტომ მეჩვენა, რომ თავად სჯეროდა ამისი.

– როცა გინდა, მოდი ხოლმე აქ, – მითხრა ბოლოს.

ვერ გავბედე. საწოლზე ვიწექი და მეხსიერებაში სამყაროს მუყაოს იმიტაციის თითოეული დეტალის აღდგენას ვცდილობდი. ჩემს წარმოსახვაში ვთამაშობდი. ის ორი თაგვი კატას გაექცა და სამზარეულოს კარადის ქვეშ შეძვრა.

საღამოს სააბაზანოში ტანზე რომ ვიხდიდი, სარკეში საკუთარ შიშველ სხეულს შევავლე თვალი. მკერდის დანახვაზე წამით შევცბი. არც ისე დიდი ხნის წინ მე იქ პატარა, გამხდარი გოგონას ბრტყელ ტანს ვხედავდი. მერე კი, კომპიუტერის ეკრანის მკრთალ შუქზე დიდხანს ვითვალიერებდი ხელის მტევნებს.

ივნისის ბოლოს, რამდენიმე დღეს, მზემ გამოანათა, თუმცა ქარიც ქროდა. წერა აღარ მინდოდა. ტერასაზე ვიჯექი, მზეს ვეფიცხებოდი და ჭოგრიტით ფრინველებსა და მშიშარა გარეულ კურდღლებს ვაკვირდებოდი. რამდენჯერმე მასაც მოვკარი თვალი. პარკის ბილიკებზე რკინის ჯოხით მოზრდილ ლითონის რგოლს მიაგორებდა. თავზე ნიკაპქვეშ რბილი ბაფთებით შეკრული ცისფერი შლაპა ეხურა.

ღამეები პირობითი, არამდგრადი და აქროლადი გახდა. დაისს მაშინვე აისი ენაცვლებოდა. დასავლეთით გაჩენილი მოვარდისფრო ციალი აღარ ქრებოდა. ორიენტაცია დავკარგე. ვეღარ გამეგო, ცის რომელ მხარეს იყო აღმოსავლეთი და რომელ მხარეს დასავლეთი.

ყველაზე მახინჯი ქალი

მან მსოფლიოში ყველაზე მახინჯი ქალი შეირთო ცოლად, რომლის სანახავადაც საგანგებოდ ჩავიდა ვენაში. არანაირი წინასწარი განზრახვა არ ჰქონია. მანამდე აზრადაც არ მოსვლია, რომ ცოლად მოიყვანდა, მაგრამ როგორც კი პირველად დაინახა და მისი დანახვით გამოწვეულმა პირველმა ელდამ გაუარა, მას შემდეგ თვალი აღარ მოუშორებია. ქალს უზარმაზარ თავზე კოპები ასხდა. ვიწრო, დაღარულ შუბლს ქვემოთ პატარა ნახვრეტებივით აჩნდა წვრილი, ყოველთვის სველი და დაწირპლიანებული თვალები. მიჭყლეტილი ცხვირის წვერზე უხეში ბეწვები ამოსვლოდა. ჩამოვარდნილი დიდი ლაშიდან მუდმივად დორბლი გადმოსდიოდა, პირიდან წვეტიანი კბილები მოუჩანდა და თითქოს ეს ყველაფერი საკმარისი არ იყო, მთელ სახეზე გრძელი, აბრეშუმივით რბილი და მეჩხერი ბალანი მოსდებოდა.

პირველად ქალი მოხეტიალე ცირკის არენაზე დაინახა, როდესაც ის ფირფიცრის დეკორაციის უკნიდან გამოვიდა და მაყურებლის წინაშე წარდგა. გაოცებისა და ზიზღის შეძახილებმა ექოდ გადაირბინა მაყურებლების თავზე და მახინჯი ქალის ფეხებთან დაეცა. ქალმა, ალბათ, გაღიმება სცადა ამ დროს, სინამდვილეში კი საცოდავად დაეღმიჭა სახე. გაქვავებულივით იდგა და სახლების სახურავებისთვის გაეშ-

ტერებინა მზერა. იცოდა, რომ ათეულობით ადამიანის თვალი ხარბად აკვირდებოდა და მისი გარეგნობის უმნიშვნელო დეტალებსაც იმახსოვრებდა, რათა მერე ნაცნობებისთვის, მეზობლებისთვის ან შვილებისთვის მოეყოლათ, მათ კი სარკეში ჩახედვისას საკუთარი სახისთვის შეედარებინათ მისი სახე.

მაყურებელი რამდენიმე წუთით გაირინდა და გაოგნებული სახით შეჰყურებდა ქალს. მერე ვიღაცამ დაიძახა:

– რაღას უდგახარ, მიდი, გვითხარი რამე!

ქალმა იქით გაიხედა, საიდანაც ხმა მოისმა. ამ სიტყვების მთქმელს ეძებდა. მაგრამ უცებ ფირფიცრის უკან მდებარე კულისებიდან ჩაკურატებული კონფერანსიე გამოვარდა და მსოფლიოში ყველაზე მახინჯი ქალის მაგივრად თქვა:

– მას ლაპარაკი არ შეუძლია!

– მაშინ შენ გვითხარი მისი ამბავი, – თქვა ისევ იმავე ხმამ. კონფერანსიემ ჩაახველა და მოყოლა დაიწყო.

გარკვეული დროის გასვლის შემდეგ კაცმა, უკვე ცირკის ცნობილმა იმპრესარიომ, რომელიც ცირკის ფურგონში თუნუქის ღუმელს მიფიცხებული მახინჯ ქალთან ერთად ჩაის სვამდა, გაიფიქრა, რომ ეს ქალი სულაც არ იყო ბრიყვი. მთელი საღამო დაჟინებით მისჩერებოდა და თან თავს ებრძოდა, რომ ბუნების ამ შეცდომას მეტისმეტად არ მიეზიდა. ქალი მიუხვდა ფიქრს და უთხრა:

– თქვენ, ალბათ, მოელოდით, რომ ჩემი სიტყვებიც ისეთივე უცნაური და ამაზრზენი იქნებოდა, როგორიც ჩემი სახე, არა?

კაცი გაჩუმდა.

ქალი რუსული წესით სვამდა ჩაის, სამოვრიდან უყურო ფიალებში ასხამდა და ყოველი ყლუპის წინ შაქარყინულს კვნეტდა.

კაცმა მალე ისიც აღმოაჩინა, რომ ქალი რამდენიმე ენაზე ლაპარაკობდა, თუმცა სრულყოფილად არცერთს არ ფლობდა. ხშირად გადადიოდა ერთი ენიდან მეორეზე, რაც გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო, რადგან ბავშვობიდან მოხეტიალე ცირკში იზრდებოდა, სხვადასხვა ეროვნების ყოვლად უცნაურ არსებათა წრეში. ერთ ადგილას ზედიზედ ორჯერაც კი არ ყოფილა.

– ვიცი, რაზეც ფიქრობთ, – კიდევ ერთხელ თქვა ქალმა და კაცს თავისი ცხოველური, წვრილი და შეშუპებული თვალები მიაპყრო.

მერე გაჩუმდა და ცოტა ხანში დასძინა:

– მას, ვისაც მშობლები არ ჰყოლია, მშობლიური ენაც ვერ ექნება. მე ბევრ ენაზე შემიძლია ლაპარაკი, მაგრამ მათგან მშობლიური არცერთი არ არის.

ქალი გამართულად, ლოგიკურად ლაპარაკობდა, რაც სრულიად მოულოდნელი იყო. კაცი უეცრად გაღიზიანდა, ხმის ამოღება გაუჭირდა და წასვლა გადაწყვიტა.

დამშვიდობების წინ ქალმა, მისდა გასაკვირად, საოცრად გრაციოზულად, ნამდვილი ქალბატონივით გაუწოდა ხელი. საკმაოდ ლამაზი ხელის მტევანი ჰქონდა. კაცი ხელზე საკოცნელად კი დაიხარა, მაგრამ ტუჩები არ შეუხია.

სასტუმროს ნესტიან, ჩახუთულ ოთახში წამოწოლილი, სიბნელეს მიშტერებოდა და მახინჯ ქალზე ფიქრობდა. სიბნელე წარმოსახვის უნარს უძლიერებდა. იწვა და ფიქრობდა, როგორი განცდები შეიძლებოდა ჰქონოდა ასეთ ქალს, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო მისი ღორივით წვრილი თვალებიდან დანახული სამყარო, როგორ სუნთქავდა ის თავისი ფორმადაკარგული ცხვირით, ჰქონდა თუ არა საერთოდ ყნოსვის უნარი, ან რას გრძნობდა ყოველდღე საკუთარ სხეულთან

შეხებისას, დაბანისას, ფხანისას და სხვა ჩვეულებრივი, ყოველდღიური ქცევების დროს.

სიბრალულით არცერთხელ არ შებრალებია. რომ შეჰბრალებოდა, მის ცოლად მოყვანასაც არ გადაწყვეტდა.

მოგვიანებით ზოგიერთები ამის შესახებ ისე ჰყვებოდნენ, როგორც უიღბლო სიყვარულის ამბავს ჰყვებიან ხოლმე: რომ კაცი გულით იხედებოდა და მას ქალის მახინჯ სხეულში გამომწყვდეული კეთილი ანგელოზი შეუყვარდა. არადა, არაფერი მსგავსი არ მომხდარა. პირველი შეხვედრის შემდეგ ქალისგან წამოსულმა, იმ ღამით უბრალოდ წარმოიდგინა, როგორი უნდა ყოფილიყო ასეთ არსებასთან დაწოლა, მისი კოცნა, მისთვის ტანსაცმლის გახდა.

კაცი კიდევ რამდენიმე კვირის განმავლობაში უტრიალებდა მოხეტიალე ცირკს. ამასობაში დირექტორის ნდობაც მოიპოვა – ბრნოში კონტრაქტი გააფორმებინა და შეხვედრაზეც მივიდა. ამის შემდეგ დასში უკვე შინაურად თვლიდნენ. ჯერ ბილეთების გაყიდვა გადაიბარა, მერე ჩაკურატებული კონფერანსიე შეცვალა და, სიმართლე ითქვას, მასზე უკეთესადაც უძღვებოდა ამ საქმეს. უნიჭოდ მოხატული ფარდის გახსნამდე მაყურებელს პირდაპირ მოლოდინის ცეცხლს უკიდებდა.

– თვალები დახუჭეთ! – გაჰყვიროდა. – ყველამ თვალები დახუჭეთ, განსაკუთრებით ქალებმა და ბავშვებმა, რადგან ადამიანის თვალს უჭირს ამ არსების სიმახინჯის გაძლება. ყველა, ვინც ახლა ბუნების ამ ჭირვეულობას იხილავს, მშვიდად ველარასდროს დაიძინებს. მისი ნახვის შემდეგ ვინმემ შეიძლება უფლის ნდობაც კი დაკარგოს სამუდამოდ...

მერე მოულოდნელად ხმას დაუწევდა, რომ მსმენელს ჰგონებოდა, წინადადება არ დაუსრულებიაო. ამ დროს კი, საქმე ის იყო, რომ უბრალოდ, აღარ იცოდა ნათქვამისთვის

კიდევ რა დაემატებინა. სამაგიეროდ კარგად იცოდა, რომ „უფლის“ ხსენება ყველაფერს ნათელს მოჰფენდა. თუმცა სინამდვილეში ფიქრობდა, რომ იმავე უფალმა, რომლის მიმართაც დანარჩენებს ნდობა უნდა დაეკარგათ, ის სხვებისგან გამოარჩია და ასეთი იშვიათი შესაძლებლობა უბოძა. მსოფლიოში ყველაზე მახინჯი ქალი. სანამ ბრიყვები ყველაზე ლამაზი ქალებისთვის ერთმანეთს დუელში ხოცავდნენ, სანამ იდიოტები ქალების ჭირვეულობის გამო ქონებას ფლანგავდნენ, ყველაზე მახინჯი ქალი, სევდიანი, მოთვინიერებული ცხოველივით იქით ცდილობდა მასთან დაახლოებას და ყველაფერთან ერთად ფულის შოვნის საშუალებასაც აძლევდა. მას თუ ცოლად შეირთავდა, თვითონაც გამორჩეულ, განსხვავებულ ადამიანად წარმოჩნდებოდა. ექნებოდა ის, რაც სხვებს არა აქვთ.

ქალისთვის დროდადრო ყვავილებსაც ყიდულობდა, მაგრამ რამე განსაკუთრებულს კი არა, უბრალო, ვერცხლისფერ ცელოფანში გახვეულ და მდარე ქაღალდის ბაფთებით შეკრულ იაფფასიან თაიგულებს. კრეტონის ყელსახვევიც უჩუქებია, პრიალა ლენტიც და შოკოლადის კანფეტებიც. მერე კი იდგა და ჰიპნოზში მყოფივით უყურებდა, როგორ იკრავდა შუბლს იმ ლენტით, რაც მაყურებელს აღფრთოვანების ნაცვლად შოკში აგდებდა. უყურებდა, როგორ ჭყლეტდა შოკოლადს თავისი დიდრონი, გაჯირჯვებული ენით და მეჩხერი კბილებიდან გაჯაგრულ ნიკაპზე როგორ გადმოსდიოდა ყავისფერი ნერწყვი.

ქალის ყურება ყველაზე უფრო მაშინ მოსწონდა, როცა მანაც იცოდა, რომ უყურებდნენ. კაცი დილიდან სადღაც გაქრებოდა ხოლმე და ცირკის კარავს ან ფურგონს ამოეფარებოდა. მიდიოდა, რომ სადმე დამალულიყო და მერე ამ სამალავიდან, თუნდაც ეს ღობის ფიცრებს შორის დარჩენილი ჭუჭრუტანა

ყოფილიყო, საათობით ეცქირა მისთვის. ქალი მზეს ეფიცხებოდა და თან დიდხანს და ნელა, თითქოს ტრანსშიაო, თავის თხელ თმას ივარცხნიდა, წვრილ ნაწნავებად იწნავდა, მერე კი ისევ იშლიდა. ზოგჯერ ქსოვდა. მზეზე აელვარებული საქსოვი ჩხირები ხმაურითა და ჟრიამულით სავსე ცირკის ჰაერს ჩხვლეტდა. ზოგჯერ კი ხალვათი პერანგის ამარა, მხრებმოშიშვლებული, ვარცლში ტანსაცმელს ირეცხავდა. მხრები და დეკოლტე ღია ფერის ნაზ ბალანს დაეფარა და ცხოველივით რბილი და ფუმფულა ჩანდა.

კაცს სჭირდებოდა ეს თვალთვალი, რადგან ამ გზით ქალის მიმართ ზიზღი დღითი დღე უქრებოდა, თითქოს მზეზე ლღვებოდა, ზაფხულის ცხელ დღეს პატარა გუბესავით თვალსა და ხელს შუა ქრებოდა. მისი მზერა თანდათან ეჩვეოდა ქალის სახის აუტანელ ასიმეტრიას და დარღვეულ პროპორციებს და ზოგჯერ ის სრულიად ჩვეულებრივიც კი ეჩვენებოდა.

როცა ჩვეული ფორიაქი შეიპყრობდა, დასში იტყოდა, უნდა გავემგზავრო, გადაუდებელი საქმე გამომიჩნდა, მავანს და მავანს უნდა შევხვდე და ამ დროს რომელიმე სრულიად უცნობ, ან პირიქით, ძალიან ცნობილ გვარს დაასახელებდა, ხელშეკრულებებს ხელი უნდა მოვაწერო და მოლაპარაკებები გავმართოო. მერე დიდხანს აპრიალებდა თავის მაღალყელიან ფეხსაცმელს, საუკეთესო პერანგს ირეცხავდა და მიდიოდა. შორს არასოდეს ნასულა. იქვე, მეზობელ დაბაში ჩერდებოდა, ვინმეს საფულეს აწაპნიდა და სვამდა. მაგრამ ქალს ვერც ასე ეხსნებოდა. გამუდმებით მასზე ლაპარაკობდა, თითქოს ამ პატარა გაქცევების დროსაც კი არ შეეძლო მის გარეშე ცხოვრება.

სნორედაც რომ გასაკვირი იყო ეს ყველაფერი, რადგან მახინჯი ქალი ნამდვილ განძად ექცა. მისი სიმახინჯის საფა-

სურად ღვინის ყიდვა შეეძლო და უფრო მეტიც, ახალგაზრდა, ლამაზ ქალებს მისი სიმახინჯის აღწერით თავბრუს ახვევდა, ხოლო ისინი მაშინაც კი სთხოვდნენ მასზე მოეყოლა, როდესაც უკვე შიშვლები იწვნენ მის ქვეშ.

უკან დაბრუნებულს კიდევ ერთი ახალი ამბავი ჰქონდა შეთხზული იმაზე, თუ საიდან მოდიოდა ქალის განსაკუთრებული სიმახინჯე, თუმცა ისიც კარგად იცოდა, რომ ამქვეყნად აბსოლუტური სიმართლე არ არსებობს. თავიდან მახინჯ ქალს აიძულებდა ამ ამბის ზეპირად სწავლას და მაყურებლისთვის მოყოლას, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ქალს თხრობის ნიჭი არ ჰქონდა. უსიცოცხლოდ, მონოტონურად იწყებდა მოყოლას, მერე კი უცბად ქვითინი წასკდებოდა ხოლმე. ამიტომ გადაწყვიტა, ესეც თვითონ გაეკეთებინა: მოშორებით დადგებოდა, ხელს მისკენ გაიშვერდა და თხრობას იწყებდა:

– აი, ამ უბედური არსების დედა, რომელიც ახლა თქვენ წინ დგას და რომლის სიმახინჯეც თქვენი უცოდველი თვალებისთვის ძნელი შესახედია, შვარცვალდის განაპირას, რომელიღაც სოფელში ცხოვრობდა. ზაფხულის ერთ დღეს ტყეში კენკრის საკრეფად წასულ ქალს ცხოველურად შეუცნობელი და დაუოკებელი ჟინით შეპყრობილი ველური ტახი აედევნა, რომელმაც საბრალო ქალი მოიხელთა და დაეუფლა კიდეც.

ამ დროს შეძრწუნებულ მაყურებელს ყვირილი აღმოხდებოდა ხოლმე. ზოგიერთი ქალი კი ფეხზე წამოიჭრებოდა და თანმხლებ მამაკაცს, რომელსაც დარჩენა უნდოდა, სახელოზე ექაჩებოდა წასასვლელად.

კაცს მახინჯი ქალის თავგადასავლის რამდენიმე ვერსია ჰქონდა:

– ეს ქალი ერთ ღვთისგან დაწყევლილ ადგილას გაჩნდა. ის ბოროტი, სულმდაბალი ადამიანების შთამომავალია, რომელთაც ერთი სნეული მათხოვარი არ გაიკითხეს და ამის

გამო უფალმა მთელი სოფელი ამ საშინელი მემკვიდრეობითი სიმახინჯით დასაჯა.

ან ეს:

– აი, ეს გახლავთ ხვედრი მსუბუქი ყოფაქცევის ქალებისა. იხილეთ ნაყოფი ათაშანგისა, საშინელი დაავადებისა, რომელსაც გარყვნილებისთვის ხუთი თაობის განმავლობაში ასეთი განაჩენი გამოაქვს.

კაცი თავს სულაც არ გრძნობდა დამნაშავედ. ხომ შესაძლებელი იყო, რომ ყველა ვერსია მართალი ყოფილიყო?

– არ ვიცი, ვინ არიან ჩემი მშობლები, – დაჟინებით იმეორებდა მახინჯი ქალი. – რაც თავი მახსოვს, ასეთი ვარ. ჩვილობის ასაკიდან აღმოვჩნდი ცირკში. ოღონდ არავინ იცის, როგორ.

მათი თანამშრომლობის პირველი სეზონი რომ მიიწურა და მოხეტიალე ცირკი გამოსაზამთრებლად ვენაში დაბრუნდა, კაცმა მახინჯ ქალს ცოლობა სთხოვა. მახინჯს სახეზე ალმური მოედო, კანკალმა აიტანა და ჩაიჩურულა: „კარგი". მერე კი კაცს ნაზად მიაყრდნო თავი მხარზე. კაცმა საპნის ნაზი სურნელი იგრძნო. ცოტა ხნით გაუძლო ქალთან სიახლოვეს, მერე კი განზე გაიწია და აღგზნებულმა ქალს მათი მომავალი ცხოვრების გეგმა გაანდო – თუ როგორ იმოგზაურებდნენ, როგორ ივლიდნენ ქვეყნიდან ქვეყანაში და ქალაქიდან ქალაქში. დანაღვლიანებული ქალი მდუმარედ ადევნებდა თვალს მოსიარულე, ალმოდებულ, გატაცებით მოლაპარაკე კაცს, რომელიც ოთახში ბოლთას სცემდა. ლაპარაკი რომ დაასრულა, ქალმა კაცს ხელი ჩასჭიდა და უთხრა, რომ მას სრულიად საპირისპირო რამ უნდოდა: ერჩივნა, სადღაც უკაცრიელ ადგილას დასახლებულიყვნენ, საიდანაც არსად აღარ წავიდოდნენ და არც არავინ მივიდოდა მათ სანახავად. ის გემრიელ

სადილებს მოუმზადებდა, შვილები ეყოლებოდათ, პატარა ბაღი და ბოსტანიც ექნებოდათ...

– მასე შენ დიდხანს ვერ გაძლებ, – აღშფოთდა მოულოდნელად კაცი. – ცირკში ხარ გაზრდილი. შენ გჭირდება, რომ ხალხმა გიყუროს. ადამიანთა მზერის გარეშე შენ მოკვდები.

ქალმა არაფერი უპასუხა.

შობისთვის იქორწინეს. პატარა ეკლესიაში დაიწერეს ჯვარი. რიტუალის შესრულების დროს ღვთისმსახურს ხმა აუთრთოლდა, ხელები აუკანკალდა და კინაღამ გული წაუვიდა. სტუმრად მხოლოდ ცირკის დასი ჰყავდათ მიწვეული, რადგან კაცმა ქალს უთხრა, რომ ისიც მასავით მარტო იყო და ოჯახი და ნათესავები არ ჰყავდა.

როდესაც ყველა ბოთლი დაიცალა და დაშლის დრო დადგა, შეზარხოშებული ქალი კაცს სახელოზე ექაჩებოდა და დასაწოლად წაყოლას სთხოვდა, მაგრამ კაცმა კიდევ შეუკვეთა ღვინო და სტუმრებს დარჩენა სთხოვა. თვითონაც მონდომებით სვამდა, თუმცა სასმელი არ ეკიდებოდა. მთელი ცხოვრება სულ რაღაცის მოლოდინში მყოფი, მუდამ ლარივით იყო მოჭიმული. არც ბეჭებში მოხრა შეეძლო, არც ფეხის ფეხზე გადადება. ახლაც პირსახეზე აღაჟღაჟებული, ისარივით გაჭიმული იჯდა და თვალებს ალაპლაპებდა.

– წამოდი, გთხოვ, წავიდეთ რა, ძვირფასო, – ეჩურჩულებოდა ქალი.

ის კი მაგიდას თითქოს უხილავი ლურსმნებით მისჭედებოდა. ვინმე ფხიზელს რომ დაენახა, ალბათ, იფიქრებდა, ქალთან ინტიმური მომენტის დადგომას, გარდაუვალი და იძულებითი ქორწინების ღამეს გაურბისო. იქნებ მართლაც ასე იყო?

– სახეზე მომეფერე, – სთხოვა ქალმა, როდესაც მარტოები დარჩნენ, მაგრამ კაცმა ეს არ გააკეთა. იდაყვებზე დაყრდ-

ნობილი ქალის სილუეტს მრუმე ლაქასავით ხედავდა, რომელიც ოთახში ჩამოწოლილ უკუნზე ოდნავ ღია ფერისა იყო. მერე კაცმა თვალები დახუჭა, რაც ქალს არ დაუნახავს და როგორც ყველა სხვა ქალს, ისე დაეუფლა, სწრაფად, ფიქრის გარეშე.

მომდევნო სეზონი უკვე მარტოებმა დასისგან დამოუკიდებლად დაიწყეს. ქალს ახალი ფოტოები გადაუღო და მთელ მსოფლიოში დაგზავნა. პასუხები ტელეგრაფით მოსდიოდა. უამრავი წარმოდგენა ჰქონდათ. პირველი კლასით მგზავრობდნენ. ქალი არასოდეს იხდიდა რუხ პირბადიან სქელ შლაპას. ამ პირბადიდან ნახა რომი, ვენეცია, ელისეს მინდვრები. კაცმა რამდენიმე კაბა უყიდა. კორსეტის შეკვრაშიც თვითონ ეხმარებოდა. ევროპის ქვეყნებში, ხალხმრავალ ქუჩებში რომ დააბიჯებდნენ, ჩვეულებრივი წყვილისგან ვერ განასხვავებდი, მაგრამ მაშინაც, როცა ბედნიერები იყვნენ, კაცს გაქცევის სურვილი ეძალებოდა. ასეთი იყო. მარადიული ლტოლვილი. უეცრად რაღაც პანიკის მაგვარი შემოუტევდა, აუტანელი შინაგანი ფორიაქი ეწყებოდა, ოფლი ასხამდა, სული ეხუთებოდა. სასწრაფოდ ჩაიბღუჯავდა ბანკნოტებს და შლაპას, სულმოუთქმელად ჩაირბენდა კიბეს და პორტის ლუდხანებისკენ მიუყვებოდა გზას. იქ მოდუნდებოდა, სახის ნაკვთები მოეშვებოდა, ხმა ურბილდებოდა და ბრილიანტინით გაზეპილი თმის ქვეშ საგულდაგულოდ დამალულ სიმელოტესაც თამამად აჩენდა დღის სინათლეზე. კმაყოფილი სახით სასმისს სასმისზე ცლიდა, მთვრალების ბლუკუნს უსმენდა და უეცრად გაგულისებულ მეძავებს ხელის დარტყმის უფლებას აძლევდა.

მახინჯმა პირველად რომ უსაყვედურა, მუცელში დაარტყა. სახეზე გასარტყმელადაც კი ვერ მიაკარა ხელი.

ათაშანგსა და გავეშებულ ტახზე უკვე აღარ ჰყვებოდა. ვენიდან მედიცინის დარგში მოღვაწე პროფესორისგან წერილი მიიღო და ცოლს ახლა სამეცნიერო ენაზე წარადგენდა:

– ბატონებო და ქალბატონებო, აი, ბუნების ჭირვეულობა, აი, მუტანტი, გნებავთ, ევოლუციის ჩიხი. ასეთები იშვიათად იბადებიან. მათი გაჩენის ალბათობა ისეთივე მცირეა, როგორც აქ ამწამს მეტეორის ჩამოვარდნისა. თქვენ გეძლევათ ცოცხალი მუტანტის ნახვის განუმეორებელი შესაძლებლობა.

უნივერსიტეტებშიც დადიოდნენ, პროფესორებთან. მათ გადაღებულ ფოტოებშიც ერთად პოზირებდნენ: ქალი იჯდა, კაცი გვერდით ედგა და ხელი მის მხარზე ჰქონდა ჩამოდებული.

ერთხელ, სანამ ქალს სიმაღლეში ზომავდნენ, კაცს პროფესორი გამოელაპარაკა:

– საინტერესოა, მემკვიდრეობითია თუ არა ეს მუტაცია. ბავშვის ყოლაზე არ დაფიქრებულხართ? არ გიცდიათ? თქვენი მეუღლე თუ...? თქვენ საერთოდ... გაქვთ თუ არა...?

პროფესორთან დისკრეტული საუბრიდან არც ისე დიდი ხანი იყო გასული, რომ ქალმა კაცს ფეხმძიმობის ამბავი ამცნო. ამის შემდეგ საერთოდ გაორდა. ერთი მხრივ, უნდოდა, ბავშვი ქალს მგვანებოდა, რადგან ასე გაცილებით ბევრი წარმოდგენა ექნებოდათ. თანაც, ქალს რომ რამე დამართნოდა, მის მატერიალურ კეთილდღეობას არაფერი დაემუქრებოდა. იქნებ უფრო მეტადაც გაეთქვა სახელი? მაგრამ, მეორე მხრივ, უეცრად შიში აიტანდა ხოლმე, ენანებოდა ბავშვი ურჩხულის ხვედრისთვის. რომ შესძლებოდა, სიამოვნებით გამოგლეჯდა მას ქალის მუცლიდან და მისი შხამიანი სისხლისგან გაათავისუფლებდა. ზოგჯერ ესიზმრებოდა, რომ თვითონ იყო ქალის მუცელში გამომწყვდეული და მასზე დამოკიდებუ-

ლი მათი ვაჟი/შვილი და ქალი, რომელმაც თავის მუცელში გამოამწყვდია, ნელ-ნელა უმახინჯებდა და უცვლიდა სახეს. ზოგ სიზმარში კი თვითონ იყო ის ველური ტახი, რომელიც ტყეში უმანკო ქალწულს აუპატიურებდა. ოფლში გაწუწულს ეღვიძებოდა და ლოცულობდა, ქალს მუცელი მოშლოდა.

მაყურებელს ქალის წამოზრდილი მუცლის დანახვა ახლა უფრო მეტად ათამამებდა. ადამიანები გაცილებით იოლად ეგუებოდნენ მის სიმახინჯეს და მეტ კითხვასაც უსვამდნენ, რომლებზეც ქალი დარცხვენილი, ჩუმი ხმით პასუხობდა. ნაცნობებმა სანაძლეოების დადება დაიწყეს, როგორი ბავშვი დაიბადებოდა ან რა სქესის იქნებოდა. ქალი მოთმინებით იტანდა ამ ყველაფერს.

საღამოობით კი იჯდა და ბავშვის პერანგებს კერავდა.

– იცი, – უთხრა ერთხელ, თან სადღაც იყურებოდა უაზროდ, – ადამიანები ისეთი უსუსურები, ისეთი მარტოსულები არიან, რომ მებრალებიან. მებრალებიან, როცა სხედან და მიყურებენ. ასე მგონია, ისეთი ცარიელნი არიან, რომ რაღაცას ეძებენ ამ სიცარიელის ამოსავსებად. ხანდახან ისიც კი მგონია, რომ შურთ ჩემი. მე რაღაცნაირი მაინც ვარ, ისინი კი – უთვისებონი არიან, არაფერი განსაკუთრებული მათში არ არის.

კაცს არაფერი უთქვამს, მხოლოდ სახე დაეღმიჭა.

მახინჯმა ღამით მოილოგინა, უპრობლემოდ, ცხოველივით ჩუმად. ბებიაქალი მხოლოდ ჭიპლარის გადასაჭრელად დასჭირდა. კაცმა მას ბანკნოტების დასტა მისცა, რომ ენისთვის კბილი დაეჭირა და ჭორები ნაადრევად არ გაევრცელებინა. მერე ოთახი გაანათა, ახალშობილი კარგად რომ დაეთვალიერებინა. გული ძალუმად უცემდა. ბავშვი საშინელი დასანახი იყო, დედაზე უფრო საშინელი დასანახი. კაცს

წამოაზიდა და იძულებული გახდა, თვალები დაეხუჭა. ცოტა ხანში როგორღაც ისევ შეძლო, ჩვილისთვის დაეხედა და ქალის ნათქვამში დარწმუნებულიყო. გოგო შესძენოდათ.

ასე იყო ეს ამბავი. ამის შემდეგ კაცი ჩაბნებულ ქალაქში გავიდა. ალბათ, ვენა იქნებოდა ეს ქალაქი ან ბერლინი. სველი თოვლი წვრილად ცრიდა. ქვაფენილზე წამდაუწუმ ფეხი უცურავდა. ისევ გაორებული იყო – თან უხაროდა, თან სასოწარკვეთილება ულებდა ბოლოს.

სვამდა და არ თვრებოდა. ოცნებობდა და ეშინოდა. რამდენიმე დღის შემდეგ უკან რომ დაბრუნდა, მორიგი საგასტროლო ტრასა და მისი რეკლამა დაწვრილებით ჰქონდა მოფიქრებული. პროფესორს წერილი მისწერა. ფოტოგრაფსაც მოელაპარაკა, რომელიც კაშკაშა შუქში, მაგნიუმის აფეთქების შედეგად რომ გაიელვებდა, ხელის კანკალით ორივე არსების ენით აუწერელ სიმახინჯეს ფირზე აღბეჭდავდა.

ოღონდაც მალე გავიდეს ზამთარი, აყვავდეს ფორსიციები, აშრეს დიდი ქალაქების ქვაფენილები. პეტერბურგი, ბუქარესტი, პრაღა, ვარშავა და კიდევ უფრო შორს, გაცილებით შორს... ბოლოს კი ნიუ-იორკი და ბუენოს-აირესი... ოღონდ კი ზეცა რაც შეიძლება მალე აფრიალდეს დედამიწის თავზე ცისფერი იალქანივით. მთელი მსოფლიო მისი ცოლისა და ქალიშვილის უსახურობით აღფრთოვანდება და მათ ფეხთით გაეგება.

იმავე ხანებში პირველად აკოცა ქალს სახეზე. ოღონდ ტუჩებში კი არა, მარტო შუბლზე. ქალმა გაცისკროვნებული, თითქმის ადამიანური სახით შეხედა. ის კითხვაც, რომელსაც მას ვერ დაუსვამდა, სწორედ მაშინ დაებადა: „ვინ ხარ?", „ვინ ხარ?", „ვინ ხარ?", განუწყვეტლივ იმეორებდა გულში და ვერც კი შენიშნა, როგორ დაიწყო ამ კითხვის სხვებისთვის

დასმა. საკუთარ თავსაც უსვამდა ხოლმე, როდესაც პირის პარსვის დროს სარკეში იყურებოდა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს რაღაც დიდ საიდუმლოს ახადა ფარდა და აღმოაჩინა, რომ ყველა ნიღაბს ატარებს, რომ ადამიანთა სახეები სინამდვილეში ნიღბებია, თითქოს ისინი მთელ ცხოვრებას დიდ ვენეციურ მეჯლისზე ატარებდნენ. როცა ნასვამი იყო, ხანდახან თავის ფანტაზიებში ადამიანებს ამ ნიღბებს ხსნიდა, რის უფლებასაც ფხიზელი არასოდეს აძლევდა თავს, ისინი კი დაწებებული ქაღალდის ტკაცანით აშიშვლებდნენ. ოლონდ რას, ეს უკვე ველარ გაეგო და ამის გამო ისე იტანჯებოდა, რომ ცოლისა და ბავშვის გვერდით დიდ ხანს ვერ ჩერდებოდა. ეშინოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ცდუნებას ველარ გაუძლებდა და მათი სახეებიდან სიმახინჯის ჩამოფხეკას შეეცდებოდა. დაფარულ ნაწიბურებს, გადაწებებულ ადგილებს, ძაფებს თითებით დაუწყებდა ძებნას. თმებში ხელების ფათურს მოჰყვებოდა. ამ დროს ჩუმად ტოვებდა ბინას და დასალევად მიდიოდა. თან გონებაში მომდევნო საგასტროლო ტრასას ადგენდა, პლაკატებს აპროექტებდა, დეპეშების წარმოსახვით ტექსტებს წერდა.

ნაადრევ გაზაფხულს თან ესპანური გრიპის ეპიდემია მოჰყვა და ორივეს, ცოლსაც და შვილსაც, ერთდროულად შეეყარა სნეულება. სიცხიანები გვერდიგვერდ იწვნენ, სახეზე ალმური ასდიოდათ, მძიმედ სუნთქავდნენ. ქალი დროგამოშვებით, ალბათ, პანიკის შემოტევისას, ან ცხელების დროს ბავშვს გულზე მიიკრავდა და ცდილობდა, მისთვის ძუძუ ეჭმია. იმას კი ვერ ხვდებოდა, რომ ჩვილს წოვის თავი აღარ ჰქონდა და კვდებოდა. როდესაც ბავშვმა სული დალია, კაცმა ფრთხილად აიყვანა ხელში, საწოლზე დააწვინა და სიგარას მოუკიდა.

იმ ღამით მახინჯი ქალი წამით გონს მოეგო მხოლოდ იმიტომ, რომ სასოწარკვეთილს შესაბრალისი ტირილი ამოეშვა. ამის ატანა კაცის ძალ-ღონეს აღემატებოდა. ეს იყო უკუნი ღამის, სიბნელის, წყვდიადის ხმა. კაცმა ჯერ ყურების თითებით დაცობა სცადა, ბოლოს კი შლაპას ხელი დაავლო და ბინიდან გარეთ გავარდა. მაგრამ ამჯერად შორს არ წასულა. გათენებამდე საკუთარი ბინის ფანჯრებქვეშ სცემდა ბოლთას, თითქოს ამით ქალს სიკვდილში ეხმარებაო. ეს ბევრად უფრო მალე მოხდა, ვიდრე კაცი ელოდა.

კაცმა საძინებლის კარი შეიკეტა და მიცვალებულთა უცნაურად დამძიმებულ, ტლანქ, მატერიალურ სხეულებს დააკვირდა. გაოცდა, როცა შენიშნა, როგორ ჩაეზნიქა მათ სიმძიმეს ლეიბი. წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ უნდა მოქცეულიყო, ამიტომ ეს ამბავი მხოლოდ პროფესორს აცნობა. მერე კი, როცა ოთახში მჯდარი პირდაპირ ბოთლიდან სვამდა ღვინოს, იმის მოწმეც გახდა, თუ როგორ წაშალა ჩამოწოლილმა სიბნელემ ლოგინზე მწოლიარე ცხედრების კონტურები.

– გემუდარებით, გადამირჩინეთ, – ევედრებოდა სასმელისგან გაბუჟებული ენის ბორძიკით პროფესორს, რომელიც ამასობაში მოსულიყო და გვამებს ათვალიერებდა.

– თქვენ რა, გაგიჟდით? ისინი უკვე კარგა ხნის მკვდრები არიან, – გაღიზიანებული ტონით გასცა პასუხი პროფესორმა.

მერე კაცს რაღაც ქაღალდი გაუწოდა, რომელზედაც მან მარჯვენათი ხელი მოაწერა, მარცხენათი კი თანხა გამოართვა.

იმავე საღამოს, სანამ კაცი პორტში გაუჩინარდებოდა, პროფესორს ცხედრები დროშკით გადაატანინა უნივერსიტეტის კლინიკაში, სადაც რაღაც დროის შემდეგ მათგან საიდუმლოდ დაამზადეს ფიტულები.

ეს ფიტულები დიდხანს (თითქმის ოცი წლის განმავლობაში), იდგა კლინიკის ცივ სარდაფში, მანამდე, სანამ არ დადგა იმის დრო, რომ უფრო დიდ კოლექციაში დაედოთ ბინა, გადაენაცვლებინათ ებრაული და სლავური თავის ქალების, ორთავიანი ბავშვების, ერთმანეთზე უცნაურად შეზრდილი ტყუპების მეზობლად. მათი ნახვა დღესაც შეიძლება პათოლოგიური მუზეუმის საცავში, სადაც შუშისთვალებიანი დედა და ქალიშვილი ამაყად დგანან გაყინულ პოზაში, როგორც ნიმუში ცოცხალ ორგანიზმთა ახალი სახეობის წარუმატებელი დასაწყისისა.

არიადნე ნაქსოსზე

ჩაიძინებდნენ თუ არა ტყუპები, მაშინვე აკეცავდა ხალიჩას და იატაკს დააყურადებდა. ხმა, მართალია, ოდნავ მოგუდულად, მაგრამ მაინც ატანდა საცხოვრებელი კორპუსის სართულებს შორის დატანებულ თბოსაიზოლაციო შრეებში. მაღალი ბგერები ბოლომდე სწვდებოდა სმენას, აი, დაბლები კი, სასიამოვნო ჟრუანტელს რომ ჰგვრიდა, ზოგჯერ საერთოდ იკარგებოდა. თვალებს მილულავდა და გაირინდებოდა ხოლმე, სანამ ტყუპების პატარა, შიშველი ტერფების ტყაპატყუპი არ გამოარკვევდა ამ ბურანიდან. ზღურბლზე იდგნენ ახალგამოღვიძებულები, შეშუპებული თვალებით, პირიდან გადმოსული ნერწყვის ძაფებითა და დაბრაწული ლოყებით. ბავშვების გამჭოლი, ცინცხალი მზერა. დედის დარაჯები! მაშინვე დგებოდა მუდამ ოდნავ დარცხვენილი, ცხვირებს მოხოცავდა, შარვლებს გაუსწორებდა ან ღამის ქოთნებზე დასვამდა. ამასობაში ქურაზე ბოსტნეულის სუპი თუხთუხებდა. იოგურტი დედდებოდა. წყვილი ნამცეცა პირი მონდომებით უსინჯავდა გემოს გარემომცველ სამყაროს.

დღემდე ვერაფრით გადაეწყვიტა, სასეირნოდ წასვლის წინ ჯერ ბავშვებისთვის ჩაეცმია და მერე თვითონ ჩაეცვა, თუ პირიქით. ბავშვებისთვის რომ ჩაეცმია, იცოდა, მის მოლოდინში ქუდებს მოიძრობდნენ და ფეხსაცმელების ზონრებიც უმალვე გაეხსნებოდათ. თვითონ ჩაეცვა და, სანამ პა-

ტარებს ქურთუკებს შეუკრავდა, ოფლში გაღვითქულს, ის მსუბუქი მაკიაჟიც უმოწყალოდ ჩამოადნებოდა სახეზე. როგორც ჩანს, ამ საქმიდან გამოსავალი ჯერ ვერავის მოეძებნა. ამიტომ იქცეოდა ხოლმე სასეირნოდ წასვლა დღის ყველაზე სტრატეგიულ მომენტად – გამოცდად სისწრაფესა და გონებამახვილობაში, მსოფლიოს ტაქტიკურად დაპყრობის მცდელობად, მისი მართვის მანიფესტად.

ცხადია, ერჩივნა, ლიფტით ესარგებლა, მაგრამ მაშინ იმ კართან გავლაზე უნდა ეთქვა უარი. თუმცა იქ სასეირო არაფერი ხდებოდა. ერთი ჩვეულებრივი რუხი ფერის კარი იყო სადარბაზოსკენ მომართული სათვალთვალო ხვრელით. იმ შუშის თვალის წინ საგანგებოდ შეანელებდა ხოლმე ნაბიჯს, სმენას დაძაბავდა, ელოდა, შემოესმებოდა თუ არა ალმასივით გამჭვირვალე, კრიალა მელოდიის ჰაეროვან ძაფად გაბმული ნაცნობი ბგერები. არა, სეირნობის დრო არ ემთხვეოდა სიმღერისას. შესაძლოა, სწორედ მაშინ იღებდა ქალი შხაპს ან მეგობრებთან საუბარში გართული ტელეფონზე ეკიდა, ან სულაც ჭურჭელს რეცხავდა.

თავის სართულზე იძახებდა ლიფტს. დაბლა ჩასული, ბიჭუნებს საბავშვო ეტლში ტენიდა და გზას აგრძელებდა. ჯერ ქუჩას გაუყვებოდა ნაპირ-ნაპირ, სკვერამდე, იქ შადრევანს ორ წრეს დაარტყამდა და მერე პარკისკენ გასწევდა ქვიშაში სათამაშოდ, ან, უბრალოდ, სასეირნოდ. ყვავილნარების ირგვლივ ბაჯბაჯი, წაბლის შეგროვება, ჩამოცვენილი ფოთლების აკრეფა და დიდ თაიგულად შეკვრა, ბავშვებთან საუბარი – წყვეტილი, დუნე, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული. მერე კი, პატარები კალთიდან რომ ჩამოაფორთხდებოდნენ და ცოტა ხნით თავისით ერთობოდნენ – სასიამოვნო დუმილი. შინ დასაბრუნებელი გზა მაღაზიების გასწვრივ გადის. მათი თანმიმდევრობა უკვე ზეპირად იცის: ჯერ ფეხსაცმლის, მერე

საყოფაცხოვრებო ნივთებისა, მერე ბარი „კოლორი", დელიკატესები. თვითონ ისეთ მაღაზიაში დადის, რომელშიც ყველანაირი საქონელი იყიდება, დელიკატესებმა რომ არ აცდუნოს და მხოლოდ აუცილებელი შეიძინოს, თანაც სულ ერთსა და იმავეში. საბავშვო ეტლის სახელურებზე ჩამოკონწიალებული სავსე ცელოფნის პარკები ეტლის წონასწორობას არღვევს. ასეთ დროს ბორდიურებზე უნდა იფრთხილოს ხოლმე. მერე ტყუპების საბავშვო ეტლი და სანოვაგით სავსე პარკები როგორმე ლიფტში უნდა შეატიოს და მეცხრე სართულზე ავიდეს. კარში გასაღებს გადაატრიალებს თუ არა, ბავშვების, სარეცხი ფხვნილის, მოხარშული ბოსტნეულის მიძინებული ნაცნობი სუნი ისევ იღვიძებს.

ერთი სართულით ქვემოთ ამ დროსაც სიწყნარე სუფევდა. მთელი კორპუსი ისეთ სიჩუმეს მოეცვა, თითქოს, მათ, ვინც დილით ბინიდან არ გამოდიოდა, ნაშუადღევს ჯერ კიდევ ეძინათ. ცდილობდა, ეს ადამიანები წარმოედგინა. ერთიმეორის ზემოთ და გასწვრივ, გიგანტურ რუბიკის კუბიკში გამომწყვდეულები, პაწაწინა სამზარეულოებში შეკეტილები, გასაშლელ მაგიდებზე იდაყვებით დაყრდნობილები, ცხელი სუპის ღრმა თეფშებს ჩაშტერებულები, სადილის შემდეგ მისი მონელებით დაკავებულები, ან მინებებულები შუადღის ძილს, რომელიც მათ ფიქრებს ერთმანეთთან შეუთავსებელ, ტლანქ ფრაგმენტებად ანაწევრებდა. რა თქმა უნდა, კორპუსში ცარიელი ბინაც ბევრი იყო – მათი წარმოდგენა უფრო უჭირდა – დილაადრიანად ნაჩქარევად მიტოვებული, მოუწესრიგებელი, ჩართული რადიატორებით გადახურებული ბინები, სადაც მხოლოდ მტვრის ნაწილაკებიღა დაფარფატებდნენ.

ჯერ ჭამდნენ ტყუპები. მერე ღამის ქოთნებზე ისხდნენ. ცოტა ხნის შემდეგ თვითონაც მათთან ერთად იჯდა დივანზე და უძალო, დაღლილი ხმით უკითხავდა უკვე კარგად ნაცნობ

ზღაპარს. ზღაპარში ჩაფლული პატარები უსმენდნენ და ჭერში იყურებოდნენ. თავიდან ფხიზლად ათვალიერებდნენ აქაიქ დაბზარულ, დაშრეგებულ საღებავს, თანდათან თვალები ეხუჭებოდათ, თუმცა ბოლომდე არა. ნახევრად მილულული ქუთუთოებიდან შიგადაშიგ მოუსვენრად კრთებოდა გუგები.

მეზობელი სნორედ ამ დროს იწყებდა სიმღერას.

ასე სინქრონულად თანაარსებობდნენ. მათი ცხოვრების რიტმი იდუმალი ძალით ემთხვეოდა ერთმანეთს, ემორჩილებოდა დროის უხილავ ქარგას. ქალი ფრთხილად ჩამოდგამდა ფეხებს დივანიდან, თითის წვერებით გაირბენდა მეორე ოთახამდე, ხალიჩას გადასწევდა და იატაკზე გაწვებოდა სიმღერის მოსასმენად.

მეზობელი გამებით იწყებდა. ზოგჯერ ხანგრძლივად ვარჯიშობდა ასე, ზოგჯერ მცირე ხნით, სანამ ყელს გაითბობდა. მისი ხმა თითქოს უხილავი კიბის საფეხურებზე ადი-ჩადიოდა მსუბუქად, მრგვალად გადადიოდა ბგერიდან ბგერაზე, თითქოს მეტალის ჯაჭვის რგოლებს მარცვლავდა. ქალს ეჩვენებოდა, რომ იქ, იატაკის ქვეშ, ჟელატინის რბილი, ფერადი ბურთები ჩნდებოდნენ, მერე კი მერე ისე ნარნარად იწყებდა ახალ მელოდიას, თითქოს აბრეშუმის, ხავერდის, ნაზი, გამჭვირვალე შიფონისა და მოელვარე ფარჩის ქსოვილების ფერად გრაგნილებს შლიდა. მელოდია ძალდაუტანებლად მოიწევდა ზემოთ, უხილავი აჩრდილივით დალივლივებდა რამდენიმე ბინაში. იატაკზე მიყურადებული ამას უფრო გრძნობით აღიქვამდა, ვიდრე სმენით. ყური მისი სხეულის მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი იყო. მკერდი, მუცელი და კიდურები სულაც არ იყვნენ უფრო ცუდი მსმენელები. კანქვეშ მძიმედ თრთოდნენ ნერვები. სხეული სულ უფრო და უფრო რბილი და დამყოლი ხდებოდა.

ყველა ნაწარმოების ამოცნობა შეეძლო უკვე. პირველივე ნოტებიდან ხვდებოდა, რას მოისმენდა, თორემ არიების ნამდვილი სახელწოდებებისა არაფერი გაეგებოდა. „ეს ძალიან ლამაზია“, „ეს ის არის, ძალიან სევდიანი“, “ეს... ეს რაღაც უცნაურია“, – ახსენებდა საკუთარ თავს. მეზობელი ხანდახან მოულოდნელად ჩერდებოდა და ერთსა და იმავე ფრაზას მომაბეზრებელი სიბეჯითითა და სიჯიუტით მრავალჯერ იმეორებდა. ზედა სართულის იატაკზე განოლილი ამ განმეორებებს შორის განსხვავებას ვერ ამჩნევდა და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მომღერალი ფირფიტასავით ერთ ადგილზე გაიჭედა, თითქოს ისიც მექანიკური მოწყობილობა იყო. იქნებ არც ცდებოდა, იქნებ ეს ანგელოზებრივი ხმა მართლაც თოჯინას ამოსდიოდა, რომელსაც კაბის ქვეშ მოსამართი მექანიზმი ჰქონდა ჩადგმული?

თანდათან გახშირდა ლიფტების ზევით-ქვევით მოძრაობის ხმები. კორპუსი ნელ-ნელა იღვიძებდა შუადღის ძილიდან. ისმოდა კარების ჯახუნი და ნაგავსაყრელი მილებიდან გამოსული ხრიალის ხმები. კიბეებზე ჟრიამულობდნენ სკოლიდან დაბრუნებული მეზობლის ბავშვები. კორპუსის წინ მდგარ მანქანაში თავისით ირთვებოდა სიგნალიზაცია. ვიღაცასთან განუწყვეტლივ რეკავდა ტელეფონი. ჩხაკუნებდნენ გასაღებები. ტყუპები ისევ იღვიძებდნენ. ამჯერად გახეხილი ვაშლისა და ორცხობილას დრო იყო, ან სტაფილოსი, ან ატმის მუსის, ან ომლეტისა. საჭირო იყო სინათლის ანთებაც. ჯერ სამზარეულოში, მერე ოთახებში. სარეცხი მანქანა ბავშვის საფენების დღიურ ულუფას ითხოვდა. მხოლოდ მეზობელს აჩუმებდა გამოცოცხლებული საღამო. დღე თავის ლიანდაგზე იდგა. ახლა საღამოს უნდა ერბინა დიდი მეტრონომის თანხლებით – თანაბრად, რიტმულად, წუთიდან წუთში, საათიდან საათში.

ამასობაში ქმარიც ბრუნდებოდა სახლში – გრძელ, მუქ ლურჯ ლაბადას შემოსასვლელში ჰკიდებდა, ხელებს იბანდა, ბიჭებს კალთაში ისვამდა, ქალს კი ტუჩებში კოცნიდა. შეუმჩნევლად ირთვებოდა ტელევიზორიც. სამზარეულოს პატარა მაგიდასთან სადილობდნენ. თუ ყველაფერი კარგად წავიდა, ახალ ბინაში ლამაზი სასადილო ოთახი გვექნებაო, ჰპირდებოდა კაცი.

კვირაში ერთხელ კინოში დადიოდნენ. ამასაც მეტრონომი კარნახობდათ. ტყუპებისთვის მომვლელ გოგონას იძახებდნენ. ბავშვები არ ჭირვეულობდნენ. არც სახლიდან გასულ მშობლებს ეტირებოდნენ, მათი დაბრუნებისას კი უკვე ღრმად ეძინათ. კინოს შემდეგ სადმე სავახშმოდაც სხდებოდნენ. ამ დროს, როგორც წესი, თითქმის ყველაფერი დაკეტილი იყო, ამიტომ ხშირ შემთხვევაში რომელიმე თურქულ ბარში შედიოდნენ და პლასტმასის თეფშებიდან შაურმას ჭამდნენ.

არა, ამას თვალთვალი არ ერქვა. თვალთვალი მეტისმეტად გაზვიადებული სიტყვაა. უბრალოდ, ასე მოხდა, რომ კარგად შეისწავლა მომღერლის დღის განრიგი. იცოდა, რომ დილაობით სახლში იყო, მაგრამ მისი ბინიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. შუადღისკენ სიმღერას იწყებდა, მერე ისევ სიჩუმე ისადგურებდა. მოგვიანებით, დაახლოებით სამისთვის, კიდევ ერთხელ იმღერებდა, ხანდახან ერთი, ხანაც ორი საათი და მერელა გადიოდა სახლიდან. მანამდე იატაკზე გაწოლილი მსმენელი ახლა მეცხრე სართულის ფანჯარასთან იდგა და მის გამოჩენას ელოდა. მეზობელი ენერგიულად მიაბიჯებდა და მოცეკვავესავით ოდნავ განგან ადგამდა ფეხებს. სქელი, ხვეული შავი თმის ნაწილი ნაჩქარევად აეკრიფა კეფაზე, ნაწილი მხრებზე ეყარა. გრძელ, ფართო ლაბადებს იცვამდა, ქვეშ კი რაიმე მოკლეს და ვიწროს, ყოველთვის ცივ ფერს ირჩევდა – ულოსფერს, ინდიგოს, იისფერს. ეზოში ჩასული,

პატარა შავ მანაქანაში ჯდებოდა და კორპუსებს შორის უჩინარდებოდა. შინ დაბრუნებული არასოდეს დაუნახავს ტყუპების დედას. ალბათ, გვიან ბრუნდებოდა და იმიტომ.

როგორღაც მოახერხა და ისე შეცვალა დღის განრიგი, რომ თვითონაც მეზობლის სახლიდან გასვლის დროს გაესეირნებინა ბავშვები კორპუსის წინ გაშენებულ სკვერში. ბიჭები ქვიშაში თამაშობდნენ, მას კი მზერა ბავშვების თავებიდან ხან სადარბაზოს კარზე გადაჰქონდა, ხან – პირიქით. ხედავდა, როგორ იღებდა ხოლმე ღიღინით ჩანთიდან მანქანის გასაღებს, ერთხანს ხელში ათამაშებდა, მერე საჭირო ღილაკს თითს დააჭერდა და მანქანაც მყისვე გაეპასუხებოდა ჩუმი წრიპინით და ანთებული ფარებით. ჩანთას უკანა სავარძელზე დაუდევრად მიაგდებდა და მიდიოდა. ქრებოდა.

ეზოში დარჩენილი ქალი ბავშვებს ხელს დაავლებდა და შინ ბრუნდებოდა.

მალე მეზობლის სახლიდან გასვლის დროც დაადგინა. თუმცა ზოგჯერ მაინც ასცდებოდა ხოლმე. როგორც ჩანს, ქალი განსაკუთრებული პუნქტუალობით არ გამოირჩეოდა. როდესაც ყველაფერი გეგმის მიხედვით მიმდინარეობდა, ტროტუარზე ხვდებოდნენ ერთმანეთს. ჯერ სრულიად გულგრილად – დღის განმავლობაში ხომ უამრავ უცხო ადამიანს ვუქცევთ გვერდს, უამრავ სახეს, ლაბადას, ფეხსაცმელს, პორტფელს და ხელჩანთას. რაღაც დროის შემდეგ ერთმანეთის შეთვალიერებაც დაიწყეს. ნელ-ნელა გაჩნდა ერთმანეთისთვის გამეტებული ღიმილის ჩანასახიც. ბოლოს, მეზობელმა, გამარჯობაო, უთხრა. გაწითლდა, პასუხი მორცხვად დაუბრუნა. ქალმა ენერგიულად ჩაუარა გვერდით და ყვავილის ნაზი სურნელი დატოვა.

ასე განვლო წელიწადის კიდევ ორმა დრომ ოდესღაც თეთრი საღებავით შეფეთქილ, ახლა კი ჭუჭყისფერ კორპუ-

სებს შორის, რომლებიც ერთმანეთისგან თითქმის არაფრით განსხვავდებოდა.

ზაფხულში ქალი შიშმა მოიცვა, რომ მეზობელი სადმე გაემგზავრებოდა და იატაკზე გაწოლილი მის სიმღერას ვეღარ მოისმენდა. თუმცა, ადრე თუ გვიან ეს მაინც მოხდებოდა. ხომ არ შეიძლება მთელი ცხოვრება ერთ ადგილას გაატარო, მით უმეტეს, როდესაც მომღერალი ხარ. ერთხელ მთელი თვით გაუჩინარდა და, მიუხედავად ლიფტების გაუთავებელი ხრიგინისა, ნაგავსაყრელების ხმამაღალი გმინვისა, კიბეზე ასწრებაში ერთმანეთს დაჯიბრებული ბავშვების ნაბიჯების არპეჯიოებისა, მათი კორპუსი საშინლად დაცარიელდა, გამოყრუვდა და მასში ცხოვრება გაუსაძლისი გახდა. აი, მაშინ კი თვითონ ითხოვდა ქმრისგან დაპირებული ულუფის გაორმაგებას – სიმწვანეში ჩადგმული სახლი უნდოდა დიდი სასადილო ოთახით და ბაღში გამავალი ტერასით. ქმარიც ისევ ჰპირდებოდა, მაგრამ ქალმა რაღაც გაუცნობიერებელი კანონზომიერებით იცოდა, რომ ის ვერასოდეს აუსრულებდა ამ გულისწადილს. მხოლოდ მაშინ, როდესაც კაცი (და ეს არც ისე დიდი ხნის წინ იყო) რძით სავსე მის ძუძუებში ჩარგავდა სახეს, ქალი უეცარი ძალების მოზღვავებას გრძნობდა; ამ დროს ხვდებოდა, რომ თვითონ იყო სხვისი თავშესაფარი, ადიდებულ წყალზე გადებული ხიდი, სულაც „ტრანსატლანტიკი“, რაც მართლაც არ იყო ურიგო შეგრძნება, მაგრამ დაძინებით მაინც იმედგაცრუებული იძინებდა. იმედგაცრუებული იმით, რომ არ შეეძლო თავის თავს თვითონ ჩახუტებოდა, თავისსავე მკლავზე გადაერწია ის და ამის გამო ისეთი შეგრძნება ეუფლებოდა, რომ საკუთარი თავისთვის მხოლოდ ტვირთი იყო, ერთგვარი საპყრობილე, თავისივე ნეკნებისგან აგებული გალია.

შაბათობით, როდესაც ქმარს ბავშვებთან დარჩენა შეეძლო, მარტო მიდიოდა საყიდლებზე. გორგოლაჭებიან დიდ ჩანთას აიღებდა და ტროტუარის ოღროჩოღრო ფილებზე მიაგორებდა. მიდიოდა და გორგოლაჭების ხმაურს ღიღინს აყოლებდა, მეორე ხმას უძებნიდა მათ მიერ გამოცემულ რიტმულ „მელოდიას". მოასფალტებული ქუჩის გადაკვეთისას ეს რიტმი იკარგებოდა, მაგრამ მაღაზიების წინ დაგებულ ქვაფენილზე ისევ გაისმოდა. „ეს გორგოლაჭებიანი ჩანთა გრამოფონის ნემსია, რომელიც მდუმარე ზედაპირებში ჩამალულ მუსიკას წარმოაჩენს", – ფიქრობდა თავისთვის. გზად ბეტონის ბორდიურებიც ხვდებოდა და მათზე ჩანთის აგორება ვიოლინოზე ხემის ჩამოსმას ჰგავდა. იყო ქვაფენილის ნერვიული დაფდაფებიც ძველ ქუჩაზე, ბოსტნეულის მაღაზიის წინ, საყვირების რბილი დუდუნი მაღაზიების გასასვლელებში, ფაგოტების რბილი ხავერდი ასეულობით ფეხის მიერ გატკეპნილ ბილიკებზე, დიდი ჩანთის ქვეშ სხვადასხვა ხმით მღეროდა ქვიშა, ხრეში, ქვა, ასფალტი და ბეტონი და მისგან ხმის აყოლებას ითხოვდა, მაგრამ მას მხოლოდ საწყალი კნავილი ან უხეში ხრიალი ამოსდიოდა პირიდან. „ეჰ, განა ასე არ არის, – ჩაეკითხებოდა ხოლმე თავს – ადამიანი როგორც შენს მკერდს ვერ მიეყრდნობი, ისე შენს შინაგან ხმას გარედან ვერ მოუსმენ. არა, არავისაც არა აქვს ნიჭი საკუთარი თავის სამყაროს თვალით დანახვისა, საკუთარი ხმის სამყაროს ყურით მოსმენისა და საკუთარი სხეულის თავისი ხელებით შეხებისა".

– შეხედე, – უთხრა ქმარს, – ბადრიჯანიც ვიყიდე, კომბოსტოც, და ვაშლი და ქლიავიც მოვიტანე.

და ეს მუსიკალური ფრაზასავით, მისამღერივით რამდენჯერმე გაიმეორა. ტყუპები ამასობაში მონუსხულებივით ათ-

ვალიერებდნენ სიმინდის ტაროს დაკრეჭილ, ყვითელ კბილებს.

ერთ დღესაც, ნაშუადღევს, დიდი ყოყმანის შემდეგ გაბედა და ერთი სართულით ქვემოთ მდებარე ბინის კარზე დააკაკუნა. კარი გაიღო. მეზობელს არც გაკვირვება დასტყობია სახეზე, არც რამე უთქვამს. ქალმა აუჩქარებლად, მკვეთრად წარმოთქვა წინასწარ დაზეპირებული წინადადების თითოეული სიტყვა:

– ბ. მქვია და მესმის ხოლმე როგორ მღერით. თქვენს ზემოთ ვცხოვრობ და...

შინ შეიპატიჟა.

ერთნაირი ფორმისა და ზომის მიუხედავად, მათი ბინები მაინც საკმაოდ განსხვავდებოდა ერთიმეორისგან. ოთახისა და სამზარეულოს გამყოფი კედელი საერთოდ აელოთ და ალბათ ამიტომ, სულ სხვა აკუსტიკა ჰქონდა აქაურობას. ნათურების ქაღალდის აბაჟურები ოთახებს მკრთალ, რძისფერ სინათლეს ჰფენდა. კედელზე ნახატივით ეკიდა უზარმაზარი თეთრი ტილო. ქალს თვალში მოხვდა ხის უზომოდ პრიალა იატაკი, ოთახის ყვავილების ვერცხლისფერი ბუსუსებით დაფარული ფოთლები. მეზობელმა შავი, სქელი, ხვეული და კეფაზე დაუდევრად აკრეფილი თმა შეისწორა. ბ-ს შეხედა, დააკვირდა. ალბათ, ასაკის გამოცნობა უნდოდა. ბოლოს შენობით მიმართა:

– ანუ, ჩემს ზემოთ ცხოვრობ. ტყუპები გყავს, ხომ? იდენტურები.

– არ არიან იდენტურები, – შეუსწორა.

– ეს მარტო დედებმა იციან ხოლმე.

უხერხულად დუმდნენ. ბ. მსუბუქ, სადა ავეჯს ათვალიერებდა. არადა, ხავერდის ფარდებს მოელოდა, მძიმე დივანს,

სქელ ხალიჩას და კედელზე გაკრულ რომელიმე ცხოველის ტყავს.

– აბა, რით შემიძლია დაგეხმარო? ერთი ჭიქა მარილი გჭირდება? შაქარი? იქნებ ორი კვერცხი? – თითქოს სხეულის სიღრმიდან ამოხეთქა მეზობლის სიცილნარევმა ხმამ. შეუძლებელი იყო, ეს სიცილი არ გადაგდებოდა.

ბ.-ც აჰყვა.

– არა, არაფრის სასესხებლად არ მოვსულვარ. უბრალოდ, მინდოდა მეთქვა, რომ გისმენ ხოლმე.

– ასე ამოდის ხმა? – გულწრფელად შეწუხდა მეზობელი.

– არა, რას ამბობ! ულამაზესია. შენი ხმაც და ისიც, რასაც მღერი.

მადლობა გადაუხადა უფასო კონცერტებისთვის. მეზობელმა მოიბოდიშა, ალბათ, ბავშვებს ვაღვიძებო. ბ-მ უარის ნიშნად თავი გააქნია.

- არა. რას ამბობ? ისეთი სასიამოვნოა, – თქვა და გასასვლელი კარისკენ წავიდა.

მეზობელმა ჩაი შესთავაზა. ბ-მ გაიფიქრა, რომ ბავშვებს კიდევ ნახევარი საათი მაინც ეძინებოდათ და დათანხმდა. ბართან ჩამოჯდა მაღალფეხიან სკამზე. მასპინძელმა ფაიფურის ჩაიდანი შემოდგა. შავი, პრიალა პარკიდან გრძელ, დახვეულ ფოთლებს ყრიდა შიგ, თან კითხვებს უსვამდა ბავშვებზე, მათ სახელებზე, მოსწონდა თუ არა ამ დასახლებაში ცხოვრება. ბ. მის ყოველ მოძრაობას დაკვირვებით ადევნებდა თვალს. ფინჯნების ხმაური. ცელოფნის შრაშუნი. თეფშზე გადმოყრილი მშრალი ნამცხვრის მადისაღმძვრელი ხმა. მეზობლის დიდი და ძლიერი ხელები, გლუვი ვარდისფერი ფრჩხილები რძისფერი დაბოლოებებით. ფრანგული მანიკიური. ფაიფურზე მოხვედრილი ფრჩხილის წკაპუნი. ადუღებული წყლის შიშინი.

იმაზე გაცილებით მაღალი და მოხდენილი ტანისა იყო, ვიდრე ბ-ს ეგონა. ლამაზი დეკოლტე. რუხი, რბილი ქსოვილის ზედატანი სავსე და ოდნავ ჭორფლიან მკერდს უფარავდა. ფეხზე თეთრი შალის წინდები ამოეცვა. ტანსაცმლის ზომა 42, ფეხსაცმლისა, ალბათ, 40, – გაიფიქრა ბ.-მ. იმ ნაწარმოებზე ჰკითხა, რომელსაც მეზობელი ბოლო დროს ხშირად მღეროდა. უნდოდა წაემღერა კიდეც ყურში ჩარჩენილი მელოდია. ის იყო ჩაისუნთქა, რომ უეცრად გონს მოეგო და პირზე ხელი აიფარა.

– მიდი, მიდი, წაიღიღინე! – შეაგულიანა მეზობელმა ბავშვური ღიმილით, – ნუ გერიდება, წაიმღერე, წაიმღერე!

მაგრამ ბ.მ ვერ შეძლო. მხოლოდ თითით ჩამოაკაკუნა მელოდია მაგიდაზე.

– აჰ, მგონი, მივხვდი. ალბინონი.

ბ.-ს ეგონა, რომ მეზობელი ახლა თავად წაიმღერებდა, მაგრამ შეცდა. ჩაის სვამდა. საოცრება იყო, – იმ ყელით, რომლითაც მღეროდა, ახლა ჩაის სვამდა.

– ხო, ალბინონი, – გაიმეორა მეზობელმა.

კომპაქტური დისკების გრძელი მწკრივიდან ორი დისკი გამოაძვრინა და გაუწოდა. ერთზე მისი სახე ეხატა. შუბერტი, მოცარტი, ვივალდი, – ამოიკითხა ბ.-მ. მეორეზე კი ეწერა „არიადნე ნაქსოსზე“, იოზეფ ჰაიდნი. საჩვენებელი თითი ფრთხილად გადაუსვა დისკის ჩასადებ პლასტმასის კეისს.

– აი, ამაზე ვმუშაობ.

მაგრამ ბ.-ს სიმღერები უფრო მოეწონა. შინ დაბრუნებულმა მაშინვე ჩადო დისკი საკრავში. რიკულებიანი საწოლებიდან ნამძინარევი ტყუპები შესცქეროდნენ. იოგურტი ხილით. ნამცხვარი, რომლის ნოტიო ნაფხვენები მოგვიანებით წამოკრიფა ხალიჩიდან.

– Sposa son disprezzata – მღეროდა მეზობელი კომპაქტური დისკიდან.

საღამოს ხელიც კი დაუქნიეს ერთმანეთს. ერთი აივანზე იდგა, მეორე – მანქანასთან.

მას შემდეგ ბ. ყოველ ღამე ელოდა მეზობლის დაბრუნებას. კონცერტები გვიან მთავრდებოდა, შემდეგ კი, როგორც მეზობელი ამბობდა, მეგობრებთან ჭიქა ღვინის დასალევად მიდიოდა ხოლმე. გვიან აღარაფერს ვჭამო. ესე იგი, ამ „ჭიქა ღვინის“ დალევა გრძელდებოდა შუაღამემდე, ხან კი უფრო გვიანობამდეც. ამ დროს ბ. ჯერ საწოლში, ქმრის გვერდით იწვა, რომელსაც ღრმად ეძინა და, ალბათ, სახლი ესიზმრებოდა, ფართო სასადილო ოთახით, მერე კი ფეხაკრეფით გამოდიოდა შემოსასვლელში, სადარბაზოდან შემომავალი ხმაურისთვის უკეთ რომ მიეყურადებინა. რამდენჯერმე მართლაც შეესწრო მის შინ დაბრუნებას. ლიფტის ხმა, ჭრიალით გაღებული ლიფტის კარი, ჩანთიდან ამოღებული გასაღების ძლივს გასაგონი ჩხარუნი, რომელიც ჯერ ხელს ერგებოდა, მერე კი კარში მისთვის განკუთვნილ ჭუჭრუტანას. გასაღების საკეტში გადაბრუნება, საკეტის ენის გაწკაპუნება, კარის უხმაურო შეღება და აბსოლუტური სიჩუმის რამდენიმე წამი. ბოლოს კარის მიხურვის ხმა. ხანდახან კი ისევ იგივე და ამ ხმებს შერეული მამაკაცის ხმა, კარის დახურვამდე რამდენიმე წამით ადრე მოგუდული ხითხითი. მერე ისევ აბსოლუტური სიჩუმე, ხალიჩის აკეცვისა და იატაკზე ყურის დადების ცდუნება.

ნაჩუქარი ფირფიტა თითქმის დაიზეპირა. გულში ხმას აყოლებდა და ხანდახან ეჩვენებოდა, რომ ახლა მისი ხმით თვითონ მღეროდა, თითქოს მისი ხმა ახლა ბ.-ს ყელიდან ამოდიოდა. ზოგჯერ საქმეში გართულს, დაუთოების ან დალაგების დროს თავი ავიწყდებოდა და სიმღერას საკუთარ ხმასაც უერთებდა, მაგრამ მაშინვე ხვდებოდა, როგორ ამახინჯებ-

და, როგორ სრესდა და აზიანებდა ბგერებს, თითქოს ხეხავდა მათ. შეცბუნებული მაშინვე გაიკმენდდა ხოლმე ხმას. მე ვმღეროდი, – ფიქრობდა.

- მიმღერე რამე, გთხოვ, – უთხრა ერთხელ, ფოლგის ქაღალდგადაფარებული თეფშით ღუმელში შემწვარი, სატენიანი ბადრიჯანი რომ ჩაუტანა შესაწირივით.

მეზობელს, როგორც ჩანს, ესიამოვნა თხოვნა. მაშინვე დაიღვარა მისი ხმა ჰაერში, ჯერ წყნარად, ნაზად, ხავერდოვნად, მერე უფრო და უფრო მძლავრად და თავდაჯერებულად. ამ დროს ბ.-მ მის მოშიშვლებულ დეკოლტეს შეავლო თვალი, თხელ, დაჭორფლილ კანს, ძუძუების ღარს შორის გაჩენილ ოდნავ შესამჩნევ ნაოჭებს, ქაღალდივით სიფრიფანა საზღვარს, რომლის ქვემოთაც სულ სხვა ბგერებით ათრთოლებული სიცოცხლე მიედინებოდა სხეულის ბნელ და ნოტიო ლაბირინთებში. მაგრამ როდესაც მეზობელმა თვალები დახუჭა და თავისივე ბაგეებიდან ამოსულ ბგერებში გაუჩინარდა, ბ.-ს მოეჩვენა, რომ მის გულს ხედავდა, მის ძლიერ და ამავდროულად ძალიან ნაზ კუნთს, რომელიც თავდაუზოგავად ზომავდა დროსა და რიტმს, თითქოს მისი თავდაჯერებული კუმშვები, მისი ძალუმი ფეთქვა სხვა არაფერი იყო, თუ არა თრთოლვა და ცახცახი, რომელსაც სიკვდილი ედო უფრო საფუძვლად, ვიდრე სიცოცხლე.

ბ.-ს ასე ეგონა, რომ რაღაც დიდი საიდუმლო ამოხსნა და როგორც კი მეზობელი თვალს გაახელდა, მაშინვე შეიტყობდა ამას. ამიტომაც ერჩივნა, მისთვის მზერა აერიდებინა და რამე უსულო, გლუვი, მარტივი რამ აერჩია სამიზნედ – მაგალითად, მაგიდის ზედაპირი ან რადიატორის იოლად გასაზომი, რიტმული კონკრეტულობა. არა, სულაც არ უნდოდა იმის აღმოჩენა, რომ ეს მისი სხეული, მისი კუნთები, სხეულის სიღრმეში სამარადისო წესრიგით განლაგებული მისი დაჭიმული,

მთრთოლავი ნაწილები, სათანადოდ აგებული ხორხი, გენეტიკურად დაპროექტებული სივრცეები, ხორცშესხმული სტვირები მღეროდნენ. გული – ქსოვილების მორცხვი, ინტიმური გროვა, რომელიც სისხლს ატარებს. სხეულის სიღრმე – იდუმალების ჯადოსნური ხავერდი, ამაღელვებელი წარმოდგენა შეუხებლის თითის წვერებით შეხებისა – დრეკადი არტერიებისა, სიცოცხლით სავსე ჯიუტი ხრტილებისა, ფარული და მოძრავი ადგილებისა. გაცნობიერება ამ მყიფე სასწაულის არსებობისა. ვერაფრით აეხსნა, რატომ იყო მეზობლის გულის, მისი ხორციელების არსებობის უეჭველი ფაქტი მისთვის ერთდროულად ამაღელვებელიც და აუტანელიც. ნებისმიერი შესაძლო ტკივილის წარმოდგენა, რომელსაც ამ ჭორფლიანი კანის ქვეშ მოთავსებული მეტრონომის მუშაობის შეფერხება შეეძლო, ბ.-ს აუტანელი ტანჯვით ავსებდა. თვალები უნებურად ცრემლით ევსებოდა და მათი ხშირი ხამხამით ამის დამალვას ცდილობდა. მოუფრთხილდება ამ გულს, უცხო თვალს მოარიდებს. ქალაქგარეთ რომელიმე ბაღში ისეთ ადგილას ჩარგავს, რომ არასოდეს არაფერი მიეკაროს. ამ გულის მცველი გახდება. ფიქრობდა და იცოდა, რომ ბოდავდა. მუსიკის ბრალი იყო! როგორ შეიძლებოდა, ადამიანს გულის გარეშე ეცხოვრა!

ამასობაში მეზობელმა დაასრულა სიმღერა. ოდნავ წინ წახრილი დაღლილობას არ მალავდა. წარბი შეიჭმუხნა, როდესაც მისი პირიდან ჩუმი, აბრეშუმივით ბგერები გადმოდინდა. ხელი პირთან მიიტანა, თითქოს უნდოდა ამ ბგერებისთვის საბოლოო, იდეალური ფორმა მიეცა. მელოდია სრულიად მოულოდნელად იქცა სიჩუმედ. ისიც ადგილზე გაიყინა, თვალები გაახილა და გაიღიმა. მერე ბადრიჯნის თეფში გარეცხა და უკვე კართან მომლოდინე ბ.-ს მიაწოდა.

კინოს ნაცვლად ბ. ახლა ოპერაში დაატარებდა ქმარს. ორივე რაღაცნაირად, დაკარგულად გრძნობდა იქ თავს. მეზობელს შორიდან ხედავდა, მაგრამ ნაოჭაყრილ კაბებსა და მკვეთრ მაკიაჟში, რომელიც მის სახეზე წარბების, თვალებისა და პირის ურთიერთგანლაგებას ნიღაბივით იდეალურ, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებული ლაქებით ცვლიდა, მაინც უფრო დიდი ეჩვენებოდა. მის ხმას უცხო, სმენად ქცეული ადამიანები ინაწილებდნენ. თითქოს გაზეთს ემსგავსებოდა, რომელიც ერთდროულად ბევრს ესაუბრება, მაგრამ კონკრეტულად არავის.

წარმოდგენის დასრულების შემდეგ ჩვეულებისამებრ თურქულ ბარში სხდებოდნენ სავახშმოდ, მერე კი მანქანით შინ ბრუნდებოდნენ ჩაძინებულ დასახლებაში და ბ. ისევ ლიფტის ხმას აყურადებდა.

მომდევნო დღეს ისევ გადასწევდა ხოლმე ხალიჩის კიდეს, იატაკზე გაწვებოდა და გაირინდებოდა. ეს გაცილებით სჯობდა ოპერის თეატრში ჯდომას. ამასობაში სიტყვების გარჩევაც ისწავლა: „Teseo mio ben! Ove sei? Ove sei tu?" ანდა შესაბრალისი „Ah, di vedetti, o caro, ia mi stringe il desio". ზღვის პირას მდგარი სასოწარკვეთილი ქალის სახება. ხანდახან ეჩვენებოდა, რომ ერთი სართულით დაბლა ბინა კი არა, კლდოვანი, ხომალდებით სავსე ზღვის სანაპირო იყო, რომლებიც ფარულად შორდებოდნენ სრუტეს, სადაც თვალისმომჭრელად ბრწყინავდა მზე და თავბრუდამხვევად ხმაურობდა ზღვა. მაგრამ, როდესაც მეზობელი კარს უღებდა, ყველაფერი პირვანდელ სახეს უბრუნდებოდა – ის ისევ მოხდენილი ქალი იყო ბამბის რუხი ზედათი, მის იატაკზე კი ქაღალდები ეყარა.

– ისპანახიანი ბლინები მოგიტანე, – ეტყოდა ხოლმე ბ., ამ დროს კი თვალებში დაუფარავი თხოვნა ედგა: „მიმღერე

რამე. მიჩვენე, როგორ მღერი. როგორ ახერხებ ასე მღერას. შენ რატომ გამოგდის, მე კი – არა! საიდან ამოგდის ეს ხმა? მე რატომ არ შემიძლია იგივე გავაკეთო, რატომ ვარ მე მკვდარი, შენ კი ცოცხალი?!"

მეზობელი ჭამდა და თან „არიადნეს" მოახლოებულ პრემიერაზე ელაპარაკებოდა. უყვებოდა, რომ უკვე კოსტიუმს უკერავდნენ, ქათქათა თეთრ ტუნიკას, წელს ზემოთ, მკერდთან, ოქროს სარტყლით; რომ თმებიც ბერძნულად ექნებოდა დახვეული და კეფაზე აკრეფილი, როგორც ქვისგან გამოკვეთილ ქალღმერთებს. სპილენძის სამაჯურები. უმადური თესევსი, რომელიც აგერ უკვე მეათედ, მეასედ მიატოვებდა მინოტავრის სისხლში გასვრილი ხმლითა და შებილწული ლაბირინთით. მერე კი ისევ ყოველდღიურობას დაუბრუნდება. ისე იცხოვრებენ ამ გაჩირაღდნებულ სცენაზე, თითქოს ყოველ საღამოს ხელახლა კარგავდნენ მეხსიერებას. მოსახდენი მოხდება, თავისით, ყოველგვარი ცვლილების გარეშე და მერე ისევ დასაწყისს დაუბრუნდებიან. მაგიაა ეს ყველაფერი, ჯადოსნობაა, გადაიტანო ამდენი მიტოვება, ფარულად წასვლა, გაპარვა, უსიტყვოდ გაუჩინარება. და რომ არიადნე სულ მალე ქვეყნის საზღვრებს გასცდება, დიდ ქალაქებს შემოივლის, უფრო დიდ სცენებს, რათა ყოველ საღამოს ისევ ხელახლა გაუტყდეს გული, ისევ ხელახლა განიცადოს მიტოვების ტკივილი იმ მამაკაცისგან, რომელსაც სისხლიანი ხმალი მოუღერებია.

– რა თქმა უნდა, გიმღერებ!

ჩართო კასეტა აკომპანიმენტით და ჩაის ფინჯნით ხელში დივანზე მჯდარმა წამოიწყო არია, მაგრამ მეორე ფორტეზე უცბად წამოდგა, ოთახში სიარულს მოჰყვა, ხელებს ჰაერში იქნევდა, მისი ხმა კი თრთოდა, ირხეოდა და ყველაფერს, რაც კი გარშემო იყო, პაწაწინა ქინძისთავებივით ერჭობოდა.

თვალები დახუჭა თუ არა, ხმაც შეურბილდა. ახლა თითქოს ნივთებს ფაფუკი ფუნჯით უხილავი მტვრისგან ასუფთავებდა. ბ. ხედავდა, როგორ ეჭიმებოდა მეზობელს ყელის კუნთები, როგორ აუდ-ჩაუდიოდა ჭორფლიანი, თხელი კანით დაფარული მკერდი, სუნთქვა კი პედანტურად მართავდა ხმას. და სწორედ მაშინ მიხვდა ბ., რომ ვერასოდეს შეიტყობდა ამაზე მეტს მისი კანის, გულის, კუნთებისა და ხმის თავბრუდამხვევი ურთიერთკავშირის შესახებ და ამ დასკვნამ სასო წარუკვეთა; მიხვდა, რომ ხორციელსა და არახორციელს შორის უზარმაზარი უფსკრულია, რომ ეს ორი სრულიად სხვადასხვა განზომილებაა, რომელიც მხოლოდ ასეთ მომენტებში ერწყმის ერთმანეთს და მათ არასოდეს მიეცემათ ერთმანეთის შეხების, ერთმანეთის საზღვრების გადალახვის, ერთმანეთში შესვლისა და აღრევის საშუალება, რადგან მათ შორის არ არსებობს მსგავსება. მათ ურთიერთსაწინააღმდეგო ბუნება აქვთ, ცეცხლი და წყალი არიან, მატერია და ანტიმატერია. და რომ თუკი ერთხელ მაინც შეესწარი მათი ასე უიმედო შეწყვილების სურვილს, მას შემდეგ მისი განმეორებით ნახვის მონატრება გაგაწამებს. თითქოსდა, ერთხელ უკვე იყავი მათი შეუძლებელი ერთობის მოწმე. რომ უკან თავგადაწეული, თვალდახუჭული მომღერალიც იმავე მიზეზით იტანჯებოდა – წარბებს შორის პატარა ნაოჭი, ყელზე ორი პარალელური ხაზი. თავისებურად ყველაფერი გამიჯნულია ერთმანეთისგან, ისე, როგორც ისინი, სამყაროს მოპირდაპირე კიდეებზე მდგარნი.

მეზობელმა სიმღერა დაასრულა, მაგრამ თვალი არ გაუხელია. გაუნძრევლად იდგა სამზარეულოს ფონზე, თითქოს იმ სიჩუმით გაოცებული, რომლის შემოქმედიც თავადვე იყო. ამ დროს მიუახლოვდა ფეხაკრეფით, თითის წვერებზე მოსიარულე ბ.-ც, ჭორფლიან მკერდზე თავი დაადო და გაიგონა,

როგორ დადუმდა ბგერა მის კანქვეშ, სუნთქვად დაიშალა, ერთხანს კიდევ იბორიალა სხეულში და აორთქლდა, გაუჩინარდა. მეზობლი არ განძრეულა. მერე ფრთხილად შეეხო ბ.-ს სახეზე და მოეფერა.

ამის შემდეგ ბ.-მ არიადნე პრემიერაზე ნახა, რამპის შუქზე გაბრწყინებული, არამიწიერი და გაზეთებში – დადგმას დიდი წარმატება ხვდა წილად. მერე კი დიდი ტურნე დაიწყო და მეზობლის ბინაში სიჩუმემ დაისადგურა.

მისი გამგზავრების შემდეგ არა და აღარ დასრულდა შემოდგომა. ქალაქის თავზე ჯერ კიდევ თბილი ჰაერი იდგა, რის გამოც ფოთლები ნელა ყვითლდებოდნენ და ჩამოცვენას არ ჩქარობდნენ. მზეც ყოველდღე გამოდიოდა, თითქოს ეს ანომალია მასაც აკვირვებსო, თუმცა დღითი დღე ძალას კარგავდა და სუსტდებოდა.

ალბათობის თეორიას თუ დავეყრდნობით, შესაძლოა, ეს ის ერთადერთი წელიწადი იყოს ისტორიაში, როდესაც ზამთარი სულაც არ დადგება, ის, უბრალოდ, სადღაც წყვდიადსა და რიჟრაჟს შორის გაიხიდება და მსუბუქად მოყინავს ბალახის წვერებს, ყველაფერი ჰაერში გამოეკიდება და გაურკვეველი დარჩება ისიც – მოხდა უკვე რაც მოსახდენი იყო, თუ... ჯერ ახლა უნდა დაიწყოს ყველაფერი.

ლოგიოს მარცვლეგით
მკითხაოგა

პიოტროვსკის მიჰყავდა ხოლმე სასკა კემპაზე, თუმცა მანქანას ყოველთვის სახლიდან მოშორებით, სადღაც ფრანცუსკას დასაწყისთან აჩერებდა. გულმოდგინედ გარეცხილ-გაპრიალებული შავი ლიმუზინი თითქოს შეუმჩნევლად მისრიალებდა ხეების მუქ ჩრდილში, მაგრამ გამვლელები მის დანახვაზე მაინც ანელებდნენ ნაბიჯს და გაოცებულ მზერას აყოლებდნენ. ასეთ მანქანას ქალაქში იშვიათად თუ მოჰკრავდი თვალს.

იქიდან უკვე მარტო მიდიოდა. პიოტროვსკი მანქანაში რჩებოდა და სავარძლის საზურგეზე ნებივრად მიწოლილი სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. ს.-მ კარგად იცოდა, რას ფიქრობდა პიოტროვსკი იმ დროს, როცა ჩაწეული ფანჯრიდან ბოლქვებს უშვებდა. ფიქრობდა, რომ ის აქ საყვარელთან მოდიოდა და ის საჩუქრებიც, რომელთაც გამვლელების ყურადღება რომ არ მიექცია, ყოველთვის უბრალო ქალალდის პარკში აწყობდა, მასთან მიჰქონდა. არც საყვარლის ყოლა იქნებოდა უსაფრთხო, ფიქრობდა ს., მაგრამ მისი ნაცნობები, იმის გათვალისწინებით, რომ მათ უმრავლესობას თვითონაც ჰყავდა ოფიციალური თუ არაოფიციალური საყვარელი, ადამიანურად, ალბათ, ამას უფრო გაუგებდნენ. სახის დასაფარად ს. შლაპას თვალებზე ჩამოიფხატავდა და ლაბადის საყელოს ბოლომდე აიწევდა. ჯერ ქუჩის კუთხეში მდებარე პატარა

მაღაზიას ჩაუვლიდა, მერე მარცხნივ შეუხვევდა და რკინის მესრის გასწვრივ მანამდე ივლიდა, სანამ ის მოულოდნელად ჭიშკრად არ გადაიქცეოდა. ჭიშკართან აუცილებლად შედგებოდა, ფრთხილად მოავლებდა იქაურობას თვალს, ვინმე ხომ არ მითვალთვალებსო, არადა, ამ ჟესტით უფრო მეტად იქცევდა უცხოთა ყურადღებას და დაბზარული ბეტონის ბილიკით ბალახით დაფარულ ეზოს გაუყვებოდა, საიდანაც ვიწრო სადარბაზოში შედიოდა.

და-ძმა პირველ სართულზე, სამოთახიან ხალვათ ბინაში ცხოვრობდა. თითქოს ყოველთვის წინასწარ იცოდნენ, როდის მივიდოდა ს. (ან იქნებ თვითონ ეგონა ასე), რადგან მუდამ მზად იყვნენ მის დასახვედრად. მრგვალ, რუხი ფერის ქაღალდგადაფარებულ მაგიდაზე ყოველთვის იდო ქიმიური ფანქარი, რომელიც დროთა განმავლობაში თანდათან ილეოდა. ჰაერში მასტიკის, კომბოსტოს, სოუსისა და დამწვარი ცხიმის სუნი იდგა. ზოგჯერ მოხუცი ქალების ოთახიდან გრამოფონის ხმაც ისმოდა, ომის წინანდელი ტანგოს მელოდია. საჩუქრებით სავსე ქაღალდის პარკს, რომელშიც უმეტესად ყავა, ამერიკული შოკოლადი, ხიზილალის პატარა ქილა, დაკონსერვებული ლორი ეწყო ხოლმე, ხანდახან კი ერთი ბოთლი ნამდვილი ფრანგული ღვინოც, – ანუ ყველაფერი ის, რისი შეძენაც ცკ-ის სასადილოში შეიძლებოდა, ს. შემოსასვლელში, სარკის ქვეშ მდგარ ვიწრო ტუმბოზე დებდა.

დალეული, ბურბუშელასავით გამომშრალი პანი იადვიგა ფრთხილად იღებდა ძვირფას ძღვენს ქაღალდის პარკიდან და სიამოვნებისგან ხმამაღლა ოხრავდა, მასზე გაცილებით მაღალი ტანის პანი ურშულა კი ამ დროს ზემოდან დასცქეროდა დას. საჩუქრებს და-ძმებიდან ყველაზე უმცროსი, თუმცა სამოცდაათს გადაცილებული მათი ძმაც ინტერესით ათვალიერებდა. ძმაზე გადაფოფრილი დები მას რუსულ სახელს,

ჟენიას ეძახდნენ. ჟენია ბედნიერი იყო ს.-ს სტუმრობით. ურშულა ბუფეტიდან ბოთლს იღებდა და ორივეს თითო სირჩა არაყს უსხამდა. დები არ სვამდნენ. იქნებ ამიტომაც უხაროდა მოხუც კაცს ს.-ს გამოჩენა. არაყს გაბრწყინებული სახით გადაუძახებდა ხოლმე ყელში და ტუჩებს ალაგ-ალაგ დაჭორფლილი, თეთრფრჩხილებიანი და ისეთი გამჭვირვალე კანიანი ხელით იწმენდდა, თითქოს ღია ფერის აპკი აქვს გადაკრულიო. გალეული ჭაღარა ქალები, ყელზე დაბნეული ბროშებით, როგორც კი დივანზე გვერდიგვერდ დასხდებოდნენ, მაშინვე ერთმანეთს ემსგავსებოდნენ. ელვარებადაკარგული სამკაულები უკანასკნელ სხივსაც სტაცებდა მათ პუდრშეფრქვეულივით გაცრეცილ სახეებს.

– აბა, რა ისმის ახალი ქვეყანაზე? – ტრადიციულ კითხვას სვამდა ჟენია, ს. კი პასუხობდა: „ჯერჯერობით კარგი არაფერი, მაგრამ მთავარია, საქმე უკეთესობისკენ მიდის“. ამის შემდეგ იწყებოდა მშვიდი მუსაიფი ამინდის, ქალაქში მოარული ხმების, ქუჩაში მოსმენილი ჭორების, ფანჯრის რაფებზე ქოთნებში გამოყვანილი და ბაღში ჯერ კიდევ გადაურგავი პომიდვრის ჩითილებზე. პანი ურშულა ჩაის ასხამდა, რომელიც უხმოდ და კმაყოფილი სახით უნდა დაელიათ, მიუხედავად იმისა, რომ ის თითქმის ყოველთვის უგემური იყო. პანი იადვიგას ნაყიდი ორცხობილა შემოჰქონდა. თავისი გრძელი, ჩხირივით თითებით შაქარმოყრილ ნაჭრებს სათითაოდ იღებდა მუყაოს ყუთიდან, თეფშის კიდეზე ფერთხავდა და ისე აწყობდა ზედ, რაც ჭამის სურვილს სულმთლად დაგიკარგავდა. შეთავაზებული ორცხობილა ს.-ს არასოდეს გაუსინჯავს. ყოველთვის ეგონა, რომ პანი იადვიგა წლების განმავლობაში მუდამ ერთსა და იმავე ფხვიერ ნამცხვრებს იღებდა ომამდელი თუნუქის კოლოფიდან, მერე ისევ უკან აწყობდა და მის მომავალ სტუმრობამდე ინახავდა.

ჟენიასთან სერიოზული ლაპარაკი შეუძლებელი იყო. უეცრად ყველაზე შეუფერებელ მომენტში აუტყდებოდა ხოლმე სიცილი, ან მოულოდნელად აღგზნებული ფეხზე წამოხტებოდა. შუბლზე მოკლედ შეკრეჭილი თმით ბებერ ბავშვს ჰგავდა, ბავშვს, რომელიც რაღაც უცნაურმა სნეულებამ უდროოდ ჩამოაბერა. მიუხედავად ყველაფრისა, ს. ამ ოჯახში თავს უჩვეულოდ კარგად გრძნობდა. ჩაის სმის დროს სასიამოვნოდ მოდუნდებოდა, მოეშვებოდა, პერანგის საყელოს შეიხსნიდა ზოგჯერ პიჯაკსაც იხდიდა და სკამის საზურგეზე გადაჰკიდებდა, თითქოს ძველ მეგობრებთან ბრიჯის სათამაშოდ მოვიდაო. დიახ, უბრალოდ ბრიჯის სათამაშოდ. როგორც კი პანი იადვიგა მოზრდილ ბროლის საფერფლეს ახლოს მიუწევდა და პირველ სიგარეტს მოუკიდებდა, მაშინვე გრძნობდა სხეულში აღდგენის იდუმალი პროცესის დაწყებას. თითქოს ისევ იმ თავის ძველ თავს უბრუნდებოდა, როგორიც ომამდე იყო – ახალგაზრდა, სამომავლო გეგმებით სავსე, ლაღი, თავისუფალი, ერთი სიტყვით, ადამიანი-საცობი, რომელიც, რაც უნდა შეემთხვეს, მაინც სწრაფადვე ამოტივტივდება ზედაპირზე.

რუხ ქაღალდგადაფარებულ მრგვალ მაგიდასთან მხოლოდ ის და ჟენია ისხდნენ ხოლმე. ქალები პატარა ტომსიკას, რომელშიც ლობიოს მარცვლები ეყარა, ძმას წინ დაუდებდნენ და ისევ დივანს უბრუნდებოდნენ. ასე იწყებოდა ყველაფერი. ჟენია უცებ დასერიოზულდებოდა. ჯერ დიდხანს იფშვნეტდა თავის უფერულ ხელებს, მერე კი მონაცვლეობით მანამდე უჭერდა ერთ ხელს მეორეს, სანამ ძვლებს უსიამოვნოდ არ აატკაცუნებდა. თითქოს ცდილობდა, იქ მყოფნი დაერწმუნებინა, რომ მისი სხეული მართლაც აპკივით თხელი კანით დაფარული ძვლებისა და ხრტილებისგან შედგებოდა. შემდეგ ლობიოს მარცვლებს ქაღალდზე წამოყრიდა და ორ-

ორ მარცვლობით გროვიდან თითებით გვერდზე გაჰქონდა. ამას მანამდე აგრძელებდა, სანამ ს.-ს თვლემა მოერეოდა. ამ დროს ის ფიქრებით თავის კაბინეტში ბრუნდებოდა, ზედაპირულად იხსენებდა განვლილ სამუშაო დღეს, მშრალი და ჩახუთული კაბინეტების ლაბირინთს, საწერ მაგიდასთან დაფენილი სპარსული ხალიჩის ნაყშებს, დერეფანში შემთხვევით შეხვედრილ ადამიანთა სახეებს, ხელმოსაწერად გამზადებულ საბუთებს, ჟურნალ „პშეკროიში" კროსვორდის შესავსებად თავწარგულ რიტას სილუეტს. მშვიდად მობუტბუტე მოხუცის ხმაზე ძილმორეული ს.-ს თვალწინ სურათები ერთმანეთს ენაცვლებოდა, ჟენია კი თითებით ქაღალდზე ლობიოს მარცვლებს დაასრიალებდა, რომლებიც ერთმანეთთან შეჯახებისას სასიამოვნოდ წკაპუნებდნენ. ს.-ს ყოველთვის ახსენდებოდა ისიც, რომ გადაღლილი იყო, რომ ძალიან ბევრს მუშაობდა და რაც ყველაზე მთავარია, მისი შრომა არამარტო სრულიად უსარგებლო, არამედ საეჭვოც კი გახლდათ, ისევე როგორც სხვა ყველაფერი ირგვლივ. თანდათანობით სულ უფრო და უფრო დუნდებოდა და ითენთებოდა, და ჟენიაც სწორედ მაშინ მოიმარჯვებდა ხოლმე ხელში ქიმიურ ფანქარს, ქაღალდზე დარჩენილ ლობიოს მარცვლებს შორის უცნაურ, ერთი შეხედვით, შემთხვევით ხაზებს ავლებდა და ლაპარაკს იწყებდა. ხან რომელიმე სიტყვას იმეორებდა, მაგალითად: „უძრაობა, უძრაობა, უძრაობა...", აიჩემებდა. ხან კი იტყოდა: „შენ მარჯვნივ მყოფ ადამიანს დაებადება აზრი, რომელიც შენ სახიფათო ცვლილებებს მოგიტანს. ამის თავიდან აცილება შეუძლებელია. ამიტომ აუცილებლად უნდა შეიტყო მისი განზრახვის შესახებ, რომ მოსალოდნელი ცვლილებებისთვის შემზადება მოასწრო. შენ მარცხნივ მყოფი ადამიანი ავადაა და მას სიკვდილი ემუქრება. „ჰო, რომ მოკვდება, ეს ხომ ისედაც ცხადია", ადრე თუ გვიან ყველა

მოკვდება“, – თავს ვერ იკავებდა პანი ურშულა რეპლიკების სროლისგან. „ეგ ძალიან ზოგადი ინფორმაციაა. შენ ის თქვი, როდის მოკვდება“. ჟენია ბრაზდებოდა დის გამოხტომაზე, ქაღალდზე გაბნეული ლობიოს მარცვლებისკენ იხრებოდა და დაძაბულობისგან სწრაფად ახამხამებდა თვალებს. „აბა, მე საიდან უნდა ვიცოდე, როდის მოკვდება? თუ ეგეთი ჭკვიანი ხარ, მოდი და შენ თვითონ თქვი“. ს. კი ამ კამათის დროს იმაზე ფიქრობდა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ეს „მისგან მარჯვნივ და მარცხნივ მყოფი კაცები“. ოთახების განლაგება ჰქონდა მხედველობაში ჟენიას თუ უფრო რთულ მეტაფორას იყენებდა? ან რას შეიძლება ნიშნავდეს „მარცხენა“ და „მარჯვენა“? მათ მსოფლმხედველობაშია საქმე თუ მათ ადამიანურ მორალში?

მოხდა ისე, რომ სწორედ ის სიკვდილის წინასწარმეტყველება გამართლდა. ამხანაგ კასპშიკს, ს.-ს უფროსს, მოულოდნელად ფილტვების ანთება დაემართა და ორი კვირის თავზე გარდაიცვალა. ამ ფაქტის შემდეგ ს. მიხვდა, ვინ ყოფილა „მარცხენა“. როგორც კი შესაძლებლობა მიეცა, ეს ამბავი მაშინვე აცნობა და-ძმას. „ხომ გეუბნებოდი! მე ხომ გითხარი! არ გითხარი?“, იმეორებდა აღტაცებული ჟენია.

დიახ, ჟენიას სჩვეოდა, ერთი შეხედვით, მეტისმეტად განზოგადებული და იდუმალი რამეების თქმა, რომლებიც გარკვეული დროის შემდეგ უცნაურად მართლდებოდა. ნათლად და დაზუსტებით მას არასოდეს არაფერი უთქვამს. უმნიშვნელო, ბანალურ შემთხვევებს კი, მაგალითად, ის, რომ სახლის გასაღებს დაკარგავდა ან მანქანაში ვიღაც გაორმაგდებოდა (პიოტროვსკის ტყუპები შეეძინა), ან ვიღაც დროებით გველად გადაიქცეოდა (მორიგი კამათის დროს რიტამ, შე ცივსისხლიანო გველოო, მიაძახა), და ასე შემდეგ, უფრო კონკრეტულად წინასწარმეტყველებდა. ს. იმაზე ფიქრობ-

და, რა მექანიზმით ხდებოდა ეს ყველაფერი, რა შეიძლებოდა სდებოდა საფუძვლად ამ დამთხვევებს. ჭეშმარიტი რეალისტის ურწმუნოებით ცდილობდა წარმოედგინა, რომ რის ამოცნობასაც ჟენია ლობიოთი ახერხებდა, იმ მოვლენათა თესლი იყო, რომლებიც მომავალში უნდა აღმოცენებულიყო, მაგრამ პრინციპს ბოლომდე ვერ აცნობიერებდა. როგორც ჩანს, ლობიოს თესლმა სხვა თესლების ბუნება იცოდა, ანუ იმ მოვლენათა თესლებისა, რომელთაც სამომავლოდ უნდა ეჩინათ თავი – სხვადასხვა პოტენციალს, ალბათ, ერთმანეთთან კავშირი და ინფორმაციის გაცვლის უნარი ჰქონდა. ამიტომ აღარ უნდა გაჰკვირვებოდა, თუკი მისი გონება ყველაფერს ვერ შესწვდებოდა. მომავლის ზუსტი და იოლი წინასწარმეტყველება სანდო ვერაფრით ვერ იქნებოდა, რადგან მომავალი ჯერ არ დამდგარიყო; და ვერც ის ენა იარსებებდა, რომლითაც მას გადმოსცემდნენ. ალბათ, ჟენიას გაუგებარი მეტაფორების მიზეზიც ეს იყო. ათას ცხრაას ორმოცდაცამეტი წლის თებერვალში, თუ იანვრის ბოლოს, როდესაც მოხუცმა უთხრა, „დიდი სიკვდილი ახლოვდება, რომლის შემდეგაც გარემომცველი სამყარო შენთვის გაცილებით კეთილგანწყობილი გახდებაო“, ს.-მ ერთი შორეული ნათესავის შესაძლო გარდაცვალებასა და ანდერძზე იფიქრა, მაგრამ ახლა, მომხდარი ფაქტის შემდეგ, ნათელი იყო, რომ ჟენიამ სტალინის სიკვდილი იწინასწარმეტყველა. ერთი წლის შემდეგ ს.-მ მეოთხე სართულიდან პირველზე ჩამოინაცვლა, მოკლე ხანში შავი ლიმუზინითაც დაიწყო სიარული და რიტაც მალევე გაახარა უზარმაზარი ბინით. მაგრამ თავად მას რა შესძინა იმის ცოდნამ, რომ ჟენიას უცნაური ნათქვამი მომხდარის შემდეგ ცხადდებოდა მისთვის?

„რაში მჭირდება მომავლის ამგვარი ცოდნა, როდესაც ის მხოლოდ მომხდარი ფაქტის შემდეგ იჩენს თავს და რომელ-

საც ვერაფერში გამოვიყენებ?" – ფიქრობდა ს. და ერთხელაც, როდესაც სამზარეულოში იჯდა და რიტასთან ერთად კონიაკს წრუპავდა (რიტას თავისი ეგზოტიკური, ფარშავანგებიანი ხალათი და პომპონებიანი ქოშები ეცვა და საკუთარ სამზარეულოშიც კი მუდამ მსახიობად რჩებოდა), მიხვდა, რომ აქ მომავალში სულაც არ იყო საქმე. სინამდვილეში მას სულაც არ აინტერესებდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. საქმე კანონზომიერებაში გახლდათ. „არის ვითომ ჩვენ ირგვლივ რაიმე კანონზომიერება, წესრიგი, რომელსაც ვექვემდებარებით?", – ჰკითხა რიტას, რომელმაც სიგარეტს მოუკიდა და უპასუხა: „მხოლოდ ისეთი, როგორსაც თვითონ შექმნი". მაგრამ ს. პასუხმა ბოლომდე არ დააკმაყოფილა. „აი, რაღაც დიდი, განზოგადებული, ის, რაც ჩვენზე არ არის დამოკიდებული?", უფრო ღრმად სცადა ჩაძიება. „ცხადია, არის", მიუგო რიტამ და სასადილოდან ს.-ს მოტანილი ძვირფასი კონიაკი მოწრუპა. „რა თქმა უნდა. სამართლიანობა, დიალექტიკა, კლასობრივი ბრძოლა... რა იყო, გადაწყვიტე, რომ ბრიყვად მომაჩვენო თავი?"

ჟენიას არსებობას რიტას ვერ გაუმხელდა. ამის შესახებ მასაც კი არ უნდა სცოდნოდა. ჟენიას არსებობა საიდუმლოდ უნდა დაეტოვებინა, უჯრის სიღრმეში შემალული პორნოგრაფიული სურათებივით სამარცხვინო საიდუმლოდ.

პიოტროვსკის დროდადრო, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, ერთი ბოთლი შამპანურით ან ნახევარი კილო შეფუთული ყავით ასაჩუქრებდა. კარგად იცოდა, რომ სასკა კემპაზე სიარულს შესაძლო იყო, მისი კარიერა შესწირვოდა. შეეძლოთ ჯაშუშობა დაებრალებინათ ან თუნდაც მოხუცებულ და დაუძლურებულ დაზვერვის აგენტთან შეხვედრებში დაედანაშაულებინათ, რომელიც მას ლობიოს მარცვლების მეშვეობით საიდუმლო ინფორმაციას აწვდის, ეს ინფორმა-

ცია კი სხვა არაფერია, თუ არა სახალხო რესპუბლიკისთვის ზიანის მიყენების მცდელობა.

და-ძმასთან მორიგი სტუმრობიდან შინ დაბრუნებული, ფიქრობდა, რომ თუკი საერთოდ შესაძლებელია მომავლის განჭვრეტა, მოცემულ რეალობაში ამის შანსი ყველაზე ნაკლებად არსებობდა, რადგან სამგანზომილებიან სივრცეში დრო ერთი მიმართულებით მიისწრაფვის A პუნქტიდან B პუნქტამდე, ხოლო რეალობა ობიექტურად, ობიექტურად, ობიექტურად... იმეორებდა და იმეორებდა ამ სიტყვას, რადგან აქ ფიქრის ძაფი მოულოდნელად გაუწყდა. ანუ, თუ დავუშვებთ, რომ მომავლის განჭვრეტა შესაძლებელია, მაშინ ამას საშინელ ფაქტამდე მივყავართ. და უცბად, დაძაბულმა და შეშინებულმა, აღმოაჩინა, რომ არსებობს მტკიცე შინაგანი წესრიგი, რომელზეც რამე ზეგავლენის მოხდენა შეუძლებელია; ჩვენ ჩვენზე უფრო დიდ ძალებს მოვყავართ მოძრაობაში და არ ვიცით, რა არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი და რა – არა. ვითომ რატომ უნდა იყოს გასაღების დაკარგვა დანინაურებაზე ან საზღვარგარეთ მოგზაურობაზე უმნიშვნელო? ან პიოტროვსკის ტყუპები სამყაროსთვის იმაზე ნაკლებად ღირებული, ვიდრე მორიგი პლენუმის შემდეგ ცენტრალური კომიტეტის სკამებზე მომხდარი ცვლილებებია? ან თუნდაც განრისხებული რიტას დაუფიქრებელი შეძახილი – „შე ცივსისხლიანო გველო", განა მისთვის სტალინის სიკვდილით გამოწვეულ არეულობაზე მნიშვნელოვანი არ არის? იქნებ საქმე სწორედაც ისაა, რომ მოვლენათა იერარქიისა არაფერი გაგვეგება? და თუ მართლა ასეა, მაშინ, როგორღა ვიცხოვროთ, რით ვიხელმძღვანელოთ?

მაგრამ თუ მომავლის წინასწარმეტყველება სრულიად შეუძლებელია და ჟენია მის გაცურებას ცდილობს? და ისიც, ზრდასრული მამაკაცი, შერეკილ მოხუცს თავს ატყუები-

ნებს? იქნებ მომავლის დრო, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობს? იქნებ მთელი ეს მომავალი მხოლოდ და მხოლოდ აწმყოში გადადგმული ნაბიჯების შედეგია? მაშინ გამოდის, რომ სასკა კემპაზე სტუმრობები ერთგვარი ფსიქოლოგიური რიტუალი ყოფილა, მშვიდი, უსაფრთხო გარემოს პოვნის სურვილი, რაღაც ეკლესიაში სიარულის მსგავსი. და ეს წარმოდგენა პირველზე გაცილებით უარესია, რადგან ამ შემთხვევაში აქ და ახლაც ტყვეები ვყოფილვართ, ქაოსის საზარბაზნე ხორცი, სხვა ადამიანთა ილუზიების მსხვერპლი, დამფრთხალი ლემინგების ხროვა და მეტი არაფერი.

როგორც კი ლიმუზინი სასკა კემპიდან დაიძვრებოდა და ვისლის მეორე ნაპირზე გადავიდოდა, ჟენია და მისი დებიც მაშინვე დავიწყებას ეძლეოდნენ. ხანდახან, პონიატოვსკის ხიდზე გადასვლის დროს, საკუთარ თავს ჰპირდებოდა, რომ ჟენიასთან აღარასოდეს დაბრუნდებოდა, მაგრამ ორიოდე კვირის ან ერთი თვის შემდეგ ისევ წამოუვლიდა მისი ნახვის სურვილი, იმ ერთი სირჩა არაყის დალევა, და მოდუნების სურვილიც ისევ უჩნდებოდა. მოკლედ ეტყოდა პიოტროვსკის „სასკა კემპაო" და მასაც მიჰყავდა საღამოს მორიგი დოზა სასოწარკვეთის მისაღებად: „რა მრჯის, ეშმაკმა დალახვროს, რაში მჭირდება ეს ყველაფერი?"

მეორე დღეს დილით ადრე შედიოდა შენობაში, ჩქარი ნაბიჯით აივლიდა ფართო მარმარილოს კიბეს, ოდნავ შესამჩნევად დაუკრავდა თავს გზად შემხვედრ მუქ ლურჯ პიჯაკებსა და შარვლებში გამოწყობილ მამაკაცებს. თავის ოთახში საწერ მაგიდასთან მჯდარს კი გამუდმებით იმის განცდა ჰქონდა, რომ საერთოდ არ შეეფერებოდა ამ ადგილს, რომ ყოველ დილით დიდი ძალისხმევის ფასად უნდა აამოქმედოს მასში არსებული რაღაც მექანიზმი, რომელიც აქ გაძლებაში დაეხმარება. სინამდვილეში ეს მშვენიერი კაბინეტი მასში

ნერვიულ მთქნარებას იწვევდა, ფსიქოლოგიურად გაუსაძლის, ერთმანეთის საპირისპირო შეგრძნებას – ცხოველური შიშით გამოწვეულ მომაკვდინებელ მოწყენილობას. შეგრძნებათა ეს უცნაური ნაზავი განაპირობებდა იმასაც, რომ სამსახურში მოსვლიდან ერთი საათის შემდეგ საშინლად ოფლიანდებოდა და პერანგს იცვლიდა. ამიტომ ზუსტად ასეთივე კიდევ ერთი პერანგი (რიტას ხელით სათუთად დაკეცილი) შინიდან მოჰქონდა. ცხადია, კარს კეტავდა და ისე იცვლიდა, რომ მდივანს არ დაენახა, რომელსაც ყველაზე ნაკლებად ენდობოდა. ამის შემდეგ კი ის და მისი სხეული თითქოს ბნელში ხელის ცეცებით პოულობდნენ ერთმანეთს, რაშიც ერთი სირჩა კონიაკი და რამდენიმე ღერი სიგარეტიც ეხმარებოდა. ყველაფერს ქრონიკულ გადაღლილობას აბრალებდა. ნევრასთენია მაქვსო, „გამივლის, ყველაფერი თავისით გამივლის", ამბობდა და ასეც ხდებოდა.

სუფთა პერანგით უკვე სრულიად დამშვიდებული მიდიოდა ფანჯარასთან და გამარჯვებული იერით გაჰყურებდა ცკის შენობის წინ გადაშლილ მოედანს. აქედან კარგად ჩანდა, თუ როგორი მარტივი წესები აწესრიგებდა მოძრაობას. იქნებ სამყაროშიც ასეა: წითელი და მწვანე შუქები ერთმანეთს რიტმულად ენაცვლება, ხოლო ქაოსის ეპიცენტრში ახოვანი მილიციელი დგას მთავარანგელოზის სათნო სახით და ადამიანებს სწორ მიმართულებას უჩვენებს.

იერუსალიმის აღება. რატენი
1675

1675 წელს სამასი სოფლელი კაცი მთელი ზაფხული თხრიდა კედრონს. ბრაზობდნენ. ყანა მოსამკელი იყო, ბალახი მეორედ გასათიბი, სხვაც უამრავი საქმე ითხოვდა ხელს. მათთან ნებისმიერ თემაზე დაწყებული საუბარი ბოლოს მაინც ფქვილზე, კომბოსტოზე, კარტოფილზე, ხორცზე (ხორცის ხსენებაზე თვალები ძაღლებივით უელავდათ) ლაპარაკით მთავრდებოდა. „არ მინდა დავიჯერო, – სწერდა ცოლს, რომელიც ზაფხულს ბავარიაში ატარებდა, – რომ ჩვენც ადამ და ევასგან მოვდივართ და ისინიც. ნუთუ მართლა საერთო წინაპრები გვყავდა?". წერილის მომდევნო სტრიქონში კი საკუთარ თავს თვითონვე პასუხობდა: „არა, არ მჯერა. კაცობრიობის ისტორიაში რაღაც უზუსტობა უნდა იყოს გაპარული, თორემ როგორ შეიძლება, მე ასეთი დიადი იდეები მამოძრავებდეს, ისინი კი საკუთარი მუცლის იქით ვერ იხედებოდნენ? ისიც კი არ ვიცი, საერთოდ ესმით თუ არა, რაზე ველაპარაკები".

მართალი იყო. მუდამ შუბლსქვემოდან უყურებდნენ ეჭვიანი და უნდობლობით სავსე მზერით. ხანდახან სიძულვილიც გაუკრთებოდათ ხოლმე თვალებში. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ კიდევ ერთი ომი და არეულობა რომ დაწყებულიყო, არც დაფიქრდებოდნენ, ისე დაესხმებოდნენ თავს სასახლეს, დაარბევდნენ და მიწასთან გაასწორებდნენ.

ჭაღებს, ძვირფას გობელენებს და ჩინურ ფაიფურს კი არ დაიტაცებდნენ, გაანადგურებდნენ და დაამსხვრევდნენ, როგორც ყოვლად უსარგებლო და გამოუსადეგარ ფუფუნების საგნებს. სასახლის მთელ ამ სამშვენისებს მარტო იმ შემთხვევაში დააფასებდნენ, ისინი პურის, ხორცისა და ქონში შემწვარი კარტოფილისგან რომ ყოფილიყო დამზადებული, – გაიფიქრა ირონიულად. მაშინ რევოლუციაც უმალ დასრულდებოდა, ამბოხი საყოველთაო ღრეობაში გადაიზრდებოდა, ჩამცხრალი ვნებათაღელვის შემდეგ გამეფებულ სიწყნარეს კი მხოლოდ ბუჩქებიდან გამოსული კუილისა და ჭინთვის ხმები დაარღვევდა. საერთოდ ყველაფერი ხომ ყოველთვის ამით მთავრდება.

ამიტომ არ უკვირდა, როდესაც გლეხები ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ მასთან და დაღრეჯილი სახეებითა და კრძალვით ევედრებოდნენ, რომ სამკალის მიტოვება და არხის თხრა ოდითგან დადგენილი ჩვენი ადათ-წესების ღალატს ნიშნავსო. ერთთავად პური ელანდებოდათ. მათი ერთი მესამედი რამდენიმე დღით გაათავისუფლა კიდეც, ყანებისთვის რომ მიეხედათ და ხორბალი ბელელში დაებინავებინათ, თუმცა ეს უფრო აღმზრდელობითი მოსაზრებით გააკეთა. უნდოდა, როგორმე მიეხვედრებინა ისინი, რომ მუცლის ამოყორვაზე უფრო ღირებული და მნიშვნელოვანი სულიერი საქმეებიც არსებობს, რომ ჩვენ ჩვენმა კეთილშობილურმა მისწრაფებებმა უნდა გადაგვარჩინოს, რადგან ამქვეყნად ადამიანი მაღალი იდეალების განსახორციელებლად იბადება.

სასახლე, რომელიც რატენში შეიძინა, სასტიკი ომებისგან მთლიანად გაპარტახებული, გაძარცვული და ხანძრისგან გადაბუგული იყო. ბაღებით გარშემოტყმულ, გორაკზე წამომართულ სასახლეში ჯერ კიდევ ტრიალებდა ოდესღაც ქვის იატაკზე დაგებული, ახლა კი ცეცხლში ჩამწვარი შალის

ძვირფასი ხალიჩებისა და ფარდაგების სუნი, ტრუსის სუნი, როგორც მსახვრალ ომებში თვით ჯოჯოხეთის თანამონაწილის სამხილი. იმ უგუნურთა ნათესავები, ვინც ეს სასახლე ცეცხლს მისცა, ახლა მის აღდგენაზე ირჯებოდნენ, აღმართში ქვასა და ქვიშას ეზიდებოდნენ, კირის დუღაბს ზელდნენ, ხის მორებს თლიდნენ.

დღემდე ახსოვს ის განცდა, ალისფრად მოელვარე შემოდგომის ერთ დღეს მოპირდაპირე გორაკზე რომ ავიდა, რათა ველური, მთაგორიანი ლანდშაფტის ფონზე თავისი მრავალწლიანი მშენებლობის შედეგით: ქვიშისფერი კედლებით, ათეულობით ფანჯრით, ტბორისკენ დაშვებულ ტერასებზე გაშენებული ვენახებითა და ვარდის ბაღებით, ორანჟერეის დახვეწილი სვეტებით, ზეცის ლაჟვარდისფერ ატლასზე დაბნეული მავრეტანიული ატიკით, ამ არქიტექტურული მაქმანის მშვენიერებითა და სუნთქვის შემკვრელი სილამაზით დამტკბარიყო. სიყვარულის მოზღვავება – აი, რა იგრძნო მაშინ ფონ კინასტის გულმა და მღელვარებისგან თვალზე ცრემლი მოადგა.

სასახლის გარშემო დადიოდა და ხელებით შეიგრძნობდა მის ქვის სხეულს, ნაზად ეხებოდა, ეალერსებოდა, თითს აყოლებდა დუღაბის ხორკლიან ხაზებსა და ქვების უსწორმასწორო კიდეებს. ის დღესასწაულიც, მაისობა, სასახლისადმი სიყვარულის ნიშნად დააწესა. მოიწვია ორკესტრი, ჩამოიყვანა მოცეკვავეები, თავი მოუყარა საუკეთესო მზარეულებს, აყიდინა ასობით ქათქათა სუფრა, ვერცხლის დანა-ჩანგალი, ფაიფურისა და მინის ჭურჭელი, ყვავილებით სავსე კალათები. ბაღებში თეთრი მარმარილოს შიშველი ფიგურები, ნიმფები და ქალღმერთები დადგა, რომლებიც გლეხებს შიშის ზარს სცემდა. მერე მთელ მსოფლიოში გაფანტულ ნათესავებს უხმო, რომელთა სიმცირესაც თავისი წარჩინებული გვარის გამო არ უჩიოდა და სასახლის დარბაზებიც მალევე აივსო

სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანთა ხმებით, აღტაცების შეძახილებითა და ენამოსწრებული დიალოგებით. უშველებელი მაგიდები ერთმანეთს მიადგეს. რამდენიმე მოახლე გოგო დილიდან საღამომდე რეცხავდა ჭურჭელს. შორიდან ჩამოყვანილი მზარეულები ასად იჭრებოდნენ, სამზარეულოს სარკმლებიდან ბოლქვებად გამოდიოდა ორთქლი, თუჯის ტაფებში გოჭები, ხოხბები და უზარმაზარი ორაგულები შიშხინებდა, ნაკვერჩხალზე შამფურებზე წამოცმული ნანადირევი ტრიალებდა.

ამინდმაც ხელი შეუწყო. სტუმრები წალკოტში დასეირნობდნენ და შადრევნებისა და ქანდაკებების სილამაზით ტკბებოდნენ, თუმცა მათ ყველაზე მეტად მაინც ბაღის სხვადასხვა ნაწილში მოწყობილი ცოცხალი სანახაობა აღაფრთოვანებდათ, სადაც ნაირგვარ სამოსში გამოწყობილი და შეპუდრული მსახიობები ხვდებოდნენ.

ჩრდილოეთ მხარეს ისინი ზამთრის ალეგორიას განასახიერებდნენ: მიწაზე გაშლილ თოვლივით თეთრ ტილოზე გაშეშებული მონადირეთა ჯგუფი გარეული ტახებისა და კურდღლების ფიტულებს იარაღს უმიზნებდა. იქვე მდგარ ჯარას და სართავ დაზგებს გარინდებული ქალები მისხდომოდნენ. ძვირფასი მარხილები სრიალში გასაჯიბრებლად მომზადებულიყვნენ. ქათქათა ტილოზე ამოჭრილ ხვრელში რამდენიმე კაცს ანკესები ჩაეკიდა. თავად ზამთარს ერთი ტანხმელი, ხანში შესული სოფლელი ქალი განასახიერებდა, რომელიც ჯოხს დაყრდნობოდა და თავიდან ფეხებამდე დათვის ტყავში გახვეულიყო. ქალს ფრიდა თუ გრეტა ერქვა, თუმცა სახელს რა მნიშვნელობა აქვს. შიშისმომგვრელი, მაგრამ იმავდროულად დიდებული სანახაობა იყო.

მაისის კვალობაზე ზედმეტად თბილი დღის გამო მსახიობებს სახეზე ოფლის წვეთები ჩამოსდიოდათ, რომელსაც უხვად შეფრქვეული პუდრი იშრობდა.

მოხიბლული დამთვალიერებლები გზას ბაღის აღმოსავლეთ ნაწილისკენ მიჰყავდა, სადაც მათ გაზაფხული ელოდათ, ჰაეროვან თეთრ კაბაში გამოწყობილი ნორჩი ქალწული, რომელსაც ქერათმიანი თავი ყვავილების გვირგვინით დაემშვენებინა. „ახ!" – აღტაცების შეძახილი აღმოხდა დიდგვაროვან მაყურებელს. ჭაბუკები გაზაფხულის მოხდენილ, შიშველ კოჭებზე აჩერებდნენ მწველ მზერას, ქალბატონები აბრეშუმისა და ტიულის სინატიფეს იწონებდნენ. გაზაფხულის გარშემო გლეხებს მოეყარათ თავი, რომლებიც ვითომდა მიწას ხნავდნენ. ხნულში ჩამდგარ მთესველს კი მარცვლის მოსაბნევად გაწვდილი ხელი ადგილზე გაშეშებოდა.

სამხრეთით, ახალგაზრდა გათხოვილი ქალი, რომლის სახელსაც ფონ კინასტი ვეღარ იხსენებს, მაგრამ სამაგიეროდ არასდროს დაავიწყდება მისი გრძელი და სქელი ქერა თმა, ზაფხულს განასახიერებდა. თავადაც ყვავილებით მოჩითულ კაბაში გამოწყობილ, ცოცხალი ყვავილების ზღვაში მდგარ ქალს თავთავებისგან დაწნული გვირგვინი ედგა თავზე და ხელში მაისის პირველი ვარდების კონა ეჭირა. მის გარშემო კი მიწისკენ თავდახრილ ჩალისქუდიან მომკელებს – მთიბავებსა და ნამგლიან ქალებს მოეყარათ თავი.

წალკოტის დასავლეთით, ზედ ტბორის პირას, მთელი თავისი პირვანდელი სილამაზით – ვაშლითა და მსხლით სავსე კალათებით, გაკრიალებული სტაფილოთი, შემოდგომისფერი ქსოვილების ფოთლების გროვაში შემოდგომა გაყურსულიყო. შემოდგომის როლი ფონ კინასტის სოფლელ ხასას, გამორჩეული სილამაზის წითურთმიან და ხორცსავსე მარსელა ოპტიზს მოერგო. მარსელა დედოფალივით ყელმოღერებული იდგა წელში მოხრილ ქალებს შორის, რომლებიც მიწიდან ვითომდა კარტოფილს იღებდნენ და სელს ცეხვავდნენ.

და ამ ყველაფრის შემდეგ, განა საჭიროა იმის თქმა, რომ სანახაობამ უკლებლივ ყველა სტუმარი ერთნაირად აღაფრთოვანა? დღესასწაული რამდენიმე დღე-ღამე გრძელდებოდა. გათენებამდე ილვრებოდა მუსიკა, რომელსაც საყვირის შეძახილები, ვიოლინოების ფალცეტები და მკვნესარე ჰობოები ერთად ქმნიდნენ. ბილიკებზე მიმობნეული კენჭები სასიამოვნოდ ხრაშუნებდა სტუმართა ფეხქვეშ.

ზეიმის დასრულების შემდეგ კი, როცა სტუმრები ეტლების ჭრიალით შინისკენ მიმავალ გზას დაადგნენ და მათი სასახლეში ყოფნის ნიშნად მხოლოდ გათელილი ბალახი და აურაცხელი დასარეცხი ჭურჭელილა დარჩა, როცა ილაჯგაწყვეტილი დაქირავებული მზარეულები სულის მოსათქმელად მაგიდებთან ჩამოსხდნენ, მაძღარი ძაღლები ნაგვით სავსე აივნებზე მიეყარნენ და გლეხებმაც დაღლილი სხეულების მოსასვენებლად თავიანთ ქოხებს მიაშურეს, ფონ კინასტი დივანზე მიწოლილ, შაკიკით შეწუხებულ მეუღლეს ფერხთით ჩამოუჯდა და თავის მართლებას მოჰყვა:

– ძვირფასო ქალბატონო, ხანდახან ერთი შეხედვით ყოვლად უსარგებლო რამეებიც უნდა ვაკეთოთ ხოლმე. ამის გარეშე ჩვენი ცხოვრება საშინლად მოსაწყენი იქნებოდა. ისეთივე, როგორიც აგერ, იმათი... – და ხელი ქვემოთ, ტაფობზე გაშენებული სოფლისკენ გაიშვირა. – ჩვენ ცხოველებისგან ფიქრისა და სიბრძნით სავსე წიგნების კითხვის უნართან ერთად არასაჭირო რამის კეთების მოთხოვნილებაც განგვასხვავებს. დიახ, ზოგჯერ ისეთი უსარგებლო საქმეებიც უნდა ვაკეთოთ, რომელთა არსებობაც ხანმოკლეა, მაგრამ მომხიბლავი, რომლებიც გვაოცებენ, მიუხედავად იმისა, რომ მსწრაფლვე ეძლევიან დავიწყებას. ჩვენი ყოფა აი, ასეთი ცეცხლოვანი აფეთქებებით უნდა იყოს სავსე, თორემ სხვანაირად მოვდუნდებით და გამოვიფიტებით.

იმ წელიწადს ფონ კინასტს ბრწყინვალე იდეა დაებადა, რომლის მსგავსიც მანამდე არასოდეს მოსვლია თავში. მისი განხორციელება ივლისში კედრონის გათხრით დაიწყო, მკისა და წელიწადის იმ დროის მიუხედავად, რომელიც ადამიანებს ათასგვარ საქმეს ახვევს თავს. ფონ კინასტი შუაღამემდე ჯერ თავის მდივანს ეთათბირა, მერე კი პრაღაში, დიოცეზიის დედაქალაქში, იქაურ ეპისკოპოსთან თავისი წამოწყების საბოლოო დეტალების შესათანხმებლად გაემგზავრა. იქვე შეუკვეთა მაუდის ფერადი ქსოვილები, ხეზე კვეთის ოსტატებსაც მოურიგდა, თავისი მჭედლებისთვის საჩვენებლად ძველებური იარაღი – ფარ-ხმალი და შუბებიც შეიძინა და სხვადასხვანაირი ალმებიც დაუკვეთა. სექტემბრიდან მის სამჭედლოებში დროებით დაივიწყეს ნალები, კასრის სალტეები, ურმის ღერძები და თვლები. აქ ახლა იარაღის პირებს ამზადებდნენ, დანარჩენ ნაწილებს კი ხისგან თლიდნენ. ქალები ხიფთანებსა და მოსასხამებს კერავდნენ, მოსამსახურე გოგოები დროშებზე უცნაურ ემბლემებს აქარგავდნენ. ამ შრომაში რამდენიმე სოფლის მცხოვრებნი იყვნენ ჩაბმულნი. მოლაპარაკების თანახმად, გასამრჯელოდ ისინი საკვები პროდუქტებს მიიღებდნენ, რომლებიც ახლომდებარე სასახლეებიდან ან ქალაქში გამართული ბაზრობებიდან მოჰქონდათ. ფონ კინასტის ყველა სოფელი, რატენი, რატენაუ, სტენაუ, ალბენდორფი, ზაიფერსდორფი, შრაფენეკი, რომელიც ჩრდილო-სამხრეთისკენ, დაბლობში მდებარეობდა, ისევე როგორც გორაკებზე შეფენილი მბეჭველთა მომცრო დასახლებები, მისთვის მუშაობდა. თითოეული სოფლიდან თითო კაცი აირჩია, რომლებიც პასუხისმგებლები იქნებოდნენ თანასოფლელთა შრომაზე, ყოველი კვირის ბოლოს კი, წირვის შემდეგ, ანგარიშს ჩააბარებდნენ. ისინიც მოდიოდნენ და თავიანთი გლეხური სიტყვაძვირობით უყვებოდნენ, თუ

რამდენი ხის ხმალი გამოითალა, რამდენი ხიფთანი და ფერადი მოსასხამი შეკერეს ქალებმა, ფონ კინასტის მამასახლისს კი ეს მონაცემები ხორბლის, სელის ძნების, კარტოფილისა და საქონლისთვის ცალ-ცალკე გამოყოფილ გრაფებში შეჰქონდა. პატარა კუნცენდორფში მცხოვრები დურგლები ამ დროს ხესავით მაღალ და ხისავე ბორბლებზე შემდგარ საალყე მანქანებს აგებდნენ და ფონ კინასტიც ყველაზე მთავარ საქმეს – იერუსალიმის აგებას შეუდგა.

ამბობდნენ, გოტფრიდ ლოტარინგიელი ფონ კინასტის წინაპარი იყოო. ყოველ შემთხვევაში, მისი დიდი ოჯახი ასე მიიჩნევდა. თუკი სისხლს მართლა გააჩნია მეხსიერება, მაშინ იმ სურათსაც მოეძებნება ახსნა, რომელსაც მოსასვენებლად წამოწოლილი, თვალებმილულული ფონ კინასტი წარმოიდგენდა ხოლმე. ის უმეტესად უდაბნოს თაკარა მზის ქვეშ გაშლილ ოქროსფერ ქალაქს ხედავდა – მის მაღალ კედლებსა და კოშკებს, ეკლესიებისა და მინარეთების წვეტიან და მრგვალ გუმბათებს – სამყაროს მიერ ლანგრით მორთმეულ ოქროსფერ ორცხობილას.

იცოდა, რომ ამ სურათის სილეზიის ნოტიო ველებზე გადატანა იოლი საქმე არ იქნებოდა. ადგილი, რომელიც, მისი აზრით, ძალიან ჰგავს იქაურ ლანდშაფტს, კარგა ხნის წინ შეარჩია: აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ორი დაბლობი და ხეობაში თავქვეზე მიმავალი პატარა მდინარე, რომელიც დღითი დღე სულ უფრო მეტად ემსგავსებოდა კედრონს, სამხრეთ დასავლეთით კი მომცრო ბორცვი, რომელიც სიონის მაგივრობას გასწევდა. გარდა ამისა, ეს ადგილი სასახლის ტერასიდან ხელისგულივით იშლებოდა და ფონ კინასტის ჩანაფიქრის განსახორციელებლად პირდაპირ ციდან ჩამოვარდნილ წყალობას ჰგავდა.

მუშაობა დურგლებმა ხის კედლების აგებით დაიწყეს, რომლებიც სიმაღლით, მართალია, ბევრად ჩამოუვარდებოდა ორიგინალს, მაგრამ წმინდა ქალაქის იმიტაციის შესაქმნელად საკმარისი იყო. შუა ნაწილიც პირობითად მონიშნეს იმის გამო, რომ აქცენტი ქალაქზე კი არა, მის დაპყრობაზე უნდა გაკეთებულიყო. სამაგიეროდ სამი მოზრდილი კოშკი წამომართეს – დავითის კოშკი, შედარებით მცირე ზომის ჰეროდეს კოშკი და იაფას კარიბჭე დასავლეთით.

ნოემბრის ბოლოს იერუსალიმის მშენებლობა უკვე დასრულებული იყო. ზამთრის ამ ცივ და მოღუშულ პერიოდში გლეხები, რომელთაც საქმე აღარაფერი ჰქონდათ, ისხდნენ და თავიანთ როლებს სწავლობდნენ. რობერტ ნორმანდიელის როლი გოლიათური აღნაგობის გლეხს, ჰანს ჰოდიშს, ხვდა წილად, რომელსაც გრძელი და ხშირი წვერი ჰქონდა და აბჯარში ნამდვილი რაინდივით გამოიყურებოდა, თუმცა ფეხსაცმლით სიარულს მიუჩვეველი, ძალზე მოუხეშავად დაალაჯებდა. რობერტ ფლანდრიელად ფონ კინასტმა ოპტიზი დაასახელა, ლამაზი, წითურთმიანი შემოდგომის მამა. ვინმე კმეტი სტენაუდან, რომელსაც რაიმუნდ ტულუზელი უნდა განესახიერებინა, ყველაზე მონდომებული აღმოჩნდა: გამჭრიახმა და გონებაგახსნილმა გლეხმა თავისი როლი საუკეთესოდ მოირგო და დიდი სამსახიობო ნიჭიც გამოავლინა. აი, ტანკრედის როლმა კი ძალიან გააწვალა – მისი შემსრულებელი შობა დღეს ავად გახდა და ახალი წლის შემდეგ გარდაიცვალა. სასწრაფოდ უნდა მოეძებნა ახალი ტანკრედი. რაც შეეხება გოტფრიდ ლოტარინგიელის როლს, ფონ კინასტს ცოტა დააკლდა, ის თავად განესახიერებინა და იერუსალიმზე თავდასხმელთ რიგებს შეერთებოდა, მაგრამ ბევრი ფიქრის შემდეგ მაინც თანამეცხედრის სურვილს დაჰყვა, რომლის აზრითაც, დიდგვაროვანს არ შეეფეროდა გლეხე-

ბთან ერთად ველ-მინდვრად წინ და უკან სირბილი. ფონ კინასტმა ეს როლი თავის საბრალო მდივანსა და შორეულ ნათესავს ანდო.

რაც შეეხება ურჯულოებს, იმის გამო, რომ გლეხებმა, თუნდაც რამდენიმე საათით ნებაყოფლობით უარი განაცხადეს მათი როლის შესრულებაზე, ფონ კინასტი იძულებული გახდა, კატეგორიულად მოეთხოვა, რომ მის მფლობელობაში არსებულ ყველა სოფელს თხუთმეტ-თხუთმეტი კაცი გამოეგზავნა ურწმუნოთა როლების შესასრულებლად. იერუსალიმის მმართველის, იფტიკარ ად-დავლას, როლი კი მან ერთ შავგვრემან მოჯამაგირეს მისცა.

პირველი რეპეტიციების ჩატარება შობამდე დაიწყეს, სანამ ჩამოთოვდა. ახლად აგებული იერუსალიმი მაშინ საკმაოდ უღიმღამოდ გამოიყურებოდა და მნახველზე ვერანაირ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა.

იქნებ ეს დეკემბრის მოქუფრული ცის ბრალი იყო, რომელიც მთის წვერებს ჩამომხობოდა ან იქნებ მოკლე დღისა, რომლის სუსტ შუქსაც ნაშუადღევამდე ძლივძლივობით მოჰქონდა თავი, მერე კი წყვდიადთან ბრძოლაში დიდხანს და წვალებით კვდებოდა? მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ეჭვმა და სასოწარკვეთამ ფონ კინასტის გულშიც შეაღწია: შეძლებს კი ამდენი ადამიანის მართვას, გაართმევს თავს შეტევის განხორციელებას? ან ეს ჩამოკონკილი მცონარა სოფლელები მოახერხებენ ასე უცებ რაინდებად გადაქცევას?

ამ დროს კი ორკესტრი უკვე სადღესასწაულო მუსიკას ხვეწდა, იკვლებოდა საქონელი და ცხვარი, გატყავებული კურდღლები ფეხებით ეკიდა ყინვაში, სამზარეულოს იატაკი გაპუტული ფრინველის ბუმბულს დაეფარა. მაგრამ რად გინდა! რეპეტიციებზე გლეხები ზანტად, უწადინოდ ირჯებოდნენ, წამდაუწუმ ტალახში ეცემოდნენ, სირბილი ეზარებო-

დათ და ერთი სული ჰქონდათ, შინ როდის წავიდოდნენ. ფონ კინასტს რისხვა ეუფლებოდა მათზე ფიქრის დროს, ზიზღს ჰგვრიდა ამ პრიმიტიული, ცხოველური ინსტინქტებით შეპყრობილი არსებების ცქერა. ძველი დროის ადამიანები სულ სხვანაირები უნდა ყოფილიყვნენ, თუკი ისინი ხალისით მიდიოდნენ უფლის საფლავისკენ, თუკი მათ გულებში სხვა სურვილებიც კიაფობდა, გარდა ჭამისა და ბნელ, ჩახუთულ ქოხებში ბავშვების კეთებისა.

თავლებთან აგროვებდა და ბავშვებივით უყვავებდა. ისინი კი წამდაუწუმ ფეხს ინაცვლებდნენ, ნერვიულად ახველებდნენ და სევდიანი თვალებით გაჰყურებდნენ მოშორებით მდგარ თავიანთ ქოხებს. შეძლებისდაგვარად მარტივად უხსნიდა იმ კეთილშობილი მიზნის შესახებ, რომელმაც არამარტო ქრისტიანი რაინდები, არამედ დაბალი ფენის ხალხიც, ქალები და ბავშვებიც კი ასე შორს, მთებისა და ზღვების იქით წაიყვანა, რათა უფლის დახმარებით წმინდა ქალაქი ურჯულოთა ხელიდან გამოეხსნათ. მხატვრულად აღუწერდა მათ მიერ განვლილი გზის სირთულეს, ტრიალ მინდვრებს, ველურ უდაბნოს, ურჯულოთა სიავეს. სიტყვით შეაგრძნობინებდა აუტანელ სიცხესა და წითელ მტვერს, შიმშილსა და წყურვილს და იმ სასწაულებს, რომლებიც მაშინ გაცილებით ხშირად ხდებოდა. და იქვე იმასაც დასძენდა, რომ ახლა მაშინდელთან შედარებით დუნე დრო იდგა, მათი რწმენა კი დაობებულ პურის ყუას ჰგავდა. ცდილობდა, მათთვის გასაგებ ენაზე ეთქვა, რომ ეს იყო მარადიული საიდუმლოს ამოხსნის მისტერიაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა, ისეთივე რამ, როგორც ყოველ წირვაზე დასწრება და უფლის აღდგომაში მონაწილეობა; ცდილობდა დაერწმუნებინა ისინი, რომ იერუსალიმის დაპყრობის განსახიერება მისი ნამდვილი დაპყრობის ტოლფასი იქნებოდა, რომ ამის გაკეთება ისეთ შეგრძნებას

გაუჩენდათ, თითქოს ახლა კი არ დაიბადნენ, როცა სამყარო თავის დასასრულს უახლოვდებოდა, არამედ ბევრად ადრე, როდესაც ის სასწაულებით ყვაოდა, როდესაც ყოველდღიურად და ყველაფერში უფლის სიახლოვე იგრძნობოდა. ისინი კი... თითქოს ყურები დახშული ჰქონდათ, ყოველ მომდევნო რეპეტიციაზე კიდევ უფრო მეტად უგუნებოდ და უყმური განწყობით მოდიოდნენ, რის გამოც ფონ კინასტი ხანდახან ხმასაც აუწევდა ხოლმე. მისი წყრომა სუსხიან ჰაერში დატრიალდებოდა, ფიჭვების ბნელ კედელს დაეჯახებოდა და ექოდ ბრუნდებოდა უკან. ალბათ, ეს უძრავი და უტყვი ხეები ამათზე იოლად მიიტანენ იერიშსო, ფიქრობდა ფონ კინასტი.

ერთხელაც, საშობაო დღესასწაულების პერიოდში, შუაღამისას, ფონ კინასტმა შექმნილი პრობლემიდან გამოსავალს მიაგნო, ოღონდ ეს სიზმარში კი არა, მაშინ მოხდა, როცა ტვინი ყველაზე მეტად ფხიზლობს, როდესაც, როგორც წესი, სამყაროში საუკეთესო იდეები იბადება ხოლმე. დანაღვლიანებული ფონ კინასტი მოუსვენრად ბორგავდა ფრანგულ თეთრეულში. სტუმრები უკვე ერთი მეორის მიყოლებით ჩამოდიოდნენ, მსახიობები კი ჯერ კიდევ არ იყვნენ მზად. რა ქნას, რა გააკეთოს, რომ ბრძოლა ფიცხელი და დამაჯერებელი იყოს? როგორ გაუღვივოს მათ ბრძოლის ჟინი? ფონ კინასტმა დახუჭული დაღლილი თვალის ქუთუთოებს მიღმა მოსალოდნელი მარცხის იმდენი შესაძლო ვერსია წრმოიდგინა, რომ ინანა კიდეც, რა მრჯიდა, ასეთი სიშლეგე რისთვის წამოვიწყეო, მაგრამ მოულოდნელად ამ ყველაფერს სულ სხვა თვალით შეხედა: სრულყოფილად ვერაფერს გააკეთებ, თუ მსხვერპლს არ გაიღებ, რადგან სამყარო ვაჭრის დუქანს ჰგავს, სადაც უსასყიდლოდ არავინ არაფერს მოგცემს. შესაბამისად, მხოლოდ სულიერებისკენ სწრაფვით გლეხებს ვერ დაიყოლიებ, მით უმეტეს, რომ მათ ის ჩირადაც არ ულირთ.

გლეხებმა უნდა იცოდნენ, რომ იერუსალიმის კედლის აღებით იმას მიიღებენ, რაც ყველაზე მეტად ენატრებათ, რაზეც ოცნებობენ. ხორცი, აი, რა უნდა შესთავაზოს ფონ კინასტმა მათ, შემწვარი ღორის ხორცი! საგულდაგულოდ გაბაწრული მკლავისსიმსხო ძეხვები, შებოლილი ღორი, დაკეპილი ღვიძლით და სისხლში მოხარშული ბურღულით გამოტენილი ნაწლავები!

გადაწყდა, რომ წარმოდგენა სამი მოგვის დღესასწაულზე გაიმართებოდა. შობის დღეებში მოსულმა თოვლმა ხისგან აგებული იერუსალიმი ზღაპრულ სანახაობად აქცია. წინა დღეს სილეზიიდან, პომერანიიდან, საქსონიიდან და ჩეხეთიდან ასეულობით სტუმარი ჩამოვიდა და დღესასწაული დიდი მეჯლისით დაიწყო. მოცეკვავე წყვილები ფერად ფერხულში ჩაებნენ. რატენის სასახლის ყველა კუთხე-კუნჭულში მუსიკა ისმოდა. თასები და ფიალები რაინული ღვინით ივსებოდა, ჩეხური ლუდი და აღმოსავლური ცხარე არაყი კი პირდაპირ მისწრება იყო სიცივისგან გათოშილი სხეულებისთვის. სუფრაზე უხვად მოეტანათ პური, კარაქი, ყველი, ქადა და ნამცხვარი, ასევე სამხრეთიდან დიდი ძალისხმევით ჩამოტანილი ხილი, ტკბილეული, შემწვარი, მოხარშული და ღადარში გამომცხვარი თევზი, ჩაშუშული კომბოსტო, ლობიოსა და ბარდის მსუყე შეჭამანდი. ზღაპრული სანახაობით აღფრთოვანებული სტუმრები თან იმედგაცრუებულნიც იყვნენ: კერძების სიუხვისა და ათასნაირი გასართობის მიუხედავად, სუფრაზე მათ ხორცი არ დახვედრიათ. არსად ჩანდა ცხვრის მადისაღმძვრელი ბარკლები, ძეხვის რგოლები, შებოლილი ნეკნები, მაგრამ რადგან ჯერ ისევ ფხიზლები იყვნენ, ამ უცნაურ ფაქტს ჩურჩულით აღნიშნავდნენ. ეუხერხულებოდათ, რომანტიკოსი მასპინძლისთვის, ან ფერმკრთალი, ტუჩებდაკვნეტილი დიასახლისისთვის ეკითხათ, ხორციან კერძებს როდის

შემოიტანენო. თუმცა მოგვიანებით კარგად შეზარხოშებულებმა ისე მოილხინეს, რომ საჭმელი საერთოდ გადაავიწყდათ, გამთენიისას კი დაღლილები და საწოლებში მორკალულები ნეტარ ძილს მიეცნენ.

შუადღისას, როცა ბეწვის ქურქებში გახვეული სტუმრები სასახლის ტერასებზე გამოეფინნენ, მუსიკამაც იქუხა და ინსტრუმენტებიდან მუსიკოსების გაყინული თითებით შესრულებული მძლავრი უვერტიურის ფონზე იქ თავმოყრილთა თვალწინ ულამაზესი სანახაობა გადაიშალა: თეთრად დათოვლილი ქალაქი თვალის მომჭრელად ბრწყინავდა მზის სხივებზე. ქალაქის გალავანზე ფერადჩალმიანი მამლუქები მიმოდიოდნენ, გალავნის ძირში კი ქრისტიანთა ლაშქარი იდგა. წარმოდგენა კანტორის რიხიანი შეძახილით დაიწყო:

– უფალო ღმერთო! შენს სამფლობელოს ურჯულოები შემოესივნენ და შენი წმინდა ტაძარი წაბილწეს!

ამის გაგონებაზე ჯვაროსანთა ლაშქარი ოთხ ნაწილად გაიყო. მეომრებმა მწყობრი ნაბიჯით სასახლის ტერასებს ჩაუარეს და წინასწარ მითითებული ადგილები დაიკავეს.

– აჰა, იხილეთ კეთილშობილი რაინდები, – გაჰყვიროდა კანტორი და სათითაოდ წარადგენდა მთავარსარდლებს, რომლებიც მონაცვლეობით ესალმებოდნენ მაყურებელს. – გულადი მებრძოლი გოტფრიდი და მისი ძმა ევსტაქი ბულონიდან. ესეც ლუტოლდი და ჟილბერი ტურნედან, რჩეული მეომრების ამალით. ეს ტანკრედია თავისი მებრძოლებით, ეს კი რობერ ფლანდრიელი. რაინდთა შორის ყველაზე თავდადებული გოტფრიდ ლოტარინგიელი...

რაც შეეხება ქალაქის გალავანზე გადმომდგარ ურჯულო იფტიკარს, მას მაყურებელი ფეხების ბრახუნითა და „ურწმუნოს“, „ლაჩარისა“ და „ძაღლოს“ შეძახილით შეხვდა.

მსვლელობითა და მრავალფეროვანი სამოსით აღტაცებული მაყურებელი ტაშს სცემდა. ქალბატონები რაინდებს ცხვირსახოცების ფრიალით ესალმებოდნენ და აზრადაც არავის მოსვლია, რომ ამ დახვეწილ კოსტიუმებში, მზეზე აელვარებულ აბჯრებსა და ჯაჭვის პერანგებში ნამდვილი რაინდები კი არა, ადგილობრივი ტურტლიანი გლეხები იყვნენ გამოწყობილი.

– წმინდა ქალაქი უნდა გავათავისუფლოთ! – კვლავ დასჭექა კანტორმა და ხმამაღალი მუსიკის ფონზე ჯვაროსნები შეტევისთვის საჭირო პოზიციებზე განლაგდნენ.

– ტყეთა შთანმთქმელი ცეცხლი, მთებიდან ამოვარდნილი ალი, შენი რისხვის ქარიშხალი დაატეხე მათ თავს, უფალო!

ქალაქის გალავანზე იერიშის მიტანისას ისეთი ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა, რომ ფონ კინასტს შეეშინდა კიდეც. ურჯულოები გააფთრებით იცავდნენ საკუთარ პოზიციებს, რის გამოც ჯვაროსნებს უკან დახევა მოუხდათ. ორი საალყო მანქანა, ერთი დიდი, მეორე შედარებით მცირე ზომისა, მძიმედ დაიძრა და გალიპულ კედელთან შეჩერდა. ლოდსატყორცნებიდან ტყავის ღვედებით ნასროლი უზარმაზარი გუნდები ქალაქის შუაგულში ეცემოდნენ და კიდევ უფრო მეტ ქაოსს ქმნიდნენ. ამ დროს სამხრეთ-დასავლეთიდან ტანკრედმა თავისი ლაშქრით ქალაქზე მოულოდნელი იერიში მიიტანა, წარმოუდგენელი სიმამაცე გამოიჩინა და გალავანზე ავიდა. მომხვდური და დამხვედრი ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ. ისეთი თავგანწირვით იბრძოდნენ, თითქოს მართლაც სიკვდილ-სიცოცხლის საქმე წყდებოდა. შეტაკების დროს რამდენიმე მებრძოლი გალავნიდან გადმოვარდა და თოვლის ნამქერში ჩაეფლო, თუმცა მათთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ამასობაში ხის კედელი ერთ ადგილას შეინგრა და გულადი რაინდები იქიდან შეეცადნენ ქალაქში

შესვლას. ვიღაც ჭყლეტაში მოყოლილმა სიმწრისგან საშინელი ღრიალი მორთო, თოვლს კი სისხლის უზარმაზარი ლაქა დააჩნდა. ერთმანეთის მიყოლებით ცვიოდა ძირს ფერადი ჩალმები, ირღვეოდა ჯაჭვის პერანგები, იბზარებოდა ჯავშანი, ხის ჯვრები კომბლებივით ხვდებოდა ზურგებს. მოვლენები უკვე იმდენად უსწრებდა სცენარს, რომ კანტორი ტექსტის წაკითხვას ვეღარ ასწრებდა.

– უგალობდეთ უფალს, უგალობდეთ! უგალობდეთ ხელმწიფეს ჩვენსას, უგალობდეთ. რამეთუ უფალი არს ხელმწიფე ამა ქვეყნისა!

რაინდებს სულ ცოტაღა რჩებოდათ გამარჯვებამდე, რომ ქალაქის დამცველები მოულოდნელად გაჯიქდნენ. მათ ქალაქის შუაგულში მოიყარეს თავი, სადაც ტერასებზე მდგარი მაყურებლის თვალი ვერ მისწვდებოდათ და ხელჩართულმა ბრძოლამაც იქ გადაინაცვლა. სტუმრები ფეხის წვერებზე იწეოდნენ და კისრებს იგრძელებდნენ, ახალგაზრდები ბალუსტრადებზე ამძვრალნი ადევნებდნენ თვალს სანახაობას. ფონ კინასტს მოუსვენრობა დაეტყო. მაღლა აწეული წარბით მან ნიშანი მისცა ნდობით აღჭურვილ პირს. ისიც მაშინვე შლეგიანივით მოსწყდა ადგილიდან და თითქმის უჩინრად შეერია პილიგრიმებისა და რაინდთა რიგებს. სადაც იყო ქალაქის დამცველები გამარჯვებას იზეიმებდნენ. წელათრეული ქრისტიანი რაინდები ერთმანეთის მიყოლებით ტოვებდნენ ბრძოლის ველს. ფონ კინასტმა ახლა კაპელმაისტერს გადახედა და მჭექარე მუსიკის ხმამ წამში გადაფარა წარმოდგენის მონაწილეთა ხმები. გამარჯვების აღსანიშნავად მესაყვირეებმა საყვირებს ჩაჰბერეს. ამ ნიშანს წინ უკვე ვეღარავინ აღუდგებოდა. მებრძოლები ჯერ დაიბნენ, თუმცა რეპეტიციებიდან მათთვის კარგად ნაცნობ საყვირის ხმაზე მალევე მოეგნენ გონს. ჯვაროსნები ისევ ჩაებნენ ბრძოლაში, ქალაქის შუაგუ-

ლშიც ისევ რაღაც ჩოჩქოლი ატყდა – სავარაუდოდ, ურჯულოები იარაღის დასაყრელად ემზადებოდნენ. დაპირისპირება დასასრულს უახლოვდებოდა. სიამაყით სავსე მაყურებლებს გულები ასჩუყებოდათ. ქალბატონები ჩუმ-ჩუმად იწმენდნენ ცრემლებს. თვით ქალბატონ ფონ კინასტსაც კი შეეფაკლა ღაწვები და მეუღლეს სიყვარულით ხელზე ხელი მოუჭირა.

დრო იყო, ურჯულოთა დროშები გამარჯვებულებს ფეხით გაეთელათ, მაგრამ ჩოჩქოლი ისევ გრძელდებოდა, გრძელდებოდა მუსიკაც და კანტორიც მოთმინებით ელოდა ხელსაყრელ მომენტს მომდევნო ფრაზების წარმოსათქმელად. სტუმრები შეცბნენ, როდესაც დაშავებულმა რაინდებმა მუზარადებისა და იარაღის გარეშე დაიწყეს დანგრეული კედლიდან გამოსვლა. მეომრებს გზადაგზა ნატეხებად სცვიოდათ ტანზე შერჩენილი აბჯარი. მოდიოდნენ და სახელდახელო ტომრებად გადაკეთებული მოსასხამებით რაღაც ფუთები მოჰქონდათ. უმეტესობა მათგანი თან ენერგიულად იქნევდა ყბებს, რასაც მოშორებით მდგარი მაყურებელი ვერ ამჩნევდა. ფონ კინასტი გულში ღმერთს მადლობას სწირავდა. დაგლეჯილსამოსიან ურჯულოებს ჩამოფლეთილი ხალათის კალთები ხელში ეჭირათ, ჩალმებიდან ჩამოშლილი ქსოვილი კი სიარულის დროს ფეხებში ებლანდებოდათ. თავიანთ ჩამოკონკილ, თავჩაქინდრულ და ხელცარიელ წინამძღოლთან, იფტიკართან, ერთად მათი დანახვა ახლა უკვე სიბრალულის გრძნობას იწვევდა. გამარჯვებული რაინდები წაგებულებს ფარასავით მოერეკებოდნენ და მათ დამტვრეულ დროშებს ფეხით თელავდნენ. მუსიკამ კიდევ ერთხელ დასჭექა ტრიუმფის აღსანიშნავად და მსახიობებმაც თავი დაუკრეს სანახაობით აღტაცებულ მაყურებელს.

– კურთხეულია ის კაცი, რომელსაც სულში შენი ძალა აქვს, გულში კი შენგან ხელდასხმული ჩანაფიქრი, – ამბობდა

კანტორი, – რამეთუ შენს ჩრდილში გატარებული ერთი დღე სჯობს სხვა ათასს.

წარმოდგენის შემდეგ ფონ კინასტმა სწრაფად დააბრუნა სტუმრები სასახლეში გასათბობად, სადაც მათ ცხელი ღვინო და სხვა საახალწლო სიამენი ელოდათ (მით უმეტეს, რომ ნაომარი ადგილის ყურებაში სახარბიელო აღარაფერი იყო), თვითონ კი შეუჩნევლად გავიდა სასახლიდან. კარგა ხანს მიდიოდა თოვლში, სანამ ბრძოლის ველამდე მიაღწევდა. გზაში შინისკენ მიმავალ გლეხებს მხარს უქცევდა, ისინიც თვალს არიდებდნენ. კაცები მოზრდილ ტომრებს მიათრევდნენ, მათი ქალები კი ჯერაც იქ იყვნენ და თოვლში მიმობნეულ ძეხვებს, სისხლიან კუპატებს, ლორისა და ქონის ნაჭრებს აგროვებდნენ, ერთმანეთს ხელიდან გლეჯდნენ შემწვარ გოჭებს და კალათებში ტენიდნენ. თან ჭამდნენ. ყველანი ხარბად ჭამდნენ. სიჩუმეში მარტო მათი პირების წკლაპუნი და გადაძახილი ისმოდა. მხოლოდ მისი მდივანი ჩამჯდარიყო თოვლში, შუაზე გადატეხილი ხის ხმალი გვერდით ედო და ქვითინებდა, გატეხილი შუბლიდან კი სისხლი სდიოდა.

– ჩვენ ეს მოვახერხეთ, ქალაქი ავიღეთ. – უთხრა ფონ კინასტმა და მოულოდნელად გულაჩუყებულმა, მზრუნველად წამოაყენა თოვლიდან დაშავებული ნათესავი.

მალე დაბინდდა, როგორც წელიწადის ამ დროს იცის ხოლმე. სასახლის გაჩირაღდნებული ფანჯრები გატკეპნილ თოვლს გრძელ, თბილ ჩრდილებს ჰფენდნენ. ოთახებში მუსიკა იფრქვეოდა. ჯვაროსნების გამარჯვებას ახლომახლო სოფლებშიც ზეიმობდნენ. დათოვლილი მინდვრებიდან, სადაც კოცონები გაეჩაღებინათ, ყიჟინისა და სიმღერების ხმა ისმოდა. ვიღაც ბავშვი ყელზე ჩამოკიდებული ძეხვის რგოლით დატანტალებდა. ძირს დაყრილ ძვლებს ძაღლები ღრღნიდნენ და აქეთ-იქით დაათრევდნენ.

ბალერინა

ამ დანგრეულ შენობას თურმე სულ შემთხვევით გადააწყ-
დნენ. საიდანღაც მანქანით მომავლებს გზად ბენზინი გასთა-
ვებიათ და რადგან უკვე შებინდებული იყო, ღამის გასათევა-
დაც აქ, დუშნიცაში, ამ უამური სახელის მქონე სოფელში
დარჩენილან, რომელიც ადრე პატარა კურორტი იყო თავისი
მინერალური წყლით, პარკით, შადრევნითა და ორი პანსიო-
ნით. ერთი მათგანი აღარ არსებობს, მეორე კი, აი, სწორედ
ის მეორე იქირავეს სოფლის საბჭოსგან გროშის ფასად იმ
პირობით, რომ შიგ თეატრს გახსნიდნენ.

საბალეტო თეატრი დუშნიცაში.

ქალი შენობამ იმით მოხიბლა, რომ სცენა ჰქონდა.

მომცრო, პრუსიული ყაიდის ხითა და აგურით ნაშენი
ნაგებობა იყო. პირველ სართულზე უწინ მისაღები და სამ-
ზარეულო ყოფილა განთავსებული, ვერანდაზე კი – პატარა
სასადილო ოთახი. ჩრდილოეთის მხრიდან, როგორც სოფლის
ყველა სასტუმროს, საცეკვაო დარბაზი ჰქონდა. ოდესღაც
ხის პანელებით მოპირკეთებული კედლები ახლა დაშლილი
და ჩამომპალი იყო. მათი ბედი ნაწილობრივ იმ პატარა ხის
სცენასაც გაეზიარებინა, თავისი მცირე ზომის მიუხედავად,
მაინც სცენა რომ ერქვა – ორი ასასვლელით შენობის ორი
სხვადასხვა მხრიდან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში
კულისების როლსაც ასრულებდა.

მეორე სართული რამდენიმე ოთახისა და ორი სააბაზანოსგან შედგებოდა.

გამხდარი ქალი იყო, თუმცა გამხდარიც აღარ ერქვა უკვე იმას – ჯოხივით დაწვრილებულიყო და გამომხმარიყო. ყველაფერი მოგრძო და წვეტიანი ჰქონდა – ვიწრო სახეც, წამახული ცხვირიც და მუდამ გაშლილი, ჭაღარაშერეული თმაც, რომელიც ცოტათი კუდიან დედაბერს ამსგავსებდა. მაშინვე გამოარჩევდი მისი ასაკის ქალებისგან, მოწესრიგებულ ვარცხნილობებს ან თუნდაც სადა კოსებს რომ ატარებდნენ. თხელი, გრძელთითებიანი ხელები ჰქონდა და გაკნაჭული ფეხები. თან მუდამ შარვალი ეცვა. უკნიდან ახალგაზრდა გოგოს ჰგავდა, მაგრამ სახე უმალვე გასცემდა მის ნამდვილ ასაკს – თითქოს ნაკვთებს ნაოჭების ბადე უმაგრებს, რომ არ ჩამოეშალოსო. მაინც ეტყობოდა, რომ ერთ დროს ლამაზი ქალი უნდა ყოფილიყო.

მისი ქმარი, მეგობარი, თუ, რა მნიშვნელობა აქვს, ვინც იყო, თეატრის დაფუძნებიდან სამი თვის შემდეგ ცამოწმენდილზე გაუჩინარდა. ის ქალზე გაცილებით ახალგაზრდა ჩანდა, ან იქნებ, უბრალოდ, თავის ასაკთან შედარებით გამოიყურებოდა კარგად? იქნებ ულვაშსაც იღებავდა, ან ჟანგისფერი გარემოსა და ფერდაკარგული სიმწვანის ფონზე, მის თვალშისაცემ წითელ და ლაჟვარდისფერ პერანგებს შეჰყავდი შეცდომაში? „მოკეტე, ძვირფასო!“ – ასე ეტყოდა ხოლმე, როცა ცუდ ხასიათზე მყოფი ქალი უმნიშვნელო რამეზე განიწმატდებოდა. – ხდება ზოგჯერ ასე, გგონია, რომ მთელი ქვეყანა შენ გადაგემტერა; ან როდესაც ღამღამობით ხერხემლის ტკივილისგან განამებული კვნესოდა ხოლმე, რომელსაც კარგა ხანია არანაირი წამალი აღარ უყუჩებდა. ამ დროს კაცი საწოლში გვერდს იცვლიდა და სიბნელეში გამოსცრიდა: „მოკეტე, ძვირფასო!“

არავინ იცის, რატომ, რა მიზეზით მიატოვა ქალი – იქნებ ბოლოს სერიოზულად იჩხუბეს? იქნებ ეს გვერდზე გადაზნექილი, ჭერიდან ნადენი წყლით ჩამომპალი, დაფეხვილი და ჩალეწილფანჯრებიანი სახლი ამოუვიდა ყელში? ასე იყო თუ ისე, წავიდა, გადაიკარგა.

ქალი ისე იქცეოდა, თითქოს კაცის გაუჩინარება არც კი შეუნიშნავს. ხანდახან სოფელში ერთადერთი მანქანის მფლობელ გლეხს აბარებდა ხოლმე ქალაქში რაღაც-რაღაცებს – გზავნილების ფოსტაში წაღებას, ელექტროენერგიის გადასახადის ჩარიცხვას და ასეთ რამეს. ფულსაც მუდმივად ღებულობდა – ალბათ, პენსიას. ზოგჯერ თვითონაც მიდიოდა ხოლმე ახლომდებარე პატარა ქალაქში და იქ აფთიაქში აბებსა და ნელსაცხებლებს ყიდულობდა – ყველაფერს ძვირფასს, დასავლური ფირმებისას.

მშრალი კანი ნამდვილი სატანჯველია. დილა-საღამოს ცხიმიანი საცხი უნდა შეიზილო. კაკაოს ზეთს არაფერი სჯობს და შველის კიდეც, მაგრამ მისი მოტკბო სუნი თავს გატკივებს. ჰო, უნდა დაიტენიანო სხეული, გაიპოხო, ნელსაცხებელი შეიზილო. ხანდახან ის ძვირიანი საცხებიც ვერაფერს შველოდა და ისევ უბრალო ზეითუნის ზეთს მიაკითხავდა ხოლმე. რა ექნა, ასეთი კანით დაიბადა. თითის წვერებს რომ ჩამოისვამდა სახეზე, დეკოლტეზე, მხრებზე, მკლავებზე, ტკივილამდე დაჭიმული მშრალი კანი თითქოს ჭრიალებდა თითებქვეშ. ადამიანებსაც ისევე რომ უჩნდებოდეთ ხანძარი, როგორც ტყეებს ეკიდებათ ცეცხლი გვალვაში, ალბათ, ჩირაღდანივით აალდებოდა. მშრალ, გავარვარებულ სხეულზე სიცივე თითქმის არ ეკარებოდა. ბალერინას ჩვევებს არ ივიწყებდა – ცერებზე მდგარი ხელებს მაღლა ასწევდა, ღრმად და დინჯად ივსებდა ჰაერით ფილტვებს და ნელა, ელეგანტურად ადგამდა ნაბიჯებს, თითქოს ცეკვავდა.

ჩამონგრეული სახლის შეკეთება არც უცდია. ხანდახან იმ სოფლელ გოგოს ალაგებინებდა, უკანონო შვილი რომ ჰყავდა და კარგადაც უხდიდა. ისიც თავს არ ზოგავდა, თუმცა დასალაგებელი ბევრი არაფერი იყო. სახლის პატრონი აჩრდილივით შეუმჩნევლად და უხმაუროდ დადიოდა თავის სახლში. მეორე სართულზე ერთ ოთახში ცხოვრობდა, დანარჩენებში კი არც იხედებოდა. ადგომისას თავის ლოგინს თუ გაასწორებდა და ხანდახან სარეცხს თუ დარეცხავდა, სულ ეს იყო მისი საქმე. საჭმელი არც ახსოვდა, ხან რას წაიცქნიდა და ხან – რას. სადილს არასდროს აკეთებდა. მისი ძირითადი საკვები ხილი, სტაფილო, შავი პური და რძეში ჩამბალი შვრიის ფანტელი იყო. რძე სოფლიდან მოჰქონდა. იქვე, პატრონის თვალწინ მოსვამდა ხოლმე ახლად მოწველილს. გლეხის ქალი კი ზიზღით შეჰყურებდა. – ასაკში ოსტეოპოროზი და ათასი სხვა საშიშროება გემუქრება, ამიტომ ძვლებს უნდა გაუფრთხილდე. ადამიანი ამ დროს ისეთივე მყიფე და მსხვრევადი ხდება, როგორც გამხმარი, დაფუტუროვებული ხის ტოტიო, ეუბნებოდა.

სახლში არაფერი შეუცვლია. მისაღებში, აბრის ქვეშ, ჯერ კიდევ ეკიდა დაფა რამდენიმე გასაღებით, რომლებზეც ხის ბრელოკი კონწიალობდა ულაზათოდ ამოჩორკნილი ნომრებით. გაუქმებულ სასადილო ოთახში ჩამტვრეული ფანჯრებიდან შემოდგომით ქარს გამხმარი ფოთლები შემოჰქონდა. ხანდახან ბაყაყებიც ახერხებდნენ შიგნით შეძრომას. ამიტომ ჩაკეტა ვერანდის კარი გასაღებით და მას შემდეგ იქ ფეხი აღარასოდეს შეუდგამს.

ყველაზე მეტ დროს დარბაზში, სცენაზე ატარებდა. იქაურობა საგულდაგულოდ დაასუფთავა, ჭერში მუყაოს ლამპიონები ჩამოჰკიდა, კედლები ცისფრად შეღება. სცენის ფიცრები გულმოდგინედ გაახეხინა გოგოს და მერე დიდხანს

ამოწმებდა იატაკის სიმყარეს მაღალი ქუსლებით. ხან სტეპ-საც ცეკვავდა – ამ დროს მთელ შენობაში გაისმოდა მხიარულ-ი, მელოდიური კაკუნი – პაკ, პუკ, პაკ, პუკ, პაკპუკ, პუკ გრამოფონიდან ხშირად ისმოდა სიმფონიური მუსიკა, რომ-ელიც პარკსა და სოფელს ისე ეფინებოდა, როგორც რომელიმე ეგზოტიკური სუნამოს სუნი. საღამოს კი საძინებელ ოთახში მაგიდას მიუჯდებოდა წერილის დასაწერად. ყველა წერილი ერთნაირად იწყებოდა, სიტყვებით – „საყვარელო მამიკო!“, და ყველა დაუსრულებელი იყო. მერე ქაღალდს გადაკეცავ-და და ტყავის ჩემოდანში შეინახავდა, სადაც უკვე ასობით ასეთი წერილი დაგროვილიყო – ერთმანეთის მსგავსი პატა-რა, მრგვალი ასოებით ნახევრადშევსებული გვერდი. ერთი და იმავე წერილის ასობით პირველი გვერდი. ლურჯი მელანი კი ნელ-ნელა ბაცდებოდა ჩემოდნის სიბნელეში:

„საყვარელო მამიკო, ვერც კი წარმოიდგენთ, ისეთი რამე უნდა გახაროთ: თეატრი ვიყიდე! საუკუნის დასაწყისში აშე-ნებული ძველი, ულამაზესი შენობაა, სასტუმრო ოთახებით, დიდი შემინული სასადილო დარბაზით და, რაც მთავარია, სცენით! დაუჯერებელია, არა? ბოლოს და ბოლოს, შევძლებ, დამოუკიდებლად ვიმუშაო და ყველა ის როლი ვიცეკვო, რო-მელსაც მოვისურვებ. კარგად ვიცი, ჩემს ასაკში მოცეკვავეე-ბი კარიერას უკვე ასრულებენ, მაგრამ რა ვქნა, სული არ ბერდება. აურაცხელი გეგმა მაქვს. ხანდახან ცეკვასაც ვახერხებ. მამიკო, ძალიან ვწუხვარ, რომ ვიჩხუბეთ, მაგრამ, ვფიქრობ, სიბერეში მაინც უნდა შევრიგდეთ. სულ უფრო და უფრო ვნანობ, რომ ჩემი ცეკვა არ გინახავთ. შეიძლე-ბა მთავარი როლები არასოდეს მქონია და ჩემი ხერხემლის გამო ვერც პრიმაბალერინა ვერ გავხდი, მაგრამ არც მთლად უცნობი მოცეკვავე ვყოფილვარ და მსოფლიოს მრავალ სცე-ნაზე ტაშითაც დავუჯილდოვებივარ მაყურებელს ჩემს დას-

თან ერთად. ცდებოდით, მამიკო, მაშინ, ბოლო შეხვედრისას განრისხებულმა რომ მითხარით, უნიჭო ხარო! თქვენ უსამართლოდ მომექეცით".

ქაღალდი ისევ დაიკეცა და ისევ ჩემოდანში აღმოჩნდა.

პირველი მოსაწვევები დუშნიცას ბინადრებმა ქალის ჩასვლიდან სამი თვის თავზე მიიღეს. მაშინ ჯერ კიდევ იმ თავის ქმართან ერთად ცხოვრობდა. ღია ცისფერ მუყაოზე იისფერი მელნით ეწერა: „წარმოდგენა გაიმართება 19:00 საათზე. ნაწყვეტებს პეტრე ჩაიკოვსკის ბალეტიდან „გედების ტბა", იცეკვებს პრიმაბალერინა". ქმარმა თავისი ხელით ჩამოარიგა მოსაწვევები მთელ სოფელში გულის ფორმის მუყაოს ყუთში შეფუთულ შოკოლადებთან ერთად. ყველა უკლებლივ გამოცხადდა წარმოდგენაზე, ახლად მოლოგინებული ქალიც კი, თოთო ბავშვით ხელში. სცენიანი დარბაზი ისე შეცვლილიყო, ველარ იცნობდით. სცენას ორი რეფლექტორი ანათებდა. ერთი, რომელზედაც ღია ცისფერი გოფრირებული ქაღალდი გადაეკრათ, წყლისფერ, ნისლისმაგვარ შუქს გამოსცემდა. მეორე ზემოდან დაჰყურებდა სცენას და შუაგულს ოვალური ნათებით ათბობდა. იატაკზე ცისფრად მოელვარე ცელოფანი ეფინა, ხოლო ბაღიდან მოტანილი ხავსი და ბალახბულახი ტბის ნაპირის შთაბეჭდილებას ქმნიდა. იმ თოთობავშვიან ქალს აღფრთოვანებისგან კვნესაც კი აღმოხდა.

როდესაც მაყურებლებმა სავარძლები დაიკავეს, კულისებიდან ულამაზესი, ნარნარი მუსიკის ხმა მოისმა და ორიოდ წამში სცენაზე თეთრი ტიულის კაბიანი და პრიალა ატლასის პუანტებიანი გამხდარი, გრძელფეხება არსება გამოფარფატდა.

თავდავიწყებით ცეკვავდა – მაყურებელი დაძაბული ადევნებდა თვალს თითოეულ მის მოძრაობას – თამამ ჟესტებს, მოულოდნელ ნახტომებს, თითქოს იმის შიში ჰქონდა, ქალს

წონასწორობა არ დაეკარგა და იატაკზე არ დანარცხებულიყო. ჩამოქნილ ბარძაყებს ტიული ეფინებოდა, ყოველ ჯერზე ოდნავ დაგვიანებით, სხეულის მოძრაობას წამის სხვაობით მიდევნებული, და ქალს ქათქათა თვალისმომჭრელი ღრუბელივით ეკვროდა ტანზე. თითქოს მტკიცე წინდებში გამოკვართულ მის ფეხებს ტერფები არც ჰქონდა, თითქოს არამიწიერი არსება იყო, რომელსაც ნაბიჯი არასოდეს დაედგა მიწაზე. პრიალა ატლასის პუანტები ხან შეუმჩნევლად ეხებოდნენ იატაკს, ხან კი კატისებური ნახტომებით ბაკუნობდნენ სცენაზე. თმა მაღლა აეწია და ვერცხლისფერი კოსის გარშემო წვრილი თეთრი ყვავილები ჩაებნია. მკვეთრ მაკიაჟს სრულიად შეეცვალა სახე, რაც მთლიანობაში მართლა კარგად ეხამებოდა ტიულსა და მუსიკას, მაგრამ თუ მხოლოდ სახეზე შეაჩერებდით მზერას, ამაზრზენი ნიღაბი შეგრჩებოდათ ხელში. აი, ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა ეს ყველაფერი.

ცხრა ადამიანი, მათ შორის მისი ქმარიც, ბრავო-ბრავოს გაიძახოდა, ბალერინა კი მოხდენილად ხრიდა მათ წინაშე თავს. ბოლოს სტუმრებს ფორთოხლის წვენით, ყურძნითა და ნამცხვრით გაუმასპინძლდნენ. შინ ყველა კმაყოფილი დაბრუნდა. თუმცა სინამდვილეში საიდან უნდა ვიცოდეთ, მართლა ასე იყო თუ არა?!

„საყვარელო მამიკო, ვერც კი წარმოიდგენთ, რა ხდებოდა დღეს აქ. ნამდვილად გაოცდებოდით, რომ გენახათ. ამდენი წლის შემდეგ კიდევ ერთხელ ავედი სცენაზე და ჩემი საუკეთესო პარტია ვიცეკვე „გედების ტბიდან". ძალიან მწყდება გული, რომ ეს პარტია ჩემი შესრულებით არასოდეს გინახავთ. ვიცი, მამიკო, ზოგადად რა აზრისაც ხართ ცეკვაზე, მაგრამ განა სამართლიანი საქციელია, გამკიცხოთ იმისთვის, რაც თქვენი თვალით არ გინახავთ? ვოცნებობ, რომ ერთ მშვენიერ დღეს კვლავ შევხვდეთ, მინდა, ჩემი მამიკო

ჩემთან ჩამოვიდეს, თუმცა არა, ამხელა გზა თქვენ ძალიან გაგაწვალებთ. მაინც ბევრს ვფიქრობ ამაზე. იმის წარმოდგენა, რომ მაყურებელთა შორის ზიხართ... თქვენთვის რაიმე განსაკუთრებულსაც კი ვიცეკვებდი, ოღონდ ჯერ არ ვიცი, რას. მაინტერესებს, როგორი განცდა გექნებოდათ ამ დროს, უხერხულად თუ იგრძნობდით თავს. პირველი, რაშიც ბავშვობიდან დამადანაშაულეთ, ის იყო, რომ მითხარით, მუსიკალური სმენა არ გაქვსო. ჩემი ფორტეპიანოს გაკვეთილები ნერვებს გიშლიდათ. თქვენ მათ უაზრო კაკუნს ეძახდით. არადა, ერთი ციდა ბავშვს სხვანაირად როგორ უნდა დაეკრა? თქვენ მუსიკის მასწავლებელი დაითხოვეთ, მე კი ფანჯრის რაფებსა და მაგიდის კიდეზე ვაგრძელებდი დაკვრას. ჩემს სურვილს, ცეკვაზე მიმიყვანეთ-მეთქი, უმოწყალოდ დასცინეთ. დედას თქვენს უჩუმრად მაინც დავყავდი იქ, თქვენ კი გეუბნებოდათ, ფრანგულში ვამზადებო. სახელმძღვანელოც კი დამქონდა თან. თქვენ ვერაფერს მიხვდით! რამდენჯერ მიფიქრია, ალბათ, საერთოდ არ ვუყვარვარ-მეთქი. მაგრამ რატომ? რატომ არ უნდა გყვარებოდით? გოგო რომ ვიყავი იმიტომ? განა ეს მიზეზია? განა შეიძლება, მამას საკუთარი შვილი არ უყვარდეს? არა, ალბათ, ვცდებოდი. მე ჩემს მამიკოს სხვანაირად ვუყვარდი. დარწმუნებული ვარ, ის კარგის მეტს არაფერს მისურვებდა, მას არ ენდომებოდა დავტანჯულიყავი. მამიკო უბრალოდ ფიქრობდა, რომ არცერთ ხელოვანს არ შეუძლია იყოს ბედნიერი. არადა, ადამიანები ხომ იმიტომ ხდებიან ხელოვანები, რომ ვინმემ შეიყვაროს ისინი? ხალხს მომღერლები, მოცეკვავეები, მწერლები უფრო უყვარს, ვიდრე წარმატებული მეწაღეები და სტამბის მუშები.

იმ უკანასკნელ ღამეს, ანუ მანამდე, სანამ მისი ქმარი, თუ ვინც იყო, სამუდამოდ მიატოვებდა და ქალაქში წავიდოდა, ქალს ის მათი განიერი საწოლის კიდეზე მძინარე დახვდა. უხ-

მოდ მიუწვა და რბილ, მხურვალე და ხავერდოვან ზურგზე მიეხუტა. სიამოვნებდა, კაცის კანს რომ ეხებოდა. ეს ათბობდა კიდეც. მაგრამ კაცმა რაღაც გაუგებარი სიტყვები ჩაიბურტყუნა, გვერდი იცვალა და გულაღმა გადმობრუნდა. ქალს რული არ ეკიდებოდა, იწვა და ყურს უგდებდა ხის ჭიისა და თაგვების ღამეულ კონცერტს. ესმოდა, როგორ ეხლებოდნენ მინებს მწერები, სადღაც შორიდან ბუს კივილი აღწევდა. არ აძინებდა გათოშილი ტერფები და ხერხემლის ტკივილი. მისი გამხდარი, ხმელი სხეული შეშის ნაჭერივით ეგდო რბილ ლეიბში. რიტმულად, ავის მომასწავებლად ჩხვლეტდა ზურგი. დილით რომ გახედა, კაცი ისევ საწოლის კიდეში იწვა, მხოლოდ თვითონ მიჩოჩებულიყო მისკენ. ღამე დღისგან ბევრი არაფრით განსხვავდებოდა – ის კაცისკენ იწევდა, კაცი კი – განგან. ბოლოს საერთოდ წავიდა.

„საყვარელო მამიკო, – დაწერა იმ დღეს, – მინდა გითხრათ, როგორ განვიცადე თქვენი მაშინდელი ნათქვამი: დღემდე ყურში ჩამესმის. არა, ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ მამებს უყვართ შვილები, ამიტომ არ მჯერა, რომ ჩემთვის გულის ტკენა გინდოდათ. თქვენ, უბრალოდ, მაფრთხილებდით. არ გემეტებოდით ხელოვანის მძიმე ხვედრისთვის. ნაწილობრივ გეთანხმებით კიდეც. თავიდან რომ მომეცეს არჩევანის შესაძლებლობა, არ ვიცი, რას ავირჩევდი. მართლა არ ვიცი".

ამასობაში დაზამთრდა კიდეც, მაგრამ უჩვეულოდ თბილოდა. ელექტროღუმელი თავისუფლად ათბობდა სამზარეულოს და საძინებელს. დარბაზსაც ორი ღუმელი ჰყოფნიდა. სწრაფად თბებოდა იქაურობა. მონდომებით ვარჯიშობდა. ხანდახან მუსიკასაც ჩამორჩებოდა ხოლმე. ხვდებოდა, ზედმეტად მკვეთრი მოძრაობების უფლება აღარ უნდა მიეცა თავისთვის, უნდა შეემოკლებინა ნახტომიც და ზნექიც.

სამოც წელს რომ გადააბიჯებ, ძნელია, სხეულს ძველებური სისხარტე და სიმსუბუქე მოსთხოვო, თუმცა მაშინდელზე მეტს არც ახლა იწონის.

„საყვარელო მამიკო, მინდა დაბადების დღეზე რამე გაჩუქოთ, მაგრამ არ ვიცი, რა. უცნაურია, რომ ახლა ორივეს ასაკში შესული გვქვია და დროის ღერძზე სიბერისკენ ერთმანეთის პარალელურად გადავადგილდებით. მამიკო 90 წლის ხდება, მე ერთ თვეში 64 შემისრულდება. სულ მახსოვს, რომ ჩვენ შორის 26 წელია სხვაობა და ვისურვებდი, რომ თქვენს ასაკში მეც ისევე მხნედ ვიყო, როგორც თქვენ მეგულებით. რამხელა დრო გავიდა, რაც ერთმანეთი არ გვინახავს. თითქმის 35 წელიწადი...“

რა თქმა უნდა, არც ეს წერილი დაუსრულებია. ესეც დანარჩენებს მიემატა და შუა წინადადებაში შეწყვეტილმა ტყავის ჩემოდანში დაიდო ბინა.

საშობაოდ „მაკნატუნას" დადგმა უნდოდა და მთელი დეკემბრის განმავლობაში მონდომებით ვარჯიშობდა. მოსაწვევებიც დაამზადა და ფოსტით დაგზავნა, ანუ ახლომდებარე პატარა ქალაქის საფოსტო ყუთში ჩაყარა. მამასახლისსაც გაუგზავნა, ქალაქის ბურმისტრსაც, აფთიაქარსაც, რომელთანაც საცხებს ყიდულობდა და იქაური სკოლის პედკოლექტივსაც. მოწვეულთაგან მხოლოდ ოთხი კაცი მოვიდა – ერთი გლეხი ცოლთან ერთად და ორიც მოხუცი დედაბერი, წელში მოკაკულებს და დაკოჟრილებს მზერა მიწისთვის რომ მიებჯინათ და ნორმალური მოძრაობა სანატრელად ჰქცეოდათ. და სხვები? სხვებს, ალბათ, შეეშინდათ, ცეკვის დროს არ დაცემულიყო და ხმელი ტოტივით არ დალეწილიყო, თავად კი ამ საცოდაობის მოწმენი არ გამხდარიყვნენ. რას იზამ, ასეა, ადამიანებს მარტო იქით მიუწევთ გული, სადაც სიამოვნება ელოდებათ.

იმ საღამოს თავს ტირილის უფლება მისცა. გულაღმა იწვა და უდაბნოსავით მშრალი კანით ცრემლებს ისრუტავდა. ზეწარზე ერთი მათგანიც კი არ დაცემულა.

შობისთვის რამდენიმე მისალოცი ბარათი მიიღო, მათ შორის ქმრისგან, მეგობრისგან, თუ ვინც იყო ის კაცი მისთვის, წითელ პერანგებს რომ იცვამდა, იმისგან.

თებერვალში ორი კვირით სოფელი ერთიანად დაფარა თოვლმა. ამ ხნის განმავლობაში არ უვარჯიშია. ლოგინში დაყუნცული ფანჯრიდან დათოვლილ ლანდშაფტებს გაჰყურებდა. ერთი კვირის შემდეგ ვიღაცამ მის კარზე ბრახუნი ატეხა. მანქანიანი გლეხი იყო სოფლიდან. შეშფოთებულმა ჰკითხა, ცოცხალი თუ ხარო? აქაურობას სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობა, თოვლზე ნაფეხურები არ ჩანს, საკვამურიდან ბოლი არ ამოდის. ეს რა საქციელია, რა წესიაო, – დაამუნათა. მარხილით ქალაქში მივდივარ, ხომ არაფერს დამაბარებო, – ჰკითხა წასვლისას. ყურძენი, ზეითუნის ზეთი, ბლომად სალათის ფურცლები და პომიდორიო, – უთხრა. გლეხმა მხრები აიჩეჩა და მოსაღამოვებულზე უკან დაბრუნებულმა ცელოფნის პარკი მოუტანა. შიგ ერთი დიდი პური, პატარა პარკით მჟავე კომბოსტო, სალიამი და შოკოლადი ეწყო. ესეც ამდგარა და შეუჭამია. მას შემდეგ ყოველდღე მოდიოდა გლეხი, განიერ ქვის ღუმელში ცეცხლს ანთებდა, რომელიც მთელ ქვედა სართულს ათბობდა. არიგებდა, ზამთრობით ბიგოსი უნდა ჭამო აუცილებლად და ზედ სულ ცოტა ერთი სირჩა არაყი დააყოლოო. ეტყობოდა, რომ არც თვითონ იკლებდა.

„საყვარელო მამიკო, ნეტავ თუ იცი, როგორ გრძნობს თავს ადამიანი, რომელიც არავის უყვარს? ფიქრობს, რომ არასოდეს არაფერი გამოუვა, რომ გროშადაც არ ღირს მისი მცდელობა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც ჯიუტად აგრ-

ძელებს საქმიანობას. ხო, ასეთს ყველაზე უღირსად მიაჩნია თავი. იატაკზე დაგდებული ჩვარივითაა, დაჭმუჭნილი ქაღალდივით. ასეთი ადამიანი ვერასოდეს იპოვის სულიერ სიმშვიდეს. მთელი ცხოვრება იმის მცდელობაში იქნება, ვინმეს სიყვარული დაიმსახუროს, მაგრამ ამასაც ვერასდროს მიაღწევს. ალბათ, სწორედ ასეთი უსიყვარულო ადამიანები მიილტვიან სრულყოფილებისკენ. რადგან რასაც არ უნდა მიაღწიონ, ბოლომდე მაინც ვერ კმაყოფილდებიან. თავს არ დაზოგავენ, წელში გაწყდებიან, მაგრამ მადლობას და გასამრჯელოს არ მოითხოვენ. ჩვენ, ასეთები, სიზიფეები ვართ და საცრებით წყლის მხაპავები".

თოვლი რომ დადნა და გზაც გამოჩნდა, გლეხს ქალაქში გაჰყვა და საღებავები და ფუნჯები იყიდა, უამრავი დიდ-პატარა ქილა და ტუბები. ვხედავ, რემონტს იწყებთ, უთხრა გლეხმა, მაგრამ დამიჯერეთ, ამის გაკეთებას აზრი არა აქვს. ეს ნანგრევი საცაა ჩამოიშლება. არ ღირს ამისთვის ფულის დახარჯვა. სააღდგომოდ ახალი წარმოდგენის დადგმას ვაპირებო, უპასუხა, ამჯერად სულ სხვა რაღაცისო. გლეხმა ნაღვლიანად გაუღიმა. თქმით აღარაფერი უთქვამს.

ახლა უკვე სცენიანი დარბაზიდან აღარ გამოდიოდა. ხატავდა. მთელ სოფელს ესმოდა მისი გრამოფონიდან დაფრქვეული მუსიკა, რაღაცნაირი მოსაწყენი, ისეთი, რადიოში რომ გადმოსცემენ ხოლმე. ამ მელოდიას ჭილყვავების ჩხავილი უერთდებოდა, რომელთაც იავარქმნილი პარკის ხეებზე დაედოთ ბინა. საღამოხანს შემთბარი წყლით სხეულიდან იმ საღებავს იშორებდა, რომლითაც მეორე დღეს ხელახლა უნდა დათხუპნულიყო. მერე ბალახების ჩაის მოადუღებდა და წერილებს წერდა.

ვერანდაზე მდგარი მაგიდები ხარაჩოებს დაემსგავსა. საღებავს პლასტმასის ვედროებში ურევდა, ფერებს – მინის

მომცრო ქილებში. მარტში, ცოტა რომ დათბა, ფანჯრებს ბოლომდე აღებდა და სახლიდან მისი ღიღინის ხმა გამოდიოდა. ფოსტაში ან ბანკის საქმეზე ქალაქში წასული შინ დაბრუნებისას ერთ ბოთლ ღვინოსაც გამოიყოლებდა ხოლმე. დღეები ერთმანეთს ჰგავდნენ. მხოლოდ ბუნება არ ემორჩილებოდა ამ ერთფეროვნებას. აღარ ყინავდა. ნოტიო ჰაერი იდგა სოფლის თავზე. ხეებმა ქერქზე ბუსუსები გამოიღეს და ხავერდივით გაბზინდნენ. შარშანდელ ფოთლებს ნეშომპალას მოტკბო სუნი შეეპარა. ბოლოს ენძელებიც აყვავდნენ.

აღდგომის წინ, აპრილის დასაწყისში, მთელ სოფელს ახალი მოსაწვევები ჩამოურიგა. ნაცნობი გლეხი კარდაკარ დადიოდა და იხვეწებოდა, ხალხი არა ხართ, მოდით, შეიბრალეთ ეს ქალიო, ბოლოს და ბოლოს, ორი საათი თქვენ არც დაგაქცევთ და არც აგაშენებთ, მას კი გაახარებთ, მთელი ზამთარი ემზადებოდა ამ დღისთვის, თანაც არ არის ცუდი ქალი, ხო, კარგი, შეიძლება ცოტა უსტვენს, მაგრამ ვის რას უშავებს, არის თავისთვის და ცეკვავსო. ჰოდა, აღდგომა დღეს, მსუყე სადილის შემდეგ, წარმოდგენაზე 9 კაცი მივიდა და კიდევ სოფლის 3 სტუმარი. მორიდებულად შელაგდნენ საგანგებოდ ჩაბნელებულ დარბაზში, წყნარი მუსიკის ფონზე კედელზე მიხატულ ისრებს მიჰყვნენ და ადგილებიც დაიკავეს.

შუქი რომ აინთო, გაკვირვებისგან ენა წაერთვათ. ნამდვილ, ხალხით გადაჭედილ თეატრში აღმოჩნდნენ, როგორიც აქამდე მარტო კინოში ენახათ, თავისი პარტერით, ქანდარებით, ლოჟებით. ის კი არა, ასობით ადამიანის ხმაც კი ჩაესმოდათ ყურში. იმ სევდიანი, ჩამოგლეჯილ-ჩამოფხავებული დარბაზისა კვალიც კი გამქრალიყო. კედლებიდან, იატაკიდან აყოლებული ჭერამდე, ადამიანთა სახეები იმზირებოდნენ. მარჯვენა ლოჟაში გვირგვინოსნებიც ისხდნენ, მათ გვერდით კი მეწამული ატლასის სარტყლები ელავდა, რომლებიც ქვეყ-

ნის პრეზიდენტებს მკერდზე ირიბად გადაეჭირათ. ქალები თავს იწონებდნენ მდიდრული შლაპებით, მამაკაცები პრიალა შავი ცილინდრებით, ერთმანეთის მსგავსი, დაუდევრად მიხატული სახეებიც მრავლად იყო – ასეთებს უმთავრესად პარტერში მოეყარათ თავი. აი, ლოჟებში მყოფნი კი მკვეთრად განირჩეოდნენ ერთმანეთისგან და თუ კარგად დააკვირდებოდით, მათში მერლინ მონროს ქერა თმასა და ელვის პრესლის შეუდარებელ ვარცხნილობასაც ამოიცნობდით. აგერ ახლად შემოსული სტუმრები უკვე ხალისიანად უჩვენებენენ ერთმანეთს მარშალ პილსუდსკის დიდულვაშიან სახეს, ან, იქნებ, ეს სულაც ლეხ ვალენსა იყო. ჭარმაგი და ახალგაზრდული, მოგრძო და პირმრგვალი სახეები ერთმანეთში არეულიყო. უკანა რიგებში ისინი უფრო და უფრო მეტად ემსგავსებოდნენ ერთმანეთს, სულ უკან კი წრეებადღა ჩანდნენ – ცხვირისა და პირის აღმნიშვნელი ორი პერპენდიკულარული შტრიხით, მაგრამ ამას უკვე აღარ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. ამ ყველაფრის შემხედვარე გლეხი ხმამაღლა იცინოდა, ერთი ამას დამიხედეთ, რა ნიჭი ჰქონიაო. თავიდან ჩვილსაც უცინოდა სახე, მერე კი მოულოდნელად ატირდა, ალბათ, ხალხისა და ფერთა სიჭრელემ შეაშინა. მუსიკა აჟღერდა თუ არა, მაყურებელმა ტაში დასცხო. თეთრ ტიულში გამოწყობილი ქალი მოხდენილად იდგა სცენაზე და იქიდან ესალმებოდა საზოგადოებას. ასაკი საერთოდ აღარ ეტყობოდა. იმ დღეს განსაკუთრებული სიმსუბუქით ცეკვავდა და მაყურებელიც იმდენად აიყოლია, რომ შესაძლო მარცხზე აღარავინ ფიქრობდა. არა, არ დაეცემოდა, არც დაიმსხვრეოდა და არც მტვრად იქცეოდა, რომელსაც მერე მოფრიალე ტიული ჰაერში გაფანტავდა. უცნაური მუსიკა იყო, თითქოს მწერები ბზუიანო. ისიც ხან ფუტკრად გადაიქცეოდა, ხან კრაზანად და ხელებსაც მათი ციცქნა ფრთებივით რიტმულად იქნევდა.

ის ორმაგი დიადემაც კი, რომელიც შუბლს უმშვენებდა, მწერის თვალებს წააგავდა. ამიტომ შემთხვევით არ მომხდარა, ყველა რომ მოიხიბლა წარმოდგენით და ბალერინა ბისზე გამოიწვიეს.

მომდევნო დღეს მოხატული დარბაზის ამბავი უკვე მთელმა სოფელმა იცოდა, მერე მთელმა დაბამ. მაისის უქმეებზე მის სანახავად ქალაქიდან რამდენიმე უცნობი ადამიანიც ჩამოვიდა. სტუმრები თავაზიანად მიიღო, სთხოვა, მისამართები დამიტოვეთ და მოსაწვევებს გამოგიგზავნითო.

მთელი ზაფხული თითქმის ყოველ კვირა დღეს ცეკვავდა ტურისტებისთვის, რომლებიც განცვიფრებული იყვნენ მისით და მისი პუბლიკით. ადგილობრივმა ტელევიზიამ მასზე დოკუმენტური ფილმიც გადაიღო. კამერა ხან მას აჩვენებდა, ხან მისი ხელით მოხატულ კედლებს. საჩუქრად გამოგზავნილ კასეტაზედაც ბევრჯერ ნახა ფილმი, უფრო სწორად, ყოველ საღამოს ნახულობდა, რისთვისაც საგანგებოდ შეიძინა ტელევიზორი. და მხოლოდ ამის შემდეგ, პირველად დაასრულა დაწყებული წერილიც:

„საყვარელო მამიკო, გიგზავნით კასეტას ჩემი სოლო გამოსვლის ჩანაწერით. ძალიან გთხოვთ, ნახეთ და ნუ გამკიცხავთ. ვფიქრობ, ჩვენი შერიგების დრო დადგა. ყოველთვის მახსოვდით და ახლა უკვე შემიძლია გაგიმხილოთ, რომ თითქმის ყოველდღე გწერდით წერილებს. ყველა მათგანი შენახული მაქვს. ოდესმე თუ წაკითხვას მოისურვებთ, შევკრავ და გამოგიგზავნით. თუმცა ბევრია. ცდებოდით, მამიკო! მე მქონდა ნიჭი, უბრალოდ, თქვენ ის ვერ შეამჩნიეთ. არც სიბეჯითე მაკლდა და დღეს ჩემს წარმოდგენებს უამრავი ხალხი ესწრება. ჩემი თეატრის დარბაზი ჩემს სანახავად მოსულ მაყურებელს ვერ იტევს. ვხედავ, მამიკო, რომ ისევ დამცინით, რომ ეს ის ირონიული ღიმილია, რომლისაც ყოველთვის

ძალიან მეშინოდა. მრცხვენოდა იმის, რომ ასეთი ვიყავი, და იმისიც, რომ ვარსებობდი ამქვეყნად. მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი – მე უკვე საკმაოდ დიდი ვარ საიმისოდ, რომ მსგავსი რამის მრცხვენოდეს, თქვენ კი, მამიკო, ძალიან ხნიერი, რომ უარმყოთ. იქნებ ახლა მაინც შევრიგდეთ, დავივიწყოთ წყენა და ჩვეულებრივი მამა-შვილი ვიყოთ".

იმავე დღეს, როცა წერილი ფოსტაში წაიღო, დეპეშით მამის გარდაცვალება აუწყეს. სასოწარკვეთილმა ქაღალდი მოჭმუჭნა, ზედ ქუსლებით შედგა და ნაფხრეწებად აქცია. მერე გამწარებულმა შენობა მთლიანად გააჩახჩახა, საღებავები მოიტანა და კედელზე მიხატულ მაყურებლებს პარტერის მეოთხე რიგში კიდევ ერთი სახე მიამატა. ხატვა რომ დაასრულა, ნახატს თავი დაუკრა და ცეკვა დაიწყო.

ჩე მევარა

მაშინ ყველაფერი სიბნელეში ხდებოდა. თუმცა ახლაც მიჭირს ამის დაჯერება. დღის შუქი მხოლოდ ცოტა ხნით ჩნდებოდა და მაშინაც ისეთი ხეშეში იყო, როგორც ტილოს საცვლები, საერთო საცხოვრებლის გახამებული თეთრეული ან ხელოვნური ძაფისგან მთელი შემოდგომის განმავლობაში ნაქსოვი ჯემპრი. მზე – მძლავრი სამოცვატიანი ნათურა. სასწავლებლიდან რომ გამოვდიოდით, გარეთ უკვე ბნელოდა და სიბნელე თანდათან მატულობდა. სველ ტროტუარზე ყვითლად ეცემოდა სუსტად განათებული გამოცარიელებული მაღაზიების ჩრდილი. ტრამვაიშიც ბინდი ჩამოწოლილიყო. ბინდბუნდიდან იყურებოდნენ ნოვოტკოს ქუჩაზე ნეილონის ფარდებიანი ბინების ფანჯრებიც. დეკემბრის დასაწყისი. ვარშავა.

გამუდმებით მციოდა. გაჩერებაზე მდგარი, „დუტის" ქურთუკზე ვოცნებობდი, მაგრამ მსგავს რამეს ჩვენს განზომილებაში ვერსად ნახავდით. ასეთი სამოსის მოპოვება მხოლოდ საზღვარგარეთ, სრულიად სხვა სამყაროში თუ შეიძლებოდა, რაც ჩვენთვის კოსმოსში გაფრენას უდრიდა. უნივერსიტეტთან ახლოს, ერთ სასადილოში, რომელსაც ყველა „ტარაკანას" ეძახდა, ნახევარ ულუფა ბოსტნეულს და ერთ მაჭკატს ვუკვეთავდი ხოლმე. მერე ზედმეტი სიმაძღრისგან თავბრუ მეხვეოდა, მაგრამ მაინც იმაზე ვფიქრობდი, ჯემია-

ნი ფუნთუშისთვისაც ხომ არ გავიმეტო-მეთქი ფული. ვოცნებობდი, მუშაობას რომ დავიწყებ და ზრდასრული, შემდგარი ქალი ვიქნები, მთელ დუჟინ ფუნთუშას ვიყიდი მარხლევსკის ქუჩაზე, სადაც საუკეთესო ფუნთუშებს აცხობენ, პირამიდასავით ერთმანეთზე აკოკოლავებულს დავიდგამ წინ, ზედა ფუნთუშიდან დავიწყებ და წყნარად და მადიანად შევექცევი-მეთქი.

მოხალისეებმა აუდიტორიაში ჩატარებულ ერთ-ერთ კრებაზე გაფიცვის კომიტეტიდან სპეციალური საშვები მივიღეთ, რაც იმას ნიშნავდა, რომ პრივილეგირებული ვიყავი და გარეთ გასვლა შემეძლო. ამაყად ვახვევდი მაგიდიდან ჩემს საძილე ტომარას, რომელიც ცოტა ხნის წინ საწოლის მოვალეობას ასრულებდა, მერე დაბლა ჩავდიოდი, სადაც მორიგე სიაში ჩემს გვარს ამონმებდა და გასაღებით ჩაკეტილ კარს მიღებდა. გარეთ სუსხიანი ჰაერი მხვდებოდა, მოულოდნელი სიჩუმე და მქრქალი სინათლე, რომელიც ინსტიტუტის პარკის ბევრ საიდუმლოს მალავდა. უცბად ქრებოდა ლაპარაკის, პინგ-პონგის მაგიდების გლუვ ლამინატზე დაცემული ბურთისა და სადღაც კედლებს მიღმა აჟღრიალებული გიტარის ხმები. ქრებოდა ის მტვრის ბოლქვიც, რომელიც ყველა ჩვენგანს ედგა სასულეში. ახლა უკვე სუსხიან ჰაერს ვისუნთქავდი. მხსნელებად ჩემი პაციენტები მევლინებოდნენ. ჩემს თავისუფლებასაც სწორედ მათ ვუმადლოდი. ისინი შორიდან, პრაღიდან მიგზავნიდნენ წყალობას, რომელიც ანგელოზის გრაგნილივით მოფრინავდა ვისლასა და სტავკიზე და სულიწმიდის მოციმციმე შარავანდედივით პირდაპირ ჩემს თავსზემოთ ჩერდებოდა. თავს უფლის რჩეულად ვთვლიდი.

გარეთ გამოსული 111 ნომრის გაჩერებისკენ მივდიოდი და იქ, ძეგლს ამოფარებული, სიცივისგან ვითოშებოდი. ავტობუსში ასული, სკამზე დავჯდებოდი თუ არა, სასწრა-

ფოდ მოვშინაურდებოდი. ფეხებს სავარძლის ქვეშ შევაწყობ-
დი, პალტოს კალთებს მჭიდროდ შემოვიხვევდი თეძოებზე,
საყელოს მაღლა ავიწევდი და საკუთარი სუნთქვით გამთბა-
რი, როგორც თვალის გუგა ქუთუთოში, ისე მივსრიალებდი
ქალაქში.

ავტობუსი პლაც ტეატრალნის უკან რომ ჩამოიტოვებდა და
კრაკოვსკიე პშედმესციეზე გავიდოდა, ფილოსოფიის ფაკულ-
ტეტის კორპუსის გასწვრივ გამოკიდებული წითელწარწერია-
ნი ტრანსპარანტები ჩნდებოდა, რომლებიც უნივერსიტეტში
მიმდინარე გაფიცვის შესახებ იუწყებოდა. გაფიცვა – გამუდ-
მებული ფორიაქი. უცნაური ეიფორია. ჯგუფ-ჯგუფად მდგა-
რი ადამიანების მუქი სილუეტები. სამიზდატის ფარდულებსა
და შენობასთან წინ და უკან მოსიარულე ორი ბიჭი გულზე
ჩამოკიდებული ყუთებით, რომლებშიც გამვლელები სიგარეტს
ყრიდნენ – ზოგჯერ მთლიან კოლოფებს, უფრო ხშირად კი –
ღერობით. ჩვენ, სხვა კორპუსელები, შორს ვიყავით ამ ენთუ-
ზიაზმის, ალიაქოთის, სინათლისა და სითბოსგან. უღიმღამო
რუხ შენობაში შეყუჟულებს ხავსი გვეკიდებოდა. ჩვენ პრო-
ვინციელი გაფიცულები ვიყავით. რევოლუციური არღნის
მუდამ ერთი და იგივე მელოდიასავით დაკრული ბობ მარლი
ჩვენამდე ვერ აღწევდა და ვერაფრით გვშველოდა. ისტორია
იქ, კრაკოვსკიე პშედმესციეზე იწერებოდა.

ავტობუსის ფანჯრიდან ნოვი სვიატზე ნაშუადღევის მი-
მოსვლას ვაკვირდებოდი. იქ სულ რაღაც იყო სანახავი და
საკეთებელი. ისტორიულ მომენტებში ხომ ჩვენი, ადამიანე-
ბის, ჯოგური ინსტინქტი ძლიერდება. მე ან ნოვი სვიატზე ჩა-
მოვდიოდი ხოლმე, ან ბნელი, გულგრილი ვისლის გაღმა მდე-
ბარე სასკა კემპაზე ვაგრძელებდი გზას. იქ ქალაქი სიჩუმეში
ჩაყურსულიყო, და თოვლიც, როგორც სოფელში, უფრო თა-
მამად ჭრაჭუნებდა ფეხქვეშ. ქუჩას რომ დაადგებოდი, ისეთი

შეგრძნება გქონდა, თითქოს მზრუნველი ქალის-მკლავებში ექცეოდი.

სამი ზრდასრული ადამიანი მებარა. ჩემი უფროსი მ. მათ „კლიენტებს" უწოდებდა. მეც „კლიენტებს" ვეძახდი. „პაციენტებად" მათი მოხსენიება ღალატად, ანუ საპირისპირო – კონფორმისტებისა და ფარისევლების (მმართველი) სისტემის მხარეს ყოფნასთან ასოცირდებოდა. მ. მათ „გიჟებს" და „შეშლილებსაც" ეძახდა, რაც მე ყველაზე მეტად მომწონდა, რადგან უბრალოდ, ადამიანურად და შინაურულად ჟღერდა. თითქოს ამ სიტყვებით პირველ საწყისს ვუბრუნდებოდი – სელს, ბამბას, უბრალო შავ პურს. მათში არ იყო ტყუილი, არც დამრიგებლური ტონი და „მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზები", არც „პარანოიდული შიზოფრენია" და არც „ბორდერლაინი". უბრალო სიტყვები სანდოა. რას ვიზამთ, ადამიანები გიჟდებიან, ეს ოდითგან ასე იყო და ასე იქნება, ამბობდა მ. და რატომ ხდება ასე? თქვენ სწორედ იმისთვის სწავლობთ, რომ ლექციებიდან შეიტყოთ, გენების ბრალია ეს, აღზრდის, მიკროსკოპული ნაწილაკების ცვლის, ენზიმებისა, თუ სულაც დემონებისა და უძველესი რიტუალებისა. ადამიანები გიჟდებიან, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ასე იყო ყოველთვის. ადამიანთა მოდგმა გიჟებად და ნორმალურებად იყოფოდა, სადღაც მათ შორის კი ვიყავით ჩვენ – მათი ჩუმი და მომთმენი მშველელები.

მ. ტამკაზე მდებარე შენობის მეორე სართულიდან უძღვებოდა საქმეს. მე ჩემზე უფროსი და გამოცდილი მოხალისეების გვერდით ვმუშაობდი, რომელთაც ჩემი ზედამხედველობაც ევალებოდათ. არსებული იერარქიული წესრიგისთვის პატივი უნდა მეცა, რადგან მეც მისი ნაწილი ვიყავი. ყოველდღე შუადღისკენ ვტოვებდით შენობას და რომელიღაც საიდუმლო ორგანიზაციის წევრებივით, ეზოთერული სასწრა-

ფო დახმარების მუშაკებივით თუ ფსიქიკური ჯანმრთელობის კომივოიაჟერებივით სხვადასხვა მიმართულებით ვიფანტებოდით. ზოგჯერ, როცა გამოსავალს ვერ ვპოულობდი, ჩემს ადგილას ზორბა, წვეროსან, ფანელის კუბოკრულპერანგიან მ.-ს წარმოვიდგენდი ხოლმე, რომელიც რაფაზე დაყრდნობილი, ფანჯრიდან ხელისგულივით გადაშლილ ქალაქს გაჰყურებდა და ამაზე ფიქრი მამშვიდებდა. ის სრულიად ნათლად და მკაფიოდ ლაპარაკობდა, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ არასოდეს ამბობდა სათქმელს. არც მაშინ, როდესაც მორიგეობის შემდეგ მასთან ბინაში ავდიოდით და ვსვამდით: ადამიანები იტანჯებიან, რადგან წუთისოფელი ასეა მოწყობილი. ხანდახან მათ ტანჯვას არა აქვს საფუძველი, ვიღაცას ან რაღაცას სწირავენ თავს, თუმცა მათგან ასეთ მსხვერპლს არავინ ითხოვს და, შესაბამისად, ვერც მათ საქციელს იგებს ვინმე. ჩვენი მოვალეობაა, უბრალოდ, მათ გვერდით ვიყოთ. უნდა გვჯეროდეს, რომ ამით ჩვენ მათ ვეხმარებით. თუ რაში მდგომარეობს ეს დახმარება, ჯერ ზუსტად არ არის ცნობილი.

მე ორი პუნქტი მებარა – სასკა კემპას ხეებით დაჩრდილული რამდენიმე ქუჩა და ნოვი სვიატის კუთხე კაფე „ამატორსკასთან". ზამთრის ერთ მოკლე ნაშუადღევს, სწორედ ამ დღენიადაგ გაბოლილ და უიმედოდ ჩაბნელებულ კაფეში, მაგიდასთან, ჩაის ფინჯნითა და სიგარეტით ხელში, ველოდებოდი ჩე გევარას. ყოველთვის ფანჯარასთან მდგარ მაგიდას ვირჩევდი, საიდანაც ქუჩას და უმეტესად გამოცარიელებული ტანსაცმლის მაღაზიის ფრაგმენტს ვხედავდი. უჯრულა, უფორმო პალტოიანი ქალები, რომელთაც ხელში ნაქსოვი ბადურები ეჭირათ, პროდუქტის ძებნისას აქეთ-იქით დადიოდნენ. მალე ჩემი პაციენტიც შემოკაკუნდებოდა თვალების კვესებით. თითქოს სცენაზე გასასვლელად ემზადებაო, ქა-

მარზე მათარები ჩამოეკიდებინა, მკერდზე ვაზნებიანი სარტყლების ნაცვლად უცნაური თასმები გადაეჭირა ირიბად, კოჭებამდე შინელი ეცვა, თავზე კი ჩაფხუტი ეხურა, რომლის ქვეშაც თბილი შალის ქუდი დაეფარებინა. „ჰაილ, ჰიტლერ!" შესძახებდა ჯერ კიდევ ზღურბლზე მდგარი, ან: „სოლიდარობა მშრომელ ხალხს!", ან კიდევ რამე ასეთსავე შეუსაბამოს. ადამიანები მაშინვე შეაბრუნებდნენ ხოლმე მისკენ თავებს, ან დამცინავად შეჰყურებდნენ, ან მეტ-ნაკლებად წრფელი სიბრალულით. ზოგჯერ ვიღაც.შეძახილითვე გაეპასუხებოდა: „სალამი, ჩე გევარა!" და ისევ აგრძელებდა თანამოსაუბრესთან შეწყვეტილ ლაპარაკს.

სანამ ჩემამდე მოაღწევდა, კიდევ რამდენიმე სხვა ადამიანს გამოელაპარაკებოდა, ხმამაღლა წაიკითხავდა ლექსს, მიმტან გოგონას გაეღლაბუცებოდა, სანამ ის ლიმონიან და უფერულ, სამაგიეროდ სიროფივით ტკბილ ჩაის უმზადებდა.

„მე მელოდება!", ამცნობდა იქ მყოფთ და თითს ჩემკენ გამოიშვერდა.

როდესაც, ბოლოს და ბოლოს, დაჯდებოდა, ჩაფხუტსა და ქუდს მოიხდიდა და ჭაღარა, მოკლედ შეჭრილი თმა გამოუჩნდებოდა, ისეთი შეგრძნება მეუფლებოდა, თითქოს თავისი თეატრის საგრიმიოროში შემოვიდა, სცენიდან ჩამოსულმა შუქები ჩააქრო და შვებით ამოისუნთქა.

„უჰ, მაგრად ცივა!", იტყოდა სავსებით მშვიდი ხმით და გაყინულ ხელებს ჩაის ჭიქას შემოხვევდა გასათბობად.

იღიმებოდა. მისმა ბავშვივით გლუვმა, უნაოჭო სახემ არ იცოდა, რა იყო მიმიკა.

„აბა, როგორ ხარ?", ვეკითხებოდი მე, ის კი მპასუხობდა: „კარგად", ან – „ცუდად". თუმცა მე ვხვდებოდი, რომ ამ პასუხებს არ ჰქონდა არანაირი შინაარსი. ნუთუ რამეს ნიშნავდა ეს „კარგად" ან „ცუდად"? მის ცხოვრებაში შეფასებები

თავიანთსავე გაკვალულ ბილიკებს მიუყვებოდნენ და ინდივიდუალური ნაყშის მიხედვით ჩაწყობილიყვნენ. მისთვის არც გამოწერილი წამლების დაძალებას ჰქონდა აზრი, რადგან მათი დალევის არანაირი სურვილი არ გააჩნდა.

„წამლებს როცა ვსვამ, მე მე აღარ ვარ", – მეტყოდა ხოლმე.

მ. ამბობდა, რომ სიგიჟე გარესამყაროსთან ერთგვარი შეწყობის მცდელობაა. ამაში ცუდი არაფერია. და იქვე საჩქაროდ დაამატებდა თავის საყვარელ წინადადებასაც – ეს იმიტომ ხდება, ადამიანმა უაზროდ რომ არ დაიტანჯოს თავიო. მერე კი ვბჭობდით, თუ რა შეიძლება ყოფილიყო „აზრიანად თავის დატანჯვა". მთავარია, რომ შენი განიარაღების საშუალება არ მისცე წამალს. ეს სიტყვაც – განიარაღება – მის საყვარელ სიტყვებს განეკუთვნებოდა.

ჩემთვის მთავარი იყო, საჭირო დროს ჩე გევარა დროულად გადამეყვანა საავადმყოფოში. მაშინ, როდესაც მისი ტანჯვა და ტკივილი ჩვეული კალაპოტიდან გადმოიღვრებოდა, მის სიცოცხლეს საფრთხის ქვეშ დააყენებდა და სრულიად აუტანელს გახდიდა; როდესაც გარე სამყარო მოულოდნელად ბასრ ეშვებს გამოაჩენდა და თავისი ნამდვილი, მუდამ მრისხანე და დაუნდობელი სახით ეჩვენებოდა ადამიანებს. მთავარი იყო, ბინა დამეკეტა, გასაღები შემენახა, მის მოსანახულებლად საავადმყოფოში მევლო და იქიდან რომ გამოვიდოდა, თავიდან ჩამება ყოველდღიურობაში. ამ ყველაფრის შემდეგ კი ისევ ჩე გევარას ერთ-ერთი მაყურებელთაგანი გავმხდარიყავი. თვალი მედევნებინა, როგორ აეტორღიალებოდა გამვლელებს, გადაცმული როგორ აჩერებდა ქუჩაში მიმავალ ოჯახებს, ჩალისქუდიან და ყაისნაღით ნაქსოვ ხელთათმანიან მოხუც ქალებს, დედაქალაქში მივლინებით ჩამოსულ მამაკაცებს, რომლებიც საქაღალდეებით ცდილობდნენ

მის მოგერიებას და ჩქარი ნაბიჯით აგრძელებდნენ გზას. დამშვიდობების შემდეგ ხშირად მალულადაც მივყვებოდი უკან ნოვი სვიატსა და რუტკოვსკიზე. მიდიოდა და ქამარზე ჩამოკიდებული მათარების ჟღრიალით მტრედებს აფრთხობდა. ზოგიერთ გამვლელს ჩვეულებრივი მათხოვარი ეგონა და ნაჩქარევად უყრიდა მუჭში გროშებს. და ჩე გევარაც მოურიდებლად ართმევდა. ისიც მინახავს, დემონსტრაციას რომ შეუერთდა. სამხედრო, მწყობრი ნაბიჯით მიდიოდა. „ჰენდე ჰოხ!", „გესტაპო" – ღრიალებდა ომის დროიდან თავში სამუდამოდ ჩაბეჭდილ ფრაზებს. ათას ცხრაას ორმოცდახუთი წლის მერე აღარაფერი ახსოვდა. მიმდინარე მოვლენებს აინუნშიც არ აგდებდა, და, ალბათ, ამიტომ, თავს სრულიად უსაფრთხოდ გრძნობდა. მიუხედავად ყველაფრისა, ძალიან მეშინოდა, რამე უბედურებას არ გადაჰყროდა. რევოლუციებს არ უყვართ გიჟები, მათგან განსხვავებით ისინი ზედმეტად სერიოზულები არიან.

„გინდა, კლუბში წავიდეთ?", ვთავაზობდი და დარბაზად გადაკეთებულ სამრეცხაოს ვგულისხმობდი, სადაც ჩვენი მეურვეობის ქვეშ მყოფებთან ერთად მისვლა, ჩაის დალევა და შაშის ან პინგ-პონგის თამაში შეგვეძლო.

– არ მიყვარს იქ სიარული.

– რატომ?

– იმიტომ, რომ იქ გიჟად მთვლიან.

– და შენც ისე იქცევი, რომ გიჟად ჩაგთვალონ.

– ვიცი.

– პარტიზანივით გადაცმული ქუჩა-ქუჩა დადიხარ, გაჰყვირი, ხალხს აწუხებ, სისულელეებს ბოდავ...

– ვიცი.

– თუ იცი, რატომღა აკეთებ ამას? რატომ?

– რა ვიცი. იქნებ, მართლა გიჟი ვარ.

– ჰო, ვინ იცის, იქნებ ასეა.

საღამოს გაფიცვაზე ტელეფონის ორივე ჯიხური დაკავებული იყო, მათ წინ კი უგრძესი რიგი იდგა. დედა მოჯადოებულივით ერთსა და იმავეს იმეორებდა: „შინ დაბრუნდი, შვილო! ჩაჯექი მატარებელში და შინ დაბრუნდი". მამამ ყურმილი ხელიდან გამოგლიჯა და ჩასძახა: „თუ წამოხვალ, რამე საკითხავი ჩემთვისაც გამოაყოლე". რადიატორთან მიდგმულ ერთ-ერთ მაგიდაზე გაშლილ საძილე ტომარაში ვძვრებოდი და ვკითხულობდი. მეზობელ მაგიდაზე, ჩემ გვერდით, წყვილი იწვა, რომელიც ჩემზე ერთი კურსით წინ იყო, მაგრამ მათთან გამოლაპარაკება ვერც ერთხელ ვერ მოვახერხე. მათ ერთმანეთის გარდა არავინ აინტერესებდათ.

აუდიტორიაში დაუსრულებელი კრებები, პოსტულატები, რომელთათვისაც ხმა უნდა მიგვეცა, საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარის ხის ქოშების კაკუნი ბეტონის იმდროინდელ იატაკზე, როცა ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კორპუსში ჯერ კიდევ გესტაპოს შტაბ-ბინა იყო განთავსებული. თანდათანობით მეც მიპყრობდა რევოლუციური აღმაფრენა. დიდი მანქანის პატარა ხრახნად, ქვიშის მარცვლად, პაწაწინა ნაწილაკად ყოფნის სურვილი, იმ თოვლის ფიფქის სასიამოვნო განცდა, რომელმაც კარგად იცის, რომ უზარმაზარი ნამქერის ნაწილია. გამშვიდებს იმის გაცნობიერება, რომ შენც ჯგუფური ცხოვრების ნაწილი ხარ, შვებას გგვრის ზომიერების შეგრძნების თუნდაც წამიერი დაკარგვა და აქამდე გადაულახავ საზღვრებზე გადაბიჯება. აუდიტორიისკენ მიმავალ დერეფანში ნამწვით სავსე საფერფლეებთან ვიდექით და სიგარეტს ვეწეოდით. მწეველთა ჯგუფები ტალღებივით ირწეოდნენ. რიგი მიდიოდა, რიგი მოდიოდა. მერე კი უცბად დაღლილობა მერეოდა და განმარტოების სურვილი იმხელა ძალით წამომივლიდა ხოლმე, რომ ტუალეტში ვიკეტებოდი და დიდხანს

და უაზროდ ვაშტერდებოდი კედლებზე აქერცლილ ზეთიან საღებავს. თუ ვინმე სახელურს დაეჯაჯგურებოდა, სუნთქვას ვიკრავდი, სანამ რომელიმე მეზობელ კაბინაში არ შევიდოდა. დარცხვენილი ვუბრუნდებოდი ჩემს საწოლ მაგიდას, უკვე მერამდენედ ვკითხულობდი „კლასობანას", სახელმძღვანელო ცხრილიდან ამჯერად სხვა ნომერს ვირჩევდი და იქიდან ვიწყებდი კითხვას. იმის აღმოჩენამ, რომ მოვლენათა თანმიმდევრობის განმეორება აუცილებელი სულაც არ არის და რომ იქნებ ცხოვრებაშიც სწორედ ასე ხდება – მოვლენები შენ თვალწინ ირევა და შემთხვევით კონფიგურაციებს ქმნიან, – გული ამიჩუყა. ჩავდიოდი დაბლა, ტელეფონის რიგში ვდგებოდი, რათა რიგი მალევე მიმეტოვებინა და ბუფეტში წავსულიყავი, იქიდან მოსული კი ისევ ტელეფონის რიგს დავბრუნებოდი და ასე რამდენჯერმე გამემეორებინა. მერე ისევ საწოლი მაგიდა, ტუალეტი, აუდიტორია, ტელეფონი, საწოლი მაგიდა, ბუფეტი... ბოლოს ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ სხვებიც იმავეს აკეთებდნენ – ცდებს ატარებდნენ წესრიგითა და ქაოსით და შენობაში ადამიანთა ეს განუწყვეტელი გადაადგილებაც, ქუჩაში მდგარი ადამიანთა ჯგუფებიც, ყველა შესაძლო ადგილას დამაგრებული და ქარში მოფრიალე დროშებიც და დღის მეორე ნახევარში უცბად ჩამოწოლილი, დაუნაწევრებელი სიბნელეც სწორედ ამით იყო განპირობებული.

ფანჯრის მიღმა დარჩენილი ქალაქი თანდათან წყვდიადში იძირებოდა. რადიატორთან მიდგმული მაგიდიდან, რომელზეც საძილე ტომარა იყო გაშლილი, ქალაქი ისეთ ადგილად გეჩვენებოდა, რომელშიც აღარ დარჩენილიყო ადამიანებისთვის საჭირო და სასურველი სივრცე. თითქოს დროს სამყაროსთვის რბილი ლეიბები და ბალიშები მოეშორებინა და შიშვლად დაეტოვებინა მისი წვეტიანი და მახინჯი ჩონჩხი.

ერთხელ მაიმუნებზე ექსპერიმენტი ჩაატარეს: გალიებში დედის ორი ტიპის მულაჟები შეიტანეს. მათი ერთი ნაწილი რბილი და ფუმფულა იყო, მაგრამ რძე არ ჰქონდათ; მეორე ნაწილი მავთულებისგან დაწნული და ცივი იყო, მაგრამ მათი ხელოვნური ძუძუსთავებიდან უხვად მოედინებოდა საკვები. პატარა მაიმუნები ყოველთვის მხოლოდ თბილ და რბილ მულაჟებს ირჩევდნენ, ხელოვნურ ბეწვზე ღონემიხდილი ეხუტებოდნენ და შიმშილით სიკვდილს ამჯობინებდნენ. ძილის წინ მხურვალედ ვლოცულობდი ამ ექსპერიმენტში მონაწილე ყველა ცოცხალი არსებისთვის. მათ შორის ადამიანებისთვისაც.

მაშინ მეც ძალიან მჭირდებოდა სირბილე და სიმყუდროვე. ჩემი ხელები უნებლიეთ ეხებოდნენ კინოდარბაზებსა და რესტორნებში ჩამოკიდებულ პლუშის ფარდებს, ენატრებოდათ ძნელად საშოვნელი ხავერდის ქსოვილი, ეფერებოდნენ გაცვეთილ ველვეტის შარვალს, ჭმუჭნიდნენ რეცხვისგან გაწყალებულ აბრეშუმის შარფს. მენატრებოდა თბილი და ნოტიო გაზაფხულის ჰაერის სირბილე, მზე, ქვიშა, ნამდვილი ყავა, სურნელოვანი საპონი. მაგიდაზე წოლისგან ძვლები მტეხდა, კანზე კი წითელ რგოლად მაჩნდა ჩემი როლინგის უხეში ყელის კვალი.

იგორზეც მე უნდა მეზრუნა, რომელიც ასაკით დაახლოებით ჩემხელა იყო და დედ-მამასთან ერთად შასერებზე, ათასი ხარახურით გამოტენილ ბინაში ცხოვრობდა. ეს თავმდაბალი, წყნარი, სიცოცხლის მოყვარული ბიჭი მშობლებს სახლიდან ეპარებოდა და ხან ერთ მატარებელს მიჰყვებოდა უბილეთოდ და ხან მეორეს. მგზავრობის დროს თითქმის უფულოდ, ადამიანების იმედად გაჰქონდა თავი. ვინ ბუტერბროდს უწილადებდა, ვინ ვაშლს, ვინ საწუწნ კანფეტს. მგზავრებს მის მიმართ სიმპათია უჩნდებოდათ. ზოგჯერ თვეობით იკარგებოდა და შინ ბინძური და ძალაგამოცლილი ბრუნდე-

ბოდა. გაცოფებული დედამისი ასეთ დროს საავადმყოფოში მიათრევდა, მაგრამ იქიდან მალე უშვებდნენ სახლში. როგორც კი ფოსტალიონი სახელმწიფოსგან დანიშნულ მწირ პენსიას მიუტანდა, იგორი მაშინვე ისევ რკინიგზის სადგურისკენ გარბოდა. არავინ იცოდა, სად უნდა ეძებნათ გადაადგილების ჟინითა და მოგზაურობის სურვილით შეპყრობილი ბიჭი, სანამ ერთ დღესაც შორეული ელკიდან ან სუვალკიდან მილიცია ან სასწრაფო დახმარების მანქანა არ მოიყვანდა სახლში. ვცდილობდით, ბუჩქივით ერთ ადგილას დაგვერგო იგორი, როგორმე ერთ ადგილზე გაგვეჩერებინა. ამიტომ ხშირად დაგვყავდა კლუბში, სადაც გაუთავებლად ვთამაშობდით ბანქოსა და სხვადასხვა სამაგიდო თამაშებს, ვხსნიდით კროსვორდებს, ვთავაზობდით ათასნაირ ჰობის – საფოსტო მარკებისა და მინერალების შეგროვებას, თვითმფრინავების მოდელების აგებას, სკალარიების მოშენებას. იგორს კი კეთილად ეღიმებოდა, კვლავ მატარებლებისკენ მიუწევდა გული და მეხვეწებოდა, სადგურზე გავისეირნოთო. ხიდს გადავივლიდით, იერუსალიმის ხეივანს ავყვებოდით და უკვე იქ ვიყავით. ბაქნიდან ბაქანზე მოსიარულეები, ვაკვირდებოდით, როგორ იცვლებოდა ელექტრონულ ტაბლოებზე მატარებლების მოძრაობის განრიგი. წითელ ხაზზე დგებოდა და ისე უყურებდა შემოსულ მატარებელს, ვაგონებს ითვლიდა. ზეპირად იცოდა, რომელ მათგანში იქნებოდა საწოლები და რომელში – მხოლოდ დასაჯდომი სავარძლები.

– ნახე, ვაგონი-რესტორანი! – წამოიძახებდა აღტაცებული.

– არ შეიძლება ასე უმიზნოდ აღმა-დაღმა ხეტიალი, – ვეუბნებოდი. თითქოს ის ბავშვი ყოფილიყოს, მე კი ერთგვარი საზოგადო დედა.

– ვიცი, – მპასუხობდა სრულიად გაწონასწორებული ადამიანივით.

– რამე ხიფათს გადაეყრები. მერე ადგებიან და ისევ საავადმყოფოში გიკრავენ თავს. არ შეიძლება ასე ცხოვრება.

– არ შეიძლება, რომ მეც რკინიგზელი გავხდე?

– როგორ არ შეიძლება. მაგრამ ამისთვის ჯერ სპეციალური ტექნიკუმი უნდა დაამთავრო.

– ტექნიკუმის გარეშე არ შეიძლება?

„პოლონეთის დედოფალს" მეძახდა.

რამდენიმე წლის შემდეგ, ერთ დღეს, ჩემს მშობლებსაც ესტუმრა. როგორც ჩანს, იმ პატარა ქალაქის სახელი, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ, ჩვენი საუბრიდან დაიმახსოვრა. დილაუთენია დაადგა თავზე – მოწესრიგებული, თავაზიანი და თავი ჩემს ნაცნობად წარუდგინა. დედა მას საუზმით გაუმასპინძლდა. მერე კარგა ხანს უსხდნენ სამივე ერთად სამზარეულოს მაგიდას და მუსაიფობდნენ. როგორც კი ცოტა გაშინაურდა, იგორმა მათ თავისი წარმოსახვითი, მუდმივად მოძრაობაში მყოფი სამყაროს შესახებაც გაუმხილა, რომელიც სავსე იყო რკინიგზებით, ლოკომოტივებით, სადგურებით, რკინიგზელებით, შემინული ტაძრის ნავებიდან ბაქნებისა და ბილეთის სალაროების საკურთხევლებისკენ მიმავალი ხალხის ნაკადით. იმ სამყაროს შესახებ, რომელშიც სადგურის ზედამხედველები – მოგვთა საძმოს წევრები, თავიანთ საიდუმლო რიტუალებს აღასრულებდნენ, მუნდირებში გამოწყობილი კონდუქტორები კი რეკოლექციისთვის ემზადებოდნენ. ელაპარაკა მატარებლების ბოლო სადგურების სიწმინდეზე, დანიშნულების ადგილთა მისტიკასა და მგზავრობაში არსებულ ხსნაზე, ხსნაზე, ხსნაზე...

– აი, თქვენი ქალიშვილი კი, ნამდვილი პოლონეთის დედოფალია, ფსიქოლოგიის ცარიცა, ანტიკური ღვთაება. ღმერთსა

ვთხოვ, ლოცვა-კურთხევა არ მოაკლოს და ხელი მოემართოს როგორც სიცოცხლესა და სააქაო ცხოვრებაში, ისე სიკვდილში და სიკვდილის შემდგომ.

პატარა ქალაქს მაისის მზე დანათოდა, სამზარეულოს ფანჯრის წინ ლარიქსის რბილწიწვიანი ტოტები ირწეოდა. სახლის წინ მეზობელი ტროტუარს გვიდა. დედას უცბად ლუკმა ყელში გაეჩხირა, მამაჩემს კი მოსაქაჩად პირთან მიტანილი სიგარეტი ხელში შეეყინა.

გაფიცვაში ერთი ბიჭი მონაწილეობდა, სახელად ცირილი. უცნაური, აწონილი ბიჭი იყო, დამუწუკებულ სახეზე აქა-იქ მეჩხერი წვერი ამოზრდოდა. თავისი ნიჭიერების წყალობით, აუტიზმის მიუხედავად, უნივერსიტეტში სწავლობდა და მუდამ მოღუშული დადიოდა. დერეფანში გამოჩნდებოდა თუ არა, მოსაუბრეები მაშინვე ჩუმდებოდნენ, თითქოს საკუთარი უაზრო ყაყანისა შერცხვათო, ცირილს სასწრაფოდ თვალს აარიდებდნენ და მის ნაცვლად ან კედლებიდან აქერცლილ ზეთის საღებავს მიაშტერებოდნენ, ან სიგარეტს აქრობდნენ ნაჩქარევად, ან დაფაზე გამოკრული განცხადებების კითხვას იწყებდნენ. აუდიტორიაში გამართული ცხარე კამათის დროს ცირილი კუთხეში აიტუზებოდა და იატაკს დასცქეროდა. უნებლიეთ ჩვენც მის მზერას ვაყოლებდით თვალს, ვეძებდით იატაკზე დაგდებულ რაიმე ნივთს, ქაღალდს, ხურდა ფულს, ძირს დაჩნეულ ნაკაწრს, მაგრამ ამაოდ. ის სიცარიელეს ჩაშტერებოდა. სტუდენტებისგან გაღმერთებული ბ. მასზე შორიდან ზრუნავდა და ჩვენც განუწყვეტლივ მოგვიწოდებდა ტოლერანტობისკენ. გვიხსნიდა, რომ ყოველი ჩვენგანი ერთადერთი და განუმეორებელია, რომ ჩვენ შეგვეძლო ადამიანები განგვეკურნა, რომ ყველა ადამიანი თანასწორია და სიყვარულსაც თანაბრად იმსახურებს და რომ ცნება ფსიქიკური დაავადება რეპრესიული სისტემის გადმონაშთი იყო. ცირილი

ნელა, მაგრამ ყოველთვის მწყობრად და ლოგიკურად ლაპარაკობდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი სიტყვით გამოსვლის დროს ჩვენ მაინც სულ რაღაც არანორმალურის გაგონების, რაღაც განსაკუთრებული ნიშნისა თუ ლაქის დანახვის მოლოდინში ვიყავით და დაძაბული ვუსმენდით. როგორც კი ის გამოსვლას დაასრულებდა, ერთხანს დუმილი ჩამოვარდებოდა ხოლმე, რადგან გონზე მოსასვლელად დრო გვჭირდებოდა. შემდეგ კი დარბაზი ისევ ძველებურად ახმაურდებოდა.

თითქოს ირგვლივ არაფერი იცვლებოდა. თითქოს ცხოვრების ამ ავარიულ მდგომარეობას უსასრულოდ შეეძლო გაგრძელებულიყო. ვინ იცის, იქნებ გაფიცვა სამყაროს სრულიად ჩვეულებრივი მდგომარეობაა, იქნებ ის ადამიანის ბუნებასთან უფრო ახლოსაა, ვიდრე შედედებული და სულისშემხუთველი წესრიგი. მაგრამ სარჩულის ქვეშ, სადღაც სიღრმეში, დღითი დღე ყველაფერი სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა.

ერთ საღამოს ცირილი მართლა გაგიჟდა. დერეფანში მირბოდა, კედლებს ეხეთქებოდა და არაადამიანურად ღრიალებდა. მისმა მოულოდნელმა, შემზარავმა ხმამ, რომელიც ავისმომასწავებლად გაისმა გესტაპოს ყოფილი შტაბის კედლებსა და ცუდად განათებულ დერეფნებში გამეფებულ სიჩუმეში, მაშინვე ჩვენც გამოგვაფხიზლა – პოსტულატების სიებს მიშტერებულნი და როტაციული გაფიცვის იდეაზე ჩაფიქრებულნი და დაზაფრულნი გავეკარით კედლებს.

ცირილს უკან ბ. მისდევდა. ცდილობდა, როგორმე დაემშვიდებინა, გულში ჩაეკრა, ის კი ხელიდან უსხლტებოდა. „ცირილ, ცირილ“, მონოტონურად იმეორებდა ბ., თითქოს დაძინებას უპირებსო. ბოლოს, როგორც იქნა, ის დანებდა და ბ.-მ სხვებთან ერთად ბიჭი კლინიკური ფსიქოლოგიის კათედრის აუდიტორიიდან გაიყვანა. ჰუმანისტური ფსიქოლოგიის კათედრის პროფესორმა დაშლისკენ მოგვიწოდა და ჩვენც

გრძელ დერეფნებსა და ცარიელ აუდიტორიებში გავიფანტეთ, თუმცა მისი საზარელი ღრიალი მაინც ჩაგვესმოდა. მერე რამდენჯერმე ყრუ დარტყმის ხმაც გავიგონეთ. როგორც აღმოჩნდა, ცირილი კედელს თავს უხათქუნებდა.

ამასობაში გამოძახებული სასწრაფო დახმარების მანქანაც მოვიდა და რამდენიმე წუთში დავინახეთ, როგორ გაიყვანეს დამამშვიდებელ პერანგში ჩაცმული და ხელებშეკრული ცირილი.

– ნებისმიერი გაგიჟდებოდა ამ ჩაკეტილობაში, – მომხდარის შესახებ შეგრძნებებს ვუზიარებდით ერთმანეთს ბნელ და ჩახუთულ, მტვრიან და გაბოლილ დერეფნებში, რომელთა ყველა ფანჯრიდან ერთი და იგივე ხედი მოჩანდა – რუხი კორპუსები და მათ შორის ჩარიგებული შიშველი ხეები. ღია ფერის ლაქებით დაფარული მომწვანო-მოყავისფრო და საზამთროდ შენიღბული მიწა კი სამხედრო კამუფლაჟს ჰგავდა. – ნეტავ მალე დამთავრდებოდეს .ეს ყველაფერი! სჯობს, დავიშალოთ და შინ წავიდეთ.

პანი ანა ყველაზე ახლოს ცხოვრობდა ნოვი სვიატზე, ბლიკლეს საკონდიტროს გვერდით, პირველივე შესახვევში. დიდი ეზო, მის ირგვლივ უსწორმასწორო კვადრატის ფორმით განლაგებული სახლები, ქვიშის მოედანი ბავშვებისთვის, ორი სკამი, ბეტონის სანაგვეები, რამდენიმე ვერხვი და თოვლის კენკრის ბუჩქები. პანი ანას ბინა, რომელიც დერეფნის, ერთი ოთახისა და პატარა სამზარეულოსგან შედგებოდა, მეოთხე სართულზე იყო, რის გამოც ის იშვიათად ჩამოდიოდა დაბლა. აივნის მხარეს ფანჯრები ქუჩას გადაჰყურებდა. თავად პანი ანა ნოვი სვიატს ყოველთვის ნეილონის ფარდიდან უყურებდა, ამიტომ მისთვის ეს ქუჩა მრუმე და გეომეტრიული ნაყშებით დაფარული უნდა ყოფილიყო. სახლიდან კვირაში ორჯერ

გადიოდა. გამოფხეკილ დელიკატესების მაღაზიაში ჯერ კიდევ შემორჩენილ მწირ პროდუქტს შეიძენდა, იქიდან კი კაფე „ამატორსკაში“ შედიოდა სირჩა კონიაკის დასალევად – ყავის სმას დიდი ხნის წინ დაანება თავი. ერთმანეთს ჩვენც ამ კაფეში ვხვდებოდით, სადაც ხანდახან ჩე გევარაც მოდიოდა და ჩვენს მაგიდასთან ჯდებოდა. მისი უცნაური ქცევები პანი ანას აღიზიანებდა და ამას არც მალავდა.

„ცოტა თავი შეიკავეთ, თუ შეიძლება!“, წაუსისინებდა ხოლმე დროდადრო.

სირჩა აუჩქარებლად მიჰქონდა პირთან და როცა ჩე გევარა მათარების ჟღარუნითა და თასმებზე ჩამოკიდებული ცარიელი ვაზნების წკრიალით დაგვტოვებდა, მეტყოდა:

– დღითი დღე სულ უფრო და უფრო უარესდება ჩემი მდგომარეობა. ცხელ რძეს ვსვამ, ფეხებს სათბურათი ვითბობ, მაგრამ მაინც ვერ ვიძინებ. ღამეებს თეთრად ვათევნებ. ხანდახან თხუთმეტი წუთით თუ წამთვლემს და მაშინაც გამუდმებით ძილ-ღვიძილში ვარ, სიზმრებს ვხედავ, მაგრამ აზრი ვერ გამომაქვს. რა ვქნა, შვილო... მითხარი, რა გზას დავადგე, – მეკითხებოდა მუდარანარევი ხმით და გამხდარ თითებს ხელზე მიჭერდა.

– იქნებ სუფთა ჰაერზე უფრო დიდხანს ყოფნა გჭირდებათ? – ვეკითხებოდი გულუბრყვილოდ. ამ თამაშს პირველად არ ვთამაშობდით.

– აჰ, არა, არა, ძვირფასო ბავშვო, ყოველ საღამოს სულ ცოტა ნახევარი საათით მაინც ვანიავებ ბინას, – მპასუხობდა ის.

– ან ვახშმად რამე მძიმედ მოსანელებელს ხომ არ მიირთმევთ?

– არა, რას ამბობ, საყვარელო. საღამოს ხუთი საათის შემდეგ აღარაფერს ვჭამ.

– იქნებ ძილის წამალი გვეცადა? – ძლივძლივობით ამოვღერღავდი.

ის ამ დროს აღშფოთებული სახით უკან გადაიწეოდა ხოლმე და წამიერად გაირინდებოდა.

– აი, ამას კი არასოდეს დავუშვებ, რადგან ვიცი, რომ საშინელი შედეგი მოჰყვება. მართალია, არ ვიცი, კერძოდ რა, მაგრამ საშინელი!

– პანი ანა, მოდით, გავისეირნოთ, – ვეტყოდი ბოლოს, რადგან მეტს ვეღარაფერს შევთავაზებდი.

ფოკსალის გავლით კოპერნიკის ქუჩაზე გავდიოდით, მერე სვიენტოკშიჟსკას ავუყვებოდით და ისევ ნოვი სვიატზე ვბრუნდებოდით. ზოგჯერ მდინარის მეორე ნაპირზეც გადავდიოდით, რომლის გადაშლილი, თვალწარმტაცი სივრცე შესაძლოა, ორივეს თანაბრად გვხიბლავდა, თუმცა ამაზე ერთმანეთთან ხმამაღლა არასდროს არაფერი გვითქვამს. ჭალა-ჭალა მდინარის დინების მიმართულებით სიარული, ქალაქიდან გასვლა, შეჭირხლულ მინდვრებზე ბილიკების გაკვალვა, ყანის პირას მდგარი ტირიფებისთვის თვალის შევლება. ასე სიარულ-სიარულში შეგვეძლო ზღვამდეც კი მივსულიყავით, ან პირიქით მოვქცეულიყავით – სამხრეთისკენ აგველო გეზი, ჯერ მთები გადაგვევლო, მერე ვრცელი დაბლობი, ჯერ ქუდები მოგვეშვლიპა და ძირს დაგვეყარა, მერე ხელთათმანები გაგვეძრო, ბოლოს კი, ვენახებამდე მისულებს ზამთრის პალტოებზეც გვეთქვა უარი. თანდათან უფრო და უფრო მეტად დაგრძელებულ დღეში შევსულიყავით, მის სინათლეს განვებანეთ.

როგორი ამინდიც უნდა ყოფილიყო, განუწყვეტლივ კანკალებდა. ყურადღებით ათვალიერებდა ტროტუარის თითოეულ მეტრს, მის გასწვრივ ჩამწკრივებულ ბოძებს, კიბეებს, ფეხსაცმლის წვერით ამოწმებდა ბორდიურს და თან ტუჩებს

იკვნეტდა. თუ სადმე რამე ნაკლს შეამჩნევდა, ამოტეხილ ან დაჟანგებულ ადგილს, სიბრალულით სავსე თვალებით გადმომხედავდა ხოლმე. გვერდიგვერდ მივდიოდით, შეძლებისდაგვარად თბილად შეფუთნულები.

მთხოვდა, რომ ყურადღებით ვყოფილიყავი. ვათვალიერებდი დღენიადაგ რუხ, თუმცა მუდამ სხვადასხვა ფერის რუხში გახვეულ ცივ, ხაოიან და შუა ადგილას ჭრილობასავით დაჩნეული მდინარით ორად გახლეჩილ ქალაქს, რომელთან შეხებაც უსიამოვნო გრძნობას გიტოვებდა. ავტობუსები კანტიკუნტად, თითქმის უხმოდ გადადიოდნენ ხიდებზე, უკან მალევე ბრუნდებოდნენ დიდ და ჩაბნელებულ ვიტრინებში არეკლილ, თითქოს გაორმაგებულ ადამიანებთან ერთად და პირიდან ყოყმანით შეპყრობილი სულებივით თეთრ ორთქლს უშვებდნენ. ერთხელ მკითხა, სად ცხოვრობო და რომ ვუთხარი, ზამენჰოფზე-მეთქი, შიშისგან პირზე ხელი აიფარა.

– არა, სასაფლაოზე სახლების აშენება არაფრით არ შეიძლებოდა. მთელ ქალაქში გეტოს ნანგრევები უნდა შემოეღობათ და სასაფლაოდ, მუზეუმად ექციათ. ვარშავა კი სადმე, ჩენსტოხოვას, წმიდათაწმიდა ქალწულის სიახლოვეს, ხელახლა უნდა აეშენებინათ, ან თუნდაც ნარევის ნაპირზე, სადმე ლამაზ ადგილას. წამოდი მაქედან, რაც შეიძლება მალე გადასახლდი სადმე სხვაგან, ძვირფასო ბავშვო!

შინ რომ მივაცილებდი, თავის ჩიტის სახლივით მაღალჭერიან და ვიწრო ბინაში, ბევრჯერ დავპირებივარ, რომ საჩქაროდ გავაკეთებდი ამას. პალტოდან თოვლს ვუფერთხავდი, თეთრი ფაიფურის ჩაიდანში მადრასის ჩაის ვაყენებდი და კარტოფილს ვდგამდი მოსახარშად. მაჩქარებდა:

– მითხარი რამე, ან მომიყევი, ან მე მომაყოლე, კითხვები დამისვი, დამღალე, იქნებ დამეძინოს. აი, ნახავ, როგორც კი წახვალ, მაშინვე ჩამეძინება.

მეც ენას აღარ ვაჩერებდი. ვუყვებოდი გაფიცვაზე, გარდაუვალ ცვლილებებზე, ადამიანებზე, მაგრამ სინამდვილეში ეს რაღაც უცნაური, უაზრო თხრობა იყო. გარესამყარო პანი ანას ბინიდან სრულიად არარეალური ჩანდა და შიშსაც კი გგვრიდა თავისი უსიცოცხლობით. იქ, დაბლა, თითქოს არაფერი ხდებოდა – ლოზუნგები ასეთი სიმაღლიდან აღარ იკითხებოდა, ქუჩაში მიმდინარე მანიფესტაციების ხმა სახლებისა და ეზოების ლაბირინთში იკარგებოდა, ქალაქი თითქოს მხოლოდ სახურავების, ანტენებისა და საკვამურებისგან იყო ნაშენი – მხოლოდ ჩიტებისა და ღრუბლებისთვის, დღენიადაგ ჩამოქუფრული ცისა და სიბნელისთვის და არა ადამიანებისთვის.

– ხედავ, შვილიკო, დასასრული გვიახლოვდება. ხედავ, ჰორიზონტზე ხედი როგორ ითხაპნება? ხომ ხედავ?

ასეთ ამინდში ყოველთვის ასეა ხოლმე, – ვამშვიდებდი.

მგონი, მაშინ ყველანი რაღაც კოსმოსურ ომში ვმონაწილეობდით. იქნებ სადღაც ჩვენს თავს ზემოთ პლანეტები ერკინებოდნენ ერთმანეთს? რაღაც ამგვარი უნდა ყოფილიყო. ადამიანები ერთმანეთს უსაფრდებოდნენ, ახლო მანძილიდან უმიზნებდნენ და ესროდნენ ერთმანეთს იარაღს. ესროლეს პაპს, რეიგანს, ლენონს... თითქოს ყველაფერი ერთი ხელის მოსმით უნდა შეცვლილიყო და ძველის ადგილი ახალს და სრულიად უცნობს დაეკავებინა. რეალობა იტალღებოდა. ილუზია და დეზილუზია ერთმანეთს ენაცვლებოდა. მზიან ქარში მაიავადას ფარდა ტკაცუნებდა.

– სამყარო მესიზმრება, – ამბობდა პანი ანა, როდესაც ჩაის დალევის შემდეგ ჩვენს ფინჯნებს რეცხავდა ან უკვე გარეცხილ კოვზებს გულმოდგინედ ამშრალებდა. – მესიზმრება, ძილით კი ვერ ვიძინებ. შენ მე ვერაფრით დამეხმარები,

შვილიკო, – დასძენდა, – ვერც შენ და ვერც სხვა. უბრალოდ, მოდიხარ და ვსაუბრობთ. სამყარო იღუპება. ჩვენ მისი დასასრულის მოწმენი ვართ.

არა, რა თქმა უნდა, არ მჯეროდა მისი, მაგრამ არც მისი გადარწმუნება მიცდია. ვითომ რატომ უნდა ვმდგარიყავით ყველანი მყარად მიწაზე, ვფიქრობდი ჩემთვის. რა არის იმაში ცუდი, თუ გგონია, რომ მთელი სამყარო ატლასივით შენ გაწევს მხრებზე და მას საბოლოო განადგურებისგან იცავ? რომ შენ მას იხსნი, თავად კი იღუპები. გარკვეული თვალსაზრისით, ეს სრული ჭეშმარიტებაა. უცდომელი ჭეშმარიტება.

პანი ანას ონტოლოგია ასეთი გახლდათ: მას სწამდა, რომ მისი ძილი სამყაროს დაღუპვისგან იცავდა. რომ მისი ძილის დროს ნაწილობრივ უკვე ლპობაშეპარული, გაფუჭებული და გაცვეთილი სამყარო ისვენებდა და თავს აღიდგენდა. რომ მისი ძილი ირგვლივ ყველას და ყველაფერს სიკვდილისგან იცავდა. ამის შესახებ, რაღა თქმა უნდა, სხვამ არავინ იცოდა. ადამიანები ხომ ესოდენ საბრალოდ ორგანზომილებიანები არიან (ქაღალდის ფურცელივითო, ამბობდა). მხოლოდ მან, მე და მისმა ექიმმა ვიცოდით სიმართლე. პანი ანას ქალიშვილსაც კი, ცნობილ სატელევიზიო წამყვანს, წარმოდგენა არ ჰქონდა ამის შესახებ. მას დედა მხოლოდ საავადმყოფოში მიჰყავდა, როცა სევდა და უძილობა პანი ანას მორიგ რამდენიმეთვიან დეპრესიაში აგდებდა.

– და რატომ მაინცდამაინც თქვენ? – შევეკითხე პირველი შეხვედრისას, მან კი პასუხად შევსებული კროსვორდების კვადრატებად დაჭრა დამავალა, რომელთგან მერე გიგანტურ კოლაჟებს ქმნიდა. მხოლოდ ამის შემდეგ, იოანე ნათლისმცემელივით მრავალმნიშვნელოვნად აღმართა თითი და ცაზე მიმანიშნა.

კი მაგრამ, თუ უძილობა აწუხებს, მაშინ სამყარო როგორ-ღა უნდა გადაარჩინოს? თვალით მაღაზიების წინ გაჭიმულ რიგებში მდგარ ადამიანებზე, უნივერსიტეტის შენობებზე გამოკრულ ტრანსპარანტებზე მიმანიშნებდა. – ეს ყველაფერი სწორედ პანი ანა ტოპელის, ნოვი სვიატზე მცხოვრები პოლონური ენის, აწ უკვე პენსიაზე გასული მასწავლებლის, უძილობის გამო ხდებოდა.

მშვენიერი მოოქრული ფაიფურის ფინჯნებიდან იმ საძაგელი მადრასის ჩაის დალევის დროს ამბობდა, რომ სამყაროს გადასარჩენად მისი დაახლოებით რვასაათიანი ძილი სავსებით იკმარებდა. ეს სულაც არ იყო ბევრი. მაგრამ მას მხოლოდ ერთი, ხანდახან კი ორი საათი თუ წასთვლემდა, ისიც გამთენიისას და მაშინაც ამ ძილ-ღვიძილშიც ესმოდა, როგორ ირყეოდა სამყაროს საძირკველი. კი, დასაძინებლად და უკეთესი განწყობისთვის ექიმმა მას წამლები გამოუწერა, მაგრამ ამბობს, რომ მათ ვერაფრის დიდებით ვერ დალევს, რადგან რეალობის პრიმიტიული ფარმაკოლოგიური საშუალებებით მანიპულირება დაუშვებელია. დავეთანხმე და ვისტას, ყველაზე მოსაწყენი თამაშის, სათამაშოდ ბანქო ჩამოვარიგე. მე ის მოწყენილობით უნდა მეკვება, წვრილ ნაკადებად სიმშვიდე გადამესხა მისთვის, სიტყვები გამეწელა, არ დამეშვა, რომ საუბრისას რაიმე დასკვნამდე მივსულიყავით, სიჩუმე სულის ბერვით უნდა გამეღვივებინა, ჩაი ისე გამეზავებინა წყლით, თითქოს რამე ჰომეოპათიური წამალი იყო, მეღიღინა. აი, ამაში მდგომარეობდა ჩემი ჯადოსნური ძალა.

ერთხელ ვნახე, როგორ ჩაეძინა სავარძელში გვერდზე გადახრილი თავით და მშვიდი, ლამაზი სახით. უნებლიეთ ფანჯარასთან მივედი, რომ მენახა, რა ხდებოდა გარეთ. დაბალი, სწრაფად მოძრავი შემოდგომის ღრუბლებიდან მზემ გამოაჭყიტა და სახლების სახურავებს ჩამოადნა.

შაბათს, ნაშუადღევს, ტრამვაით ჩე გევარასთან წავედი. მინდოდა ჩემი თვალით მენახა, ყველაფერი წესრიგში იყო თუ არა. ამასობაში გაფიცვას როტაციული ხასიათი მიეღო. მეორე დღეს უნივერსიტეტში დიდი მიტინგი უნდა გამართულიყო, ხოლო იმ საღამოს – კიდევ რაღაც შეკრება.

ჩე გევარა დიდხანს არ მიღებდა კარს. გაზეთებაკრული კარის უკან მისი სუნთქვა მესმოდა და სათვალთვალოში გამოხედვისას მისი წამწამების ფხაჭუნი.

– პაროლი? – გამომძახა.

აუჩქარებლად წარმოვთქვი პირველივე სიტყვა, რაც თავში მომივიდა, ოღონდ აღარ მახსოვს, ცა იყო, ფოთოლი, მათარა, თუ რა. კიდევ ცოტა ხანს იყოყმანა. შემდეგ გასაღებმა ხმამაღლა გაიჩხაკუნა საკეტში და კარიც გაიღო.

ცუდად გამოიყურებოდა. წელზე ჩამოკიდებული მათარებისა და ხელყუმბარების, ჩაფხუტისა და სხვა სამხედრო ატრიბუტების გარეშე, პოლიაკრილის რუხ სპორტულებში გამოწყობილი, შიშველი მომეჩვენა. ერთიანად კანკალებდა. გასაცოდავებული ჩია ბერიკაცი, აი, ვინ იყო ის სინამდვილეში. არც ბავშვი, არც ურჩი და თავხედი ყმაწვილი. ერთი გამხდარი, ნაადრევად მოტეხილი მოხუცი იყო, რომელსაც არც ბავშვობა გამოევლო, არც ახალგაზრდობა და ყრმობიდან პირდაპირ სიბერეში გადაენაცვლებინა. ახლა კი ცდილობდა, ის დაკარგული დრო როგორმე უკან დაებრუნებინა. ზომაზე დიდი ფლოსტების ფრატუნით შემიძღვა გაზეთებით სავსე ერთოთახიან ბინაში. ფანჯრებზე საწოლის ძველი გადასაფარებლები იყო ჩამოფარებული, საფარდე კარნიზებზე პირსახოცები ეკიდა. სიცივისგან თუ შიშისგან კბილს კბილზე აცემინებდა. პირიდან ისე ამოგვდიოდა ორთქლი, როგორც კომიქსების გმირებს დიალოგის ბუშტები.

მითხრა, დილიდან მითვალთვალებენო. ჯერ ქუჩიდან მადევნებდნენ თვალს, ახლა კი ხეზე ავიდნენ და იქიდან ბინოკლით და ტელესკოპით პირდაპირ ჩემს ფანჯარაში იყურებიანო. საწოლის გადასაფარებლებიც იმიტომ ჩამოეფარებინა. ის იყო, უნდა მეკითხა, ვინ, ვინ გითვალთვალებს, ვის რაში სჭირდება შენი უბადრუკი სიცოცხლე, საბრალო გიჟო-მეთქი, მაგრამ გაჩუმება ვარჩიე, დროულად ვიკბინე ენაზე. ჩემი მხრიდან ჩაძიების ნებისმიერი მცდელობა მისი ავადმყოფური წარმოსახვის ცეცხლზე ნავთის დასხმა იქნებოდა. თავის მტერზე ლაპარაკი მას კიდევ უფრო საშიშსა და დაუმარცხებელს გახდიდა. ამიტომ არაფერი მითქვამს. პაკეტის სუპის მომზადებას შევუდექი. იმედით სავსე თვალებით შემომცქეროდა. ვატყობდი, უნდოდა, რომ რამე მეთქვა. კანკალსაც უმატა. გამათბობელი ჩავრთე.

– საავადმყოფოში დანოლა არ გინდა? – შევეკითხე, ემალის ტოლჩებიდან ცხელ სუპს რომ შევექცეოდით.

მიპასუხა, დაგვიანებულიაო.

– სასწრაფო დახმარებას დავურეკავ, – შევთავაზე.

მაშინვე კარს ეცა და მთელი სხეულით ზედ აეკრა.

– არავითარ შემთხვევაში! აქედან ვერსად ვერ გახვალ. შენც ხაფანგში გაები. სადაცაა კარს მოადგებიან!

ყოყმანით გადავდგი მისკენ რამდენიმე ნაბიჯი და მივხვდი, რომ უბრძოლველად არ დამნებდებოდა. არ გამიშვებდა.

ჩანდა, ჩემი ფიქრების კითხვა შეეძლო. მაჯაში ჩამავლო ხელი და მაგრად მომიჭირა. ორივეს გაგვითეთრდა თითები. უეცარმა პანიკამ შემიპყრო. ვიფიქრე, რომ არ ვიცოდი, ასეთ დროს რა უნდა მექნა, რომ ამჯერად არავინ მომეშველებოდა და მე თვითონ უნდა მომეძებნა გამოსავალი. ამ შიშისგან ჭკუიდან შეშლილი მამაკაცისთვის მშვიდი და უსაფრთხო ათვლის წერტილი უნდა გავმხდარიყავი. როგორმე

უნდა დამეთრგუნა მისი შიში და დამეწყნარებინა. ზურგზე ხელი მოვუთათუნე, პლედი მოვახურე, მერე კი გულზე მივიხუტე და მივხვდი, რომ ჩემი შიშიც კვამლივით გაიფანტა. ვრცელ და ბრტყელ დაბლობს დავემსგავსე, ლანდშაფტის ყველაზე მდგრად, უძრავ ნაწილს. კარგი, სანამ შენ არ მეტყვი, არსადაც არ წავალ-მეთქი, შევპირდი. ამ დროს პანი ანაც გამახსენდა, რომელსაც არ სძინავს და რომლისთვისაც სამყაროს გადარჩენის ერთადერთი საშუალება მისი ძილია. მხოლოდ მაშინ ვიპოვით შინაგან სიმშვიდეს, როდესაც ჩვენი ძილი ყველა იმ ხვრელს ამოკემსავს, საიდანაც ზედაპირზე ბოროტება და წყვდიადი ამოდის.

– დავიძინოთ, ჩე გევარა, დავიძინოთ! წამოდი, დავწვეთ და დავიძინოთ, – ვუმეორებდი.

მონოტონურად ჩამოვთვალე ყველაფერი, რაც ჩვენთან ერთად საძილედ ემზადებოდა, თითქოს ვლიტანიობდი: იძინებენ გაჩერებები და საგზაო ნიშნები, ქუჩის ლამპიონები და მაღაზიის კიბეები, მანქანები და საკვამურები, ხეები, ტროტუარები, ველოსიპედები, ხიდის მოაჯირები, ტრამვაის ხაზები და სანაგვეები, კანფეტის ქაღალდები და სიგარეტის ნამწვები, გამოყენებული ბილეთები და ცარიელი ლუდის ბოთლები, იძინებს ყველა ქუჩა სასკა კემპაზე – ფრანცუსკა, ატენსკა და სასკა, ასევე სხვა უბნების ქუჩებიც და ბოლოს, თვითონ უბნები და ქალაქები – კატოვიცე და გდანსკი, ვალბჟიხი და ლუბლინი, ბიალისტოკი და მრონგოვოც იძინებენ. ძილი დედამიწაზე ისე მიიგრაგნება, როგორც თბილი კვამლი. ის მთელ ქვეყანას ადუნებს. ადამიანებს ხელები სახეებთან მიაქვთ და დაღლილ თვალებს იფშვნეტენ. კალიშისკენ მიმავალი მანქანები გზიდან ნაპირზე გადადიან და ჩერდებიან, მძღოლები კი ზედ გზატკეცილზე, პირდაპირ თოვლში წვებიან დასაძინებლად. მატარებლები ტრიალ მინდორში შეშდე-

ბიან და თვლემენ, ღუზაჩაშვებული ხომალდები ტალღებზე ირწევიან, პორტის სირენა ყველას ძილისკენ მოუწოდებს. სძინავთ ნავსაშენებს, ფაბრიკებში კონვეირები ჩერდებიან. ტელევიზორში დიქტორი ამთქნარებს, რომელიც ცოტაც და, პირდაპირ ნახევრად მთვლემარე მაყურებლის წინ მაგიდაზე გაწვება და დაიძინებს.

მე მას ისე ვიხუტებდი, როგორც ბავშვებს იხუტებენ დაძინებისას და არანაირი უხერხულობის განცდა არ მქონია. ერთნაირად ჩია ტანისები და გამხდრები ვიყავით. ამ ნამცეცა, გაზეთებით გამოტენილ ერთოთახიანში გამოკეტილები სამყაროს მოწყვეტილ მყიფე და გამჭვირვალე კედლებიან გალაქტიკას ვგავდით თავისი ხელოვნური მზით, დიდი და ცივი ქალაქის თავზე მოფარფატე საპნის ბუშტს. ნელა ვბრუნავდით უხილავი ღერძის გარშემო. ვიგრძენი, რომ მისი სხეული ერთბაშად მოდუნდა და დამძიმდა, თითქოს დამწიფებული ნაყოფი მიწაზე დასავარდნად ემზადებაო, სადაც მას დედამიწის მიზიდულობის ძალა უნდა შეესრუტა, რომლის წყალობითაც კანფეტის ქაღალდივით ისევ მაღლა აღარ აფრიალდებოდა. მეჩვენებოდა, რომ ჩვენ შორის რაბი – ხის უზარმაზარი, წყალგაუმტარი ტიხარი – გაიხსნა ნელ-ნელა, ჭრიალით. მეჩვენებოდა, რომ ჩვენი რწევით რაღაც ზემძლავრი მექანიზმი ავამოძრავეთ, მის ღილაკზე დავაჭირეთ თითი, რომელსაც ახლა ველარავინ შეაჩერებდა – ჩვენი მდინარეები უკვე ერთმანეთს ერთვოდნენ, ჩემი და მისი ნაკადები ერთმანეთს ეჯახებოდნენ, ერთმანეთში რომ არეულიყვნენ. უცბად სიხარულმა მომიცვა. მივხვდი, რომ ასეც უნდა ყოფილიყო, რომ ძალა შემწევდა, მისი შიში მე მეტვირთა და თბილ წყალში ჩაგდებული ყინულის ნატეხივით ჩემში გამედნო, რომ ამ ყველაფრის აწონა და გამოთვლა რომ ყოფილიყო შესაძლებელი – მისი შიშისა და ჩემი სიმშვიდისა – მე გადავწონიდი. მე

მასზე მეტი სივრცე მაქვს ჩემში. ჩემი მდინარე უფრო დიდი და თბილია და მზით გაჯერებული დაბლობში მიედინება. ის – ერთი პატარა ყინულივით ცივი და მოუსვენარი ნაკადულია. და როგორც კი ეს გავიფიქრე, ისევ შიშმა ამიტანა. პატარა ნაკადულს ხომ მოულოდნელი ადიდება სჩვეოდა? ის ძალას იკრებდა, ლოდიდან ლოდზე მოხტუნავდა, თხრიდა და აღრმავებდა კალაპოტს. თან შლამს და ტალახს მოიყოლებდა, იმღვრეოდა, მრისხანედ აქაფებული ყველაფერს ნთქავდა, რაც წინ შემოხვდებოდა. და ეს ყველაფერი სადღაც შიგნით, ხშირად უცხო თვალისთვის შეუმჩნევლად ხდებოდა. ჩე გევარამ თვალები დახუჭა და ამოიოხრა. მეგონა, სადაც იყო, ჩაიძინებდა, მაგრამ იქ, შიგნით, ისევ გაჩაღდა დაპირისპირება, ძალადობა და თავდასხმა. ვგრძნობდი, რომ ამ უდანაშაულო ბერიკაცს სადღაც, მისი არსების შიგნით, ხელჩართული ბრძოლა ჰქონდა გამართული და მაიძულებდა, მეც მისი პანიკური რიტმით მესუნთქა. წყალში გადაყრილი მაშველი რგოლებივით აღწევდა ჩემამდე მისი პანიკის ტალღები. სადაც იყო, ყინულის პაწაწინა ნამსხვრევები აცახცახდებოდა, რომელიც სულ მალე ჩემს სხეულსაც დაეუფლებოდა. ჯერ კიდევ ვცდილობდი, გავქცეოდი ამ ხახადაფჩენილ, ამაზრზენ საშინელებას, მაგრამ თან ვხვდებოდი, რომ ამას ვერ შევძლებდი, რადგან სინამდვილე სწორედ ეს იყო, ყველაფერი დანარჩენი კი გვეჩვენებოდა. უცბად იმასაც მივხვდი, რომ ჩე გევარა არ ტყუოდა. აქამდე სად ვიყავი? დიახაც, გვითვალთვალებენ, ხეზე სხედან და გვითვალთვალებენ, იმაზე ფიქრობენ, როგორ გვაწამონ, მათ ჩვენ შესახებ ყველაფერი იციან. ბუნდოვანი ადამიანები, ჩრდილებისგან ნაქსოვი ბნელი არსებები, ლორწოვანი ჭიპლარებით დედამიწის ბნელ წიაღთან მიბმულები. ვითომ ხეზე რატომ ვერ ისხდებიან, როდესაც კარგადაა ცნობილი, რომ მათ ყველაფერი შეუძლიათ

და არც არაფერს თაკილობენ? ქადრის ტოტებზე მსხდარნი, ბინოკლებით ვითომ რატომ ვერ გვითვალთვალებდნენ? ნეტავ მე ეს აქამდე აბსურდად რატომ მიმაჩნდა? ათობით შავლაბადიანი მამაკაცი დაძრწოდა ქუჩებსა და ჩიხებში. ეზოებსა და მოფარებულ ადგილებში მილიციის მანქანები ეყენა. რადიოსადგურების ჩუმი და ავისმომაწავებელი შიშინი. ფანჯრებს დამიზნებული ნოქტოვიზორები. თავიანთ საიდუმლო შტაბებში ტონობით ისეთი აღჭურვილობა აქვთ, რომელიც ჩვენ არც კი დაგვესიზმრება. თითოეული ჩვენგანის მაჯისცემას ითვლიან. ისტორიას დირიჟორობენ, ტვინებს გვირეცხავენ, გვაიძულებენ, რაც მათ უნდათ, ჩვენც სწორედ ის დავინახოთ და ჩვენც ვხედავთ. პირში მზა წინადადებებს გვჩრიან, ჩვენ კი მათ ხმამაღლა ვამბობთ. ყალბ გაზეთებს ბეჭდავენ, რომლებშიც მსოფლიოს ისე აღწერენ, როგორც თვითონ მოესურვებათ. გვაიძულებენ, ვირწმუნოთ არარსებული და უარვყოთ ის, რაც ნამდვილად ცხადია და ჩვენც ვემორჩილებით. თავს ჩვენს მეგობრებად ასაღებენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, – დიახ, დიახ, – არც იმაში ვარ ბოლომდე დარწმუნებული, რომ ის, ვის გამოსახულებასაც სარკეში ვხედავ, მართლა მე ვარ.

ფეხზე წამოვხტი, ფანჯრებზე ჩამოფარებული გადასაფარებლის „ფარდები" გავასწორე და ყოველი შემთხვევისთვის გაზიც გადავკეტე. თითის წვერებით მივირბინე კართან და შევამოწმე, ჩაკეტილი იყო თუ არა. ჩე გევარა ჩემს საქციელს ყურადღებით ადევნებდა თვალს.

– ხედავ? ხომ ხედავ? აკი გეუბნებოდი! – ბუტბუტებდა.

დილამდე იატაკზე დაფენილ გაზეთებზე ვისხედით ერთმანეთს მიხუტებული. მთელი ღამე თავში ათასგვარი უცნაური იდეა მიყვაოდა იმ თეთრი ყვავილების მსგავსად, ყინვა რომ ხატავს ხოლმე ფანჯრის მინებზე. თითებით ვშლიდი

მათ, მაგრამ ხელახლა ჩნდებოდნენ, თუმცა თანდათანობით სულ უფრო მკრთალადღა მოჩანდნენ. იქნებ მოახლოებული განთიადი ფანტავდა? ბოლოს და ბოლოს, ალბათ, ჩამეძინა, რადგან ჩაიდანში მოთუხთუხე წყლის ხმამ გამაღვიძა.

ქამარზე ჩამოკიდებული მუყაოს ცარიელი კაბურით გაზქურასთან იდგა. „ფარდები" ჩამოეხსნა და ფანჯრებიდან ზამთრის დღის მქრქალი შუქი შემოდიოდა.

– მორჩა, – თქვა, – წავიდნენ, მაგრამ დაბრუნდებიან.

ისეთი რეტდასხმული ვიყავი, თითქოს ერთბაშად მთელი კოლოფი სიგარეტი მომეწიოს, თითქოს ის იყო, ვიღაცას გულწასული მოვებრუნებინე. შეცბუნებული ვათვალიერებდი ბინას. ეჭვით შევყურებდი ხის ტოტებს. ვკითხულობდი ირგვლივ მიმობნეული გაზეთების სათაურებს. პანიკის შეტევა მქონდა, ფსიქოზური ეპიზოდი-მეთქი, ვფიქრობდი. იმან გადმომდო. მე კი ამის უფლება მივეცი, დამაჰიპნოზა, მე კი მის შთაგონებას დავექვემდებარე.

– ჩე, მორჩა, საავადმყოფოში წვები. მივდივარ, სასწრაფო დახმარებაში უნდა დავრეკო.

წინააღმდეგობა არ გაუწევია. ნივთების ჩალაგებას შეუდგა. ქუჩაში რომ გამოვედი, ფიქრები თანდათან დალაგდნენ, სველი ძაღლებივით შეიფერთხეს ტანი, ერთად მოგროვდნენ, მწყობრად დაეწყვნენ და გათვლა დაიწყეს. ქუჩები უჩვეულოდ ხალვათი მეჩვენა, მაგრამ გამახსენდა, რომ კვირა დღე იყო. დღეს მიტინგია. სასწრაფო დახმარების ნომერი. პანი ანა. უნდა დავურეკო და ვკითხო, იქნებ იმას მაინც ეძინა წუხელ.

ჯიხურში შევედი და რამდენჯერმე ავკრიფე ნომერი, მაგრამ, ეტყობა, ტელეფონი არ მუშაობდა. არც ტრამვაი მოძრაობდა. ხიდისკენ გავეშურე. ქალაქის მეორე მხარეს ფეხით გადასვლას ვაპირებდი, სანამ იერუსალიმის ხეივანში ხმამაღალი გრუხუნით მომავალი შეჯავშნული მანქანების კოლონა არ შევნიშნე.

საბინას სურვილი

მოდით, ახლა საბინას ამბავს მოგიყვებით, რომელიც კვირაში ერთხელ დოქტორ მ.-ის, მისი ცოლის, იოლასა და ქალიშვილის, კაზიას, სახლს ალაგებს. უკვე რამდენიმე წელია, რაც მათთან მუშაობს და ეს სახლი, ალბათ, ათასჯერ მაინც ექნება დალაგებული. თან ყოველთვის ერთნაირად, ერთი და იმავე თანმიმდევრობით. ჯერ ექიმის კაბინეტი, მოსაცდელი და საპირფარეშო, მერე ოთახები, უზარმაზარი სამზარეულო და საძინებლები მეორე სართულზე. ერთი ბატონი და ქალბატონი მ.-ისა, მეორე კი კაზიასი. ხანდახან, იშვიათად, სასტუმრო ოთახსაც ალაგებს, განსაკუთრებით დღესასწაულების, გრძელი უქმეებისა და დღეობების შემდეგ და კიდევ ორ ტერასას – ერთს სახლის წინ და მეორეს სახლის უკან. ორივეს დაგვა სჭირდება, პრიალაფილებიან იატაკს კი მორეცხვა.

წელიწადში ორმოცდაათზე მეტჯერ ალაგებს, ხუთ-ექვსჯერ ფანჯრებს აპრიალებს, მეტლახის იატაკის მოწმენდა და გასანთვლა წლის განმავლობაში დაახლოებით ოცჯერ მაინც უწევს; ხალიჩების გაბერტყვა – სამჯერ ან ოთხჯერ. საბინა სახლის ყველა კუნჭულს, ყველა ნივთს ზედმიწევნით კარგად იცნობს. ზოგი მათგანი ძალიან მოსწონს (მაგალითად, ხის მაგიდის გლუვი ზედაპირი, მაღალფეხიანი სანათური ვიტრაჟის აბაჟურით), ზოგს დასანახად ვერ იტანს (ბუხრის თავზე ჩამომწკრივებულ სპილენძის ქვაბებს და მუდმივად დათუთხ-

ნულ გაზქურას), ზოგიერთი კი სიგიჟემდე უყვარს (კაზიას ოთახის ვარდისფერი ხალიჩა, სააბაზანოში დაგებული ქათქათა თეთრი ფილები).

საბინა პარასკეობით მოდის ხოლმე. ამ დღეს მის სახლში ბიჭები ხუთშაბათიდან შემორჩენილ ბლინებს იცხელებენ. ექიმის სახლში კი ხუთშაბათი თევზის დღეა და საბინა გულმოდგინედ ხეხავს მიმწვარ ტაფას. უთენია მოდის, ქალაქის წითელ ავტობუსს პოდგუჟედან პირდაპირ ექიმის კოხტა ვილამდე მოჰყავს. ავტობუსში თავს მშვენივრად გრძნობს, მთელი ვალბჟიხის გავლა უწევს და თავი ექსკურსიაზე ჰგონია. გული სწყდება, რომ მოჟამული, ღატაკი და აყროლებული პოდგუჟედან მწვანეში ჩაფლულ და ჟასმინების სურნელით გაჟღენთილ შჩავნომდე მგზავრობა ასეთი ხანმოკლეა. ავტობუსში საბინა ფანჯარასთან ჯდება. თუ ჭედვაა, ინვალიდებისთვის გამოყოფილ ადგილს იკავებს. ორსულად არის, როგორც ყოველთვის, და იმიტომ. ხუმრობა საქმე ხომ არაა ხუთი შვილის გაჩენა, თან სულ ბიჭების. ორსულობა საბინასთვის განუყრელ, ბუნებრივ მდგომარეობად იქცა! გული არასოდეს ერევა, არც თავბრუ ეხვევა, გუნება-განწყობის მოულოდნელ ცვლილებასა და უცნაური რაღაცების ჭამის სურვილსაც არასდროს შეუწუხებია. თვალში საცემად არც იმატებს და არც იკლებს. საბინა საკუთარ სხეულს დიდ ყურადღებას არ აქცევს, დილიდან სპორტულებში ან კრეტონის ყვავილებით მოჩითულ კაბაში ჩატენის და მერე მთელი დღე ასე დადის. იქ, სადღაც, კრეტონის ყვავილებიანი კაბის ქვეშ, მის სხეულსაც უჩნდება სურვილები, მაგრამ საბინას მათთვის არასდროს სცალია.

თუმცა ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ითვალიერებს სხეულს. დადგება ექიმის ცოლის საძინებლის დიდი სარკის წინ და თავის მუცელს აკვირდება. ხომ ამბობენ, გოგოს მუცე-

ლი უფრო განზე გასული და მრგვალია, ბიჭისა კი პირიქით, წინ არისო გაბზეკილი. ისე, თითქოს წვეტს გარე სამყაროს უმიზნებდეს. და თან ბურთივით მკვრივიაო. ერთხელ ამ თვალიერებაში ექიმის ცოლმა, პანი იოლამ შეუსწრო. საბინას შერცხვა, დაიბნა და სასწრაფოდ სარკის წმენდა დაიწყო. „გიხდება ორსულობა", – უთხრა ექიმის ცოლმა, – „მშვენივრად გამოიყურები".

საბინა მონდომებით დაალაგებს ექიმის ცოლის სავარძელზე მიყრილ ტანსაცმელს. კოფთებსა და კაბებს მხრებში ჰკიდებს ხელს და ისე იღებს, თითქოს ცოცხალი არსებები, შინაური ცხოველები იყვნენ. მერე ხის საკიდებზე სათითაოდ შემოაცვამს და ღრმად ისუნთქავს კარადაში დამდგარ სურნელს. რომელიღაც გაშლილი ყვავილების სუნია, არ კი იცის რომლების. ექიმის ცოლის სუნი – ნაზი, ქალური, აღმგზნები, მიუწვდომელი. ექიმის ტანსაცმელს ნაკლები მონდომებით ალაგებს: მისი პერანგებისა და პიჯაკების ქსოვილი სინაზით პანი იოლას კაბებისა და კოსტიუმებისას არ ჩამოუვარდება, თუმცა მათი შეხებისას საბინას ხელი უნებურად ჰაერში უშეშდება და წამით ირინდება. არადა, არანაირი მიზეზი არა აქვს გარინდების, ამიტომ საბინა ისევ საქმეს უბრუნდება. მაგრამ რას შეიძლება შეადაროს ეს წამიერი გარინდება? მამაკაცის ხაოიანი ლოყის ან მისი მოუხეშავი ხელების შეხებას? ან იქნებ უხეში წარბების? კიბეზე მძიმე, თანაბარი ნაბიჯების ხმას? ალკოჰოლის ოდნავ საგრძნობ სუნს?..

საქმე მოამთავრა. საბინა კარადას კეტავს და გასაწევ კარში ჩატანებულ სარკეში კიდევ ერთხელ ითვალიერებს თავს.

საძინებლიდან გამოდის და პატარა კაზიაც სკოლიდან შინ ბრუნდება. ჰოლში მისი ხმა ისმის. საბინაც კაზიას დედასავით კიბეებზე ჩარბის, რომ გოგონას მიეგებოს და სხვა ყველაფერი მაშინვე ავიწყდება.

კაზია იატაკზე მოკეცილა და ფეხსაცმლის ზონრებს იხსნის, დედის კითხვებს პასუხობს, საბინას ულიმის. კაზიას ქერა, ბოლოში ოდნავ დაკულულებული რბილი თმა მხრებამდე სცემს. ჭორფლიანი სახე აქვს და ნათელი, ღია ფერის თვალები. პაწია, თხელი და ფერმკრთალი ტუჩები თითქოს საჭმელად კი არა, ჩიტივით საჭიკჭიკოდ მიეცა. ნაფოტა კბილებიც ძალიან გულისამაჩუყებლად მოუჩანს. ასე ფიქრობს საბინა და გოგონას ზურგჩანთა ზევით მიაქვს. კაზიას ოთახის დალაგებას ამ ზურგჩანთისთვის ადგილის მიჩენით დაიწყებს. ის ამასობაში ისადილებს, მერე ინგლისურის მასწავლებელი მოვა, სამეზობლოდან კიდევ ორი გოგონა შემოემატებათ გაკვეთილზე. დაბლა, მისაღები ოთახიდან, საბინას ყურამდე მხოლოდ მამაკაცისა და გოგონების ხმები აღწევს, ხანდახან ტელევიზორისაც: წყვეტილი, გაურკვეველი დიალოგები, უცნაური ხორხისმიერი ბგერები. საბინა ზოგჯერ ნაცნობ „yes"-საც მოჰკრავს ხოლმე ყურს და გული სიამაყით ევსება.

ეს დრო საბინასთვის დღის ყველაზე სასიამოვნო დროა. კაზიას ოთახი, კაზიას ოთახი. ეს სიტყვები უკვე გოგლიმოგლივით ჟღერს. ჰალვასავით. თან ვარდისფერია. მთლიანად ვარდისფერი. ფაფუკ ხალიჩაზე შიშველი ფეხებით დგომა საბინაში თითქმის ღვთისმოსავის მოწიწებას იწვევს. ვერასდროს გაბედავდა მასზე ფეხსაცმლიანი ფეხით გავლას. მუხლებზე მდგარი აგროვებს შიგ ჩაბნეულ პატარა მარცვლებსა და ნამცხვრის ნაფხვენებს. მერე მტვერსასრუტით ორჯერ წმენდს, ხანდახან სამჯერაც. საბინამ ზოგჯერ, უღონობისა თუ მოწყენილობის წუთებში, კარგად არც იცის, როგორ თქვას, საბინას არა აქვს ასეთი განცდებისთვის სახელის დარქმევის გამოცდილება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც... არა, არა, ჯობია, ამაზე საერთოდ არ იფიქროს. ერთი სიტყვით, საბინა ზოგჯერ ამ ვარდისფერ ხალიჩაზე გვერდულად

დაწვება ხოლმე, მუცელმა ხელი რომ არ შეუშალოს და წევს ასე გარკვეული ხანი. იატაკიდან დანახული ოთახი უფრო დაცული ეჩვენება, გაცილებით მყუდროც. შეუძლია მთელი ცხოვრება იწვეს ასე და თითის წვერებით ფაფუკი ვარდისფერი ხავსი ვარცხნოს. იოცნებოს, სადღაც შიგნიდან წამოსული სითბოთი გათბეს, წათვლიმოს თვალის მოსატყუებელი, ფხიზელი ძილით, რომელშიც ფიქრები ერთმანეთს ენაცვლებიან, ერთმანეთის ადგილს იკავებენ. „yes, yes" მოისმის ქვევიდან გოგონების ხმები. საბინა დგება. დალაგება უნდა მოასწროს. ლოგინს თითქმის სუფთა, უმანკო თეთრეულს გადააძრობს. დიდხანს აფუებს ბალიშს, რომ კაზიას პატარა თავისთვის უფრო ფუმფულა და მოხერხებული იყოს. ბერტყავს საბანს, ბუმბული რომ თანაბრად განაწილდეს. მერე კი სასიამოვნო საგონებელში ვარდება – არ იცის, რა ფერის თეთრეული აირჩიოს. კაზიას კარადის უჯრაში რამდენიმე ხელი აწყვია: ვარდისფერქოლგებიანი, ღიაცისფერსპილოებიანი, ჩვეულებრივი თეთრი, ვარდისფერი სატინის, ყინულივით გლუვი და სრიალა და გოფრირებული, იასამნებით მოხატული.

მერე საბინა პატარა საწერ მაგიდას ალაგებს. ფერად ფანქრებს, სათლელებს, ოკრობოკრო ასოებით შევსებულ რვეულებს. აგროვებს ვაშლის ნაღიჯნებს, კანფეტის ქაღალდებს, ფორთოხლის ქერქებს. წმენდს მტვერს. თოჯინებს სათუთად, სინაზით მიუჩენს ადგილს საწოლებსა და საბავშვო ეტლებში. ცდილობს, ორივე ფეხსაცმელი ეცვათ და ღილებიც თანმიმდევრობით ჰქონდეთ შეკრული. თოჯინების მოწესრიგებაც – მათთვის თმის დავარცხნა და თაროებზე ჩამოსმა, პარასკევი დღის ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო მომენტია. საბინა სახელსაც ვერ უძებნის ამ ყველაფერს და უბრალოდ თავისთვის იღიმება. იმას კი ამჩნევს, რომ თავისი დასიებული, გაუხეშებული თითებით თოჯინების პაწაწინა

ტანსაცმლის შეკვრა უჭირს. ამ დროს, როგორც წესი, პანი იოლა შემოდის ხოლმე. ვითომ რაღაცას ეძებს, სინამდვილეში კი იმის გაგება უნდა, რატომ დაყოვნდა საბინა ამდენი ხნით კაზიას ოთახში.

ერთხელ ქმარსაც კი უთხრა, „რა ინფანტილური გოგოა ეს საბინა, მგონი, კაზიას ოთახში თოჯინებით თამაშობს ხოლმე". „რას ამბობ", უემოციოდ გაიკვირვა ქმარმა. „ჰემოგლობინი უნდა შეემოწმებინა და შეახსენე. უთხარი, რომ მომავალ კვირას შემიძლია გავსინჯო". „რა იქნებოდა, სპირალი რომ ჩაგედგა?" – ჰკითხა პანი იოლამ. „არც არაფერი", – მიუგო ქმარმა, „მაგრამ, საქმე იმაშია, რომ ვერ ვასწრებ, ისე სასწრაფოდ ორსულდება. უთხარი, მოვიდეს, ექოს გადავუღებ".

სახლში სრული წესრიგია. ახლა საბინა სამზარეულოში ჩაის სვამს და ნამცხვარს აყოლებს. ხან შაქრიანს, ხან ქოქოსიანს. ელასტიკებში გამოწყობილი პანი იოლა მუდმივად დიეტაზეა, აქა-იქ რაღაცას თუ გაციცქნის. თან შიგადაშიგ ლაპარაკობენ. საბინა თავის ბიჭებზე უყვება, იმაზე, რომ მისი უფროსი ტექნიკუმში სწავლობს, ყველაზე უმცროსი კი ახლა იდგამს ფეხს. პანი იოლას მათი სახელები ერთმანეთში ერევა, მაგრამ თავს ისე აჩვენებს, თითქოს ახსოვს. ისიც ახსოვს, რომ საბინას ქმარზე არაფერი არ უნდა ჰკითხოს, თორემ სულ ტყუილებს ილაპარაკებს. ეტყვის, რომ ყველაფერი წესრიგშია, რომ მუშაობს, რომ სახლისთვის ფარდების ჩამოსაკიდებელი კარნიზები გააკეთა, რომ ერთხელ ნამცხვარიც კი გამოაცხო, რომ რკინიგზის ლიანდაგებთან ახლოს მიწის ნაკვეთი რომ აქვთ, იქ პომიდვრებიც კი აახვია, რომ კვირას ეკლესიაში იყვნენ ერთად, რომ ავტობუსით ქალაქგარეთ, ტბორზე, ბავშვები ერთად წაიყვანეს საბანაოდ, რომ არ სვამს. თუმცა არა, იმას არ იტყვის, არ სვამსო. უბრალოდ,

არაფერს იტყვის. გაჩუმდება. ის, რასაც არ ახსენებ, არ არსებობს. მორჩა და გათავდა. აი, ეს არის იმ წვრთნის შედეგი, რომელიც სათქმელისთვის გვერდის ავლას გასწავლის, პირზე მომდგარი სიტყვის უკან ჩაბრუნების იშვიათ უნარს გძენს. პანი იოლა შეფარვით ათვალიერებს მას. საბინას ჩაით სავსე ფინჯანი პირთან მიაქვს. მხრები ამ დროს რაღაცნაირი ვიწრო და უსუსური უჩანს.

ჩაის შემდეგ საუთოებელს უნდა მიხედოს. სუფთა, რეცხვისგან გაფშეკილი ტანსაცმლის მთელი გორა ელოდება. ტილოები და პირსახოცები. თეთრეული. წინდების ერთმანეთთან დაწყვილება და მათი რბილ გორგლებად დახვევა. ზეწრების დაჭიმვა. რეცხვის დროს აწყვეტილი ღილების დაკერება. საუთოებელი ფიცარი ერთგვარი პარმაღია, საიდანაც საბინა საღამოს გაჰყურებს.

გოგონები მასწავლებელს ემშვიდობებიან და მაღლა ამორბიან. მეორე მუქთმიანია და თვალებბრიალა. მესამე – ქერა, ფუმფულა და ვარდისფერლოყება. კიბეებზე თამაშის წესებს ადგენენ. როლებს ინაწილებენ. მე დღეს ბლანკა და ბოშა გოგო მეყოლება, შენ პრინცესა და ზუზანა. შენ მასწავლებელი იქნები, მე – ექიმი. შენ შვილებიანად მესტუმრები. არა, მოდი, ჯობია, სახლობანა ვითამაშოთ. თითოეულ ჩვენგანს თავისი სახლი ექნება და შვილები ეყოლება. ერთმანეთს სადილად მივიწვევთ. ტუნისშიც გავემგზავრებით ხოლმე დასასვენებლად.

საბინა თვალს ადევნებს ბავშვებს. უთო გლუვ კვალს ტოვებს და ატკიცინებს ყველაფერს, რაც დაჭმუჭნულია.

გოგონები სათამაშოებს ალაგებენ და ხელებით საკუთარ ტერიტორიებს შემოსაზღვრავენ. თუ ვინმე ამ უხილავ საზღვარს გადაკვეთს, გამარჯობა უნდა თქვას და სახელსაც წინ პანი დაურთოს.

საბინა ხედავს, როგორ სვამენ ბავშვები თოჯინებს ვარდისფერ ხალიჩაზე, როგორ უხსნიან ციცქნა ღილებს, რომლებიც საბინამ ცოტა ხნის წინ წვალებით შეუკრა. აშიშვლებენ. აჰ, არა. თოჯინის სიშიშვლე სად გაგონილა. წერწეტა, მნერის მსგავსი ბარბების ვარდისფერი, გადატკეცილი კანი. მათ ვერასოდეს გააშიშვლებ იმიტომ, რომ შინაგანი და გარეგანი ბუნება ერთნაირი აქვთ. და სრულყოფილებიც სწორედ ამიტომ არიან. როგორც სამკაულები.

გოგონები გაუთავებლად ეტიკეტებიან ერთმანეთს, მაგრამ საბინა მათ ყურს აღარ უგდებს. უფრო სწორად, სიტყვებს ვეღარ არჩევს ერთმანეთისგან. თუმცა ჟღურტულის მელოდიაც ჰყოფნის – ჩიტური, რიტმული, ალერსიანი. უთოს მოძრაობა ნელდება, მექანიკური ხდება. უთოს ქვეშ თეთრი ზეწარი მოწყენილს ჰგავს.

რა იქნება, ეს უთო წამით რომ მიატოვოს და ხალისიანი ხტუნვა-ხტუნვით გოგონებში გაერიოს? მათთან ერთად დაჯდეს ვარდისფერ ხალიჩაზე და პლასტმასის სინაზეს, ვითომ-ვითომ დედაშვილობანას და ნათამაშებ სიყვარულს მისცეს თავი? რა იქნება, პაწაწინა ქვაბებში სადილები რომ ხარშოს და მერე ღილისხელა თეფშებზე ჩამოარიგოს? რა მოხდება ვითომ, ქვეყანა დაიქცევა? ვაიმე, ვაიმე, საბინას მეტი ყურადღება მართებს. ამასობაში ბატონი ექიმის პერანგის საყელო კინაღამ დაეწვა.

ყოველი დაუთოების დროს საბინა ერთ უბრალო, უწყინარ თამაშს თამაშობს. ამას ვერავინ ამჩნევს და ვერც შეამჩნევს, რადგან თამაში მის წარმოდგენაში, მის ფიქრებში მიმდინარეობს და მისი სიტყვიერად გადმოცემაც ძალიან გაუჭირდება. მაგრამ ახსნას მაინც შეეცდება. საბინა წარმოიდგენს ხოლმე, რომ თოჯინაა და ვარდისფერ ხალიჩაზე წევს. მისთვის უცხო არ არის ეს შეგრძნება და სულაც არ

უჭირს რბილ და იმავდროულად ხეშეშ ვარდისფერ ზედაპირზე წოლა. ხალიჩის სუნიც იცის როგორია და ამიტომ მაშინვე ცნობს სინთეტიკის სუნს. იცის, რას ხედავს ხალიჩაზე გაწოლილი ადამიანი და შეუძლია წარმოიდგინოს უეცრად ზომაში გაზრდილი მაგიდისა და სკამების ფეხების, კარადის ქვეშ შეწყობილი ყუთების სამყარო. ხალიჩაზე დახრილი გოგონების ბავშვურად გლუვ სახეებსაც ხედავს და მათი გაბმული ტიკტიკიც ესმის, მათი ლაპარაკის ფრაგმენტები, რბილი გაწყრომა, ხავერდოვანი ამოოხვრა, მათი პირიდან დაფრქვეული ვაშლის ნაზი სუნი. და რაც მთავარია, მათი ხელების, ფუმფულა თითების შეხებას გრძნობს, როგორც ჩიტების ხტუნვას, თრითინის გადარბენას. ეს თითები მისი ხალათის ღილებს ხსნიან და კრავენ, ნიკაპქვეშ მაქმანიან საყელოს უბნევენ. ამ დროს გრძნობს, როგორ პატარავდება მთელი სამყარო. ყველაფერი პირობითი, არამდგრადი ხდება, როგორც გაფუჭებული ონკანიდან წყალი, ისე წვეთავს და სხვადასხვა ფორმას იღებს. ყველაფერი შეიძლება მოხდეს, თუმცა სინამდვილეში ბევრი არაფერი ხდება. და ბედნიერებაც, ალბათ, ეს არის.

საბინა პატარა ხელების შეხებისას თავის საკუთარ სხეულსაც გრძნობს. თითქოს მდინარეებით, ტბებითა და მთებით დაფარული დედამიწის რუკა იყოს და მასზე ანტილოპებისა და სპილოების ჯოგები დააბიჯებდნენ. გრძნობს უდაბნოების სიცხეს და ანტარქტიდის ყინულოვან ქარებს. მისი კანი ცოცხლდება – სასიამოვნო ურუანტელით პასუხობს. ხელი, რომელსაც უთო უჭირავს, ეშვება, დუნდება (ამ დროს უთოს უსაფრთხო ადგილას გადადგამს ხოლმე), შუბლთან თმა ყალყზე უდგება და გაკვირვებული ფიქრობს, როგორ შეიძლება შენსავე თმას გრძნობდე. სამი გოგონას ხელები თოჯინას აცმევს.

დაუთოება პროგრამის ბოლო პუნქტია. ახალი ამბების სიგნალიც გაისმის. ცოტა ხანში მ-ის ოჯახი ივახშმებს. კარზე დარეკილი ზარი იუწყება, რომ მეზობელ გოგონებს დედებმა მოაკითხეს. ისინი შემოსასვლელში დგანან და ლაპარაკობენ.

საბინა ფულს სპორტულების ჯიბეში იდებს, სახლიდან წამოღებულ პარკს ხელს წამოავლებს – გზად „ბედრონკაშიც" უნდა შეიაროს საყიდლებზე. ქათამს იყიდის შაბათის სადილისთვის, მარგარინს და რამდენიმე პურს. „ღმერთო, რამდენ პურს ჭამენ", – კართან მდგარი პანი იოლას უღიმის და მალე მოხრეშილ ბილიკზე მისი ნაბიჯების „ხრაშახრუში" ისმის.

„საბინა, მოიცადე!" – მოსძახის პანი იოლა. შემდეგ ცოტა ხანს შეყოყმანდება და სათქმელს იწყებს. „საბინა, მალე მუშაობას ველარ შეძლებ (საბინა შუბლს იჭმუხნის). მე და ჩემმა მეუღლემ ვიფიქრეთ, რომ... რომ იქნებ რამე გინდა გულით, ან, უბრალოდ... იქნებ რამე სურვილი გაქვს... ჩვენ გვინდა, რომ შეგისრულოთ. აი, რამე რეალური სურვილი თუ გაქვს, რომ გვითხრა. – ნაჩქარევად უმატებს ნათქვამს.

საბინას არაფერი ესმის. კისერს იღრეცს და დაბნეული იყურება.

„აუცილებლად იქნება რამე ისეთი, რაც გინდა, რომ გქონდეს. რამე, მხოლოდ შენთვის, შენი კაცებისთვის კი არა, შენთვის. მარტო შენთვის". – აზუსტებს პანი იოლა. საბინას ეცინება და წითლდება. კიდევ კარგი, უკვე ჩამობნელდა გარეთ და არ ეტყობა. ჭარხალივით ულუის სახე.

არ მოგიყვებით იმ საღამოს ამბავს. უბრალოდ გეტყვით: ვახშამი ნაჩქარევი იყო. ბლინებიანი ტაფა გაირეცხა, შემოწმდა ბიჭების ზურგჩანთები – შიგ ბუტერბროდების ნარჩენები ხომ არ ეყარა. ბიჭები იატაკზე ჭიდაობენ. ერთმანეთს ჩანგლებით საჭმელს ესვრიან. სამზარეულოს მაგიდას უჯრუ-

ლა მუშამბა აფარია, რომელზეც რძეა დაქცეული. ამით უნდა დაკმაყოფილდეთ.

მომავალ კვირას საბინა ახალ საორსულო კაბაში გამოწყობილი მოდის. თმაც მოწითალოდ შეუღებავს, მსუბუქად აუკრეფია და კეფაზე დაუმაგრებია. პანი იოლაც საზეიმოდ უღებს კარს. აკვირვებს მისი გარეგნობა. შინ შესულს ჭიქაში ფორთოხლის წვენს უსხამს და ეკითხება: „აბა, რა მოიფიქრე! რას ისურვებდი?“ საბინა კითხვას თავს არიდებს. მერე იტყვის, მერე, დალაგებას რომ მორჩება. წარმოუდგენელია, თვით ექიმი მ.-იც კი შემოვიდა. ჭიქით ხელში დგას და ისიც საბინას პასუხს ელის.

„ჩვენ ვიცით, ვინ დაიბადება, – გასარეცხ ჭურჭელს სარეცხ მანქანაში აწყობს პანი იოლა და საბინას გამოწვევას ცდილობს, – მიკვირს, რომ შენ არ გინდა იცოდე“. „მე ვერ მოვითმენდი, – განაგრძობს პანი იოლა და თავისი ორსულობის ამბებს ჰყვება. საბინამ კარგად იცის ეს ამბები. ქალები ადრე თუ გვიან აუცილებლად უყვებიან ერთმანეთს თავიანთ ფეხმძიმობასა და მშობიარობაზე. უბრალოდ, ასე ხდება. საბინა სააბაზანოს ასუფთავებს და როდესაც, ბოლოს და ბოლოს პანი იოლაც მიდის და ფართო ოთახებში მისი ამბებიც მიჩუმდება, საბინა მკლავებს მაღლა სწევს და იღლიებს ისუნავს. მერე სარკეში სახეს ითვალიერებს, ტუალეტის რბილი ქაღალდით შუბლიდან ოფლს იწმენდს, რომ არ იპრიალოს. ჩქარობს. ჩვეული სიდინჯით ვეღარ აკეთებს საქმეს. აღარც ახსოვს, აბაზანა როდის გახეხა. კაზიას ოთახს ისევ ძველებურად, სიყვარულით ალაგებს, თუმცა დღეს თითქოს თავისთვის იმზადებსო მას, თავისთვის იგებსო ვარდისფერ, უხილავ თეთრეულს. დაუთოებაც კარგად გამოსდის. ერთი-ორი, შშშშშ შშშშშ საბინა ღიღინებს და ექიმის პერანგებს ნამავს. ჰსსსსსს, სრიალის ხმას გამოსცემს საყელოები.

ყველაფერს დროულად ასწრებს. კიბეებზე ამომავალი გოგონები ისევ ინანილებენ როლებს და თამაშის წესებს ადგენენ. საბინა კიბიდან მათ თავებს ხედავს. ანგელოზებს ჰგვანან, მწყერჩიტებს, ტირიფის ლუნლულა ყვავილებს, ვერხვის ბუსუსებიან თესლებს.

ძლივძლივობით ჩადის სამზარეულოში. პანი იოლა სიგარეტს ეწევა და ჟურნალს ფურცლავს. სავარაუდოდ, მას ელოდება კეთილი ფერიასავით. ცოტა ხანში მისი ქმარიც შემოდის. „აბა, რას შვრები? გვეტყვი, რა მოიფიქრე?“ – ეკითხება პანი იოლა. და საბინაც ამბობს. თამამად. და თანდათან უფრო და უფრო ემატება თავდაჯერება. თითქოს უფრო მაღალი და ტანსრულიც ჩანს. თაგვები, – ფიქრობს პანი იოლა, – ორსულ ქალს სურვილზე უარი არ უნდა უთხრა, თორემ ყველაფერს თაგვები შეგიჭამენ.

საბინა ამხელს თავის სურვილს: გოგონებთან თამაში უნდა. უნდა, რომ მათი თოჯინა იყოს, ხალიჩაზე დაწვეს, მათ კი თმები დაუშალონ და დავარცხნონ, ყელზე ბაფთები და ყელსახვევები მოახვიონ, ჩააცვან და გახადონ (აი, ჟაკეტიც თანა აქვს, საგანგებოდ წამოიღო), უნდა, რომ ხელებზე მიეფერონ, მერე კი მუცელზე დაადონ თავი და ყური დაუგდონ ბიჭის სუნთქვას. „ვიცი, რომ ესეც ბიჭი იქნება“ – ამბობს საბინა ექიმი მ.-ის მისამართით. საბინას გოგონების ალერსი უნდა, მათი ჟლურტულის მოსმენა, ოლონდ შორიდან კი არა, ახლოდან. უნდა, რომ ყურში ეჩურჩულონ. უნდა, რომ მათი თოჯინა იყოს, მათი დიდი, თბილი და მუცელგაბერილი ბარბი, მერე რა, რომ ასეთები მაღაზიებში არ იყიდება! და მეტიც, რადგან საბინას ეჩვენება, რომ ერთხელ უკვე მოხდა ასე – თუმცა ამის სიტყვებით გადმოცემა ეძნელება, რომ უკვე იყო პატარა და უმწეო არსება და ცხოვრება რომ განაგრძოს, ამისთვის ეს მუდმივად უნდა იგემოს ზიარებასავით.

აბა, ერთი ზიარებით სულს როგორ გადაირჩენს? ბოლომდე უნდა დანებდეს სისუსტეს, რომ გაძლიერდეს. ამიტომ უნდა ვარდისფერ ხალიჩაზე წოლა, საწერი მაგიდისა და სკამებისთვის ქვემოდან ყურება, კარადებისა და საწოლის ქვეშ შეხედვა, საგნებისთვის უფლების მიცემა, რომ ცამდე გაიზარდონ. უნდა, რომ ადამიანისგან ორი ჩუსტებში ჩაყოფილი ფეხიღა დარჩეს. უნდა, რომ მათი ლაპარაკიდან არაფერი ესმოდეს. ბოლოს კი ინატრებდა, რომ არავინ გაიკვირვოს მისი ასეთი სურვილი, არავინ დასცინოს. და თუ ეს მაინც ისეთი სურვილია, რომ რაიმე უხერხულობას გამოიწვევს, მაშინ ახლავე დაივიწყებს მას და დეზოდორანტ „იმპულსს" დასჯერდება, ან ახალ სქელ კოლგოტს, ან ვერცხლის ბეჭედს, ან კაბას ინდიაშოპიდან.

ექიმ მ.-ის (ჭიქით ხელში) უნებლიეთ ხარხარი უტყდება. პანი იოლა ტუქსავს და აჩუმებს. ერთხანს საბინას სერიოზული სახით უყურებს. ტუჩები ისე მოუკუმავს, თითქოს უკანკალებსო. მერე საბინას ხელს ჰკიდებს და უსიტყვოდ მიუძღვის მაღლა. საბინა წითლდება იორდასალამივით, ვარდივით, ღვინოსავით, თავის ენასავით, თავისი სხეულის სარჩულივით წითლდება საბინა.

გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 5.
ტელ./ფაქსი: 225 05 22, 291 22 83.
www.intelekti.ge info@intelekti.ge

მოლონელი მნერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის, ოლგა ტოკარჩუკის, *მოთხრობების კრებული მოტლანდიური თვე* სრულიად განსხვავებული ხედვით ნარმოაჩენს ადამიანის შინაგან სამყაროს. თავადაც გამორჩეული და უცნაური, *მაგიური* ნიჭისა და უფაქიზესი შეგრძნებების მნერალი, რომლისთვისაც ცალკეული ადამიანი და მისი ხვედრი ძალზე მნიშვნელოვანია, ნიგნში აღნერს პერსონაჟთა ისეთ განცდებსა და ქცევებს, რომელთა ბოლომდე ახსნასაც (მით უფრო – მათგან გათავისუფლებას) ისინი ვერ ახერხებენ, სწორედ ამის გამოა, რომ მათი უმეტესობა გაჭირვებით უმკლავდება თავის უცნაურ და გაუსაძლის ყოფას, უფრო უიღბლოები კი ან რეალურად ბრიან ფსიქიკური აშლილობის ზღვარზე, ან სხვების თვალში მოხანან ასეთებად.

მოტლანდიური თვე, რომელშიც 12 მოთხრობა შედის (მოთხრობების ეს კრებული პირველად 2001 ნელს დაბეჭდა გამომცემლობა *რუტამ* სათაურით *დაკვრა ბევრ დოლზე* და მასში 19 მოთხრობა იყო თავმოყრილი), თავისი დინამიკით, მრავალფეროვნებითა და ხელწერით მკვეთრად განსხვავდება რომანისტ ოლგა ტოკარჩუკისგან, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ავტორის მრავალმხრივ შესაძლებლობებსა და ნიჭიერებაზე.

19 95

ინტელექტი
25 წლისაა

ISBN 978-9941-31-344-8
9 789941 313448
ინტელექტი